

დავით გაბუნია

# საერთაშორისო საავტორო სამართალი

ისმო-ს ხელშეკრულება  
საავტორო უფლებების შესახებ

ისმო-ს ხელშეკრულება  
შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ

ანალიზი და კომენტარები

ნომერი II

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი  
საქკატენტი

---

წიგნში განხილულია ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში მოქმედი ორი მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტი – ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ (WCT) და ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ (WPPT), აღწერილია მათი მიღების წინაპირობები და სტრუქტურა, მოცემულია მუხლობრივი კომენტარი და ძირითადი დებულებების ანალიზი.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს დავით გაბუნისა და გიორგი თაქთაქიშვილის ავტორობით 2005 წელს გამოცემული წიგნის „საერთაშორისო საავტორო სამართალი – ბერნის კონვენცია, რომის კონვენცია, TRIPS შეთანხმება“ გაგრძელებას, რომლის მეორე განახლებული გამოცემა (წიგნი I) გამოდის ამ წიგნთან ერთად.

წიგნი განკუთვნილია ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სპეციალისტების, მოსამართლეების, ადვოკატებისა და საავტორო უფლებებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის.

© დ. გაბუნია, 2016წ.

ISBN 9978-9941-0-9036-3 (ორივე წიგნის)

ISBN 9978-9941-0-9038-7 (მეორე წიგნის)

## წინასიტყვაობა

თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნების განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად მიჩნეულია ინტელექტუალური პოტენციალი – საზოგადოების განათლებულობა, შემოქმედებითობა, ახლის ძიებისა და მისი შედეგების რეალიზების უნარი. ინტელექტუალური საქმიანობა გამოიხატება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მხატვრულ-შემოქმედებითი მოღვაწეობა. გლობალიზაციის პირობებში იგი კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ შემადგენელთან ერთად, ერის სულიერი იდენტურობის შენარჩუნების ძირითად საშუალებას წარმოადგენს.

ავტორებისა და შემსრულებლების, აგრეთვე, მათ შემოქმედებასთან დაკავშირებული დარგების (აუდიო-ვიდეო ინდუსტრია, მუზეუმობა, online სისტემები და სხვ.) ინტერესების დაცვა და, შესაბამისად, მათი საქმიანობის წახალისება ათწლეულების მანძილზე საერთაშორისო თანამეგობრობის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია, რაც გასულ საუკუნეში გამოიხატა საერთაშორისო საავტორო სამართლის ისეთი ორი ფუნდამენტური აქტის მიღებაში, როგორებიცაა – ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის პარიზის აქტი (1971 წ.) და შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებელთა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვის რომის კონვენცია (1960 წ.). ამ დოკუმენტების მიღებით, გარკვეულწილად, მოხერხდა როგორც შემოქმედთა უფლებების სათანადო დაცვა და მათი ინტერესების საზოგადოების ინტერესებთან დაბალანსება, ისე განვითარებადი ქვეყნებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, საავტორო უფლებებთან მიმართებაში შეღავათიანი რეჟიმების დადგენა.

XX საუკუნის ბოლოს საავტორო სამართალი დადგა ახალი რთული გამოწვევების წინაშე, რაც დაკავშირებული იყო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან და, ამ პირობებში, საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ნაწარმოებების მარტივად ხელმისაწვდომობასთან. ამან განაპირობა საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის პრობლემების ახალი რაკურსით აქტუალიზაცია და თანამედროვე საინფორმაციო გარემოში საერთაშორისო დონეზე მათი სამართლებრივი დარეგულირების აუცილებლობა.

აღნიშნული მუშაობა წარიმართა ორი დამოუკიდებელი საერთაშორისო ფორუმის – ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციის (ვმო) და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) ფარგლებში. 1994 წელს ვმო-ს მიერ მიღებულ იქნა შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS შეთანხმება), რომელშიც ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა ობიექტის დაცვის ახალი მაღალი სტანდარტების დამკვიდრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახდა საავტორო და მომიჯნავე უფლებების ციფრულ სივრცეში დაცვის უზრუნველყოფი სამართლებრივი ნორმების შემოღება.

---

ციფრულ სივრცეში, საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა 1996 წელს, როდესაც ხელი მოეწერა ისმო-ს ორ ახალ ხელშეკრულებას – ხელშეკრულებას საავტორო უფლებების შესახებ (WCT) და ხელშეკრულებას შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ (WPPT). ამ ხელშეკრულებებით ავტორებს, შემსრულებლებსა და ფონოგრამის დამამზადებლებს მიენიჭათ მთელი რიგი ახალი უფლებები, მათ შორის, on-line ხელმისაწვდომობის უფლება. კიბერ სივრცეში უფლებების დაცვის კუთხით, ასევე, უმნიშვნელოვანესი იყო ვალდებულებების დანესება ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლისა და უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციაში ჩარევის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გატარების თაობაზე.

ნაშრომში გაანალიზებულია WCT და WPPT ხელშეკრულებები, მოცემულია მათი საერთო დახასიათება და მუხლობრივი კომენტარი. წიგნი შედგება სამი ნაწილისა და ოთხი დანართისაგან. პირველი ნაწილი ეთმობა WCT ხელშეკრულებას, მეორე ნაწილი – WPPT ხელშეკრულებას, მესამე ნაწილში კი მოცემულია ამ ხელშეკრულებების შედარებითი ანალიზი ბერნისა და რომის კონვენციებსა და TRIPS შეთანხმებასთან.

წიგნს დანართის სახით ერთვის WCT და WPPT ხელშეკრულებების ქართულენოვანი ტექსტები. ვინაიდან ამ ხელშეკრულებების ოფიციალურ თარგმანებში შეინიშნება მრავალი ხარვეზი, მკითხველს ვთავაზობთ თარგმანის ჩვენეულ ვერსიას. ასევე, ქართული ტექსტებისა და კომენტარების უკეთ გაგებისთვის დანართში მოცემულია ხელშეკრულებების ოფიციალური ტექსტები ინგლისურ ენაზეც.

წინამდებარე ნაშრომი ლოგიკური გაგრძელებაა საქპატენტის მიერ 2005 წელს გამოცემული წიგნის „საერთაშორისო საავტორო სამართალი – ბერნის კონვენცია, რომის კონვენცია, TRIPS შეთანხმება“ (ავტორები: დ. გაბუნია, გ. თაქთაქიშვილი), რომლის მეორე განახლებული გამოცემა გამოვიდა წინამდებარე წიგნთან ერთად, როგორც „საერთაშორისო საავტორო სამართალი“ – წიგნი I.

ვიმედოვნებთ, რომ ამ ორი წიგნის მეშვეობით ქართველ მკითხველს შეეძენება მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა საერთაშორისო საავტორო სამართლის თანამედროვე მდგომარეობასა და ამ სფეროში არსებულ გამოწვევებზე.

ბოლოს, მაღლიერებით გვინდა აღვნიშნოთ ის დახმარება, რაც გაგვინიეს უცხოელმა კოლეგებმა წინამდებარე წიგნზე მუშაობისას. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო მათთან გამართული დისკუსიები სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციისა თუ სიმპოზიუმის ფარგლებში, განსაკუთრებით კი, ისეთი ცნობილი სპეციალისტების რჩევები და რეკომენდაციები, როგორებიც არიან: მიხაი ფიჩორი, ირინი სტომატუდი და სილვე ფონ ლევისსკი. აღსანიშნავია, ასევე, საქპატენტის საგამომცემლო განყოფილების უფროსის ქ-ნ ნინო ბებრიშვილის წვლილი წიგნის საბოლოო სახით გამოცემაში.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი .....7

## ნაწილი 1

**ისმო-ს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ (WCT).....9**

მუხლი 1. მიმართება ბერნის კონვენციასთან .....10

მუხლი 2. საავტორო უფლებების დაცვის სფერო.....15

მუხლი 3. ბერნის კონვენციის მუხლების 2–6 გამოყენება .....16

მუხლი 4. კომპიუტერული პროგრამები .....25

მუხლი 5. მონაცემთა კომპილაცია (მონაცემთა ბაზები) .....27

მუხლი 6. გავრცელების უფლება .....30

მუხლი 7. გაქირავების უფლება .....31

მუხლი 8. საჯარო გადაცემის უფლება.....35

მუხლი 9. ფოტოგრაფიული ნაწარმოებების დაცვის ხანგრძლივობა .....38

მუხლი 10. შეზღუდვები და გამონაკლისები .....40

მუხლი 11. ვალდებულებები ტექნოლოგიურ საშუალებებთან მიმართებაში .....42

მუხლი 12. ვალდებულებები უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში .....47

მუხლი 13. გამოყენება დროში .....52

მუხლი 14. ვალდებულებები უფლებების განხორციელების შესახებ .....53

მუხლი 15. ასამბლეა .....55

მუხლი 16. საერთაშორისო ბიურო .....57

მუხლი 17. ხელშეკრულების მხარედ გახდომის უფლება .....58

მუხლი 18. ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები.....58

მუხლი 19. ხელშეკრულების ხელმოწერა .....59

მუხლი 20. ხელშეკრულების ძალაში შესვლა .....59

მუხლი 21. ხელშეკრულების მხარედ გახდომის თარიღი .....60

მუხლი 22. ხელშეკრულებაში დათქმების გაცემების დაუშვებლობა .....61

მუხლი 23. ხელშეკრულების დენონსაცია.....61

მუხლი 24. ხელშეკრულების ენები.....62

მუხლი 25. დეპოზიტარი.....63

## ნაწილი 2

**ისმო-ს ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ (WPPT) ...65**

თავი I. ზოგადი დებულებები.....67

მუხლი 1. მიმართება სხვა კონვენციებთან .....67

მუხლი 2. განსაზღვრებები .....72

მუხლი 3. ამ ხელშეკრულებით დაცული პირები (ბენეფიციარები) .....84

მუხლი 4. ეროვნული რეჟიმი .....91

თავი II. შესრულებელთა უფლებები.....94

მუხლი 5. შემსრულებლის პირადი არაქონებრივი უფლებები .....94

მუხლი 6. შემსრულებლების ქონებრივი უფლებები თავიანთ ჩაუწერელ შესრულებებზე .....98

მუხლი 7. რეპროდუცირების უფლება .....101

მუხლი 8. გავრცელების უფლება .....	104
მუხლი 9. გაქირავების უფლება .....	106
მუხლი 10. ჩანერილი შესრულების საჯარო ხელმისაწვდომობის უფლება .....	109
<b>თავი III. ფონოგრამის დამამზადებელთა უფლებები</b> .....	<b>111</b>
მუხლი 11. რეპროდუცირების უფლება .....	111
მუხლი 12. გავრცელების უფლება .....	112
მუხლი 13. გაქირავების უფლება .....	113
მუხლი 14. ფონოგრამის საჯარო ხელმისაწვდომობის უფლება .....	115
<b>თავი IV. სამართო დიპლმატი</b> .....	<b>117</b>
მუხლი 15. ეთერით მაუწყებლობისა და საჯარო გადაცემისთვის ჰონორარის მიღების უფლება .....	117
მუხლი 16. შეზღუდვები და გამონაკლისები .....	120
მუხლი 17. დაცვის ვადები.....	123
მუხლი 18. ტექნოლოგიურ საშუალებებთან დაკავშირებული ვალდებულებები .....	124
მუხლი 19. ვალდებულებები უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში .....	129
მუხლი 20. ფორმალობები .....	135
მუხლი 21. დათქმები .....	136
მუხლი 22. გამოყენება დროში .....	137
მუხლი 23. დებულებები უფლებების განხორციელების შესახებ.....	139
<b>თავი V. ადინისტრაციული და დასკვნითი მუხლები</b> .....	<b>141</b>
მუხლი 24. ასამბლეა .....	141
მუხლი 25. საერთაშორისო ბიურო .....	143
მუხლი 26. ხელშეკრულების მხარედ გახდომის უფლება .....	143
მუხლი 27. ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები.....	144
მუხლი 28. ხელშეკრულების ხელმოწერა.....	144
მუხლი 29. ხელშეკრულების ძალაში შესვლა .....	145
მუხლი 30. ხელშეკრულების მხარედ გახდომის თარიღი .....	145
მუხლი 31. ხელშეკრულების დენონსაცია.....	146
მუხლი 32. ხელშეკრულების ენები.....	147
მუხლი 33. დეპოზიტარი.....	148
<b>ნაწილი 3</b>	
<b>WCT და WPPT ხელშეკრულებების შედეგები</b> .....	<b>149</b>
3.1. WCT ხელშეკრულების შედარება ბერნის კონვენციასთან .....	149
3.2 WPPT ხელშეკრულების შედარება რომის კონვენციასთან.....	151
3.3 პროგრესი TRIPS-თან მიმართებაში.....	154
დანართი 1. ისმო-ს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ (WCT) .....	156
დანართი 2. ისმო-ს ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ (WPPT) .....	168
დანართი 3. WIPO Copyright Treaty .....	186
დანართი 4. WIPO Performances and Phonograms Treaty .....	194
ლიტერატურა .....	207

## შესავალი

„მომიჯნავე უფლებების დაცვის რომის კონვენციისა“ (1961) და „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის“ პარიზის აქტის (1971) მიღების შემდეგ პერიოდში ნამოიჭრა მრავალი კითხვა როგორც ამ კონვენციების ცალკეული დებულებების ინტერპრეტირებასთან, ისე საავტორო და მომიჯნავე უფლებების მოქმედების არეალსა და დაცვის ფარგლებთან დაკავშირებით. ინფორმაციის ჩანერისა და გავრცელების ციფრული საშუალებების განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ახალ ტექნოლოგიებთან კავშირში მყოფი უფლებების მინიჭებისა და დაცვის სპეციალური მექანიზმების ფორმირებისა და გამოყენების საჭიროებამ.

1991 წლიდან ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციამ (შემდგომში – ისმო) დაიწყო ექსპერტთა კომიტეტების შეკრება საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროებში დაგროვილი პრობლემების განსახილველად. ექსპერტთა კომიტეტებს დაევალებათ ბერნის კონვენციის პროტოკოლისა და შემსრულებლებისა და ფონოგრამის დამამზადებლების უფლებების დაცვის ახალი ხელშეკრულების პროექტების მომზადება.

არსებული პრობლემების გადასაწყვეტად, ბერნისა და რომის კონვენციებში ცვლილებების შეტანის ნაცვლად, პროტოკოლისა და ახალი ხელშეკრულების მიღების აუცილებლობა განაპირობა რიგმა გარემოებებმა:

- ბერნის კონვენციაში ცვლილებების შეტანა მოითხოვს სარევიზიო კონფერენციის ერთსულოვან მხარდაჭერას (მუხლი 27(3)), რაც საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემათა სირთულისა და სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მიდგომების გამო, პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა;
- კიდევ უფრო რთული მდგომარეობაა რომის კონვენციასთან მიმართებაში. მასში ცვლილებების შეტანა საჭიროებს როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, იუნესკო-სა და ისმო-ს ერთობლივ მონაწილეობას, ისე სამი კატეგორიის სუბიექტთა (შემსრულებელი, ფონოგრამის დამამზადებელი და მაუნყებელი) ინტერესების დაბალანსებასაც, რაც რომის კონვენციის მიღებისას, მაუნყებელთა პოზიციის გამო, მიღწეულ იქნა მძიმე კომპრომისების

---

საფუძველზე. სწორედ უკანასკნელის გათვალისწინებით, ექსპერტთა კომიტეტებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ამ ეტაპზე შემოიფარგლონ შემსრულებლებითა და ფონოგრამის დამამზადებლებით, ხოლო მაუნყებელთა უფლებების დაცვის საკითხს დაბრუნებოდნენ მოგვიანებით.

ხანგრძლივი განხილვებისა და დებატების შემდეგ, 1996 წელს ექსპერტთა კომიტეტების თავმჯდომარემ იუკა ლიდისმა (ფინეთი) დიპლომატიურ კონფერენციას მისაღებად წარუდგინა ორი დოკუმენტი: „ისმო-ს შელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ“ (The WIPO Copyright Treaty (WCT)) და „ისმო-ს ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ“ (The WIPO Performances and Phonograms Treaty (WPPT)), რომლებიც კონფერენციის პლენარულ სხდომაზე (2-20 დეკემბერი, 1996 წ.) მიიღეს გარკვეული შესწორებებით. WPPT ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2002 წლის 6 მარტს, ხოლო WCT ცოტა მოგვიანებით, 2002 წლის 20 მაისს. ეს ორი ხელშეკრულება ცნობილია, აგრეთვე, როგორც ისმო-ს ინტერნეტ ხელშეკრულებები.



---

## ნანილი 1

### ისმო-ს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ ( WCT)

WCT ხელშეკრულება წარმოადგენს ბერნის კონვენციის შემდგომ განვითარებას, რომელიც, ერთი მხრივ, ინარჩუნებს და კონსოლიდაციას უკეთებს ამ კონვენციით უკვე დადგენილ ავტორთა უფლებებს, მეორე მხრივ კი ითვალისწინებს დამატებით უფლებებს, მათ შორის, დაკავშირებულებს ახალ საკომუნიკაციო და ციფრულ ტექნოლოგიებთან. ხელშეკრულება, ასევე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნაწარმოებების გამოყენებასთან დაკავშირებით ავტორთა და საზოგადოების ინტერესებს შორის წონასწორობის არსებობის უზრუნველყოფას, უპირველესად, განათლებასთან, სამეცნიერო კვლევებსა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში.

#### **ტექსტობრივი სტრუქტურა**

ხელშეკრულება შეიცავს 25 მუხლს, სადაც პირველი 14 მუხლი განსაზღვრავს ხელშეკრულების მიმართებას ბერნის კონვენციასთან და დაცვის მატერიალურ ნორმებს; მე-15 და მე-16 მუხლები დაკავშირებულია ადმინისტრაციულ საკითხებთან, კერძოდ, ასამბლეასთან, ისმო-ს საერთაშორისო ბიუროსთან, მათ უფლებებსა და მოვალეობებთან. ყველა დანარჩენი მუხლი კი ეხება ისეთ ფორმალურ ასპექტებს, როგორებიცაა: ხელშეკრულებასთან მიერთება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მონაწილე მხარეების უფლებები და ვალდებულებები, დენონსაცია და ხელშეკრულების ენები. მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულება, ასევე, შეიცავს შეთანხმებულ განცხადებებს გარკვეული მუხლების არსსა და ინტერპრეტირებასთან დაკავშირებით, რომლებიც ჩართულ იქნენ დიპლომატიური კონფერენციის მოხსენებაში.

#### **იურიდიული სტრუქტურა**

ეს ხელშეკრულება წარმოადგენს სპეციალურ შეთანხმებას ბერნის კონვენციის მე-20 მუხლის გაგებით (მუხლი 1(1)). ხელშეკრულების ბენეფიციარები არიან „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორები“ (მუხლი 1(4)). დაცვა ვრცელდება ბერნის კონვენციით დასულ ნაწარმოებებზე, კომპიუტერული პროგრამებისა და მონაცემთა

---

ბაზების ჩათვლით (მუხლები: 4, 5). დაცვის კრიტერიუმს წარმოადგენს ბერნის კონვენციით დადგენილი კრიტერიუმი (მუხლი 3). ავტორებს გააჩნიათ პირადი არაქონებრივი უფლებები ისე, როგორც ეს იყო დადგენილი ბერნის კონვენციით.

ბერნის კონვენციით გათვალისწინებულ ქონებრივ უფლებებთან ერთად, ავტორებს მიენიჭათ შემდეგი დამატებითი უფლებები:

- გავრცელების უფლება (მუხლი 6);
- კომპიუტერული პროგრამების, კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისა (გამონაკლისების დაშვებით) და ფონოგრამაში განსახიერებული ნაწარმოებების (თუკი ამას ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა) გაქირავების უფლება (მუხლი 7);
- ნაწარმოებების სადენებითა და კავშირგაბმულობის უსადენო საშუალებებით საჯარო გადაცემის უფლება, მათ შორის ისე, რომ საზოგადოების წარმომადგენლებისთვის ასეთი ნაწარმოებები ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით (მუხლი 8).

მონაწილე მხარეებს აქვთ შეზღუდვებისა და გამონაკლისების დადგენის უფლება, სამსაფეხურიანი ტესტის (ბერნის კონვენციის მუხლი 9(2)) მოთხოვნების დაცვის პირობით. დაცვის ვადებთან მიმართებაში, გარდა ფოტოგრაფიული ნაწარმოებებისა, ძალაში რჩება ბერნის კონვენციით დადგენილი ვადები. რაც შეეხება ფოტოგრაფიულ ნაწარმოებებს, ისინი, ასევე, მოექცა ბერნის კონვენციით სხვა ნაწარმოებებისათვის დადგენილი დაცვის ვადის რეჟიმში, რომელიც შეადგენს 50 წელს ავტორის გარდაცვალებიდან. პირველად საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებში, მონაწილე მხარეებს დაეკისრათ ვალდებულებები ტექნოლოგიურ ზომებთან და უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში (მუხლები: 11, 12). მუხლი 14 ადგენს ვალდებულებებს უფლებების განხორციელების შესახებ. ზემოთქმულის გარდა მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულება ყველა მონაწილე მხარისგან მოითხოვს ბერნის კონვენციით დადგენილი რეჟიმის შესრულებას მიუხედავად იმისა არიან თუ არა ისინი ბერნის კავშირის წევრები (მუხლი 1(4)).

## **მუხლი 1. მიმართება ბერნის კონვენციასთან**

ეს ხელშეკრულება, „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის“ მე-20 მუხლის გაგებიდან გამომდინარე, წარმოადგენს სპეციალურ შეთანხმებას

ხელშეკრულების მხარეებთან მიმართებაში, რომლებიც წარმოადგენენ ამ კონვენციით დაფუძნებული კავშირის წევრ სახელმწიფოებს. ეს ხელშეკრულება არანაირად არ არის დაკავშირებული სხვა რომელიმე ხელშეკრულებასთან, გარდა ბერნის კონვენციისა, და არ აკნინებს ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით დადგენილ უფლებებსა და ვალდებულებებს.

(2) ამ ხელშეკრულების არც ერთი დებულება არ აკნინებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც ხელშეკრულების დამდებ მხარეებს ერთმანეთის მიმართ აქვთ ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის თანახმად.

(3) შემდგომში „ბერნის კონვენცია“ ნიშნავს ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის 1971 წლის 24 ივლისის პარიზის აქტს.

(4) ხელშეკრულების დამდები მხარეები იცავენ 1-21 მუხლებისა და ბერნის კონვენციის დამატებითი ნაწილის მოთხოვნებს.

### **შეთანხმებული განცხადება მუხლთან 1(4) დაკავშირებით**

რეპროდუცირების უფლება, როგორც ეს დადგენილია ბერნის კონვენციის მე-9 მუხლით, და ქვემოთ დაშვებული გამონაკლისები სრულად გამოიყენება ციფრულ გარემოში, კერძოდ, ციფრულ ფორმატში გამოხატული ნაწარმოებების მიმართ. გაგებულია, რომ დაცული ნაწარმოების შენახვა ციფრულ ფორმატში ელექტრონული საშუალებით წარმოადგენს რეპროდუცირებას ბერნის კონვენციის მე-9 მუხლის გაგებით.

### **კომენტარი**

მუხლი (1) უდგენს WCT ხელშეკრულებას სპეციალური შეთანხმების სტატუსს ბერნის კონვენციის მე-20 მუხლის გაგებით. ამავე დროს ის განსაზღვრავს ამ ხელშეკრულების დამოკიდებულებას სხვა ხელშეკრულებებთან და ავალდებულებს მონაწილე მხარეებს დაიცვან ბერნის კონვენციის 1-დან 21-ე მუხლებისა და დამატებითი ნაწილის მოთხოვნები.

იმ ფაქტის გამო, რომ საერთაშორისო საავტორო სამართალში მოქმედებს მთელი რიგი ხელშეკრულებები, ამ მუხლის მიზანია ცხადად განსაზღვროს WCT ხელშეკრულების დამოკიდებულება სხვა დანარჩენ ხელშეკრულებებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ დამოკიდებულების

---

დასადგენად უნდა გამოყენებულიყო ხელშეკრულებების შესახებ ვენის კონვენციის 30-ე მუხლი ერთი და იმავე საგანთან დაკავშირებული თანმიმდევრული ხელშეკრულებების გამოყენების წესის შესახებ. ეს მუხლი ეყრდნობა ბაზისურ კონცეფციას იმის შესახებ, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებს აქვთ ერთნაირი რანგი ერთ-მანეთის მიმართ და მათ შორის კონფლიქტის წარმოშობისას უნდა ვიხელმძღვანელოთ „lex posterior“ და „lex specialis“ წესებით.

ბოლო პერიოდში, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და მათში მონაწილე სახელმწიფოების რაოდენობის ზრდასთან ერთად, სულ უფრო ცხადად იკვეთება ტენდენცია, როცა თავად ხელშეკრულებები არეგულირებს მათი გამოყენების საკითხს. ამჟამად, ვენის კონვენციის 30-ე მუხლით დადგენილი წესები განიხილება როგორც ნარჩენი წესები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა უშუალოდ ხელშეკრულებები არ არეგულირებს მათი გამოყენების წესს. უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. „შესაბამისობის მუხლს“ 1(4) გააჩნია წინამორბედი TRIPS-ის 9(1) მუხლის სახით, მაგრამ WCT, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, მონაწილეებისაგან მოითხოვს არაქონებრივი უფლებების დაცვის ვალდებულებასაც.

ბერნის კონვენციის მე-20 მუხლის მიხედვით, „კავშირის ქვეყნების მთავრობები იტოვებენ ერთმანეთთან სპეციალური შეთანხმებების დადების უფლებას, თუ ეს შეთანხმებები ანიჭებს ავტორებს ამ კონვენციით მინიჭებულ უფლებებზე უფრო ფართო უფლებებს, ან შეიცავს სხვა დებულებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კონვენციას.“

ბერნის კონვენციის მოთხოვნა უფრო ფართო უფლებების მინიჭების შესახებ ეხება ამ კონვენციით უკვე დაცულ უფლებებს. გამომდინარე იქიდან, რომ WCT ხელშეკრულების მე-4 და მე-5 მუხლებით დეკლარირებული კომპიუტერული პროგრამები და მონაცემთა ბაზები მიეკუთვნა ლიტერატურის ნაწარმოებებს, ეს მოთხოვნა მთლიანად მიესადაგება ხელშეკრულებით დაცულ ყველა ნაწარმოებს.

უფრო ფართო უფლების მინიჭების მოთხოვნა გულისხმობს, რომ ეს უფლებები უნდა იყოს აშკარად მოხსენიებული ან ირიბად მინიშნებული ბერნის კონვენციაში და არ უნდა წარმოადგენდეს ბერნის კონვენციისათვის სრულიად ახალ, უცხო უფლებებს. მაგალითად, გავრცელების უფლება აშკარად არის მოცემული ბერნის კონვენციაში კინემატოგრაფიული ნაწარმოებების მიმართ. ამავდროულად შეიძლება

---

ითქვას, რომ მასზე ირიბი მინიშნებაა, რადგან გავრცელების უფლება ლოგიკური გაგრძელებაა მე-9 მუხლით დადგენილი რეპროდუცირების უფლების. ასევე, ხელშეკრულებაში დეკლარირებული უფლება საჯარო ხელმისაწვდომობაზე თავისი არსით წარმოადგენს ბერნის კონვენციით დაცული საჯარო გადაცემის უფლების ნაირსახეობას.

მეორე მოთხოვნა, რომ WCT ხელშეკრულების დებულებები არ უნდა იყოს წინააღმდეგობაში ბერნის კონვენციასთან გულისხმობს ისეთ დებულებებს, რომლებიც არ ეხება ბერნის კონვენციით მოცულ საკითხებს, მაგრამ არ არის მასთან წინააღმდეგობაში. მაგალითად, ხელშეკრულების მე-12 მუხლით გათვალისწინებული უფლებების მართვის ინფორმაციის მანიპულაციებისაგან დაცვა არ წარმოადგენს ბერნის კონვენციის საგანს, მაგრამ, მე-12 მუხლთან დაკავშირებული შეთანხმებული განცხადების შესაბამისად, ეს მუხლი არ მოდის წინააღმდეგობაში ბერნის კონვენციის პრინციპთან, რომელიც კრძალავს დაცვის საბაბით რაიმე ფორმალობების შემოღებას.

WCT ხელშეკრულების „ბერნის კონვენციის სპეციალური შეთანხმების“ სტატუსი პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ მისი დებულებები არანაირად არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული იმგვარად, რომ მოვიდნენ წინააღმდეგობაში ბერნის კონვენციის პრინციპებთან და მოთხოვნებთან. ამავდროულად, მუხლის 1(1) მიხედვით, ეს ხელშეკრულება წარმოადგენს სპეციალურ შეთანხმებას ხელშეკრულების იმ მხარეებთან მიმართებაში, რომლებიც არიან ბერნის კონვენციით დაფუძნებული კავშირის წევრი სახელმწიფოები. შესაბამისად, შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს WCT ხელშეკრულების მონაწილე ბერნის კავშირის არაწევრ სახელმწიფოებს არ გააჩნიათ ამ კონვენციის მე-20 მუხლით დადგენილი ვალდებულებები და თავისუფალნი არიან ბერნის კონვენციის დებულებების ინტერპრეტირებისას. ამგვარი გაგების დასაბალანსებლად მუხლი 1(4) პირდაპირ მიუთითებს, რომ ხელშეკრულების დამდები მხარეები იცავენ 1-21 მუხლებისა და ბერნის კონვენციის დამატებითი ნაწილის მოთხოვნებს და, აქედან გამომდინარე, WCT მონაწილე ბერნის არაწევრ სახელმწიფოებს ბერნის კონვენციის მოთხოვნების მიმართ აქვთ იგივე ვალდებულებები, რაც ბერნის კავშირის წევრ სახელმწიფოებს.

მუხლის 1(1) მე-2 ფრაზის შესაბამისად, „ეს ხელშეკრულება არანაირად არ არის დაკავშირებული სხვა რომელიმე ხელშეკრულებასთან, გარდა ბერნის კონვენციისა“. აქ ხელშეკრულებებს შორის კავშირი უნდა გავიგოთ მათ შორის სამართლებრივი კავ-

---

შირის არსებობის თვალსაზრისით. მაგალითად, ის ფაქტი, რომ ამ ხელშეკრულების ზოგიერთი დებულება ჩამოყალიბებულია TRIPS-ის გარკვეული დებულებების მაგალითზე სრულიად არ მიუთითებს მათ შორის სამართლებრივი კავშირის არსებობაზე. ეს ნიშნავს, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პანელის ინტერპრეტაციებს TRIPS-ის მუხლებთან (მაგ.: კომპიუტერული პროგრამები, მონაცემთა ბაზები, გაქირავების უფლება ან სხვ.) დაკავშირებით არ ექნება სამართლებრივი გავლენა WCT ხელშეკრულების შესაბამის დებულებებზე.

მუხლის 1(1) მე-2 ფრაზის მეორე ნაწილი „...და არ აკნინებს ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებებით დადგენილ უფლებებსა და ვალდებულებებს“ და კიდევ ერთხელ ადასტურებს WCT ხელშეკრულების დამოუკიდებელ ხასიათს. მაგალითად, ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს, რომლებიც არიან, ასევე, TRIPS შეთანხმების მხარეებიც, რჩებათ TRIPS-ით დადგენილი უფლებები და ვალდებულებები TRIPS-ის სხვა მონაწილეების მიმართ. ფრაზა „სხვა ხელშეკრულებების მიმართ“ არ ეხება ბერნის კონვენციას, რაც გამომდინარეობს 1-ლი მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებიდან, რომლებიც უშუალოდ ადგენს WCT-ის დამოუკიდებულებას ბერნის კონვენციასთან.

მუხლი 1(2) ადგენს ბერნის კონვენციის დამცველ დათქმას, რომლის მიხედვით ის ვალდებულებები, რომლებიც ამ ხელშეკრულების მონაწილეებს გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ ბერნის კონვენციის თანახმად, განაგრძობენ არსებობას მის ფარგლებშიც. ასეთ ვალდებულებებს მიეკუთვნება ეროვნული რეჟიმის ან მინიმალური უფლებების დაცვის ვალდებულებები. იგივე ვრცელდება ადმინისტრაციული და დასკვნითი მუხლებით (22-38) გათვალისწინებულ ვალდებულებებზეც.

მნიშვნელოვანია, რომ მუხლი 1(2) ეხება ბერნის კავშირის მონაწილეთა ვალდებულებებს და არ მოიცავს მათ უფლებებს. ამდენად, ამ მუხლიდან გამომდინარე დასაშვებია, რომ WCT ნაწილობრივ ცვლიდეს მის მონაწილეთა ბერნის კონვენციით დადგენილ უფლებებს. მაგალითად, WCT თავისი მე-9 მუხლით ნაწილობრივ ცვლის ბერნის კონვენციის მუხლის 7(4) მოქმედებას, ანუ ქვეყნის უფლებას არ მიანიჭოს ფოტოგრაფიულ ნაწარმოებებს ავტორის გარდაცვალებიდან 25 წელზე მეტი ხნით დაცვა და ადგენს, რომ ფოტოგრაფიული ნაწარმოებების მიმართ ბერნის ეს მუხლი არ გამოიყენება. უნდა

აღნიშნოს, რომ WCT-ის მუხლის 1(2) მოთხოვნა ვალდებულებებთან დაკავშირებით ვრცელდება ბერნის ნებისმიერ აქტთან მიმართებაში იმ დროს, როცა მუხლის 1(3) და მომდევნო მუხლების დებულებები დაკავშირებულია უკვე ბერნის კონვენციის პარიზის აქტთან.

მუხლი 1(4) შეიცავს ე.წ. შესაბამისობის დათქმას, რომელიც ავალდებულებს ხელშეკრულების დამდებ მხარეებს უზრუნველყონ 1-21 მუხლებსა და ბერნის კონვენციის დამატებითი ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამისობა. იგი არ მოითხოვს ბერნის კონვენციის ზუსტ მიდევნებას. ამ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა, მაგალითად, ევროგაერთიანების WCT-თან მიერთება. აღსანიშნავია, რომ ამ მუხლს აქვს წინამორბედი TRIPS-ის მუხლის 9(1) პირველი ფრაზის სახით.

რაც შეეხება შეთანხმებულ განცხადებას 1(4) მუხლთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ ბერნის კონვენციის მე-9 მუხლში ჩადებულია რეპროდუცირების ფართო გაგება, რომლის მიხედვით რეპროდუცირება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ხერხითა და ფორმით. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა რეპროდუცირების ცნება იყოს ინვარიანტული გამოყენების სფეროსთან მიმართებაში და, შესაბამისად, გავრცელდეს ციფრულ გარემოზეც, რაც პირდაპირაა გაცხადებული შეთანხმებულ განცხადებაში. მნიშვნელოვანია, რომ ამ განცხადებით რეპროდუცირების უფლებასთან დაკავშირებული შეზღუდვები და გამონაკლისები ვრცელდება, ასევე, ციფრულ სივრცეზეც.

## **მუხლი 2. საავტორო უფლებების დაცვის სფერო**

საავტორო უფლება ვრცელდება გამოხატვის ფორმებზე და არა იდეებზე, პროცედურებზე, მუშაობის მეთოდებზე ან მათემატიკურ კონცეფციებზე, როგორც ასეთზე.

### **კომენტარი**

WCT ხელშეკრულების მე-2 მუხლი იმეორებს TRIPS-ის მუხლში 9(2) წარმოდგენილ საავტორო უფლებების დაცვის ზოგად პრინციპს, რომლის მიხედვით დაცვას ექვემდებარება იდეის კრეატიული გამოხატულება და არა უშუალოდ იდეა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პარადიგმა ცხადად, კონკრეტული ერთი დებულების სახით, არ არის წარმოდგენილი ბერნის კონვენციაში, იგი ფარულად, განსხვავებული ფორმით იჩენს თავს კონვენციის სხვადასხვა დებულებებში. ეს პრინციპი, რომელიც თავიდანვე იქცა საავტორო

---

სამართლის ქვაკუთხედად, განასახიერებს წყალგამყოფს საავტორო უფლებებით დაცულ ნაწარმოებებსა და მათ უკან მდგარ იდეებს შორის, რომლებიც, თავის მხრივ, არ წარმოადგენს დაცვის ობიექტს და არის საჯარო სარგებლობაში. იდეის დაუცველობა განასხვავებს საავტორო უფლებებს საპატენტო უფლებებისაგან. ეს უკანასკნელი უფლებები, გარკვეული პირობების შესრულებისას, წარმოიშვებიან უშუალოდ იდეების მიმართ.

WCT-ის მე-2 მუხლში ეს ფუძემდებლური პრინციპი გადმოცემულია ფართო მნიშვნელობის ტერმინების გამოყენებით, რომელთაგან ერთი, მაგალითად, „გამოხატვა“ წარმოდგენილია პოზიტიურ კონტექსტში იმის აღსაწერად თუ რაზე ვრცელდება დაცვა, ხოლო დანარჩენი ოთხი კი – „იდეები“, „პროცესები“, „ფუნქციონირების მეთოდები“ და „მათემატიკური კონცეფციები“, რომლებიც აღწერს იმ ობიექტებს, რომლებზეც არ ვრცელდება დაცვა – ნეგატიურში. ბუნებრივია, ამ უკანასკნელ ჩამონათვალს არ აქვს პრეტენზია სისრულეზე და მხოლოდ იმ ობიექტების მაგალითებია, რომლებიც არ ექვემდებარება დაცვას საავტორო უფლებებით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუხლის რედაქცია, პრაქტიკულად, იმეორებს უფრო ადრინდელ დოკუმენტებში – „ევროპულ დირექტივაში კომპიუტერული პროგრამების დაცვის შესახებ“ (EC Computer Program Directive 91/250) და „აშშ საავტორო უფლებების აქტის“ (US Copyright Act) 102(ბ) სექციაში მოცემული შესაბამისი მუხლების რედაქციას.

### **მუხლი 3. ბერნის კონვენციის მუხლების 2-6 გამოყენება**

დამდებმა მხარეებმა უნდა გამოიყენონ ბერნის კონვენციის მუხლები 2-6 შესაბამისი შესწორებებით ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაცვასთან მიმართებაში.

### **შეთანხმებული განცხადება მე-3 მუხლთან დაკავშირებით**

გაგებულია, რომ ამ შეთანხმების მე-3 მუხლის გამოყენებისას, გამოთქმა „კავშირის ქვეყანა“ ბერნის კონვენციის მუხლებში 2-6 იკითხება, როგორც მითითება ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეზე, ბერნის კონვენციის აღნიშნული მუხლების ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვის მიმართ გამოყენებისას. ასევე, გაგებულია, რომ გამოთქმა „კავშირის გარეთ მყოფი ქვეყანა“ ბერნის ამ მუხლებში, იმავე გარემოებებისათვის წაიკითხება, როგორც მითითება ქვეყანაზე, რომელიც არ წარმოადგენს ხელშეკრულების დამდებ



მხარეს, და „ეს კონვენცია“ ბერნის კონვენციის მუხლებში 2(8), 2<sup>bis</sup>(2), 3, 4 და 5 წაიკითხება, როგორც მითითება ბერნის კონვენციასა და ამ ხელშეკრულებაზე. ბოლოს გაგებულია, რომ ბერნის კონვენციის მუხლებში 3–6 მითითება „კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეზე“, როცა ისინი გამოიყენება ხელშეკრულების მიმართ ამ ხელშეკრულების დამდებ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციასთან დაკავშირებით, გულისხმობს ამ ორგანიზაციაში შემავალი ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეს.

### **კომენტარი**

WCT-ის მე-3 მუხლის მოთხოვნა, რომ დამდებმა მხარეებმა გამოიყენონ ბერნის კონვენციის მუხლები 2–6 შესაბამისი შესწორებებით, განპირობებული იყო იმ სურვილით, რომ WCT, როგორც სპეციალურ შეთანხმებაში ბერნის კონვენციის მე-20 მუხლის გაგებით, სრულად ასახულიყო ამ კონვენციით დადგენილი ის პრინციპები, რომლებიც საავტორო უფლებების დაცვის ქვაკუთხედი, კერძოდ: დაცული ნაწარმოებები, ეროვნული რეჟიმი, მინიმალური უფლებები, ფორმალური მოთხოვნების დაუშვებლობა.

### **დაცული ნაწარმოებები**

WCT-ის მე-3 მუხლიდან გამომდინარე, ამ ხელშეკრულებით დაცულ ნაწარმოებებს წარმოადგენს ბერნის კონვენციის მე-2 მუხლით განსაზღვრული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები. კონვენციის მუხლის 2(1) თანახმად, გამოთქმა „ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებები“ მოიცავს ყველანაშუაშვარს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში, გამოხატვის ხერხისა და ფორმის მიუხედავად, როგორებიცაა: „ნიგნები, ბროშურები და სხვა წერილობითი ნაწარმოებები; ლექციები, მიმართვები, ქადაგებები და ამავე ხასიათის სხვა ნაწარმოებები; დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები; ქორეოგრაფიული ნაწარმოებები და პანტომიმები; ტექსტიანი ან ტექსტის გარეშე კინემატოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებთანაც არის გათანაბრებული კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით გამოხატული ნაწარმოებები; ნახატები, ფერწერული, არქიტექტურული, სკულპტურული ნაწარმოებები, გრაფიკა და ლითოგრაფია; ფოტოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებთანაც გათანაბრებულია ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით გამოხატული ნაწარმოებები; გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები; ილუსტრაციები, გეოგრაფიული რუკები, გეგმები,

---

ესკიზები და მოცულობითი ნაწარმოებები, რომლებიც განეკუთვნება გეოგრაფიას, ტოპოგრაფიას, არქიტექტურას ან მეცნიერებას“.

მოცემული განსაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, ადგენს სფეროს (ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება), რომელსაც უნდა მიეკუთვნებოდეს დაცული ნაწარმოებები. როგორც ვხედავთ, დაცვა ვრცელდება სამეცნიერო ნაშრომებზეც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უშუალოდ არ არის მოხსენიებული კონვენციის სახელწოდებასა და მის პირველ მუხლში.

განსაზღვრების თანახმად, ბერნის კონვენცია არ ადგენს რაიმე შეზღუდვებს ნაწარმოებების „გამოხატვის ხერხსა და ფორმასთან“ დაკავშირებით. ნაწარმოები დაცულია მიუხედავად იმისა განსახიერებელია ნაბეჭდ პროდუქციაში, არსებობს ხმისა და გამოსახულების ჩანაწერის სახით თუ წარმოდგენილია რაიმე სხვა ფორმით. ამგვარი მიდგომა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე ეპოქაში, როცა გაჩნდა ინფორმაციის წარმოდგენის, შენახვისა და გადაცემის ციფრული საშუალებები, რაც გზას უხსნის ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის გამოყენებას WCT ხელშეკრულების მიზნებისათვის.

განსაზღვრებაში მოცემული ნაწარმოებების ჩამონათვალში სიტყვა „როგორებიც“ მიუთითებს, რომ ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და ატარებს ილუსტრაციულ ხასიათს. ამდენად, WCT-ის დამდებ მხარეებს გააჩნიათ უფლებამოსილება გაავრცელონ დაცვა სხვა სახის ნაწარმოებებზეც.

ბერნის კონვენცია და შესაბამისად, WCT იცავს ისეთ ნაწარმოებებსაც, რომლებიც შექმნილია სხვა ნაწარმოებების საფუძველზე (წარმოებული ნაწარმოებები). ბერნის კონვენციის მუხლის 2(3) თანახმად, თარგმანები, ადაპტაციები, მუსიკალური არანჟირებები, ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებთა სხვაგვარი სახეცვლილებანი დაცულია, როგორც ორიგინალური ნაწარმოებები. დაცვას, ასევე, ექვემდებარება შედგენილი ნაწარმოებები – „ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებთა კრებულები, როგორცაა ენციკლოპედიები და ანთოლოგიები“, მაგრამ ნაწარმოებთა კრებულები მასალების შერჩევითა და განლაგებით ინტელექტუალური შემოქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს (მუხლი 2(5)). წარმოებული ნაწარმოებების დაცვა, კონვენციის მე-2 მუხლის მე-(3) და მე-(5) პუნქტების შესაბამისად, უნდა განხორციელდეს ორიგინალურ ნაწარმოებებზე

---

საავტორო უფლებების შეუღახავად.

ნაწარმოებებზე დაცვის გავრცელების მოთხოვნის თვალსაზრისით, კონვენცია გამოყოფს ორ ჯგუფს. პირველ ჯგუფს შეადგეს ის ნაწარმოებები, რომელთა დაცვის ვალდებულება კონვენციით პირდაპირ ეკისრება ბერნის კავშირის ქვეყნებს, მეორეს კი – ნაწარმოებები, რომელთა დაცვა წარმოადგენს კავშირის ქვეყნების კანონმდებლობის რეგულირების საგანს.

WCT-ის დამდებ მხარეებს ბერნის კონვენციის მუხლებიდან 2(4) და 2<sup>bis</sup>(1) გამომდინარე, გააჩნიათ უფლება, მათი კანონმდებლობის ფარგლებში, განსაზღვრონ დაცვის გავრცელება გარკვეული კატეგორიის ნაწარმოებებზე. ამ ნაწარმოებებს მიეკუთვნება:

- საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და იურიდიული ხასიათის ოფიციალური ტექსტები და ასეთი ტექსტების ოფიციალური თარგმანები (მუხლი 2(4));
- პოლიტიკური გამოსვლები და სასამართლო პროცესის მსვლელობისას წარმოთქმული სიტყვები (მუხლი 2<sup>bis</sup>(1)).

ბერნის კონვენციის მუხლიდან 2(7) გამომდინარე, WCT ხელშეკრულების მონაწილე მხარეების კანონმდებლობით განისაზღვრება, ასევე, გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების, სამრეწველო ნიმუშებისა და მოდელებისთვის ამ კანონმდებლობების გამოყენების ფარგლები და პირობები. ნაწარმოებებს, რომლებსაც მონაწილე მხარე იცავს მხოლოდ, როგორც სამრეწველო ნიმუშებს და მოდელებს, სხვა მონაწილე მხარე ანიჭებს ისეთსავე დაცვას, როგორსაც ის ანიჭებს ანალოგიურ ობიექტებს. მაგრამ, თუ ეს მონაწილე არ ახორციელებს სამრეწველო ნიმუშებისა და მოდელების სპეციალურ დაცვას, ეს ნაწარმოებები დაცული უნდა იყოს, როგორც ხელოვნების ნაწარმოებები. როგორც ვხედავთ, ხელოვნების ნაწარმოებების დაცვა ეფუძნება ნაცვალგების პრინციპს.

WCT ხელშეკრულებაში, ბერნის კონვენციის მუხლის 2(8) მოთხოვნიდან გამომდინარე, დაცვა არ ვრცელდება დღის ახალ ამბებზე, ან სხვადასხვა ფაქტზე, რომელსაც უბრალო პრესინფორმაციის ხასიათი აქვს. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ოფიციალური განმარტებით, დაცვას ექვემდებარება კრებულები, რომელშიც საინფორმაციო მასალები შერჩეული და განთავსებულია ინტელექტუალური საქმიანობის ხასიათის საფუძველზე.

## **დაცვის მინიჭების პირობები**

ბერნის კონვენციის მე-3 და მე-4 მუხლებზე დაყრდნობით, შეთანხმებული განცხადებიდან გამომდინარე, WCT ხელშეკრულება დაცვას ავრცელებს:

1. ავტორებზე, რომლებიც არიან ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მოქალაქეები, მათი როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი ნაწარმოებებისთვის (მოქალაქეობის კრიტერიუმი);
2. ავტორებზე, რომლებიც არ არიან ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მოქალაქეები, მათი ნაწარმოებებისათვის, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა ერთ-ერთ ასეთ ქვეყანაში ან ერთდროულად გამოქვეყნდა ქვეყანაში, რომელიც არ წარმოადგენს ხელშეკრულების დამდებ მხარეს, და ხელშეკრულების დამდებ მხარეში (ტერიტორიული კრიტერიუმი);
3. ავტორებზე, რომლებიც არ არიან ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მოქალაქეები, მაგრამ აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ერთ-ერთ ასეთ ქვეყანაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სტოკჰოლმის 1967 წლის კონფერენციაზე ბერნის კონვენციაში შეტანილ იქნა ფუნდამენტური ცვლილება ავტორთა დაცვის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. ადრე მიღებული ბრიუსელის 1948 წლის აქტის მიხედვით, მოქმედებდა მხოლოდ დაცვის ტერიტორიული პრინციპი, რის საფუძველზეც, დაცვის გავრცელებისთვის პირველი გამოქვეყნება უნდა მომხდარიყო კავშირის წევრ ერთ-ერთ ქვეყანაში. სტოკჰოლმის აქტის მიხედვით კი, იმ ავტორთა ნაწარმოებებს, რომლებიც არიან კავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეები ან გააჩნიათ იქ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, კონვენცია იცავს მიუხედავად იმისა, არის თუ არა ნაწარმოები გამოქვეყნებული ან სად გამოქვეყნდა პირველად – კავშირში შემავალ, თუ სხვა ქვეყანაში. ამდენად, ავტორები, რომლებიც არიან ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მოქალაქეები და ავტორები, რომლებიც არ არიან ხელშეკრულების არც ერთი მხარის მოქალაქეები, მაგრამ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ხელშეკრულების დამდებ ერთ-ერთ მხარეში, სტოკჰოლმის აქტის საფუძველზე გათანაბრებულნი არიან თავიანთ საავტორო უფლებებში.

იმ შემთხვევაშიც, თუ არ არის შესრულებული ბერნის კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი „მოქალაქეობის“ და „ტერიტორიული“ კრიტერიუმები ამავე კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, WCT ხელშეკრულება დაცვას ავრცელებს:

1. იმ კინემატოგრაფიული ნაწარმოებების ავტორებზე, რომელთა დამამზადებელს აქვს შტაბ-ბინა ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარეს ტერიტორიაზე;
2. იმ არქიტექტურული ნაწარმოებების ავტორებზე, ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის ტერიტორიაზე აგებული ნაგებობისთვის;
3. ხელოვნების იმ სხვა ნაწარმოებების ავტორებზე, რომლებიც შეადგენენ ხელშეკრულების დამდები მხარის ტერიტორიაზე მდებარე შენობის ან სხვა ნაგებობის ნაწილს.

კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან დაკავშირებული დაცვის დამატებითი პირობაც პირველად გაჩნდა სტოკჰოლმის 1967 წლის აქტში და გაზარდა ამ კატეგორიის დაცული ნაწარმოებების რაოდენობა, რითაც დაინტერესებული იყვნენ როგორც ფილმის დამამზადებლები, ისე ავტორები.

როგორც ვხედავთ, ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მოქალაქეების და მათ ტერიტორიაზე მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე მოქალაქეების საავტორო უფლებები დაცულია როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებზე. სხვა შემთხვევაში საავტორო უფლებები დაიცვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოები პირველად (ან ერთდროულად) გამოქვეყნდა ხელშეკრულების დამდებ ერთ-ერთ ქვეყანაში.

ბერნის კონვენციის მე-3(4) მუხლის მიხედვით, ნაწარმოები გამოქვეყნებულად მიიჩნევა ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში, თუ ის გამოქვეყნდა ორ ან მეტ ქვეყანაში მისი პირველი გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში. ეს მუხლი შესაბამისი ცვლილებებით გამოიყენება WCT ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებთან მიმართებაში.

ტერმინი „გამოქვეყნებული ნაწარმოებები“ ბერნის კონვენციის მუხლის 3(3) შესაბამისად, ნიშნავს ავტორების თანხმობით გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს, ასლების დამზადების საშუალებების მიუხედავად, იმ პირობით, რომ ასეთი ასლების რაოდენობა, ნაწარმოების ხასიათის გათვალისწინებით, აკმაყოფილებს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნებს. „გამოქვეყნებული ნაწარმოებები“ არ მოიცავს ნაწარმოების შესრულებას, საჯარო გადაცემას, ხელოვნების ნაწარმოების გამოფენას, არქიტექტურული ნაწარმოების აგებას და სხვა. მაგალითად, თუ ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებში ან მათ გარეთ შესრულდა იმ ავტორის ნაწარმოები, რომელიც არ არის

---

ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქე, მასზე არ ვრცელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვა, რადგან, ხელშეკრულების თანახმად, ნაწარმოების შესრულება არ მიიჩნევა ნაწარმოების გამოქვეყნებად.

### **დაცვის ძირითადი პრინციპები**

ბერნის კონვენციით დადგენილი დაცვის ძირითადი პრინციპები – ფორმალობების არ დაშვება (ავტომატური დაცვა), ეროვნული რეჟიმი და გარანტირებული მინიმალური უფლებები საფუძვლად დაედო, ასევე, WCT-ის. ეს პრინციპები გამოიყენება ავტორებისა და მათი უფლებამონაცვლეების მიმართ ბერნის კონვენციის მე-2 და მე-2<sup>bis</sup> და WCT-ის მე-4 და მე-5 მუხლებით დასკულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით.

ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე, ამ პრინციპების გამოყენებისთვის საჭიროა განისაზღვროს ნარმოშობის ქვეყანა, რომელიც ბერნის კონვენციის მუხლის 5(4) მიხედვით, უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ნარმოშობის ქვეყანად ითვლება:

1. ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე ქვეყანაში ნაწარმოების პირველადი გამოქვეყნების შემთხვევაში – ეს ქვეყანა; ნაწარმოებების ერთდროულად გამოქვეყნების შემთხვევაში, ხელშეკრულების მონაწილე რამდენიმე ქვეყანაში, რომლებიც დაცვის სხვადასხვა ვადას ითვალისწინებენ – ის ქვეყანა, რომლის კანონმდებლობითაც დადგენილია დაცვის უმოკლესი ვადა;
2. ნაწარმოებების ერთდროულად გამოქვეყნების შემთხვევაში იმ ქვეყანაში, რომელიც არ არის ხელშეკრულების მონაწილე და ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთ ქვეყანაში – ეს უკანასკნელი ქვეყანა;
3. იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოებები არ არის გამოქვეყნებული ან პირველადაა გამოქვეყნებული ქვეყანაში, რომელიც არ არის ხელშეკრულების მონაწილე, ხელშეკრულების მონაწილე სხვა რომელიმე ქვეყანაში ერთდროული გამოქვეყნების გარეშე – ქვეყანა, რომლის მოქალაქეცაა ავტორი, იმ პირობით, რომ:
  - 1) კინემატოგრაფიული ნაწარმოებების შემთხვევაში, რომელთა დამამზადებელს შტაბ-ბინა ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანაში, ნარმოშობის ქვეყნად უნდა ჩაითვალოს ეს ქვეყანა, და
  - 2) ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანაში აგებული არქიტექტუ-

---

რული ნაწარმოებების შემთხვევაში, ან ხელოვნების სხვა ნაწარმოებების შემთხვევაში, რომლებიც შეადგენს ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე ქვეყანაში მდებარე შენობის ან სხვა ნაგებობის ნაწილს, წარმოშობის ქვეყნად მიიჩნევა ეს ქვეყანა.

### **ავტომატური დაცვა**

ბერნის კონვენციის მე-5(2) მუხლში ჩამოყალიბებული ავტომატური დაცვის ფუნდამენტური პრინციპის შესაბამისად, WCT ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებში ნაწარმოებზე საავტორო უფლებები წარმოიშვება ავტომატურად, ყოველგვარი ფორმალური მოთხოვნების შესრულების გარეშე. ამგვარი ფორმალური მოთხოვნები შეიძლება იყოს ნაწარმოების დეკლარაცია, მისი რეგისტრაცია სამთავრობო ან საჯარო დაწესებულებაში, სარეგისტრაციო საფასურების გადახდა და სხვა. აღნიშნული მოთხოვნა უფლებების ავტომატურ წარმოშობასთან დაკავშირებით ეხება მხოლოდ ხელშეკრულებით გარანტირებულ უფლებებს. ის არ ეხება დაცვის იმ პირობებს, რომელიც ვრცელდება ნაწარმოებზე წარმოშობის ქვეყანაში.

ფაქტიურად, ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანას შეუძლია იმ ნაწარმოებებზე, რომლებიც ამ ქვეყნიდან არის წარმოშობილი, უფლებების წარმოქმნა და გამოყენება დაუკავშიროს ფორმალური მოთხოვნების შესრულებას, რაც უნდა მონესრიგდეს მისი შიდა კანონმდებლობით. მაგრამ, ავტომატური დაცვის პრინციპიდან გამომდინარე, ნაწარმოების ავტორს აქვს უფლება მოითხოვოს დაცვა ხელშეკრულების მონაწილე სხვა ქვეყნებში ყოველგვარი ფორმალური მოთხოვნების შესრულების გარეშე. იგივე ეხება ხელშეკრულებით გარანტირებულ უფლებებსა და დაცვის ხანგრძლივობას.

### **გამონაკლისები ეროვნულ რეჟიმთან დაკავშირებით**

ბერნის კონვენციის მე-6 მუხლი ადგენს ეროვნული რეჟიმის უფლებათა ნაცვალგების რეჟიმით ჩანაცვლების შესაძლებლობას იმ ქვეყნის მოქალაქეთათვის, რომლებიც არ არის ბერნის კავშირის წევრი. კერძოდ, მუხლის 6(1) თანახმად, თუ კავშირის არაწევრი ქვეყანა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს იმ ავტორების ნაწარმოებების დაცვას, რომლებიც კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქე არიან, ამ უკანასკნელ ქვეყანას შეუძლია მიიღოს საპასუხო ზომები და შეზღუდოს შესაბამისი ქვეყნის ავტორების ნაწარმოებების დაცვა.

ამდენად, ამ მუხლს კონვენციაში შემოაქვს ნაცვალგების პრინ-

ციპი არარეზიდენტი ავტორების მიმართ. WCT-ის მე-3 მუხლთან დაკავშირებული შეთანხმებული განცხადების შესაბამისად, ტერმინი „კავშირის ქვეყანა“ აღნიშნავს ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეს. გამოთქმა „კავშირის გარეთ მყოფი ქვეყანა“ აღნიშნავს ქვეყანას, რომელიც არ წარმოადგენს ხელშეკრულების დამდებ მხარეს; მითითება „კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეზე“, როცა ისინი გამოიყენება WCT ხელშეკრულების მიმართ ამ ხელშეკრულების დამდებ სამთავრობათაშორის ორგანიზაციასთან დაკავშირებით, გულისხმობს ამ ორგანიზაციაში შემავალი ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეს. ამდენად, ბერნის კონვენციის მე-6 მუხლისა და შეთანხმებული განცხადებიდან გამომდინარე WCT ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანას შეუძლია შეზღუდოს ეროვნული რეჟიმის მოქმედება იმ ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომელიც არ არის ამ ხელშეკრულების მონაწილე და მათ მიმართ გამოიყენოს ნაცვალგების პრინციპი.

ხელოვნების ნაწარმოებების მიმართ WCT ითვალისწინებს, ასევე, გამონაკლისს ეროვნული რეჟიმიდან და დაცვა ეფუძნება ნაცვალგების პრინციპს. ცნობილია, რომ ნაწარმოებებზე დაცვის გავრცელების მოთხოვნის თვალსაზრისით, ბერნის კონვენცია გამოყოფს ორ ჯგუფს. პირველ ჯგუფს შეადგენს ის ნაწარმოებები, რომელთა დაცვის ვალდებულება კონვენციით პირდაპირ ეკისრება ბერნის კავშირის ქვეყნებს, მეორე ჯგუფში კი – ის ნაწარმოებები, რომელთა დაცვა კავშირის ქვეყნების კანონმდებლობის რეგულირების საგანია.

ბერნის კონვენციის მუხლის 2(7) მიხედვით, ეროვნული კანონმდებლობის პრეროგატივაა გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების, სამრეწველო ნიმუშებისა და მოდელებისათვის დაცვის ნორმების დადგენა. ამავე მუხლის შესაბამისად, ნაწარმოებებს, რომლებიც წარმოშობის ქვეყანაში დაცულია მხოლოდ, როგორც სამრეწველო ნიმუშები და მოდელები, კავშირის სხვა ქვეყანაში ენიჭებათ ისეთივე დაცვა, როგორსაც ეს ქვეყანა ანიჭებს ანალოგიურ ობიექტებს. მაგრამ, თუ ქვეყანაში არ ხდება სამრეწველო ნიმუშებისა და მოდელების სპეციალური დაცვა, ეს ნაწარმოებები მასში დაცული უნდა იყოს, როგორც ხელოვნების ნაწარმოებები. ამ პრინციპს WCT-ის მუხლიდან 1(4) გამომდინარე აქვს პირდაპირი მოქმედება ამ ხელშეკრულების ფარგლებშიც.

WCT ითვალისწინებს, ასევე, გამონაკლისებს ეროვნული რეჟიმიდან დაცვის ვადებთან დაკავშირებითაც, რაც გამომდინარეობს ბერნის



კონვენციის მუხლიდან 7(8), რომლის მიხედვით ვადა განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა. თუმცა, თუ ამ ქვეყნის კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ეს ვადა არ აღემატება ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში დადგენილ დაცვის ვადას.

ნაცვალგების პრინციპი, ასევე, მოქმედებს „Droit de suite“-თან მიმართებაში. კერძოდ, ბერნის კონვენციის მუხლიდან 14<sup>ter</sup> გამომდინარე, ხელოვნების ნაწარმოებებისა და ხელნაწერების ხელახალი გაყიდვით მიღებული შემოსავლის წილი შეიძლება მოთხოვნილ იქნეს WCT-ის მონაწილე ქვეყანაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნებადართულია იმ ქვეყანაში, საიდანაც არის ავტორი და იმ მოცულობით, რომელიც დაშვებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა.

გარდა ამისა, WCT-ის ფარგლებში, გამონაკლისი ეროვნულ რეჟიმთან დაკავშირებით დაიშვება იმ ნაწარმოების თარგმნის უფლების მოქმედების ვადის მიმართაც, რომლის წარმოშობის ქვეყანა, ბერნის კონვენციის 30(2)(ბ) მუხლის შესაბამისად, თარგმანის დაცვის ვადას ზღუდავს 10 წლიანი რეჟიმით.

#### **მუხლი 4. კომპიუტერული პროგრამები**

კომპიუტერული პროგრამები დაცულია როგორც ლიტერატურის ნაწარმოებები ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის გაგებით. ამგვარი დაცვა ვრცელდება კომპიუტერულ პროგრამებზე მათი გამოხატვის ხერხისა და ფორმის მიუხედავად.

#### **შეთანხმებული განცხადება მე-4 მუხლთან დაკავშირებით**

კომპიუტერული პროგრამების დაცვის ფარგლები, ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად, ნაკითხული მე-2 მუხლთან ერთად, თანხმობაშია ბერნის კონვენციის მე-2 მუხლთან ისევე, როგორც TRIPS შეთანხმების შესაბამის დებულებებთან.

#### **კომენტარი**

კომპიუტერული პროგრამების, როგორც ლიტერატურის ნაწარმოებების, დაცვის ნათლად გამოხატული დებულების საჭიროება ეროვნული კანონმდებლობების დონეზე გაჩნდა უკვე გასული საუკუნის 80-იან წლებში, ხოლო შემდგომ 1994 წელს აისახა საერთაშორისო კანონმდებლობაში TRIPS-ის მუხლის 10(1) სახით.

მიუხედავად იმისა, რომ TRIPS-მა კომპიუტერული პროგრამები ლიტერატურის ნაწარმოებებად აღიარა, WCT-ში კომპიუტერულ პროგრამების დაცვის სპეციალური დებულების ჩართვის მიზანშეწონილობა განპირობებული იყო WCT-ის როგორც TRIPS-ისგან დამოუკიდებლად მდგომი ხელშეკრულების ხასიათით. გარდა ამისა, მე-4 მუხლში მოცემული დებულება, TRIPS-ისგან განსხვავებით, უფრო ზოგადია, ფორმულირება ნაკლებად ტექნოლოგიური და მიახლოებულია ბერნის კონვენციის ენასთან.

მე-4 მუხლი არ იძლევა კომპიუტერული პროგრამის განსაზღვრებას. ეს ტერმინი, ასევე, არ არის განმარტებული TRIPS შეთანხმებაში და ევროდირექტივაში კომპიუტერული პროგრამების სამართლებრივი დაცვის შესახებ (91/250/EEC), რადგან მიჩნეულია, რომ ამ ტერმინის არსი საყოველთაოდ ცნობილი და მიღებულია, ხოლო მისმა რაიმე დეფინიციის საზღვრებში მოქცევამ, შესაძლებელია შექმნას ინტერპრეტაციის პრობლემები მომავალში საინფორმაციო ტექნოლოგიებში ახალი მიდგომების ჩამოყალიბებისას<sup>1</sup>.

მე-4 მუხლით კომპიუტერული პროგრამები დაცულია, როგორც ლიტერატურის ნაწარმოებები ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ისინი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს გამოყენებითი ხელოვნების ან რაიმე სხვა სახის ისეთ ნაწარმოებებად, რომელთა დაცვაზეც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ვრცელდება გარკვეული სახის შეზღუდვები და გამონაკლისები. განსხვავებით TRIPS-ის მუხლისა 10(1), რომელიც უთითებს ბერნის კონვენციაზე, მე-4 მუხლი უფრო პრეცედიულია და გვამისამართებს პირდაპირ ბერნის კონვენციის მე-2 მუხლზე, რომელშიც მოცემულია საავტორო უფლებებით დასაცავი ობიექტების განსაზღვრება.

TRIPS-ის მუხლის 10(1) შესაბამისად, კომპიუტერული პროგრამები დაცულია მიუხედავად იმისა სანყისი ტექსტია (პროგრამა ჩვეულებრივ იწერება სანყისი კოდის ფორმაში ანუ შედგება მაღალი დონის ენაზე დაწერილი ინსტრუქციებისაგან.) თუ ობიექტური კოდი. WCT-ზე მუშაობისას ეს დეფინიცია მიჩნეულ იქნა ზედმეტად ვიწროდ და უპირატესობა მიენიჭა ბერნის კონვენციაში გამოყენებულ ფორმულირებას – „გამოხატვის ხერხის თუ ფორმის მიუხედავად“.

<sup>1</sup> პროგრამის დეფინიცია მოცემულია ევროკომისიის მწვანე რვეულში საავტორო უფლებებისა და ტექნოლოგიური გამოგონებების შესახებ, რომლის მიხედვით კომპიუტერული პროგრამა წარმოადგენს ინსტრუქციათა ერთობლიობას, რომლის საშუალებით ინფორმაციის გადამამუშავებელი მოწყობილობა კომპიუტერი ახორციელებს ფუნქციონირებას... (Green Paper COM (88) 172 final, at 170). კომპიუტერული პროგრამის დეფინიცია, ასევე, მოცემულია აშშ-ს საავტორო უფლებების კანონში, რომელიც მას განსაზღვრავს, როგორც ოპერატორებისა და ინსტრუქციების ერთობლიობას, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიყენება კომპიუტერში გარკვეული მიზნის მისაღწევად (101 of US Copyright Act).

---

ასეთი ზოგადი ხასიათის ფორმულირება გზას უხსნის მე-4 მუხლის გამოყენებას მომავალშიც, ახალი ტექნოლოგიური მიღწევების პირობებში.

შეთანხმებული განცხადების შესაბამისად, კომპიუტერული პროგრამების დაცვის ფარგლები ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად, ნაკითხული მე-2 მუხლთან ერთად, თანხმობაშია ბერნის კონვენციის მე-2 მუხლთან ისევე, როგორც TRIPS შეთანხმების შესაბამის დებულებებთან. ამდენად, მიუხედავად იმისა თუ რა თეორიული მოსაზრებები შეიძლება იყოს წამოწეული მომავალში კომპიუტერული პროგრამების ლიტერატურის ნაწარმოებებად არ მიჩნევის თაობაზე, დღეისათვის WCT ხელშეკრულებამ და TRIPS-მა ცალსახად მოაქციეს კომპიუტერული პროგრამები საავტორო უფლებებით დაცვის სფეროში, რითაც დაადასტურეს, რომ დღეისათვის მათ დასაცავად არ არსებობს უპირატესობის მქონე რაიმე სხვა სამართლებრივი საშუალება.

#### **მუხლი 5. მონაცემთა კომპილაცია (მონაცემთა ბაზები)**

მონაცემთა ან სხვა მასალების ნებისმიერი ფორმით წარმოდგენილი კომპილაციები, რომლებიც შემცველობის შერჩევისა და განლაგებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ინტელექტუალურ ქმნილებებს, დასულია. ამგვარი დაცვა არ ვრცელდება თვით მონაცემებსა და მასალებზე და არ აყენებს ზიანს კომპილაციით მოცულ მონაცემებსა და მასალებთან დაკავშირებულ საავტორო უფლებებს.

#### **შეთანხმებული განცხადება მე-5 მუხლთან დაკავშირებით**

მონაცემთა კომპილაციის (მონაცემთა ბაზები) დაცვის ფარგლები ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად, ნაკითხული მე-2 მუხლთან ერთად, თანხმობაშია ბერნის კონვენციის მე-2 მუხლთან ისევე, როგორც TRIPS შეთანხმების შესაბამის დებულებებთან.

#### **კომენტარი**

WCT-ის მე-5 მუხლი ფორმულირებულია TRIPS შეთანხმების მუხლის 10(2) მსგავსად, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება ბერნის კონვენციის მუხლს 2(5). აღნიშნულზე ცხადად მიგვანიშნებს შეთანხმებული განცხადებაც.

მე-5 მუხლი TRIPS შეთანხმების მუხლი 10(2) მსგავსად იცავს მონაცემთა კომპილაციებს მაშინ, როცა ბერნის კონვენციის მუხლი 2(5) მიხედვით, დასაცავ ობიექტს წარმოადგენს ნაწარმოებები

კრებულები. უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვის „კრებული“ ჩანაცვლება სიტყვით „კომპილაცია“ არსობრივად არ ცვლის არაფერს. ეს სიტყვები მიიჩნევა სინონიმებად და ნიშნავს რაიმეს შეკრებას და ერთად მოთავსებას. ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით ციფრულ ტექნოლოგიებთან მიმართებაში, უპირატესობას ანიჭებენ სიტყვას „კომპილაცია“.

ვინაიდან, ციფრულ სივრცეში, როგორც წესი, ადგილი აქვს მონაცემებისა და სხვა მასალების დიდი მასივების კომპილაციების შექმნას, რაც დავაპირებულია მნიშვნელოვან ინტელექტუალურ და მატერიალურ ინვესტიციებთან, გასული საუკუნის ბოლოს დღის წესრიგში დადგა ამ ობიექტის, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო დონეზე დაცვის საკითხი. პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელმაც ცხადად გაითვალისწინა ციფრული სახით წარმოდგენილი კომპილაციების დაცვა იყო TRIPS შეთანხმება. ამ შეთანხმების მუხლის 10(2) თანახმად, „მონაცემების ან სხვა მასალების კომპილაცია, მანქანით ნაკითხვადი ფორმით იქნება ეს, თუ სხვა ფორმით, რომელიც თავისი შემცველობის შერჩევითა ან განლაგებით არის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი, დაცულია როგორც ასეთი“. როგორც აღვნიშნეთ, WCT-ის მე-5 მუხლი პრაქტიკულად იმეორებს TRIPS შეთანხმების მუხლს 10(2), მაგრამ გამოთქმა „მანქანით ნაკითხვადი ფორმით იქნება ის, თუ სხვა ფორმით“ შეცვლილია სიტყვებით „ნებისმიერი ფორმით“, რაც მას სძენს უფრო ზოგად ხასიათსა და ინვარიანტულობას.

მე-5 მუხლში გამოყენებული ტერმინები „მონაცემები“ და „სხვა მასალები“ თავისი შინაარსით ძალზე ფართოა და მოიცავს ნებისმიერი სახის მასალას ნაწარმოებების ჩათვლით. ამდენად, WCT-ით დაცული კომპილაციები შეიძლება შეიცავდეს როგორც მონაცემებს, ისე საავტორო უფლებებით დაცულ ნაწარმოებებს ან ორივეს ერთად. ეს დაცვა ვრცელდება როგორც ნაბეჭდი სახით წარმოდგენილ კრებულებზე (მაგ., ენციკლოპედია), ისე კომპიუტერში ან სხვა მატარებლებზე ჩანერილ ბაზებზე.

კომპილაციის დაცვის აუცილებელი პირობაა, რომ ის შემცველობის შერჩევით ან განლაგებით იყოს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომპილაცია არ დაიცვება. TRIPS-ის მსგავსად, WCT შეთანხმების აღნიშნული მოთხოვნა პრაქტიკულად იდენტურია ბერნის კონვენციის მოთხოვნისა, რომლის მუხლის 2(5) თანახმად „საავტორო უფლებებით

---

დაცვის ობიექტებს მიეკუთვნება ლიტერატურისა ან ხელოვნების ნაწარმოებთა კრებულები, რომლებიც მასალების შერჩევითა და განლაგებით ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს“. როგორც ვხედავთ, არსებულ მსგავსებასთან ერთად, ამ მუხლებს შორის არსებითი განსხვავებაა. თუ WCT-ის და TRIPS-ის მიხედვით დაცვას ექვემდებარება მონაცემები და სხვა სახის მასალები (მათ შორის, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები), ბერნის კონვენცია, მუხლის 2(5) რედაქციის პირდაპირი გაგებით, დაცვას ავრცელებს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებისაგან შედგენილ კრებულებზე.

ბერნის კონვენციის მუხლიდან 2(5) გამომდინარე, შეიძლება გვევარაუდა, რომ ამ კონვენციით დაცვას ექვემდებარება მხოლოდ ისეთი კრებულები, რომლებიც შედგებიან ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებისაგან. მაგრამ, ისმო-ს ბიუროს მემორანდუმში „Implications of the TRIPS Agreement on Treaties Administered by WIPO“ (TRIPS შეთანხმების მნიშვნელობა ისმო-ს მიერ ადმინისტრირებადი ხელშეკრულებებისთვის) მოცემული განმარტების თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ ბერნის კონვენცია დაცვას ავრცელებს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა ნაწარმოებზე (მუხლი 2(1)), ნებისმიერი მასალების შემცველი კრებული, თუ იგი შედგენილია ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის საფუძველზე, ამ კონვენციით ექვემდებარება დაცვას.

WCT-ის მე-5 მუხლით, ისევე, როგორც TRIPS შეთანხმების მე-10(2) მუხლით მინიჭებული დაცვა არ ვრცელდება უშუალოდ კომპილაციაში შესულ მონაცემებსა და მასალებზე და კომპილირებისას არ უნდა დაირღვეს მათზე არსებული საავტორო უფლებები. ამ მუხლთან დაკავშირებული შეთანხმებული განცხადება ითხოვს, რომ მონაცემთა კომპილაციის (მონაცემთა ბაზები) დაცვის ფარგლები, ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად, ნაკითხული მე-2 მუხლთან ერთად, თანხმობაში იყოს ბერნის კონვენციის მე-2 მუხლთან ისევე, როგორც TRIPS შეთანხმების შესაბამის დებულებებთან. ეს შეთანხმებული განცხადება იმ კომპრომისული პოზიციის დემონსტრირებაა, რომ კომპილაციის დაცვა არ სცდება ორი წლით ადრე მიღებული TRIPS შეთანხმებით დადგენილ ფარგლებს, რაც განვითარებადი ქვეყნების წუხილის საგანს შეადგენდა.

## **მუხლი 6. გავრცელების უფლება**

(1) ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება ნება დართონ, რომ მათი ნაწარმოების ორიგინალი და ასლები გახდეს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გაყიდვის ან საკუთრებაში გადაცემის სხვა გზით.

(2) ამ ხელშეკრულების არც ერთი დებულება არ ზღუდავს დამდები მხარის თავისუფლებას განსაზღვროს პირობები, ასეთის არსებობისას, რომლითაც (1) პუნქტში ნახსენები უფლების ამონაწერვა ხდება ავტორის ნებართვით ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის პირველი გაყიდვის ან საკუთრებაში გადაცემის სხვა გზით.

### **მე-6 და მე-7 მუხლებთან დაკავშირებული შეთანხმებული განცხადება**

ამ მუხლებში ტერმინები „ასლები“ და „ორიგინალი და ასლები“, რომლებიც ამ მუხლების შესაბამისად აღნიშნავს გავრცელებისა და გაქირავების საგანს, მიუთითებს მხოლოდ ფიქსირებული სახით არსებულ ასლებზე, რომლებიც შეიძლება ჩართულ იქნეს სამოქალაქო ბრუნვაში მატერიალური ობიექტების სახით.

### **კომენტარი**

WCT ხელშეკრულების მუხლი 6(1) შეიცავს ავტორის გავრცელების უფლების განსაზღვრებას, რომლის შესაბამისად, გავრცელება არის აქტი, როცა ავტორს შეუძლია ნაწარმოების ორიგინალი და ასლები გახადოს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი.

ზოგადი ხასიათის ტერმინის „გავრცელება“ განმარტება ტერმინით „გახდეს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი“, მიზნად ისახავს იმ ფაქტის მკაფიოდ დაფიქსირებას, რომ ნაწარმოების ორიგინალისა და ასლის გაყიდვა ან მათზე უფლებების სხვა გზით გადაცემა ექვემდებარება ავტორის კონტროლს. ამავდროულად, აღნიშნული რედაქცია ისმო-ს ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს უტოვებს საკმაო თავისუფლებას, რათა გავრცელების უფლებასთან დაკავშირებული ნორმები ჩამოაყალიბონ.

მე-6(1) მუხლში გამოთქმა „გაყიდვა ან სხვა სახით გადაცემა“ მიუთითებს, რომ ამ მუხლით განსაზღვრული „გავრცელების უფლება“ შეეხება არა დროებით, არამედ მუდმივი ხასიათის ქმედებებს.

მუხლი 6(2) ეხება ავტორის უფლებების ამონაწერის საკითხს.

ამ მუხლის თანახმად, WCT ხელშეკრულება მხარეების ეროვნულ კანონმდებლობებს არ ზღუდავს უფლებების ამონურვის შესაძლებლობების რეგულირებაში, მაგრამ უფლებების ამონურვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ „ავტორის ნებართვით პირველი გაყიდვის ან ნაწარმოების ორიგინალის ან ასლებზე საკუთრების უფლების სხვა გზით გადაცემისას“. ამდენად, ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები, ზემოთ მოყვანილი მოთხოვნის გამოკლებით, აბსოლუტურად თავისუფალნი არიან უფლებების ამონურვის რეჟიმის დადგენაში. სახელდობრ, დამდები მხარის პრეროგატივაა იმის განსაზღვრა, შემოიფარგლოს თუ არა ამონურვა მხოლოდ ეროვნული ტერიტორიით, რეგიონით (მაგ., ევროკავშირი), ან ამონურვა მოხდეს ნაწარმოების ასლის მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში გაყიდვის შემთხვევაში. ამ თვალსაზრისით ქვეყნების თავისუფლება არ შეიძლება შეიზღუდოს არც WCT ხელშეკრულების მე-10 მუხლით დადგენილი სამსაფეხურიანი ტესტის მოთხოვნებით, მაგალითად, იმის მტკიცების საფუძველზე, რომ უფლებების ამონურვა ლახავს ავტორის ქონებრივ ინტერესებს.

მუხლში 6(1) გამოყენებული ტერმინი „ორიგინალი ან ასლები“, ჩვეულებრივ, წარმოადგენს გავრცელების უფლებასთან დაკავშირებით ეროვნულ კანონმდებლობებში გამოყენებულ ტერმინებს. შეთანხმებული განცხადების მიხედვით, გავრცელების უფლება ეხება მხოლოდ მატერიალურ ობიექტებს, ანუ ნაწარმოები, რომელიც ვრცელდება, უნდა იყოს დაფიქსირებული ხელშესახები ანუ ფიზიკური ფორმით, მაგალითად, ნაბეჭდი სახით, კომპაქტდისკზე, მაგნიტურ ფირზე და ა.შ.

## **მუხლი 7. გაქირავების უფლება**

### **(1) ავტორები**

- (i) კომპიუტერული პროგრამების;
- (ii) კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისა და,
- (iii) ფონოგრამებში განსახიერებული ნაწარმოებების, როგორც ეს განსაზღვრულია ხელშეკრულების დამდებ მხარეთა ეროვნული კანონმდებლობით,

სარგებლობენ თავისი ნაწარმოებების ორიგინალების და ასლების საზოგადოებისთვის კომერციული გაქირავების ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლებით.

### **(2) პუნქტი (1) არ ვრცელდება:**

(i) კომპიუტერულ პროგრამებზე, თუ თვით ეს პროგრამა არ არის გაქირავების ძირითადი ობიექტი;

და

(ii) კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებზე, თუ ასეთი კომერციული გაქირავება არ იწვევს ამ ნაწარმოებთა ფართო კოპირებას, რაც სერიოზულ მატერიალურ ზიანს აყენებს რეპროდუქციების განსაკუთრებულ უფლებას.

(1) პუნქტის (1) დებულებების მიუხედავად, ხელშეკრულების დამდებ მხარეს, სადაც 1994 წლის 15 აპრილისთვის მოქმედებდა და დღესაც მოქმედებს ფონოგრამებში განსახიერებული ნაწარმოებების ასლების გაქირავებისას ავტორთათვის სამართლიანი ჰონორარის გაცემის სისტემა, შეუძლია შეინარჩუნოს ეს სისტემა იმ პირობით, თუ ფონოგრამებში განსახიერებული ნაწარმოებების კომერციული გაქირავება არ აყენებს მატერიალურ ზიანს ავტორთა განსაკუთრებულ უფლებას რეპროდუქციებაზე.

### **შეთანხმებული განცხადება მე-6 და მე-7 მუხლებთან დაკავშირებით**

ამ მუხლებში ტერმინები „ასლები“ და „ორიგინალი და ასლები“, რომლებიც ამ მუხლების შესაბამისად აღნიშნავს გავრცელებისა და გაქირავების საგანს, მიუთითებს მხოლოდ ფიქსირებული სახით არსებულ ასლებზე, რომლებიც შეიძლება ჩართულ იქნეს სამოქალაქო ბრუნვაში მატერიალური ობიექტების სახით.

### **შეთანხმებული განცხადება მე-7 მუხლთან დაკავშირებით**

გაგებულია, რომ მუხლით 7(1) განსაზღვრული ვალდებულება მონაწილე მხარისგან არ მოითხოვს კომერციული მიზნით გაქირავების განსაკუთრებული უფლების მიცემას ავტორთათვის, რომელთაც, მონაწილე მხარის კანონმდებლობით, არ აქვთ მინიჭებული უფლებები ფონოგრამებთან მიმართებაში. გაგებულია, რომ ეს ვალდებულება თანხმობაშია TRIPS-ის მუხლთან 14(4).

### **კომენტარი**

გაქირავების უფლება არ ფიგურირებს ბერნისა და რომის კონვენციებში. მრავალმხრივ საერთაშორისო შეთანხმებაში გაქირავების განსაკუთრებული უფლებები პირველად შემოტანილ იქნა TRIPS შეთანხმების მუხლებში 11 და 14(4), როგორც ბერნი-პლუს ელემენტი



---

ავტორთათვის. TRIPS შეთანხმების მე-11 მუხლის შესაბამისად, „წვერი ქვეყანა, სულ მცირე, კომპიუტერულ პროგრამებსა და კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით ავტორებს ან მათ უფლებამონაცვლებს უზრუნველყოფს უფლებით ნება დართონ ან აკრძალონ საავტორო უფლებით დაცული თავისი ნაწარმოებების ორიგინალების ან ასლების საზოგადოებისათვის კომერციული გაქირავება“.

WCT ხელშეკრულების მუხლი 7(1), მცირე განსხვავებით, პრაქტიკულად იმეორებს TRIPS-ის მიდგომას ავტორთა გაქირავების უფლებებთან დაკავშირებით. ეს მუხლი, TRIPS-ის მე-11 მუხლის მსგავსად, კომპიუტერული პროგრამებისა და კინემატოგრაფიული ნაწარმოებების ავტორებს ცალსახად ანიჭებს გაქირავების განსაკუთრებულ უფლებას. გარდა ამისა, TRIPS-ის მუხლისგან 14(4) განსხვავებით, ამ მუხლში ერთმნიშვნელოვნადაა გაცხადებული, ასევე, ავტორთა განსაკუთრებული უფლება ფონოგრამების გაქირავებაზე.

TRIPS შეთანხმების მუხლის 14(4) თანახმად, კომპიუტერულ პროგრამებზე გაქირავების უფლება „ვრცელდება *mutatis mutandis* (შესაბამისი ცვლილებებით) ფონოგრამის დამამზადებლებზე და ფონოგრამაზე უფლების ნებისმიერ სხვა მფლობელზე წვერი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად“, თუმცა, ეს მუხლი პირდაპირ არ უთითებს ავტორებზე, როგორც ფონოგრამის გაქირავების განსაკუთრებული უფლებების მფლობელებზე. ხოლო „ნებისმიერ სხვა მფლობელებს“ შორის უნდა ვიგულისხმოთ ავტორიც, თუ მისი ნაწარმოები განსახიერებელია ფონოგრამაში.

ამდენად, TRIPS-ის მუხლის 14(4) თანახმად, ავტორს გააჩნია ფონოგრამის გაქირავების უფლება იმდენად, რამდენადაც ის მიიჩნევა ფონოგრამაზე უფლებების მფლობელად, განსხვავებით WCT ხელშეკრულების მე-7(1) მუხლისგან, რომელიც, როგორც აღინიშნა, პირდაპირ მიუთითებს ავტორის გაქირავების უფლებაზე. თითქოს ეს გარემოება არსებითად არ ცვლის ვითარებას, მაგრამ მუხლს 7(1) ანიჭებს მეტ სამართლებრივ ტრანსპარენტულობას და მიიჩნევა TRIPS-პლუს ელემენტად.

TRIPS-ის მუხლების 11 და 14(4) მსგავსად, WCT-ის მუხლი 7(1) ავტორებს განსაკუთრებულ უფლებას ანიჭებს მხოლოდ კომერციული მიზნით გაქირავებულ ორიგინალებსა და ასლებზე. ამდენად, გაქირავების უფლებასთან დაკავშირებულ გამყოფ ზღვარს

წარმოადგენს მისი კომერციული თუ არაკომერციული ხასიათი. კომერციული ხასიათი გულისხმობს გამქირავებლის მოგებაზე ორიენტირებულ ბიზნეს საქმიანობას. თუ, მაგალითად, ასლები გაიცემა იმ საზღაურის ფასად, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ პირის ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარად, ასეთ ქმედებაზე არ გავრცელდება გაქირავების განსაკუთრებული უფლება. სხვა შემთხვევების მსგავსად, ისმო-ს შეთანხმების ეს მუხლი არ ზღუდავს მონაწილე მხარეებს ეროვნული კანონმდებლობით გაქირავების უფლების უფრო მაღალი სტანდარტების დანესებაში.

კომპიუტერული პროგრამებისა და კინემატოგრაფიული ნაწარმოებების გაქირავების განსაკუთრებულ უფლებებთან დაკავშირებით, WCT ხელშეკრულების მე-7(2) მუხლი აწესებს გამონაკლისებს, რომელიც მთლიანად ეხმიანება TRIPS-ის მე-11 მუხლით ამ ნაწარმოებებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს.

მუხლის 7(2) მიხედვით, გაქირავების უფლება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როცა თვით ეს პროგრამა არ წარმოადგენს გაქირავების ძირითად ობიექტს. მაგალითად, დღეს კომპიუტერული პროგრამები ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა მანქანებსა და მოწყობილობებში (ავტომობილები, საქსოვი დაზგები, პოლიგრაფიული დანადგარები და სხვ.), რომლებიც გაქირავების ობიექტებია. ამ შემთხვევებში, პროგრამებს ვერ მივიჩნევთ გაქირავების ძირითად ობიექტად და, შესაბამისად, მათზე ვერ გავავრცელებთ გაქირავების უფლებას. განსხვავებულია კომპიუტერების გაქირავების შემთხვევა, რადგან პროგრამული უზრუნველყოფა გადამწყვეტი ელემენტია კომპიუტერის ფუნქციონირებისთვის და კომპიუტერის დაქირავების შემთხვევაში, მომხმარებელი, უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებულია სწორედ მასში ჩატვირთული პროგრამებით.

რაც შეეხება კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებს, WCT მიმართავს ე.წ. ზიანის მიყენების ტესტს (impairment test) და ადგენს, რომ გაქირავების უფლება არ ვრცელდება „თუ ასეთი კომერციული გაქირავება არ იწვევს ამ ნაწარმოებთა ფართო კოპირებას, რაც სერიოზულ მატერიალურ ზიანს აყენებს რეპროდუცირების განსაკუთრებულ უფლებას“. აქ უნდა ითქვას, რომ თუ კინემატოგრაფიული ნაწარმოებების გაქირავების უფლება არ იყო აქტუალური კოპირების ანალოგური სისტემების არსებობის პირობებში (VCR-ვიდეო ჩამწერები), სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლასთან დაკავშირებით, როცა

---

კოპირება გახდა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, მაღალხარისხიანი და მარტივი, ხოლო ბაზარზე გაჩნდა უამრავი DVD დისკი, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა ავტორთა რეპროდუქციების უფლებას.

ფონოგრამაზე ჩანერილი ნაწარმოებების ავტორთა გაქირავების უფლებას ეხება WCT მუხლი 7(3). ის პრაქტიკულად იმეორებს TRIPS-ის მუხლის 14(4) რედაქციას და ადგენს, რომ მიუხედავად WCT ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ავტორთა გაქირავების უფლებისა, ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანას, სადაც 1994 წლის 15 აპრილისათვის მოქმედებდა და დღესაც მოქმედებს ფონოგრამების სახით განხორციელებული ნაწარმოებების ასლებისა და გაქირავებისთვის ავტორთათვის სამართლიანი ჰონორარის გადახდის სისტემა, აქვს უფლება კვლავაც გამოიყენოს ეს სისტემა, თუ გაქირავება არ მიაყენებს მნიშვნელოვან ზიანს ავტორთა რეპროდუქციების უფლებას. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, ზიანის მიყენების ტესტის გავლა მოუწევს ავტორთა უფლებას სამართლიანი ჰონორარის მიღებასთან დაკავშირებით.

შეთანხმებული განცხადება მე-6 და მე-7 მუხლებთან მიმართებაში განმარტავს, რომ გაქირავების უფლება ვრცელდება მხოლოდ მატერიალური ფორმით არსებულ ჩანაწერებზე. მე-7 მუხლთან დაკავშირებული შეთანხმებული განცხადების მიხედვით, მუხლით 7(1) განსაზღვრული ვალდებულება მონაწილე მხარისგან არ მოითხოვს ავტორისათვის კომერციული მიზნით ფონოგრამის გაქირავების განსაკუთრებული უფლების მინიჭებას, თუკი მონაწილე მხარის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ავტორთათვის განსაკუთრებული უფლებების არსებობას ფონოგრამებთან მიმართებაში.

## **მუხლი 8. საჯარო გადაცემის უფლება**

ბერნის კონვენციის მუხლების: 11(1)(ii), 11<sup>bis</sup>(1)(i) და (ii), 11<sup>ter</sup>(1)(ii), 14(1)(ii) და 14<sup>bis</sup>(1) დებულებებისათვის ზიანის მიუყენებლად ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორები სარგებლობენ თავისი ნაწარმოებების სადენებითა და კავშირგაბმულობის უსადენო საშუალებებით საჯარო გადაცემაზე ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლებით, მათ შორის ისე, რომ საზოგადოების წარმომადგენლებისთვის ასეთი ნაწარმოებები ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერ დროს მათი პირადი არჩევანის მიხედვით.

## შეთანხმებული განცხადება მე-8 მუხლთან დაკავშირებით

გაგებულია, რომ მხოლოდ ფიზიკური საშუალებების მიწოდება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ან რომლითაც ხორციელდება საჯარო გადაცემა, ამ ხელშეკრულებისა და ბერნის კონვენციის გაგებით, არ მიიჩნევა საჯარო გადაცემად. ასევე, გაგებულია, რომ მე-8 მუხლში არაფერი უშლის მონაწილე მხარეს მუხლის 11<sup>bis</sup>(2) გამოყენებას.

## კომენტარი

საჯარო გადაცემის უფლება ავტორის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. მე-20 საუკუნის განმავლობაში, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ, ეს უფლება განიცდიდა პერმანენტულ ცვლილებებს, რაც აისახა ეროვნულ და საერთაშორისო აქტებში. ბერნის კონვენციაში ავტორთა ეს უფლება არ არის კონსოლიდირებული და გაბნეულია სხვადასხვა მუხლში. სწორედ ამიტომ, WCT ხელშეკრულების ერთ-ერთი მიზანი იყო ამ უფლებების სისტემატიზება, ერთიან ნორმაში მოქცევა და, აგრეთვე, on-line სისტემების გამოყენებით ციფრული ტრანსმისიის უფლებებით გაფართოება.

WCT ხელშეკრულება არ იძლევა ტერმინის „საჯარო გადაცემა“ დეფინიციას, თუმცა მე-8 მუხლი ადგენს, რომ ის ეხება მხოლოდ სადენებითა და კავშირგაბმულობის უსადენო საშუალებებით საჯარო გადაცემას. მითითება ბერნის კონვენციის მუხლებზე: 11(1)(ii), 11<sup>bis</sup>(1)(i) და (ii), 11<sup>ter</sup>(1)(ii), 14(1)(ii) და 14<sup>bis</sup>(1), რომლებიც შეეხება ავტორთა სხვადასხვა კატეგორიის ნაწარმოებთა მხოლოდ ეთერით ან სადენით (კაბელით) საზოგადოებისთვის გადაცემის უფლებებს, მიგვანიშნებს, რომ საჯარო გადაცემაში არანაირად არ მოიაზრება ნაწარმოებების საჯარო შესრულებები (public performances), რომლებიც რეგულირდება ბერნის კონვენციის მუხლით 11(1)(i).

რაც შეეხება WCT-ის მონაწილე მხარეთა ვალდებულებებს, საჯარო შესრულებებთან მიმართებაში ისინი განსაზღვრულია ხელშეკრულების მუხლით 1(4), რომელიც ითხოვს მონაწილე მხარეებისაგან ბერნის კონვენციის მუხლების 1-21 და დამატებითი თავის დებულებების, მათ შორის, ბერნის კონვენციის მუხლით 11 (1)(i) გათვალისწინებული პირობების შესრულებას. აქ უნდა საგანგებოდ აღინიშნოს, რომ თუ ნაწარმოები ხელმისაწვდომი ხდება აუდიტორიისათვის ხმამაღლა მოლაპარაკის ან დიდი ეკრანის საშუალებით, მაშინ ეს ქმედება, ასევე,

---

არ ექცევა მე-8 მუხლის მოქმედების ქვეშ საჯარო გადაცემის შესახებ, რადგან ნაწარმოების ასეთი საშუალებებით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა განიხილება არა საჯარო გადაცემად, არამედ საჯარო შესრულებად.

უმნიშვნელოვანესია, რომ მე-(8) მუხლის ნორმის დაწესებით, პირველად საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში, ავტორებს მიენიჭათ განსაკუთრებული უფლება on-line სისტემების გამოყენებით ნაწარმოებების საჯარო ხელმისაწვდომობაზე. ამდენად, მე-8 მუხლის შესაბამისად, ნაწარმოებების ტრადიციული საშუალებებით (ეთერით მაუწყებლობა, საკაბელო საშუალებები და სხვ.) გადაცემის უფლების გარდა, ავტორებს, ასევე, გააჩნიათ უფლება მათი ნაწარმოებების ისეთ საჯარო გადაცემებზე, რომელთა წვდომა შესაძლებელია ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერ დროს დაინტერესებული პირის არჩევანის მიხედვით, ე.წ. ინტერაქტიულ რეჟიმში.

ამჟამად, ასეთი ტიპის გადაცემები, ძირითადად, ხორციელდება ინტერნეტის მეშვეობით, მაგრამ ავტორის ეს უფლებები მოქმედებს ნებისმიერი on-line სისტემის გამოყენების პირობებში, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როცა ნაწარმოები ხელმისაწვდომია საზოგადოების შეზღუდული ნაწილისათვის. ასეთი სისტემის მაგალითს წარმოადგენს ორგანიზაციის შიდა ქსელი – ინტრანეტი, რომლითაც სარგებლობენ ამ ორგანიზაციის თანამშრომლები. ავტორის განსაკუთრებული უფლებები არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი სერვერთან შეერთებული მხოლოდ ერთი კომპიუტერული ტერმინალი, რადგან, ამ შემთხვევაში, გადაცემას არ გააჩნია საჯარო ხასიათი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უფლებები ციფრულ გადაცემებზე არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ტექნიკურ საშუალებებთან, რომლითაც ხორციელდება გადაცემები და არის მათ მიმართ ნეიტრალური. მე-8 მუხლის თანახმად, ასეთი გადაცემა შეიძლება მოხდეს „სადენით ან უსადენო საშუალებებით“.

ავტორის უფლება ციფრულ გადაცემებზე ვრცელდება როგორც უშუალოდ გადაცემის განხორციელების აქტზე, ისე ნაწარმოების წვდომის პოტენციურ შესაძლებლობაზე. მაგალითად, სერვერის განთავსების ფაქტი, რომელიც იძლევა საშუალებას ნაწარმოები ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოების წარმომადგენლისთვის, ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერ დროს, ექცევა მე-8 მუხლის მოქმედების ქვეშ. თუ ნაწარმოები ფაქტობრივად გადაიცემა, მაშინ ეს

უფლება უკვე ვრცელდება უშუალოდ გადაცემის აქტზე სერვერიდან მომხმარებლის კომპიუტერულ ტერმინალამდე. მაგრამ, თუ ქმედება შემოიფარგლება მხოლოდ საჯარო გადაცემისთვის განკუთვნილი ფიზიკური მოწყობილობების მინოდებით, ის არ არის ამ მუხლით დადგენილი დაცვის საგანი.

თუმცა, ავტორის უფლება საჯარო გადაცემაზე, ანუ უფლება გახადოს ნაწარმოები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი სადენებითა და კავშირგაბმულობის უსადენო საშუალებებით, ეხება მოშორებულ მანძილზე გადაცემებს. ის არ გულისხმობს რაიმე მინიმალური მანძილის არსებობის აუცილებლობას ნაწარმოების შესრულების, გადაცემისა და მიღების ადგილებს შორის. მაგალითად, სერვერი, რომლის მეხსიერებაში განთავსებულია მუსიკის ჩანაწერი და კომპიუტერული ქსელის ტერმინალები, საიდანაც ეს ნაწარმოები ხელმისაწვდომია მომხმარებლებისთვის, შესაძლებელია განლაგებულ იქნეს ერთ შენობაში.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ შეთანხმებული განცხადება იმის თაობაზე, რომ მხოლოდ ფიზიკური მოწყობილობების მინოდება, რომელიც საშუალებას იძლევა ან რომლითაც ხორციელდება საჯარო გადაცემა არ წარმოადგენს საჯარო გადაცემას, ამ ხელშეკრულებისა და ბერნის კონვენციის გაგებით, არ ათავისუფლებს ინტერნეტის პროვაიდერებს ან ციფრული ქსელების მართვაში ჩართულ სხვა პირებს ნაწარმოებების ციფრული ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევის პასუხისმგებლობისაგან.

შეთანხმებული განცხადების მეორე წინადადება ადასტურებს ბერნის კონვენციის 11<sup>bis</sup>(2) მუხლით დაშვებული შემღვდვების გამოყენების შესაძლებლობას 11<sup>bis</sup>(1) მუხლით დადგენილ უფლებებთან დაკავშირებით. კერძოდ, 11<sup>bis</sup>(2)-ის შესაბამისად, WCT ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან დაუშვან ნაწარმოების ეთერით ან საჯარო გადაცემის სხვა საშუალებით გამოყენება ავტორისაგან წინასწარი თანხმობის მიღების გარეშე, მისთვის სამართლიანი ანაზღაურების მიცემით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს შემღვდვები გამოყენებადია სხვა უფლებების, მათ შორის, ციფრულ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, რომელიც არ არის მოცული მუხლით 11<sup>bis</sup>(1).

**მუხლი 9. ფოტოგრაფიული ნაწარმოებების დაცვის ხანგრძლივობა**

ფოტოგრაფიული ნაწარმოებების მიმართ ხელშეკრულების დამდები მხარეები არ ითვალისწინებენ ბერნის კონვენციის მუხლის 7(4) დებულებებს.

## კომენტარი

ბერნის კონვენციის მუხლის 7(4) შესაბამისად, ფოტოგრაფიული ნაწარმოების დაცვის ვადა უნდა იყოს არანაკლებ 25 წლისა ნაწარმოების შექმნის მომენტიდან მაშინ, როცა ამავე კონვენციის მუხლის 7(1) თანახმად, სხვა სახის ნაწარმოებებისთვის ეს ვადა შეადგენს არანაკლებ 50 წელს ავტორის გარდაცვალებიდან. პირველად საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში, WCT ხელშეკრულებამ ფოტოგრაფიული ნაწარმოებების დაცვის ვადა მოაქცია ბერნის კონვენციით სხვა ნაწარმოებებისთვის დადგენილი დაცვის ვადის რეჟიმში – 50 წელი ავტორის გარდაცვალებიდან. მიუხედავად მცდელობებისა ამ სახის ასიმილირება ვერ მოხერხდა ბერნის კონვენციის აქტების (ბრიუსელის აქტი (1948წ.) და პარიზის აქტი (1971წ.)) მიღებისას, რაც განპირობებული იყო ბერნის კავშირის წევრი ქვეყნების პოზიციით, რომ ფოტოგრაფიული ნაწარმოებები თავისი ღირებულებით არ იმსახურებენ დაცვის იმავე ხანგრძლივობას, რასაც სხვა ნაწარმოებები.

მე-9 მუხლის ინტეგრირებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მუხლისაგან 7(4) განსხვავებით, ფოტოგრაფიული ნაწარმოებების მიმართ მოქმედებას აგრძელებს ბერნის კონვენციის მუხლები: 7(3), 7(5)-(8) და 7<sup>bis</sup>. მუხლის 7(3) შესაბამისად, ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოების შემთხვევაში, დაცვის ვადა იწურება ორმოცდაათი წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ნაწარმოები გახდა ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის. თუკი ავტორის ვინაობა არ იწვევს ეჭვს, ნაწარმოებზე ვრცელდება დაცვის ჩვეულებრივი რეჟიმი – 50 წელი ავტორის გარდაცვალებიდან. ამავე მუხლიდან გამომდინარე, WCT-ის მონაწილე მხარეებს არ მოეთხოვებათ დაიცვან ანონიმურად ან ფსევდონიმით შესრულებული ნაწარმოები თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მათი ავტორის გარდაცვალებიდან გასულია 50 წელი. ბერნის კონვენციის მუხლის 7(5) შესაბამისად, ყველა ეს ვადა აითვლება ფოტოგრაფის გარდაცვალების ან მუხლში 7(3) მითითებული მოვლენის თარიღიდან. ასეთი ვადების ათვლის თარიღად მიიჩნევა ფოტოგრაფის გარდაცვალების ან მუხლში 7(3) მითითებული მოვლენის შემდგომი წლის 1 იანვარი.

მუხლის 7(6) თანახმად, WCT-ის მონაწილე მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ დადგენილ მინიმალურ ვადებზე ხანგრძლივი ვადები. მუხლიდან 7(7) გამომდინარე, მონაწილე მხარეებს, რომლებსაც გააჩნიათ ვალდებულებები ბერნის კონვენციის რომის აქტით (1928

ნ.) და რომლებიც სტოკჰოლმის აქტის (1967 წ.) ხელმოწერის მომენტისათვის ანიჭებდნენ უფრო ხანმოკლე ვადებს ვიდრე ამ აქტითაა დადგენილი და ისარგებლეს ამ მუხლით დადგენილი შესაძლებლობით შეენარჩუნებინათ ეს ვადები, შეუძლიათ გამოიყენონ ისინი WCT-ის ფარგლებშიც. მუხლი 7(8) მონაწილე მხარეებს აძლევს შესაძლებლობას ისარგებლონ ნაცვალგების პრინციპით იმ ქვეყნების მიმართ, სადაც დაცვის ვადა უფრო ხანმოკლეა, ანუ არ მიაწიჭონ ასეთ ნაწარმოებს იმაზე მეტი დაცვის ხანგრძლივობა, რაც დადგენილია წარმოშობის ქვეყანაში. მაგალითად, იმ ქვეყნებში, სადაც დაცვის ვადა შეადგენს 70 წელს ავტორის გარდაცვალებიდან ყველა სახის ნაწარმოებისათვის, ფოტოგრაფიული ნაწარმოებისათვის შემოიფარგლება 50 წლით, თუკი ეს დადგენილია წარმოშობის ქვეყანაში. ბერნის კონვენციის მე-7<sup>bis</sup> მუხლის შესაბამისად, ზემოაღნიშნული დაცვის ვადის რეჟიმი ვრცელდება თანავტორობით შექმნილ ფოტოგრაფიულ ნაწარმოებებზეც.

### **მუხლი 10. შებენი და გამონაკლისები**

(1) ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს ეროვნული კანონმდებლობებით შეუძლიათ დაანესონ შებენი ან გამონაკლისები იმ უფლებებიდან, რომლებითაც სარგებლობენ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორები ამ ხელშეკრულებით, ზოგიერთ განსაზღვრულ და განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც არ მოდის წინააღმდეგობაში ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებასთან და დაუსაბუთებლად არ ლახავს ავტორის კანონიერ ინტერესებს.

(2) ბერნის კონვენციის გამოყენებისას, ხელშეკრულების დამდები მხარეები ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების რაიმე შებენი და გამონაკლისებს აწესებენ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც არ აყენებენ ზიანს ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და დაუსაბუთებლად არ ლახავენ ავტორის კანონიერ ინტერესებს.

### **შეთანხმებული განცხადება მე-10 მუხლთან დაკავშირებით**

გაგებულია, რომ მე-10 მუხლის დებულებები ნებას რთავს მონაწილე მხარეებს გადაიტანონ და სათანადოდ განავრცონ ეროვნული კანონმდებლობით ციფრულ სივრცეში ის შებენი და გამონაკლისები, რომლებიც მიჩნეული იყო მისაღებად ბერნის კონვენციის საფუძველზე. მსგავსად უნდა იქნეს გაგებული, რომ ეს



დებულებები ნებას რთავს მონაწილე მხარეებს შეიმუშაონ ახალი შეზღუდვები და გამონაკლისები, რომლებიც მისადაგება ციფრული ქსელის სივრცეს. ასევე, გაგებულ უნდა იქნეს, რომ მუხლი 10(2) არც ამცირებს და არც აფართოებს ბერნის კონვენციით დაშვებულ შეზღუდვებსა და გამონაკლისებს.

### **კომენტარი**

მუხლი 10(1) პრაქტიკულად იმეორებს TRIPS-ის მე-13 მუხლის რედაქციას და ნებას რთავს მონაწილე მხარეებს დაანესონ ავტორებისთვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების შეზღუდვები და გამონაკლისები. მუხლი არ იძლევა პირდაპირ მითითებას თუ რომელი შეზღუდვები და გამონაკლისები შეიძლება იქნეს შემოღებული. ის ადგენს მხოლოდ ბაზისს ე.წ. სამსაფეხურიან ტესტს, რომლის დაცვის პირობით მონაწილე მხარეებს ეძლევათ მოქმედების საშუალება. კერძოდ, შეზღუდვები და გამონაკლისები შეიძლება შემოღებულ იქნეს:

1. განსაზღვრულ და განსაკუთრებულ შემთხვევებში;
2. ნაწარმოების ნორმალური გამოყენებისთვის ზიანის მიყენების გარეშე;
3. ავტორების კანონიერი ინტერესების უსაფუძვლოდ შელახვის გარეშე.

ბერნის კონვენციით პირველად იქნა შემოღებული სამსაფეხურიანი ტესტი, რომელიც გავრცელდა ავტორთა რეპროდუცირების უფლებაზე (მუხლი 9(2)). ამისგან განსხვავებით, WCT ხელშეკრულება ამ ტესტს ავრცელებს ყველა იმ უფლებაზე, რომელიც ავტორებს მინიჭებული აქვთ როგორც ბერნის კონვენციით, ისე ამ ხელშეკრულებით. მაგალითად, გავრცელების უფლებასთან დაკავშირებით, WCT ხელშეკრულებით ავტორთათვის მინიჭებულმა გამონაკლისებმა და შეზღუდვებმა უნდა დააკმაყოფილონ სამსაფეხურიანი ტესტის მოთხოვნები.

მუხლი 10(2) ადგენს, რომ ბერნის კონვენციის გამოყენებისას ხელშეკრულების დამდები მხარეები კონვენციით გათვალისწინებული „უფლებების რაიმე შეზღუდვებსა და გამონაკლისებს ანესებენ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც არ აყენებენ ზიანს ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და დაუსაბუთებლად არ ლახავენ ავტორის კანონიერ ინტერესებს“.

ბერნის კონვენცია კავშირის ნევრებს ნებას რთავს შემოიღონ გამონაკლისები და შეზღუდვები მთელ რიგ დადგენილ შემთხვევებში,

მაგალითად: მუხლი 9(2) (რეპროდუცირება), რაზეც ზემოთ იყო საუბარი, მუხლი 10 (ციტირება და ილუსტრირება), მუხლი 10<sup>bis</sup>(1) (პრესა და მიმდინარე მოვლენები), მუხლი 10<sup>bis</sup>(2) (ეთერით და საჯარო გადაცემის სხვა საშუალებები), მე-13 მუხლი (ნაწარმოების აუდიო ჩანაწერები). როგორც უკვე აღინიშნა, ბერნის კონვენციამ რეპროდუცირების უფლების შემზღვევა დაუკავშირა სამსაფეხურიანი ტესტის შესრულებას, მაგრამ ბერნის კავშირის წევრთათვის ამ ტესტის მოთხოვნათა შესრულება არ გახადა სავალდებულო კონვენციით დაშვებული სხვა შემზღვევებისა და გამონაკლისებისთვის.

WCT ხელშეკრულებამ, რომელმაც სამსაფეხურიანი ტესტის მოთხოვნა გაავრცელა უკლებლივ ყველა იმ უფლებაზე, რომელიც გათვალისწინებულია ბერნის კონვენციითა და ამ ხელშეკრულებით, ავტორებს შეუქმნა უფრო ხელსაყრელი პირობები მათი უფლებების მიმართ გამონაკლისებისა და შემზღვევების გამოყენებასთან დაკავშირებით. მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ სამსაფეხურიანი ტესტი წარმოადგენს უფლებების მფლობელთა და საზოგადოებას შორის ინტერესთა ბალანსის დაცვის ინსტრუმენტს. მსოფლიოში არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შემზღვევებისა და გამონაკლისების კონკრეტული კონტექსტი დაკავშირებულია ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ რეალობებთან და ტექნოლოგიურ საშუალებებთან, რომლებიც ხელმისაწვდომია საზოგადოების განვითარების მიმდინარე ეტაპზე.

მე-10 მუხლთან დაკავშირებული ერთობლივი განცხადების შესაბამისად, მონაწილე მხარეებს ნება ეძლევათ გადაიტანონ და სათანადოდ განავრცონ შემზღვევები და გამონაკლისები, რომლებიც, ბერნის კონვენციის საფუძველზე, მიჩნეული იყო მისაღებად ციფრულ სივრცეშიც. ის, ასევე, ნებას რთავს მონაწილე მხარეებს შეიმუშავონ ახალი შემზღვევები და გამონაკლისები, რომლებიც შეეფერებიან ციფრულ ქსელს. გარდა ამისა, მითითებულია, რომ მუხლი 10(2) არც ამცირებს და არც აფართოებს ბერნის კონვენციით დაშვებულ შემზღვევებსა და გამონაკლისებს.

## **მუხლი 11. ვალდებულებები ტექნოლოგიურ საშუალებებთან მიმართებაში**

ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები ითვალისწინებენ ადეკვატურ სამართლებრივ დაცვასა და სამართლებრივი დაცვის ეფექტურ ზომებს იმ ქმედითი ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლის

წინააღმდეგ, რომლებსაც ავტორები იყენებენ ამ ხელშეკრულებით ან ბერნის კონვენციით დადგენილი უფლებების განსახორციელებლად და რომლებიც მათი ნაწარმოებების მიმართ ზღუდავს ისეთ ქმედებებს, რომლებიც არ არის ნებადართული ავტორების მიერ ან დაშვებული კანონით.

### **კომენტარი**

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ ძალზე გაამარტივა დაცული ნაწარმოებების გამოყენება მათი ციფრული ქსელების საშუალებით გავრცელებისა და მაღალხარისხიანი ციფრული ასლების დამზადების საფუძველზე. ამან, ერთი მხრივ, გაზარდა მეკობრეობის რისკი, ხოლო მეორე მხრივ, განაპირობა ისეთი ტექნოლოგიური საშუალებების (ძირითადად, კოდირებისა და კოპირების კონტროლის მოწყობილობები და პროგრამები) შექმნის და პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა, რომლებიც იცავს საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცულ ობიექტებს არალეგალური ქმედებებისაგან. დღეისათვის, ტექნოლოგიური საშუალებებით ხორციელდება წვდომისა და კოპირების შემდეგი ძირითადი სახის კონტროლი:

1. ფიზიკური ასლების წვდომის კონტროლი: ამ შემთხვევაში, ტექნიკური საშუალებებით კონტროლდება ინფორმაციის მყარ მატარებელზე ციფრული სახით წარმოდგენილი მასალის (მაგ., ხმოვანი ჩანაწერი CD-ზე ან ფილმის ჩანაწერი DVD-ზე) წვდომა;
2. წამკითხავი მოწყობილობების კონტროლი: სპეციალური ტექნოლოგიების გამოყენებით ჩანაწერი იკითხება მხოლოდ გარკვეული ტიპის ან გარკვეული რეგიონებისათვის განკუთვნილი მოწყობილობებით;
3. ჩანაწერის განმეორებითი წაკითხვის კონტროლი: სპეციალური ტექნიკური საშუალება არ იძლევა გარკვეულ რაოდენობაზე მეტი ჩანაწერის წაკითხვის საშუალებას;
4. ინფორმაციის ტრანსმისიის კონტროლი: ტექნიკური საშუალება არ იძლევა გადაცემული ინფორმაციის გარკვეული პირობების დაცვის გარეშე წვდომის საშუალებას;
5. კოპირების კონტროლი: სპეციალური მოწყობილობა არ იძლევა ასლების დამზადების ან გარკვეულ რაოდენობაზე მეტი ასლის დამზადების საშუალებას.

ამ ტექნოლოგიურმა საშუალებებმა, მეორე მხრივ, განაპირობა ისეთი საშუალებების გაჩენა, რომლებიც მიმართული იყო დაცვის

ტექნოლოგიური მექანიზმების გვერდის ავლისა და მეკობრული ქმედებების განხორციელებისაკენ. უკანასკნელმა, თავის მხრივ, დღის წესრიგში დააყენა დაცვის ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლის სამართლებრივი დარეგულირების საკითხი. ისმო-ს ექსპერტთა კომიტეტი პირველ სამ სესიაზე აღნიშნულ საკითხს განიხილავდა უფლებების დაცვის უზრუნველყოფასთან (enforcement) დაკავშირებული ქმედებების კონტექსტში, მაგრამ შემდეგ სესიებზე მხარდაჭერილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წინადადება ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლისაგან დაცვის საკითხის ცალკე გამოყოფისა და სპეციალური ნორმებით რეგულირების შესახებ.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ მეკობრეობის წინააღმდეგ მიმართული ტექნოლოგიური საშუალებების შექმნითა და მათი გვერდის ავლის სამართლებრივი ნორმებით დაინტერესებულნი არიან როგორც უფლებამფლობელები, ისე მომხმარებლები. თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა დაცული ნაწარმოების წვდომისა და გამოყენების კონტროლის საშუალებას, რაც, თავის მხრივ, ინდივიდუალური ლიცენზიებით დადგენილი საფასურებით კოლექტიური მართვის ორგანიზაციების მიერ საშუალო ექსპლოატაციის გათვლებზე დამყარებული ჰონორარების გაცემის, ჩანაცვლების წინაპირობაა.

ამ მუხლიდან გამომდინარე, შედეგების შეფასებისას, ყურადღება უნდა მიექცეს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს:

1. ტექნოლოგიური საშუალებების დაცვა უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მათი გვერდის ავლის წინააღმდეგ მიმართული ქმედებებით, თუ მან, ასევე, უნდა მოიცვას შესაბამისი მონეობილობები და სერვისები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია ტექნოლოგიური კონტროლის აცილება. პრობლემის არსი გვკარნახობს, რომ უფლებამფლობელისთვის სასურველი შედეგის დადგომისთვის სამართლებრივი დაცვა მიზანშეწონილია გავრცელდეს ზემოთ მითითებულ ორივე ელემენტზე: როგორც უშუალოდ გვერდის ავლაზე, ისე შესაბამის მონეობილობებსა და სერვისებზე, ანუ ე.წ. „მოსამზადებელ (წინასწარ) ქმედებებზე“. მიუხედავად იმისა, რომ ისმო-ს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი მითითებით ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე, რაიმე კონკრეტულის გარეშე ის არანაირად არ კრძალავს ეროვნულ თუ რეგიონულ სამართლებრივ აქტებში ფართო ზომების გატარე-

ბის შესაძლებლობას, რომლებიც მოიცავს ზემოთ მითითებულ „მოსამზადებელ ქმედებებსაც“. მაგალითად, ევროკავშირის რეგულაცია „საინფორმაციო საზოგადოების შესახებ“ (მუხლი 6(1)), ისევე, როგორც უმრავლესი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობა საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ (მუხლები: 58(3)(დ), 58(3)(ე)) იძლევა იმ „მოსამზადებელი ქმედებების“ ჩამონათვალს, რომლის განხორციელებაც აკრძალულია.

2. მეორე საკითხი ეხება უფლებამფლობელებისა და შესაბამისი ინდუსტრიების (ციფრული მონეობილობების და პროგრამების მწარმოებლები) ინტერესებს შორის ბალანსის დაცვას. ცხადია, უფლებამფლობელები დაინტერესებულნი არიან, რომ ტექნოლოგიური დაცვა მოიცავდეს ყველა შესაძლო დარღვევის შემთხვევას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ მწარმოებელ ინდუსტრიებს უნდა ეკისრებოდეთ ვალდებულება შეასრულონ ტექნოლოგიური საშუალებების დაცვის მოთხოვნები. მეორე მხრივ, ციფრული მონეობილობებისა და პროგრამების დამამზადებლები დაინტერესებულნი არიან ჰქონდეთ მაქსიმალური თავისუფლება საკუთარი პროდუქციის დამუშავებისა თუ რეალიზებისათვის და აწყდებოდნენ მინიმალურ წინააღმდეგობებს გამომდინარე უფლებამფლობელთა უფლებებიდან. მათ არ სურთ ჰქონდეთ ვალდებულებები, რათა მათი პროდუქცია აკმაყოფილებდეს მთელ სპექტრს ყველა შესაძლო დარღვევისა და ითხოვენ, რომ ტექნოლოგიური საშუალებების დაცვის მოთხოვნები იყოს მკაფიოდ განერილი. არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლებელია მისაღები იყოს ნებაყოფლობითი შეთანხმება დაინტერესებულ (უფლებამფლობელები და ინდუსტრიები) მხარეებს შორის, იმის მაგივრად, რომ დავაკისროთ მხარეებს სამართლებრივი მოდელები, რომლებიც შეიძლება არ იყოს მომავალში შექმნილი ტექნოლოგიური სიახლეების ადეკვატური.
3. კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც მოითხოვს გააზრებას, ეხება ტექნოლოგიური კონტროლის მიმართებას ავტორთა უფლებების სამართლებრივი დაცვის შეზღუდვებსა და გამონაკლისებთან. WCT ხელშეკრულების ამ მუხლის შესაბამისად, უფლებამფლობელს გააჩნია განსაკუთრებული უფლება აღკვეთოს დაცული ობიექტის ნებისმიერი არამართლზომიერი გამოყენება. მუხლის არსებული რედაქცია არანაირად არ კრძალავს ტექნოლოგიური კონტროლის საშუალებების დაცვას იმ შემთხვევებისთვისაც, როცა

უფლებებზე ვრცელდება შეზღუდვები და გამონაკლისები. მეორე მხრივ, ხელშეკრულება არ ზღუდავს მონაწილე მხარეს მკაცრად დაადგინოს შეზღუდვები და გამონაკლისები და, შესაბამისად, მათ მიმართ გამორიცხოს უფლებამფლობელთა მხრიდან კონტროლის საშუალებების დაცვის ბოროტად გამოყენება.

მე-11 მუხლი მონაწილე მხარეებისაგან მოითხოვს ტექნოლოგიური საშუალებების ადეკვატურ სამართლებრივ დაცვას. აქ ტერმინი „ადეკვატური“ მიანიშნებს იმას, რომ ეროვნული კანონმდებლობა, ერთი მხრივ, უნდა იყოს სავმარისად მკაცრი, რათა უზრუნველყოს ავტორთა უფლებებისა და ინტერესების სათანადოდ დაცვა, ხოლო მეორე მხრივ, არ უქმნიდეს ტექნოლოგიური საშუალებების მწარმოებელ ინდუსტრიას გაუმართლებელ წინააღმდეგობას. გარდა ამისა, ადეკვატურობის მოთხოვნა კანონმდებლის დღის წესრიგში აყენებს იმის გააზრებას, შემოფარგლოს დაცვა მხოლოდ გვერდის ავლის წინააღმდეგ მიმართული ქმედებებით, თუ განავრცოს ის, აგრეთვე, ე.წ. „მოსამზადებელ ქმედებებზე“, როგორც შემთხვევით იყო აღნიშნული. ასევე, „ადეკვატურობის“ კონტექსტში უნდა იქნეს გადამწყვეტილი კანონმდებლის მიერ ტექნოლოგიურ კონტროლთან დაკავშირებული უფლებების მიმართება კანონით დადგენილ „შეზღუდვებსა და გამონაკლისებთან“.

მე-11 მუხლი, ასევე, მოითხოვს, რომ ხელშეკრულების დამდები მხარეები ქმედითი ტექნოლოგიური ზომების გვერდის ავლის წინააღმდეგ ითვალისწინებდნენ ეფექტიან სამართლებრივ ზომებს. ხელშეკრულება არ აზუსტებს თუ რა სახის ზომები უნდა გატარდეს – სამოქალაქო, სისხლის სამართლისა თუ, მაგალითად, ადმინისტრაციული, მაგრამ, ყველა შემთხვევაში, ისინი უნდა იყოს შედეგის მომცემი. თუ გავყვებით TRIPS-ის მოთხოვნებს, ამ ზომებს უნდა ჰქონდეს გადაუდებელი (expeditious) ხასიათი იმდენად, რომ წინასწარ აღიკვეთოს (გაკეთდეს პრევენცია) ტექნოლოგიური დაცვის გვერდის ავლის ფაქტები და პოტენციურ დამრღვევს (dissuasive) შემდგომში ააღებინოს ხელი არაკანონიერ ქმედებებზე ტექნოლოგიურ დაცვასთან დაკავშირებით. სამოქალაქო პროცედურებით გათვალისწინებული ზომები შეიძლება შეიცავდნენ: სასამართლო აკრძალვას, ზარალის ანაზღაურებას, ან, მაგალითად, ტექნოლოგიური დაცვის გვერდის ავლისთვის განკუთვნილი მონეობილობის ჩამორთმევას.

როგორც ვხედავთ, ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ქმედითი ტექნოლოგიური ზომების გვერდის ავლის წინააღმდეგ.

ამდენად, ისეთი ტექნოლოგიური ზომები, რომლებიც არ უზრუნველყოფს სათანადო კონტროლს ან აფერხებს იმ სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას, რომლის დასაცავადაც არის განკუთვნილი, არ ექვემდებარება დაცვას ამ ხელშეკრულების შესაბამისად. მე-11 მუხლი ადგენს, ასევე, რომ ტექნოლოგიური საშუალებების დაცვა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, რომლებიც ნებადართულია უშუალოდ უფლებამფლობელის მიერ ან დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობით, მაგალითად, შეზღუდვებსა და გამონაკლისებთან მიმართებაში.

## **მუხლი 12. ვალდებულებები უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში**

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები სამართლებრივი დაცვის ადევკატურ და ქმედით ზომებს ითვალისწინებენ ნებისმიერი იმ პირის მიმართ, რომელიც შეგნებულად ახორციელებს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას, და რომელმაც იცის ან, დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი ზომების გამოყენებასთან მიმართებაში, აქვს საკმარისი საფუძველი იცოდეს, რომ ამგვარი ქმედება გამოიწვევს, შესაძლებელს გახდის, ხელს შეუწყობს, ან დაფარავს ამ ხელშეკრულებით ან ბერნის კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების დარღვევას:

- (i) უნებართვოდ ნაშალოს ან შეცვალოს უფლებების მართვის შესახებ ნებისმიერი ელექტრონული ინფორმაცია;
- (ii) უნებართვოდ გაავრცელოს, გავრცელების მიზნით შემოიტანოს, ეთერში ან საჯაროდ გადასცეს ნაწარმოებები ან ნაწარმოებების ასლები, როცა ცნობილია, რომ უფლებების მართვის შესახებ მათში არსებული ელექტრონული ინფორმაცია უნებართვოდ იქნა ნაშლილი ან შეცვლილი.

(2) „ინფორმაცია უფლებების მართვის შესახებ“ ამ მუხლში აღნიშნავს ინფორმაციას, რომელიც ახდენს ნაწარმოების, ნაწარმოების ავტორის, ნაწარმოებზე რაიმე უფლების მფლობელის იდენტიფიცირებას, ან ინფორმაციას ნაწარმოების გამოყენების ვადებისა და პირობების, ან ასეთი ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი ციფრების ან კოდების შესახებ, როცა ამ ინფორმაციათაგან ნებისმიერი თან ახლავს ნაწარმოების ასლს ან ჩნდება ნაწარმოების საჯარო გადაცემასთან დაკავშირებით.

## **შეთანხმებული განცხადება მე-12 მუხლთან დაკავშირებით**

გაგებულია, რომ მითითება „ბერნის კონვენციით თუ ამ ხელშეკრულებით მოცულ უფლებების დარღვევაზე“ შეიცავს როგორც განსაკუთრებულ, ისე ანაზღაურების მიღების უფლებებს.

შემდგომ, ასევე, გაგებულია, რომ დამდები მხარეები არ დაეყრდნობიან ამ მუხლს, რათა შეიმუშავონ ან აამოქმედონ უფლებების მართვის სისტემა, ბერნის კონვენციით აკრძალული ფორმალობების დაკისრების ეფექტით, რომელიც აკრძალავს საქონლის თავისუფალ გადაადგილებას ან ხელს შეუშლის ამ ხელშეკრულებით დადგენილი უფლებებით სარგებლობას.

## **კომენტარი**

წინადადება, რომ WCT-ში გათვალისწინებული ყოფილიყო სპეციალური დებულება უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ისმო-ს ექსპერტთა კომიტეტის წინაშე წარადგინა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ, რომელმაც თავის კომენტარში ხაზი გაუსვა უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციის მნიშვნელობას გლობალური ციფრული ქსელების ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანის აცილების საქმეში. შემდგომ, ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს სხვა დელეგაციებმაც და შესაბამისმა დებულებებმა ასახვა ჰპოვა WCT-ის მე-12 და, ასევე, WPPT-ის (ისმო-ს ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ) მე-19 მუხლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ WCT-ის ხელმოწერისას მსოფლიო პრაქტიკა შემოიფარგლებოდა მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაციის გამოყენების ერთეული შემთხვევებით და ისეთი დებულებების მიღება, როცა საერთაშორისო აქტის სამართლებრივი ნორმები წინმსწრებად არეგულირებს მოსალოდნელ საფრთხეებს, იყო იშვიათი. თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ამ მუხლს, რომელიც ეხება მართვის შესახებ ინფორმაციის ნებართვის გარეშე მანიპულირებისაგან დაცვას, ეროვნულ დონეზე ჰყავდა წინამორბედი შეერთებული შტატების ეროვნული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის საავტორო უფლებების დაცვის საკანონმდებლო აქტის (National Information Infrastructure Copyright Act) პროექტის სახით.

აღნიშნული მუხლის არსებობის საფუძველს წარმოადგენს ციფრულ სივრცეში ადვილად რეალიზებადი, ნაწარმოებზე სასურველი ინფორმაციის ელექტრონულად მიბმის შესაძლებლობა. ეს



ინფორმაცია შეიძლება ეხებოდეს ნაწარმოების ავტორს ან სხვა უფლებამფლობელებს, მის დასახელებას, ასევე, დაცული ნაწარმოების გამოყენების პირობებს. მაგალითად, შეიძლება იყოს მითითებული, რომ ნებადართულია მხოლოდ ერთი ასლის გადაღება ან დასაშვებია საგანმანათლებლო მიზნებით გამოყენება გარკვეული დღეების გარკვეულ საათებში. მართვის ელექტრონული ინფორმაცია შეიძლება იქნეს, ასევე, გამოყენებული უფლებამფლობელთა სალიცენზიო ანაზღაურების განსაზღვრის მიზნით. შესაბამისად, მესამე პირთა მხრიდან უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციის უნებართვო მანიპულირებით შეიძლება შეიცვალოს ნამდვილი უფლებამფლობელის ვინაობა, ან მოხდეს ნაწარმოების გამოყენების პირობების გადასხვაფერება, რის გამოც ვერ ამოქმედდება უფლებების დაცვისთვის აუცილებელი მექანიზმები, რის შედეგადაც უფლებამფლობელებს მიადგება სერიოზული მორალური და ქონებრივი ზიანი.

მე-11 მუხლის მსგავსად, მე-12 მუხლი არ წარმოშობს რაიმე ახალ უფლებებს ავტორისთვის მათი ნაწარმოებების მიმართ. ეს მუხლი, ასევე, არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც უფლებების დაცვის უზრუნველყოფის ნორმა WCT-ის მუხლის 14(2) გაგებით, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მე-12 მუხლი ავტორებს ანიჭებს სპეციალურ უფლებებს იმგვარი ქმედებების წინააღმდეგ, რომელიც გამოიწვევს, შესაძლებელს გახდის, ხელს შეუწყობს ან დაფარავს ავტორის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების დარღვევას, ეს მუხლი შეიძლება მიჩნეულ იქნეს მე-14(2) მუხლით დადგენილი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის დებულებების ახლო მდგომ ნორმად.

მუხლი 12(1) დამდები მხარეებისგან მოითხოვს მართვის ინფორმაციასთან დაკავშირებული დარღვევების წინააღმდეგ ადეკვატური და ქმედითი სამართლებრივი ზომების გატარებას, რომელთა კონკრეტული შინაარსის დადგენას ტოვებს მხარეთა დისკრეციაში.

ტერმინი „ადეკვატური“ მოიაზრებს ისეთ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფს ბალანსს სიმკაცრის დონესა და მოსალოდნელ შედეგებს შორის.

„ქმედითობის მოთხოვნა“ კი ნიშნავს, რომ ზომების გატარებით რეგულარულად უნდა მიიღწეოდეს სასურველი შედეგი, მათ შორის, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დარღვევების პრევენცია მომავალში.

მუხლი 2(1) ავალდებულებს ხელშეკრულების დამდებ მხარეებს უზრუნველყონ უფლებების მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაციის სამართლებრივი დაცვა ისეთი ქმედებების წინააღმდეგ, როგორებიცაა: უფლებების მართვის შესახებ ნებისმიერი ელექტრონული ინფორმაციის უნებართვო ნაშლა ან შეცვლა და ნაწარმოებების მატერიალური სახით (მაგ.: ნიგნი, მუსიკალური ნოტები და სხვ.) ან ელექტრონული საშუალებებით (ეთერი, კაბელი, ინტერნეტი და სხვ.) გავრცელება, როცა ცნობილია, რომ უფლებების მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაცია მათში უნებართვოდ იქნა ნაშლილი ან შეცვლილი.

მუხლი 12(2) იძლევა უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციის განმარტებას. აღნიშნული დეფინიცია არ შეიცავს ინფორმაციის ზოგად ცნებას და მას განმარტავს იმ ელემენტების საშუალებით, რომელსაც ეს ინფორმაცია ეხება: ნაწარმოების ავტორს, მასზე რაიმე უფლების მფლობელს, თვით ნაწარმოებს, ან ნაწარმოების გამოყენების პირობებსა და ასეთი ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი ციფრების ან კოდების იდენტიფიკაციას, როცა ინფორმაციის ამ ელემენტთან ნებისმიერი თან ახლავს ნაწარმოების ასლს ან ჩნდება ნაწარმოების საჯარო გადაცემასთან დაკავშირებით.

მუხლი 12(1)(i) მიმართულია მართვის შესახებ ინფორმაციის მანიპულირების, კერძოდ, ელექტრონული ინფორმაციის უნებართვო ნაშლის ან შეცვლის წინააღმდეგ. „ნაშლაში“ მოიაზრება გარკვეული ინფორმაციის სრულად მოშორება, ხოლო „შეცვლაში“ – ინფორმაციის ნაწილის ჩანაცვლება სხვა ინფორმაციით. მაგალითად, შეიძლება შეცვლილ იქნეს ავტორის სახელი და გვარი, შეიცვალოს უფლებამფლობელის ვინაობა, დაცული ობიექტის გამოყენების პირობები და სხვა.

მუხლი 12(1)(ii) მიმართულია ისეთი ქმედებების უნებართვოდ განხორციელების წინააღმდეგ, როგორებიცაა: ნაწარმოების გავრცელება, გავრცელების მიზნით შემოტანა, ეთერში გადაცემა და საჯარო გადაცემა, თუ უფლებების მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაცია მათში უნებართვოდ იყო ნაშლილი ან შეცვლილი.

დიპლომატიურ კონფერენციაზე მიღწეულ იქნა ერთიანი გაგება, რომ განსხვავებით ხელშეკრულების მუხლისა 6(1), მე-12 მუხლში ტერმინი „გავრცელება“ მოიაზრებს ნაწარმოების როგორც თხოვებას, ისე გაქირავებას. ამასთან, გავრცელებას უნდა ჰქონდეს საჯარო ხასიათი. ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს, მაგალითად, ნაწარმოების

---

ასლების გადაცემას მეგობრებისთვის.

გავრცელების მიზნით შემოტანა ნიშნავს ნაწარმოების ასლების იმპორტირებას ქვეყანაში მათი გაყიდვის, გაქირავების ან თხოვების მიზნით, მაგრამ არ მოიცავს ასეთი ასლების შემოტანას ქვეყანაში პირადი გამოყენების მიზნით.

ამ მუხლის ინტერპრეტაციისას გასათვალისწინებელია, რომ ეთერში გადაცემა და საჯარო გადაცემა გულისხმობს ნაწარმოების არამატერიალურ ექსპლოატაციას, ხოლო როცა ვსაუბრობთ გავრცელებასა და იმპორტზე, ეს ეხება მხოლოდ მატერიალიზებულ ასლებს.

მუხლის 12(1)(ii) მოქმედება ვრცელდება მხოლოდ უნებართვოდ განხორციელებულ ქმედებებზე, ანუ როცა მართვის შესახებ ინფორმაციის შეცვლა ან შეცვლილი ინფორმაციის მატარებელი ობიექტის გავრცელება ან საჯარო გადაცემა ეთერით, კაბელით, ან on-line რეჟიმში მოხდა სათანადო ნებართვის გარეშე.

მე-12 მუხლის მოქმედების ქვეშ ექცევა ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს, შესაძლებელს გახდის, ხელს შეუწყობს, ან დაფარავს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების დარღვევას. მაგალითად, ავტორის სახელის არასწორად მითითებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ნაწარმოების შემდგომ უნებართვო გამოყენებას ლიცენზიის შემძენი პირის (ლიცენზიატი) მიერ, რომელმაც ლიცენზია შეიძინა ელექტრონულად წარმოდგენილ ინფორმაციაში მითითებული პირისგან. ერთი ასლის დამზადების პირობის უნებართვოდ შეცვლამ, მრავალი ასლის დამზადების პირობით, შეიძლება გავლენა იქონიოს კოპირების კონტროლის სისტემაზე და, ამდენად, შესაძლებელი გახადოს მრავალი ასლის უნებართვოდ დამზადება, რითაც შეიძლება სერიოზულად დაირღვეს ავტორის უფლებები.

მუხლის 12(1) თანახმად, (i) და (ii) ქვეპუნქტებში მითითებული ქმედებები ატარებენ შეგნებულ ხასიათს, ანუ ზომები არ მიიღება არაშეგნებულად განხორციელებული ქმედებების წინააღმდეგ. ამას მოსდევს მეორე პირობაც, რომ დამრღვევმა იცის, ან, დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით, აქვს საკმარისი საფუძველი იცოდეს, რომ ამგვარი ქმედება გამოიწვევს, შესაძლებელს გახდის, ხელს შეუწყობს, ან დაფარავს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ უფლების დარღვევას.

მუხლი 12(1)(ii) შეიცავს დამატებით პირობას, რომ ნაწარმოებების უნებართვო გავრცელება, გავრცელების მიზნით შემოტანა, ეთერში

გადაცემა, ან საჯარო გადაცემა ექცევა შესაბამისი სანქციის ქვეშ, იმ შემთხვევაში, როცა ამ ქმედებების განმხორციელებელი პირისათვის ცნობილია, რომ უფლებების მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაცია მათში უნებართვოდ იქნა წაშლილი ან შეცვლილი.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ მუხლის 12(1)(i) მიხედვით, სანქციები მიმართულია მხოლოდ ელექტრონული სახით წარმოდგენილი უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციის უნებართვო მანიპულაციების წინააღმდეგ და არ ეხება დასაცავი ობიექტის თანმხლებ ინფორმაციის არაელექტრონულ მატარებლებს. გარდა იმისა, რომ ამ ინფორმაციას უნდა ჰქონდეს ელექტრონული ხასიათი, მუხლის 12(2) მიხედვით, ის უნდა ახლდეს ნაწარმოების ასლს ან ჩნდებოდეს ნაწარმოების საჯარო გადაცემისას.

### **მუხლი 13. გამოყენება დროში**

ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები უნდა იყენებდნენ „ბერნის კონვენციის“ მე-18 მუხლის დებულებებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვის ყველა სახესთან დაკავშირებით.

### **კომენტარი**

WCT-ის მე-13 მუხლის შესაბამისად, ავტორთა უფლებების დაცვისას, მხარეები უნდა იყენებდნენ ბერნის კონვენციის მე-18 მუხლის დებულებებს, თუმცა, თვით მე-13 მუხლი არ იძლევა სახელმძღვანელო მითითებებს აღნიშნულ გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ მიზნებისთვის შეგვიძლია დავეყრდნოთ WCT-ის მე-3 მუხლთან დაკავშირებულ შეთანხმებულ განცხადებას.

ამ განცხადებიდან გამომდინარე, ბერნის კონვენციის მე-18 მუხლის ტრანსფორმირებისას WCT-ის მიზნებისთვის, სიტყვები „ეს კონვენცია“ უნდა ჩანაცვლდეს სიტყვებით „ეს ხელშეკრულება“. შესაბამისად, ბერნის კონვენციის მუხლში 18(4) სიტყვა „ეს კავშირი“ ინტერპრეტირებულ უნდა იქნეს, როგორც „ეს ხელშეკრულება“. ბერნის კონვენციის მუხლში 18(3) მითითება „კავშირის ქვეყნებზე“ და ამავე მუხლის პირველ პუნქტში გამოყენებული ტერმინით „წარმოშობის ქვეყანა“ (დეფინიცია მოცემულია ბერნის კონვენციის მუხლში 5(4)) არაპირდაპირი მითითება იმავე კავშირის ქვეყნებზე უნდა გავიგოთ როგორც მითითება WCT ხელშეკრულების დამდებ მხარეზე. იმ შემთხვევაში, როცა ბერნის კონვენციის მუხლის 5(4) მიხედვით წარმოშობის ქვეყანა არ არის ბერნის კავშირის წევრი, WCT-

---

ის მიზნებისთვის, ეს უნდა გავიგოთ, როგორც მითითება ქვეყანაზე, რომელიც არ არის ისმო-ს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ბერნის კონვენციის მე-18 მუხლიდან გამომდინარე, WCT ხელშეკრულების დროში გამოყენების პირობები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. მუხლიდან 18(1) გამომდინარე:

ეს ხელშეკრულება გამოიყენება ყველა ნაწარმოებთან მიმართებაში, რომელიც ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტისთვის ხელშეკრულების დამდებ მხარეში, დაცვის ვადის გასვლის გამო, ჯერ არ ქცეულა საზოგადო საკუთრებად.

2. მუხლიდან 18(2) გამომდინარე:

თუ ნაწარმოები ადრე მინიჭებული დაცვის ვადის გასვლის გამო, იქცა საზოგადო საკუთრებად დამდებ მხარეში, ასეთი ნაწარმოები ხელახლა არ დაიცვება.

ამ დებულების თანახმად, თუ ნაწარმოები იქცა საზოგადო საკუთრებად არა დაცვის ვადის გასვლის გამო, არამედ რაღაც სხვა მიზეზით, მაგალითად, ფორმალობების შეუსრულებლობის გამო, მაშინ ის ექვემდებარება ხელახალ დაცვას.

3. მუხლიდან 18(3) გამომდინარე:

ხელშეკრულება ნებას რთავს დამდებ მხარეებს განსაზღვრონ ზემოთ მოყვანილი დებულებების გამოყენების პირობები სპეციალური კონვენციების, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, უბრალოდ, ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე. აღნიშნული არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ბერნის კონვენციის მე-18 მუხლის (1)-ლი და მე-(2) პუნქტებიდან გამომდინარე ვალდებულებებიდან გადახვევის შესაძლებლობას და მიუთითებს მხოლოდ მათი აღსრულების პირობების დადგენის უფლებაზე.

4. მუხლიდან 18(4) გამომდინარე, ზემოთ მოცემული დებულებები გამოიყენება იმ შემთხვევებშიც, როცა ისმო-ს ამ ხელშეკრულებას მიუერთდებიან ახალი მონაწილეები.

#### **მუხლი 14. ვალდებულებები უფლებების განხორციელების შესახებ**

(1) ხელშეკრულების დამდები მხარეები იღებენ ვალდებულებას მიიღონ აუცილებელი ზომები ამ ხელშეკრულების გამოყენების უზრუნველსაყოფად.

(2) ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ

მათ კანონებში უფლებების განხორციელების ზომების არსებობა, რათა შესაძლებელი იყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის ნებისმიერი აქტის აღმკვეთი ეფექტური ქმედებების, მათ შორის დარღვევების თავიდან ასაცილებლად სასწრაფო ზომებისა და შემდგომი დარღვევების შემაკავებელი ზომების გატარება.

### **კომენტარი**

მუხლი 14(1) დამდებ მხარეებს ცალსახად ავალდებულებს ხელშეკრულების გამოყენების უზრუნველყოფასა და, შესაბამისად, მასში შემავალი დებულებების იმპლემენტაციას. ეს დებულებები ეხება ავტორების უფლებებს, უფლებების განხორციელების ზომებს, ეროვნული რეჟიმის ფუნდამენტურ პრინციპს, ხელშეკრულების დროში გამოყენებასა და ტექნოლოგიურ საშუალებებთან და უფლებების მართვასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

ის, თუ იმპლემენტაციის რა ღონისძიებები უნდა გატარდეს, დამოკიდებულია დამდებ მხარეზე, იქ არსებულ სამართლებრივ სისტემასა და მის ეფექტიანობაზე. ფრაზა „თავიანთი სამართლებრივი სისტემის შესაბამისად“ მიუთითებს არჩევანის თავისუფლებაზე, რომელსაც WCT ანიჭებს დამდებ მხარეს. ეს ღონისძიებები შეიძლება ატარებდნენ ორგანიზაციულ, ადმინისტრაციულ, საკანონმდებლო, ან შერეულ ხასიათს. რაც შეეხება ხელშეკრულების მუხლების გამოყენებას, ისინი შეიძლება განხორციელდეს ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე ან უშუალოდ საერთაშორისო ვალდებულებების მეშვეობით, თუ ეს გათვალისწინებულია კონსტიტუციით.

მუხლი 14(2) ეხება საავტორო უფლებების განხორციელების ზომებს. ეს მუხლი დამდებ მხარეებს ავალდებულებს ეროვნულ კანონებში უფლებების განხორციელების ისეთი ზომების გათვალისწინებას, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების დამრღვევი ნებისმიერი აქტის აღმკვეთი ეფექტური ქმედებების გატარება, მათ შორის, დარღვევების თავიდან ასაცილებელი სასწრაფო ზომებისა და შემდგომი დარღვევების შემაკავებელი ღონისძიებების გატარება.

ეს მუხლი პრაქტიკულად იმეორებს TRIPS-ის მუხლის 41(1) პირველი ფრაზით დადგენილ ასეთივე ზოგად ვალდებულებას უფლებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. მაგრამ, თუ WCT ხელშეკრულების მუხლი 14(2) შემოიფარგლება ზემოთ მითითებული

ზოგადი ვალდებულებებით, TRIPS-ის მუხლი 41(1) ახდენს დეტალიზებას იმ გასატარებელი ზომებისა, რომელიც ეხება სამოქალაქო დაცვის საშუალებებს, სასწრაფო ზომებს, სასაზღვრო ღონისძიებებსა და სისხლის სამართლის პროცედურებს. თუმცა, TRIPS-ის მუხლი 41(1), WCT ხელშეკრულების მუხლის 14(2) მსგავსად, მოითხოვს გასატარებელი ზომების ეფექტიანობას. თუ დავსვსებით TRIPS-ის შესაბამის დებულებებს, ზომების ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, რომ ისინი არ იყოს ზედმეტად რთული, ძვირადღირებული, ან მათი განხორციელება არ საჭიროებდეს გაუმართლებლად ხანგრძლივ დროს (მუხლი 41(2)).

გემოაღნიშნულის გარდა, მუხლი 14(2) მხარეებისაგან მოითხოვს დარღვევების თავიდან ასაცილებლად სასწრაფო ზომებისა და შემდგომი დარღვევების შემაკავებელი ზომების გატარებას. ასეთი ხასიათის ზომები საკმაოდ დეტალურადაა განვირლი TRIPS-ის მუხლებში 44–46. მაგალითად: შეჩერების ბრძანება, ზარალის ანაზღაურება, ჩამორთმევა, გადაცემა ან განადგურება, წარმოადგენს მეკობრეობასთან ბრძოლის მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს.

მუხლით 14(2) გათვალისწინებული ზომები, ამ ხელშეკრულებით დაცული უფლებების გარდა, ვრცელდება, ასევე, ბერნის კონვენციით დაცულ უფლებებზეც. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ავტორთა მატერიალურ უფლებებზე და არ მოიცავს ტექნოლოგიური ზომებისა და უფლებების მართვის ინფორმაციის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს.

## **მუხლი 15. ასამბლეა**

(1)

- (ა) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები აფუძნებენ ასამბლევას.
- (ბ) ამ ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები, მრჩეველები და ექსპერტები.
- (გ) ყოველი დელეგაციის ხარჯებს იხდის ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელმაც ის დანიშნა. ასამბლევას შეუძლია ფინანსური დახმარება სთხოვოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას (შემდგომში „ისმო“), რათა ხელი შეუწყოს ასამბლევას მუშაობაში ხელშეკრულების დამდები იმ მხარეების მონაწილეობას, რომლებიც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად,

განიხილებიან განვითარებად ქვეყნებად ან არიან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში.

(2)

(ა) ასამბლეა განიხილავს ამ ხელშეკრულების დაცვას, განვითარებას, გამოყენებასა და მოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

(ბ) ასამბლეა ახორციელებს მასზე მუხლით 17(2) დაკისრებულ ფუნქციას ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად დაუშვას ზოგიერთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია.

(გ) ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას ამ ხელშეკრულების გადასინჯვის მიზნით, ნებისმიერი დიპლომატიური კონფერენციის მოწვევის თაობაზე და ისმო-ს გენერალურ დირექტორს აძლევს აუცილებელ მითითებებს ამგვარი დიპლომატიური კონფერენციის მოსამზადებლად.

(3)

(ა) ამ ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს, აქვს ერთი ხმა, რომელსაც აძლევს მხოლოდ თავისი სახელით.

(ბ) ამ ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს, რომელიც სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ნაცვლად. ხმების რაოდენობა ემთხვევა ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების რაოდენობას, რომლებიც ამ ხელშეკრულების დამდები მხარეებია. ასეთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია არ იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში, თუ ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებიდან ნებისმიერი იყენებს თავის ხმის უფლებას და პირიქით.

(4) ასამბლეა მორიგ სესიებზე იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ. სესიებს იწვევს ისმო-ს გენერალური დირექტორი.

(5) ასამბლეა იღებს თავის საპროცედურო წესებს, მათ შორის, რიგგარეშე სესიების მოწვევის, ქვორუმის მოთხოვნებისა და, ამ ხელშეკრულების დებულებების გათვალისწინებით, სხვადასხვა გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი უმრავლესობის თაობაზე.

### **კომენტარი**

მე-15 მუხლი პირველია იმ 11 მუხლიდან (მუხლები: 15–25),



რომლებიც შეიცავს ადმინისტრაციულ და დასკვნით დებულებებს. მე-15 მუხლი ეხება WCT-ის ასამბლეის დაარსებას, მის ფუნქციებს, მონაწილე მხარეების წარმომადგენლობასა და სხვა. იგი მნიშვნელოვნად გვაგონებს ბერნის კონვენციის 22-ე მუხლს ბერნის კავშირის ქვეყნების მიერ ასამბლეის დაარსებასთან დაკავშირებით. მაგრამ, თუ ბერნის კონვენციის ამ მუხლში გამოყენებულია გამოთქმა „ქვეყნის მთავრობა“, WCT-ში ლაპარაკია „ხელშეკრულების მხარეზე“, რაც განპირობებულია ამ უკანასკნელში სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობის შესაძლებლობით.

მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტი ადგენს ხელშეკრულების დამდები მხარეების უფლებას დააფუძნონ ასამბლეა, (ბ) ქვეპუნქტი კი განსაზღვრავს მხარის უფლებას წარმოდგენილი იყოს ერთი დელეგატი. მუხლი 15(2) ეხება ასამბლეის ფუნქციებს. თუ მისი (ა) ქვეპუნქტი აღწერს ამ ფუნქციებს ზოგადად, (ბ) ქვეპუნქტი კონკრეტულად ეხება ასამბლეის დისკრეციას სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების ხელშეკრულების მხარედ გახდომის თაობაზე, ხოლო (გ) კი შეიცავს დებულებებს, რომლებიც ეხება დიპლომატიურ კონფერენციაზე WCT ხელშეკრულების გადახედვის შესაძლებლობას. მუხლი 15(1)(გ) აწესრიგებს ხარჯების განწესის საკითხებს და ითვალისწინებს ფინანსური დახმარების შესაძლებლობას იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც გაერო-ს მიერ განიხილება განვითარებად ქვეყნებად ან არიან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში.

## **მუხლი 16. საერთაშორისო ბიურო**

ამ ხელშეკრულების შესაბამისად, ისმო-ს საერთაშორისო ბიურო ასრულებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს.

### **კომენტარი**

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო წარმომადგენს ბერნის კონვენციის და ისმო-ს მიერ ადმინისტრირებადი საერთაშორისო ხელშეკრულებების სამდივნოს. ისმო-ს უფლება ხელშეკრულებების ადმინისტრირებაზე დადგენილია ისმო-ს კონვენციის მე-4 მუხლით. საერთაშორისო ბიურო შექმნილია ისმო-ს კონვენციის მე-9 მუხლის საფუძველზე. ისმო-ს საერთაშორისო ბიუროს ფუნქციები საავტორო უფლებების სფეროში დეტალურადაა განვლილი ბერნის კონვენციის 24-ე მუხლში და, ამდენად, არ იქნა მიჩნეული საჭიროდ მისი WCT ხელშეკრულებაში ხელახალი განმეორება.

## **მუხლი 17. ხელშეკრულების მხარედ გახდომის უფლება**

(1) ისმო-ს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მხარე.

(2) ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ხელშეკრულების მხარედ ნებისმიერი იმ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის დაშვების თაობაზე, რომელიც აცხადებს, რომ კომპეტენტურია და აქვს ამგვარი ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოსათვის სავალდებულო საკუთარი ნორმატიული ბაზა ამ ხელშეკრულებით მოცულ საკითხებზე და თავისი შიდა პროცედურების შესაბამისად, სათანადოდ უფლებამოსილია გახდეს ამ ხელშეკრულების მხარე.

(3) ევროპის გაერთიანებას, რომელმაც წინა პუნქტში ნახსენები განცხადება გააკეთა ამ ხელშეკრულების მიმღებ დიპლომატიურ კონფერენციაზე, შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

### **კომენტარი**

მუხლის 17(1) თანახმად, ისმო-ს წევრ ყველა სახელმწიფოს შეუძლია გახდეს WCT ხელშეკრულების მხარე. ეს მუხლი ამავე უფლებას ანიჭებს გარკვეულ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებს (მუხლი 17(2) და ევროპის გაერთიანებას (მუხლი 17(3))). სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის დაშვების პირობად განსაზღვრულია შესაბამისი კომპეტენტურობის არსებობა და ამგვარი ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოში ამ ხელშეკრულებით დარეგულირებულ საკითხებზე სავალდებულო ნორმატიული ბაზის არსებობა.

## **მუხლი 18. ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები**

თუ ეს ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სხვა სპეციალურ დებულებებს, ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე სარგებლობს ყველა უფლებით და თავის თავზე იღებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას.

### **კომენტარი**

მე-18 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების დამდები მხარე სარგებლობს ყველა უფლებით და თავის თავზე იღებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას, თუ ამ ხელშეკრულებაში არ არის მოცემული სხვა სპეციალური დებულებები.

---

ეს მუხლი თანაბრად ეხება როგორც მონაწილე სახელმწიფოებს, ისე სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებსა და ევროპის გაერთიანებას. ფრაზა „თუ ეს ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სხვა სპეციალურ დებულებებს“ მიუთითებს სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების და ევროპის გაერთიანების უფლებაზე საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღონ მათში შემავალი სახელმწიფოების სახელით და კენჭისყრის პროცედურისას გამოიყენონ მათი ხმები.

### **მუხლი 19. ხელშეკრულების ხელმოწერა**

ისმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსა და ევროპის გაერთიანებისათვის ეს ხელშეკრულება ხელმოწერისათვის ღიაა 1997 წლის 31 დეკემბრამდე.

#### **კომენტარი**

WCT ხელშეკრულებამ ისმო-ს წევრი სახელმწიფოებისა და ევროპის გაერთიანებისათვის ხელშეკრულების ხელმოწერის ზღვრულ ვადად განსაზღვრა 1997 წლის 31 დეკემბერი. ხელშეკრულების ხელმოწერა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გზავნილია მოლაპარაკებებში მონაწილე მხარეების მხრიდან ხელშეკრულების მხარდაჭერის თაობაზე. ეს ხელმოწერა ავალდებულებს მათ თავი შეიკავონ ნებისმიერი აქტისგან, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ხელშეკრულების მიზანსა და ობიექტს. იმავედროულად აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების ხელმოწერა არ ავალდებულებს ხელმოწერებს ხელშეკრულებასთან მიერთებას. აღსანიშნავია, რომ დადგენილ ვადაში WCT ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 50 სახელმწიფომ და ევროპის გაერთიანებამ.

### **მუხლი 20. ხელშეკრულების ძალაში შესვლა**

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის 30 სახელმწიფოს მიერ ისმო-ს გენერალური დირექტორისთვის სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ.

#### **კომენტარი**

ამ მუხლის თანახმად, ხელშეკრულება ძალაში უნდა შესულიყო სამი თვის შემდეგ, მას მერე, რაც 30 სახელმწიფო ისმო-ს გენერალურ დირექტორს შესანახად ჩააბარებდა სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტებს, რაც განხორციელდა

კიდევ 2002 წლის 6 მარტს. 2016 წლის 1 მარტის მდგომარეობით, WCT ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა რაოდენობა შეადგენდა 94-ს. აღსანიშნავია, რომ საქართველო ხელშეკრულებას მიუერთდა 2001 წლის 4 ივლისს.

### **მუხლი 21. ხელშეკრულების მხარედ გახდომის თარიღი**

ეს ხელშეკრულება სავალდებულო ხდება:

- (i) მე-20 მუხლში ნახსენები 30 სახელმწიფოსთვის ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან;
- (ii) ყველა სხვა სახელმწიფოსთვის ამ სახელმწიფოს მიერ ისმო-ს გენერალური დირექტორისთვის თავისი დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ;
- (iii) ევროპის გაერთიანებისთვის სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, თუ ეს დოკუმენტი შესანახად ჩაბარდა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ მე-20 მუხლის შესაბამისად, ან ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან სამი თვის შემდეგ, თუ ეს დოკუმენტი შესანახად ჩაბარდა ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე;
- (iv) ნებისმიერი სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციისათვის, რომელიც დაშვებულია ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად, ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ.

### **კომენტარი**

ამ მუხლის შესაბამისად, მე-20 მუხლში ნახსენები 30 სახელმწიფოსთვის WCT-ის მონაწილედ გახდომის თარიღად განისაზღვრება ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი (მუხლი 21(i)). დანარჩენ სახელმწიფოთათვის კი ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის გასვლის თარიღი (მუხლი 21(ii)).

ასეთივე წესი იყო დადგენილი ევროპის გაერთიანებისთვის (მუხლი 21(iii)), რომლის შესაბამისად ის WCT-სთან მიერთებულად ითვლება 1996 წლის 20 დეკემბრიდან. მუხლის 21(iv) შესაბამისად, ნებისმიერი სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, ხელშეკრულებასთან მიერთებულად ითვლება შესაბამისი დოკუმენტის ისმო-ში შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ.

---

## **მუხლი 22. ხელშეკრულებაში დათქმების გაკეთების დაუშვებლობა**

ამ ხელშეკრულებაში რაიმე დათქმების გაკეთება დაუშვებელია.

### **კომენტარი**

საზოგადოდ, სახელმწიფოთათვის დათქმების გაკეთების შესაძლებლობა ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო მათი საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიერთებისათვის. ასეთი დათქმა წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ რომელიმე ვალდებულებაზე ცალმხრივად უარის თქმის შესახებ ოფიციალური განცხადების გაკეთების შესაძლებლობას. დათქმების გაკეთება შეზღუდულია ბერნის კონვენციაში. ამ თვალსაზრისით, უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა რომის კონვენცია.

TRIPS შეთანხმება, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრების თანხმობის გარეშე, კრძალავს დათქმების გაკეთებას მის ნებისმიერ დებულებასთან დაკავშირებით. ამ მხრივ, WCT უფრო კატეგორიულია და საერთოდ გამორიცხავს დათქმების გაკეთების შესაძლებლობას.

## **მუხლი 23. ხელშეკრულების დენონსაცია**

ამ ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოახდინოს ხელშეკრულების დენონსაცია ისმო-ს გენერალური დირექტორისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით. ნებისმიერი დენონსაცია ძალაში შედის ისმო-ს გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ.

### **კომენტარი**

ჩვეულებრივ, საერთაშორისო ხელშეკრულებები ძალაშია დროის ლიმიტირების გარეშე. მაგალითად, ბერნის კონვენციის მუხლი 35(1) ცალსახად ადგენს, რომ „ეს კონვენცია მოქმედებს დროის შეზღუდვის გარეშე.“ ხელშეკრულება ექვემდებარება დენონსაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირაა მითითებული ამ ხელშეკრულებაში. ბერნის კონვენცია (მუხლები: 35(2)–(4)) და რომის კონვენცია (მუხლი 28) ითვალისწინებს დენონსაციას, მაგრამ იგი შეიძლება განხორციელდეს ხელშეკრულებასთან მიერთებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. ბერნისა და რომის კონვენციებისთვის ეს ვადა შეადგენს 5 წელს. დენონსაციით წყდება მხოლოდ კონკრეტული

მხარის მონაწილეობა ხელშეკრულებაში და არანაირად არ ეხება სხვა მონაწილეებს.

ბერნისა და რომის კონვენციებისაგან განსხვავებით, WCT ხელშეკრულება არ ადგენს დენონსაციის თარიღთან დაკავშირებულ რაიმე შეზღუდვას. WCT ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ ხელშეკრულების დენონსაცია ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით, რომელიც ძალაში შედის ისმო-ს გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ.

#### **მუხლი 24. ხელშეკრულების ენები**

(1) ამ ხელშეკრულების ხელმოწერა ხდება ერთ ეგზემპლარად რუსულ, ინგლისურ, არაბულ, ესპანურ, ჩინურ და ფრანგულ ენებზე. ამასთან, ამ ენებზე შესრულებული ყველა ტექსტი ავთენტიკურია.

(2) ოფიციალურ ტექსტს ნებისმიერ ენაზე, გარდა პუნქტში (1) ნახსენები ენებისა, დაინტერესებული მხარის თხოვნით, ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების შემდეგ, ამტკიცებს ისმო-ს გენერალური დირექტორი. ამ პუნქტში ნახსენები „დაინტერესებული მხარე“ შეიძლება იყოს ისმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფო, რომლის ოფიციალური ან ერთ-ერთი ოფიციალური ენა თხოვნის საგანია, აგრეთვე, ევროპის გაერთიანება და ნებისმიერი სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება ამ ხელშეკრულების მონაწილე გახდეს, თუ მისი ერთ-ერთი ოფიციალური ენა თხოვნის საგანია.

#### **კომენტარი**

ვინაიდან საერთაშორისო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები, ჩვეულებრივ, მიმდინარეობს რამდენიმე ენაზე, მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების იმ ოფიციალური ენების თაობაზე, რომლებზეც უნდა ითარგმნოს ხელშეკრულების საბოლოო ტექსტი. ყოველი ასეთი თარგმანი ოფიციალურად მტკიცდება შესაბამისი სამდივნოს მიერ. ამასთან ერთად დგინდება ხელშეკრულების ავთენტიკური ენები, რომელთა საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხდება ხელშეკრულების დებულებების ინტერპრეტირება.

---

ბერნის კონვენციის მიხედვით, კონვენციასთან მიერთებისას ხელი ეწერება კონვენციის ფრანგულ და ინგლისურ ტექსტებს (მუხლი 37(1)). ორივე ეს ტექსტი მიიჩნევა ავთენტურად, თუმცა, ინტერპრეტირების დროს წამოჭრილ არაერთგვაროვნებისას უპირატესობა ეძლევა ფრანგულ ვერსიას (მუხლი 37(3)). მუხლის 37(2) შესაბამისად, კონვენციის ოფიციალური ტექსტები შემუშავდება ისმო-ს გენერალური დირექტორის მიერ დაინტერესებულ მთავრობებთან ერთად ინგლისურ, არაბულ, ჩინურ, ფრანგულ, რუსულ, ესპანურ, ან ასამბლეის მიერ მითითებულ სხვა ენაზე.

რომის კონვენციის შემთხვევაში, ავთენტურად აღიარებულია ინგლისური, ფრანგული და ესპანური ტექსტები, რომლებიც კონვენციის ინტერპრეტირებისას სარგებლობენ ერთნაირი სტატუსით. გარდა ამისა, ოფიციალურ ენებად დადგენილია გერმანული, იტალიური და პორტუგალიური.

ამჟამად ისმო, როგორც გაერო-ს სპეციალიზირებული დანესებულება, თავის მუშაობაში იყენებს გაერო-ს მიერ აღიარებულ ექვსივე ოფიციალურ ენას (ინგლისური, არაბული, ჩინური, ფრანგული, რუსული და ესპანური). აღნიშნული ასახულია მუხლში 24(1), რომლის მიხედვით WCT-ის ამ ენებზე შესრულებული ექვსივე ტექსტი ავთენტიკურია. თუმცა, გარდა ზემოხსენებული ენებისა, დაინტერესებული მხარის თხოვნით, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შემდეგ, ისმო-ს გენერალურმა დირექტორმა შეიძლება დაამტკიცოს ოფიციალური ტექსტი სხვა ენაზეც (მუხლი 24(2)). ამჟამად, ზემოხსენებული ექვსი ენის გარდა, WCT-ის ოფიციალური ტექსტები არსებობს გერმანულ და პორტუგალიურ ენებზეც.

## **მუხლი 25. დეკლარაცია**

ამ ხელშეკრულების დეკლარაცია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი.

## **კომენტარი**

მართალია, WCT-ის ეს მუხლი ადგენს, რომ ხელშეკრულების დეკლარაცია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი, მაგრამ არაფერს ამბობს მისი, როგორც

---

დეკომიტარის, ფუნქციებზე. ეს ფუნქციები შეიძლება ამოვიკითხოთ WCT-ის სხვა მუხლებში, კერძოდ: მუხლი 19 – ხელშეკრულების ღიად გამოცხადება ხელმწიფრისათვის; მუხლი 20 – მისი ძალაში შესვლა; მუხლი 21 – ხელშეკრულების მონაწილედ გახდომა; მუხლი 23 – შეთანხმების დენონსაცია.



---

## ნაწილი 2

### ისმო-ს ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ (WPPT)

WPPT ხელშეკრულებამ წარმოადგინა მნიშვნელოვანი ნაბიჯი მომიჯნავე უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლის განვითარების სფეროში. ის უზრუნველყოფს შემსრულებელთა და ფონოგრამის დამამზადებელთა უკვე აღიარებული უფლებების შენარჩუნებას და, აგრეთვე, ანიჭებს მათ ახალ უფლებებს დაკავშირებულს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და ტექნოლოგიურ გამონგვევებთან. ხელშეკრულებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა შემსრულებელთა და ფონოგრამის დამამზადებელთა უფლებების საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან ადაპტაციის საკითხს, აგრეთვე, ბენეფიციარებისა და საზოგადოების ინტერესების ბალანსის უზრუნველყოფის პრობლემებს, განსაკუთრებით საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროებთან და ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში.

#### **ტექსტობრივი სტრუქტურა**

ხელშეკრულება შედგება პრეამბულისა და 33 მუხლისაგან, რომლებიც მოცემულია ხუთ თავში. ესენია: ზოგადი დებულებები (განსაზღვრებები, ბენეფიციარები, ეროვნული რეჟიმი და ა.შ.); შემსრულებელთა არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები; ფონოგრამის დამამზადებლების ქონებრივი უფლებები; ერთობლივი დებულებები (ანაზღაურების მიღების უფლება, გამონაკლისები და შეზღუდვები, დაცვის ვადები და სხვ.), ასევე, ადმინისტრაციული და დასკვნითი დებულებები.

#### **იურიდიული სტრუქტურა**

ხელშეკრულების ბენეფიციარები არიან ხელშეკრულების დამდები სხვა მხარეების მოქალაქე შემსრულებლები და ფონოგრამის დამამზადებლები (მუხლი 3(1)). მუხლის 3(2) შესაბამისად, ხელშეკრულების დამდები სხვა მხარეების მოქალაქეებში იგულისხმებიან ის შემსრულებლები და ფონოგრამის დამამზადებლები, რომლებიც აკმაყოფილებენ „რომის კონვენციით“ გათვალისწინებულ დაცვის მინიჭებისათვის აუცილებელ კრიტერიუმებს. შესაბამისად, დაცვის ობიექტებს წარმოადგენს შესრულებები და ფონოგრამები, რომელთა

დაცვის პირობად განსაზღვრულია რომის კონვენციით დადგენილი კრიტერიუმები.

ხელშეკრულების მე-5 მუხლი შემსრულებლებს ანიჭებს შემსრულებლად ცნობისა და შესრულების ხელშეუხებლობის არაქონებრივ უფლებებს.

ხელშეკრულების ექვს მუხლში ასახულია შემსრულებლების ქონებრივი უფლებები, კერძოდ:

მუხლი 6 – ჩაუნერეელი შესრულებების ეთერში და საჯარო გადაცემა (გამონაკლისების დაშვებით) და ჩაუნერეელი შესრულებების ჩანერა;

მუხლი 7 – ფონოგრამების რეპროდუცირება;

მუხლი 8 – ფონოგრამების გავრცელება;

მუხლი 9 – ფონოგრამების კომერციული გაქირავება;

მუხლი 10 – ჩანერილი შესრულებების მოთხოვნით ხელმისაწვდომობა;

მუხლი 15 – ფონოგრამის ეთერით და საჯარო გადაცემებში გამოყენებისათვის ანაზღაურების მიღება.

ხელშეკრულების მუხლებში (11–15) ასახულია ფონოგრამის დამამზადებელთა ქონებრივი უფლებები:

მუხლი 11 – ფონოგრამების რეპროდუცირება;

მუხლი 12 – ფონოგრამების გავრცელება;

მუხლი 13 – ფონოგრამების კომერციული გაქირავება;

მუხლი 14 – ფონოგრამების მოთხოვნით ხელმისაწვდომობა;

მუხლი 15 – ფონოგრამების ეთერით და საჯარო გადაცემებში გამოყენებისათვის ანაზღაურების მიღება.

მონაწილე მხარეებს აქვთ შეზღუდვებისა და გამონაკლისების დაშვების უფლება ბერნის კონვენციით დადგენილი სამსაფეხურიანი ტესტის მოთხოვნათა შესაბამისად. დაცვის ვადად განსაზღვრულია 50 წელი შესაბამისი ათვლის მომენტიდან (მუხლი 17). მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებში, მონაწილე მხარეებს პირველად დაეკისრათ ვალდებულებები ტექნოლოგიურ ზომებთან და უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში (მუხლები: 18, 19). ვალდებულებები უფლებების უზრუნველყოფის შესახებ განსაზღვრულია 23-ე მუხლში.

---

თაპი I  
**ზოგადი დებულებები**

**მუხლი 1. მიმართება სხვა კონვენციებთან**

(1) ამ ხელშეკრულების არც ერთი დებულება არ აკნინებს ვალდებულებებს, რომლებიც ხელშეკრულების დამდებ მხარეებს აქვთ ერთმანეთის მიმართ 1961 წლის 26 ოქტომბერს რომში დადებული „შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუნ-ყებლო ორგანიზაციების ინტერესების დაცვის საერთაშორისო კონვენციის“ (შემდგომში „რომის კონვენცია“) თანახმად.

(2) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვა ხელუხლებლად ტოვებს და არანაირ გავლენას არ ახდენს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების საავტორო უფლებების დაცვაზე. შესაბამისად, ამ ხელშეკრულების არც ერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ ზიანი მიადგეს ამგვარ დაცვას.

(3) ეს ხელშეკრულება არ არის დაკავშირებული სხვა რომელიმე ხელშეკრულებებთან და არ აყენებს ზიანს მათ მიერ განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებს.

**შეთანხმებული განცხადება მუხლთან 1(2) დაკავშირებით**

გაგებულია, რომ მუხლი 1(2) განმარტავს ამ ხელშეკრულებით დადგენილ ფონოგრამებთან დაკავშირებული უფლებების მიმართებას ფონოგრამებში განსახიერებულ ნაწარმოებებზე არსებულ საავტორო უფლებებთან.

იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა ნებართვის აღება, როგორც ფონოგრამაში განსახიერებული ნაწარმოების ავტორისგან, ისე შემსრულებლისა და ფონოგრამის დამამზადებლისგან, რომლებსაც გააჩნიათ უფლებები ამ ფონოგრამაზე, ავტორისაგან უფლების მიღების აუცილებლობა არ წყვეტს არსებობას იმის გამო, რომ საჭიროა შემსრულებლის ან ფონოგრამის დამამზადებლის ნებართვა და პირიქით.

შემდგომ გაგებულია, რომ არაფერი მუხლში 1(2) არ უშლის ხელს დამდებ მხარეს შემსრულებელს და ფონოგრამის დამამზადებელს მიანიჭოს განსაკუთრებული უფლებები იმ უფლებების მიღმა, რომლებიც დადგენილია ამ ხელშეკრულებით.

## კომენტარი

WPPT ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1 პუნქტი განმარტავს ამ ხელშეკრულების კავშირს რომის კონვენციასთან, მე-2 პუნქტი ეხება მის დამოკიდებულებას საავტორო უფლებებთან, ხოლო მე-3 პუნქტი ადგენს ხელშეკრულების დამოკიდებულებას სხვა ხელშეკრულებებთან.

მსგავსად უმეტესი საერთაშორისო შეთანხმებებისა, რომლებსაც იღებენ იმ სფეროებში, სადაც უკვე მოქმედებს სხვა შეთანხმებები, WPPT ხელშეკრულებაც შეიცავს სპეციალურ მუხლებს, რომლებიც არეგულირებენ მის კავშირს სხვა ხელშეკრულებებთან.

ასეთი მუხლების არარსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულებების ურთიერთდამოკიდებულება დადგინდებოდა საერთაშორისო სამართალში მიღებული პრინციპების საფუძველზე, კერძოდ, ვენის კონვენციის 30-ე მუხლის შესაბამისად, რომლის მიხედვით საერთაშორისო შეთანხმების აქტების ერთი და იმავე რანგის შემთხვევაში, მათ შორის კონფლიქტის წარმოშობისას, ურთიერთობა უნდა გაირკვეს „Lex Posterior“ და „Lex Specialis“ წესების საფუძველზე.

მუხლი 1(1) ადგენს ურთიერთკავშირს WPPT ხელშეკრულებასა და რომის კონვენციას შორის იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ორივე ხელშეკრულების მონაწილენი არიან. ამ მუხლის შესაბამისად ვალდებულებანი, რომლებიც დაკისრებული აქვს სახელმწიფოს რომის კონვენციის შესაბამისად, უნარჩუნდება მას WPPT ხელშეკრულებასთან მიერთების შემდეგაც. კერძოდ, რომის კონვენციის მონაწილე ქვეყანა ვალდებულია ამ კონვენციის მონაწილე სხვა ქვეყანას მიანიჭოს კონვენციით დადგენილი მინიმალური უფლებები. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როცა რომის კონვენციით დადგენილი დაცვის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე ეს WPPT ხელშეკრულებითაა განსაზღვრული. ამის მაგალითია შემსრულებლის უფლება ცოცხალი შესრულების საჯარო გადაცემასა და ჩანერაზე, რომელიც ვრცელდება როგორც აუდიო, ისე აუდიო-ვიდეო შესრულებებზე.

WPPT ხელშეკრულების თანახმად, შემსრულებლის ეს უფლებები ვრცელდება მხოლოდ აუდიო შესრულებაზე, ანუ უფრო ვიწროა რომის კონვენციით დადგენილ უფლებებთან შედარებით. მუხლის 1(1) თანახმად, ორივე ხელშეკრულების მონაწილე მხარე ვალდებულია რომის კონვენციის მე-7 მუხლის შესაბამისად, ცოცხალი შესრულების საჯარო გადაცემის და ჩანერის განსაკუთრებული უფლების მოქმედება გააგრძელოს აუდიო-ვიდეო შესრულებებზეც.

იმავედროულად, მუხლი 1(1) არ აძლევს მონაწილე მხარეებს ამ ხელშეკრულებით დადგენილზე ნაკლები დაცვის გამოყენების უფლებას, რაც მათ შეეძლოთ გამოეყენებინათ რომის კონვენციაზე დაყრდნობით. მაგალითად, რომის კონვენციის მონაწილე ქვეყანას შეეძლო უარი ეთქვა ფონოგრამის გაქირავების განსაკუთრებული უფლების მინიჭებაზე, მაგრამ WPPT ხელშეკრულებასთან მიერთების შემდეგ, ის ვალდებულია ეს უფლებები მიანიჭოს შემსრულებელსა და ფონოგრამის დამამზადებელს.

ეს მუხლი ეხება მხოლოდ რომის კონვენციით დადგენილ ვალდებულებებს და არა იმ შემთხვევებს, დათქმებსა და გამონაკლისებს, რომლებიც რომის კონვენციით გარკვეულ უფლებებთან დაკავშირებით, ამის მაგალითია რომის კონვენციის მე-7, მე-15 და მე-16 მუხლები.

WPPT ხელშეკრულების მუხლი 1(2) იმეორებს რომის კონვენციის 1-ლი მუხლის ფორმულირებას. მისი მიზანია WPPT ხელშეკრულებით ხელუხლებელი დარჩეს იმ პრინციპების მოქმედება, რომლებიც დაამკვიდრა რომის კონვენციამ მომიჯნავე უფლებების საავტორო უფლებებთან მიმართებაში.

ამ მუხლის შესაბამისად, WPPT ხელშეკრულება ხელუხლებლად ტოვებს და ზიანს არ აყენებს საავტორო უფლებებს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებზე. აქ, ბერნის კონვენციის მსგავსად, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები გაგებულია ფართოდ და მოიცავს ნებისმიერ, მათ შორის, მუსიკალურ ნაწარმოებსაც.

აღნიშნული მუხლი, რომელიც თავისი შინაარსით საავტორო უფლებების დამცველი მუხლია, გამოიყენება დამოუკიდებლად იმისა, არის თუ არა WPPT ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანა ბერნის კონვენციის თუ საავტორო უფლებების სფეროში მოქმედი ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე.

მუხლის 1(2) თანახმად, WPPT ხელშეკრულების დებულებების ინტერპრეტაციისას, გამოყენებულ უნდა იქნეს საავტორო უფლებების დამცველი პრინციპი. ამ მუხლში საავტორო უფლებების დაცვის ხელშეუხებლობა გაიგება ფართოდ. ის მოიცავს არა მხოლოდ მატერიალურ უფლებებს, არამედ უფლებების მოქმედების ხანგრძლივობასა და უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებულ დებულებებს, მაგრამ არ ფარავს ავტორის ეკონომიკურ ინტერესს, რომელიც შეიძლება გარკვეულად დაკნინდეს შემსრულებლის ან ფონოგრამის დამამზადებლის მიერ ავტორის ნაწარმოებთან

დაკავშირებით უფლებების რეალიზებისას. ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ის არ იძლევა საავტორო უფლებების ცალმხრივად გამოყენების გარანტიას. ეს საკითხი დეტალურადაა განმარტებული მუხლთან 1(2) დაკავშირებულ შეთანხმებულ განცხადებაში.

მაგალითად, საავტორო უფლებების რეალიზებას შეიძლება ზიანი მიადგეს, თუ ფონოგრამის გამოყენებისათვის საჭიროა შემსრულებლის და ფონოგრამის დამამზადებლისგან უფლების მიღება. ცხადია, თუ არ იარსებებს შესაბამისი ნებართვა შემსრულებლის ან ფონოგრამის დამამზადებლისგან, ავტორი ვერ მოახდენს თავისი უფლებების რეალიზებას. ამ პრინციპს, რა თქმა უნდა, აქვს უკუქმედებაც – თუ არ არსებობს ავტორის ნებართვა, შემსრულებელი და ფონოგრამის დამამზადებლები ვერ განახორციელებენ შესაბამის უფლებებს.

ამდენად, უნდა ითქვას, რომ ავტორის, შემსრულებლისა და ფონოგრამის დამამზადებლის უფლებები ერთმანეთისგან დამოუკიდებელია. ფონოგრამის გამოყენებისთვის აუცილებელია სამივეს თანხმობა და თუკი ერთ-ერთი მათგანი აკრძალავს ფონოგრამის გამოყენებას, ვერ მოხდება დანარჩენი ორი სუბიექტის უფლებების რეალიზებაც. შეთანხმებული განაცხადის პირველი აბზაციდან, ასევე, გამომდინარეობს, რომ საავტორო უფლებების დამცველი პრინციპი გამოყენებულ უნდა იქნეს WPPT-ის მუხლების ინტერპრეტაციისას.

შეთანხმებული განცხადების მეორე აბზაცი მიუთითებს იმაზე, რომ საავტორო უფლებების დამცველი პრინციპი არავითარ შემთხვევაში არ ზღუდავს ქვეყნებს ეროვნული კანონმდებლობით დაადგინონ WPPT ხელშეკრულებით განსაზღვრულზე უფრო მკაცრი მოთხოვნები.

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში ლაპარაკია განსაკუთრებული უფლებების გაძლიერების საშუალებაზე, მხარეები არ არიან შეზღუდულნი უფრო მკაცრი მოთხოვნების დანესებაში სხვა უფლებებთან დაკავშირებით (მაგ., ანაზღაურების ან პირადი არაქონებრივი უფლებები). ეს გამომდინარეობს იმ ზოგადი პრინციპიდან, რომ WPPT ხელშეკრულება უფლებებთან დაკავშირებით ადგენს მხოლოდ მინიმალურ სტანდარტებს, უფრო მკაცრი მოთხოვნების ჩამოყალიბებას კი ქვეყნების პრეროგატივად ტოვებს.

მუხლი 1(3) ადგენს WPPT-ის კავშირს სხვა მოქმედ ხელშეკრულებებთან. ერთი შეხედვით, ეს მუხლი ორაზროვანია, მაგრამ ვინაიდან WPPT ხელშეკრულების ურთიერთობა რომის კონვენციასთან დარეგულირებულია მუხლით 1(1), მუხლი 1(3) „სხვა

ხელშეკრულებებში“ მოიაზრებს ყველა ხელშეკრულებას რომის კონვენციის გარდა.

რომის კონვენციის 22-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ ერთმანეთთან ისეთი სპეციალური შეთანხმებების დადების უფლება, რომლებიც შემსრულებლებს, ფონოგრამების დამამზადებლებს, ან მაუნყებლობის ორგანიზაციებს ანიჭებს ამ კონვენციით მინიჭებულზე ფართო უფლებებს, ან შეიცავს დებულებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კონვენციას. WPPT ხელშეკრულება პირდაპირ არ უთითებს, რომ ის რომის კონვენციის 22-ე მუხლით განსაზღვრული სპეციალური შეთანხმებაა, მაგრამ ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, იგი ასეთად უნდა მივიჩნიოთ.

ის ფაქტი, რომ რომის კონვენციისაგან განსხვავებით, WPPT ხელშეკრულება არ ვრცელდება მაუნყებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, ხელს არ უშლის, რომ WPPT ხელშეკრულება მიჩნეულ იქნეს რომის კონვენციის 22-ე მუხლით განსაზღვრულ სპეციალურ შეთანხმებად, რაზეც მიუთითებს სიტყვა „ან“ ამ მუხლის ფრაზაში: „... თუ ისინი შეძლებენ შემსრულებლის, ფონოგრამის დამამზადებლის, ან მაუნყებლობის ორგანიზაციებისთვის უფრო ფართო უფლებების უზრუნველყოფას...“

ამდენად, WPPT ხელშეკრულების მუხლის 1(3) პირველი ნაწილი: „ეს ხელშეკრულება არ არის დაკავშირებული სხვა რომელიმე ხელშეკრულებასთან...“ მიუთითებს იმას, რომ WPPT ხელშეკრულებას რომის კონვენციის გარდა არ აქვს კავშირი არც ერთ სხვა ხელშეკრულებასთან (მაგ.: ბერნის კონვენციასთან, ფონოგრამების შესახებ ჟენევის კონვენციასთან, საავტორო უფლებების უნივერსალურ კონვენციასთან). მიუხედავად იმისა, რომ WPPT-ის მომზადება და განხილვა ხდებოდა WCT-ის პარალელურად და ისინი შეიცავენ მსგავს დებულებებს, მათ შორის, ასევე, არ არსებობს რაიმე სამართლებრივი კავშირი.

WPPT-ის, აგრეთვე, არა აქვს სამართლებრივი კავშირი TRIPS შეთანხმებასთან, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ხელშეკრულებაში რიგი დებულებები ერთნაირადაა ფორმულირებული. WPPT-ის კავშირი სხვა ხელშეკრულებებთან კიდევ უფრო სპეციფიკურად არის გამოხატული მუხლის 1(3) მეორე ფრაზაში: „არ აკნინებს მათ მიერ განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებს“. მაგალითად, WPPT-ის მონაწილე ქვეყნები, რომლებიც იმავდროულად არიან

TRIPS შეთანხმების მონაწილენი, გააჩნიათ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები TRIPS-ის მონაწილე სხვა ქვეყნებთან მიმართებაში.

რაც შეეხება, ამ თვალსაზრისით, რომის კონვენციასთან კავშირს, იგი, როგორც ითქვა, გამომდინარეობს მუხლიდან 1(1) და ვრცელდება მხოლოდ ვალდებულებაზე და არა უფლებაზე.

## **მუხლი 2. განსაზღვრებები**

ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის:

**(ა)** „შემსრულებლები“ არიან მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები, მოცეკვავეები და სხვა პირები, რომლებიც ასრულებენ როლებს, მღერიან, კითხულობენ (მათ შორის, მხატვრულად), უკრავენ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, ახდენენ ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოებების, ან ხალხური შემოქმედების ნიმუშების ინტერპრეტირებას ან რაიმე სხვა სახით ასრულებენ მათ;

**(ბ)** „ფონოგრამა“ ნიშნავს შესრულების ან სხვა ხმების ჩანაწერს, ან ხმების გამოხატულებას, გარდა იმ ხმებისა, რომლებიც ჩანაწერის სახით ჩართულია კინემატოგრაფიულ ან სხვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში;

**(გ)** „ჩანაწერი“ ნიშნავს ხმების ან მათი გამოხატულებების განსახიერებას, რომელიც მისი აღქმის, რეპროდუცირების ან შესაბამისი მონეობილობის მეშვეობით გადაცემის საშუალებას იძლევა;

**(დ)** „ფონოგრამის დამამზადებელი“ ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც თავის თავზე იღებს ინიციატივას და პასუხისმგებელია შესრულების ან სხვა ხმების, ან მათი გამოხატულების პირველ ჩაწერაზე;

**(ე)** შესრულების ჩანაწერის ან ფონოგრამის „გამოქვეყნება“ ნიშნავს საზოგადოებისთვის შესრულების ჩანაწერის ან ფონოგრამის შეთავაზებას უფლებამოსილი პირის თანხმობით იმ პირობით, რომ საზოგადოებას ასლები გონივრული რაოდენობით მიეწოდება;

**(ვ)** „ეთერით მაუწყებლობა“ ნიშნავს კავშირგაბმულობის უსადენო საშუალებებით ხმების ან გამოსახულებებისა და ხმების, ან მათი გამოხატულებების საზოგადოებისთვის მიწოდებას; თანამგზავრის მეშვეობით განხორციელებული ამგვარი გადაცემა, ასევე, წარმოადგენს „ეთერით მაუწყებლობას“; კოდირებული სიგნალების გადაცემა წარმოადგენს „ეთერით მაუწყებლობას“, თუ დეკოდირების



საშუალებები საზოგადოებას მიენოდება სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ ან მისი თანხმობით;

**(8)** შესრულების ან ფონოგრამის „საჯარო გადაცემა“ ნიშნავს შესრულების ხმების ან ფონოგრამაზე ჩანერილი ხმების ან მათი გამოხატულების ტრანსმისიას საზოგადოებისათვის ნებისმიერი საშუალებით, გარდა ეთერით მაუწყებლობისა. მე-15 მუხლის მიზნებისთვის „საჯარო გადაცემა“ მოიცავს ფონოგრამაზე ჩანერილი ხმების ან ხმების გამოხატულების გახდომას სმენით აღქმადად საზოგადოებისთვის.

### **შეთანხმებული განცხადება მუხლთან 2(ბ) დაკავშირებით**

გაგებულია, რომ მუხლში 2(ბ) მოცემული ფონოგრამის განსაზღვრება არ გულისხმობს, რომ მასზე არსებული უფლებები რაიმენაირად შელახულია მათი კინემატოგრაფიულ ან სხვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში გამოყენების გზით.

### **შეთანხმებული განცხადება მე-2(გ), მე-8, მე-9, მე-12 და მე-13 მუხლებთან დაკავშირებით**

ამ მუხლებში გამოყენებული ტერმინები „ასლები“ და „ორიგინალები და ასლები“, რომლებიც, ამ მუხლების შესაბამისად, გავრცელების უფლებისა და გაქირავების უფლების ობიექტებია, ეხება მხოლოდ ჩანერილ ასლებს, რომლებიც შეიძლება ჩართულ იქნეს ბრუნვაში მატერიალური ობიექტების სახით.

### **კომენტარი**

WPPT ხელშეკრულების მე-2 მუხლში მოცემულია ამ ხელშეკრულების ტექსტში გამოყენებული ტერმინების განსაზღვრებები. WPPT ხელშეკრულების მე-2 მუხლის მოდელი რომის კონვენციის მე-3 მუხლია, საიდანაც მოცემული ტერმინების განსაზღვრებები შესაბამისი შესწორებებითა და დამატებებით გადატანილია მე-2 მუხლში. ამ უკანასკნელში დამატებულია მხოლოდ ორი ტერმინის – „ჩანანერი“ და „საჯარო გადაცემა“ განსაზღვრება.

აღნიშნული განპირობებულია საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკით, რომლის მიხედვითაც ახალ ხელშეკრულებებში გადმოაქვთ შესაბამის სფეროებში მოქმედი სხვა ხელშეკრულებების ცალკეული მუხლები და, საჭიროებისამებრ, შეაქვთ შესწორებები და დამატებები მათ დებულებებში.

## მუხლი 2(ა) – შემსრულებლები

WPPT ხელშეკრულების მუხლის მე-2(ა) შესაბამისად, შემსრულებლებს მიეკუთვნებიან: მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები, მოცეკვავეები და სხვა პირები, რომლებიც ასრულებენ როლებს, მღერიან, კითხულობენ (მათ შორის, მხატვრულად), უკრავენ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, ახდენენ ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებების ან ხალხური შემოქმედების ნიმუშების ინტერპრეტაციას ან რაიმე სხვა სახით ასრულებენ მათ.

რომის კონვენციის მუხლის 3(ა) მსგავსად, გამოთქმა „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები“ მოიცავს იმ ნაწარმოებებს, რომლებიც განსაზღვრულია ბერნის კონვენციის მუხლით 2(1). როგორც რომის კონვენციის, ისე WPPT ხელშეკრულების მიზნებისთვის ამგვარ ნაწარმოებებს მიეკუთვნება დრამატული და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები; ქორეოგრაფიული ნაწარმოებები და პანტომიმები; მუსიკალური ნაწარმოებები ტექსტით და უტექსტოდ, ლიტერატურის ნაწარმოებები და სხვა სახის ნაწარმოებები, რომელთა შესრულებაც არის შესაძლებელი.

გამოთქმა „ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებები“ მოიცავს როგორც საავტორო უფლებებით დაცულ ნაწარმოებებს, ისე ისეთ ნაწარმოებებსაც, რომლებიც უკვე საჯარო კუთვნილებას წარმოადგენს, ან საერთოდ არ ყოფილან დაცული მათი შექმნის დროს საავტორო უფლებების დაცვის სისტემის არარსებობის გამო.

რომის კონვენციისგან განსხვავებით, WPPT ხელშეკრულება ითვალისწინებს ხალხური შემოქმედების (ფოლკლორი) ნიმუშების დაცვას, რამაც პირდაპირი ასახვა ჰქოვა ამ ხელშეკრულების მე-2(ა) მუხლში.

ფოლკლორის ნიმუშები ადგილობრივი თემების შემოქმედების პროდუქტია, რომლებიც, ჩვეულებრივ, თაობიდან თაობამდე განიცდიან სახეცვლილებას. ფოლკლორის ნიმუშებს წარმოადგენს: ხალხური თქმულებები, მოთხრობები, პოემები, სიმღერები, ცეკვები, ხალხური რენჯის ნაკეთობები და სხვა. ფოლკლორის ნიმუშების შემოქმედნი არ არიან პერსონიფიცირებულნი. როგორც წესი, ხალხური შემოქმედების ნიმუშები არ წარმოადგენს საავტორო უფლებებით დაცვის ობიექტებს.

ფოლკლორის ნიმუშებისგან უნდა განვასხვავოთ ნაწარმოებები, რომლებიც შექმნილია კონკრეტული ავტორების მიერ ხალხური შემოქმედების ნიმუშების საფუძველზე და შეიცავს მათ ცალკეულ

ელემენტებს. ასეთი ნაწარმოებები, ბერნის კონვენციის გაგებით, მიეკუთვნებიან ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებებს.

WPPT ხელშეკრულების მუხლში 2(ა) ჩამოთვლილი შესრულების სახეობები არ არის ამომწურავი და იძლევა მხოლოდ შესრულების ცალკეულ მაგალითებს. შესრულების ცნება მისი საჭაროობის მოთხოვნით შეზღუდული არ არის. შესრულებად მიიჩნევა ისეთი შესრულებაც, რომელიც განხორციელდა მცირე, კერძო ჯგუფის თანდასწრებით. შესრულება, ასევე, არ არის შეზღუდული მასში მხატვრული ხასიათის ელემენტების არსებობის მოთხოვნით.

შემსრულებლებს მიეკუთვნებიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც უშუალოდ ასრულებენ ნაწარმოებებს ან ფოლკლორის ნიმუშებს, ან უშუალოდ გავლენას ახდენენ შესრულებაზე. შემსრულებელთა რიცხვს არ მიეკუთვნებიან: წარმოდგენის ორგანიზატორები, რეჟისორების თანაშემწეები, ფილმის დირექტორები, სცენის მენეჯერები, ტანსაცმლის დიზაინერები, გრიმორები, სტილისტები, ასევე, მომღერლების, მუსიკოსებისა და მოცეკვავეების რეპეტიტორები.

იმავედროულად, ხმისა და სინათლის ინჟინრების (ოპერატორები) საქმიანობა თუ უშუალო გავლენას ახდენს შესრულებაზე, ანუ წარმოადგენს შესრულების აღქმისთვის მნიშვნელოვან ელემენტს, WPPT ხელშეკრულების მუხლის 2(ა) თანახმად, მიჩნეულია შესრულებად.

რომის კონვენციაში მოცემული შემსრულებლის განსაზღვრებისგან განსხვავებით, WPPT ხელშეკრულების მუხლში 2(ა) ტერმინთან „შესრულება“ (ინგ.: PERFORM) ერთად გამოყენებულია ტერმინი „ინტერპრეტაცია“ (ინგ.: INTERPRET). ამ უკანასკნელის დამატება WPPT-ში განპირობებული იყო ამ ხელშეკრულებაში ინგლისური სიტყვის „perform“ ფრანგული და ესპანური ექვივალენტების „ARTISTES INTERPRETES OU EXECUTANTS“ და „ARTISTAS INTERPRETES O EJECTANTES“ შინაარსის ასახვის მიზანშეწონილობით.

საზოგადოდ, შემსრულებლებად (ფრ.: EXECUTANTS, ესპ.: EJECTANTES) მიიჩნევიან ის პირები, რომლებიც თავად ასრულებენ ნაწარმოებებს, ხოლო ინტერპრეტატორებად კი – ისინი, რომლებიც არ მონაწილეობენ ნაწარმოების შესრულების პროცესში, თუმცა, ახდენენ უშუალო გავლენას ნაწარმოების შესრულებაზე. მაგალითად, მათ მიეკუთვნებიან: დამდგმელი რეჟისორები, აგრეთვე, დირიჟორები, რომლებიც მხოლოდ რეპეტიციამზე ორკესტრთან ერთად ამზადებენ

შესრულებას. ორივე ჯერ კიდევ რომის კონვენციამ მიიჩნია შემსრულებლად, ამ სიტყვის ფართო გაგებით.

WPPT ხელშეკრულების მუხლი 2(ა) არ ზღუდავს მონაწილე ქვეყნებს ეროვნული კანონმდებლობით მიანიჭონ ცნებას „შემსრულებელი“ უფრო ფართო მნიშვნელობა, მაგალითად, შემსრულებლებს მიაკუთვნონ ცირკის მსახიობები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყოველთვის არ ასრულებენ ნაწარმოებებს. თუმცა, ამგვარ შემთხვევაში, არ არის აუცილებელი ასეთივე დაცვა გაავრცელონ ხელშეკრულების მონაწილე სხვა ქვეყნებზე (იხ. WPPT ხელშეკრულების მუხლი (1) ამავე ხელშეკრულების მე-2 და მე-3(2) მუხლებთან მიმართებაში).

თუ შემსრულებელი ასრულებს თავისივე ნაწარმოებს, იგი ერთდროულად ექვემდებარება დაცვას, როგორც ნაწარმოების ავტორი, ისე შემსრულებელი. WPPT ხელშეკრულების მუხლის 2(ა) შესაბამისად, შემსრულებლებად მიიჩნევიან ფიზიკური პირები, მაგრამ არა შემსრულებელი კოლექტივები, ასოციაციები, კორპორაციები, ან სხვა გაერთიანებები. ორკესტრის, გუნდის, ნებისმიერი სხვა სახის ანსამბლის წევრები დაცულნი არიან, როგორც შემსრულებლები ინდივიდუალურად, თუმცა, ეს არ უკრძალავს მათ ერთობლივად განახორციელონ საქმიანობის ადმინისტრირება და ერთად დაიცვან თავიანთი უფლებები.

### **მუხლი 2(ბ) – ფონოგრამა**

WPPT ხელშეკრულების მუხლში 2(ა) მოცემული ფონოგრამის განსაზღვრება განსხვავდება რომის კონვენციაში მოცემული ანალოგიური განსაზღვრებისგან ახალი ელემენტის „ხმების გამოხატულებები“ შემოტანით.

ხმა წარმოადგენს ჰაერის ნაწილაკების რხევას, რომელიც გარემოში ტალღების სახით ვრცელდება და ადამიანის მიერ სმენის საშუალებით აღიქმება. ხმები, რომლებსაც აღვიქვამთ, შეიძლება ეკუთვნოდეს ადამიანებს, ცხოველებს, ან გამონვეული იყოს სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენებით (ჭექა-ქუხილი, ქარი, ზღვის ღელვა და სხვ.). თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობები ხმების ხელოვნურად სინთეზირების საშუალებას იძლევა. შესრულების შემთხვევაში, ჩვეულებრივ, საქმე გვაქვს სიმღერასთან, მუსიკალურ ინსტრუმენტთან ან ტექსტის წაკითხვასთან დაკავშირებულ ხმებთან.

WPPT ხელშეკრულების მუხლში 2(ბ) სიტყვების „ხმების გამოხა-

ტულებების“ არსებობა ასახავს ფონოგრამების წარმოებაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას. ციფრული ტექნოლოგიების შექმნამდე, ხმის ჩანერის ტექნიკა ეფუძნებოდა ხმის რხევის ფიქსირებას ფიზიკურ მატარებელზე (გრამფირფიტა, აუდიო ან აუდიოვიზუალური ფირი), მექანიკური, ელექტრული ან მაგნიტური სიგნალის სახით, რომელიც იმეორებდა ხმის რხევის ფორმას.

ყველა ასეთი სიგნალი, მიუხედავად მათი ბუნებისა, გაერთიანებულია ცნებაში „ანალოგური სიგნალი“. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ხდება ანალოგური სიგნალის გარდაქმნა ციფრულ სიგნალად და ფიქსირდება არა უშუალოდ ხმის რხევის ფორმა, არამედ ხმის ციფრული გამოხატულებები, რომლებიც ხმას კოდირებული სახით წარმოადგენს.

ხმის ციფრული სახით ჩანერა შესაძლებელია როგორც ინფორმაციის დამოუკიდებელ მატარებლებზე (CD ან DVD დისკები), ისე კომპიუტერის მეხსიერებაში. WPPT ხელშეკრულების მუხლში 2(ბ) მითითებული მნიშვნელობით, კომპიუტერის მეხსიერებაში არსებული ჩანაწერი წარმოადგენს ფონოგრამას. ის შეიძლება მივიჩნიოთ ტრადიციულ ტექნოლოგიაში გამოყენებული იმ ორიგინალური ჩანაწერის ანალოგად, რომლისგანაც ხდება ასლების დამზადება.

ფონოგრამის განსაზღვრებაში ახალი ელემენტის „ხმების გამოხატულებები“ ჩართვა საშუალებას იძლევა ფონოგრამის ცნება გავავრცოთ, აგრეთვე, იმ ჩანაწერებზე, რომლებიც შექმნილია ხმების კომპიუტერული სინთეზატორის საშუალებით. ამ უკანასკნელის მეშვეობით ხმების კომბინირების საფუძველზე შესაძლებელია ერთდროულად ე.წ. კომპიუტერული ნაწარმოების შექმნა და მისი ფონოგრამის ფორმირება.

WPPT ხელშეკრულების მუხლის 2(ბ) მეორე ნაწილი (...გარდა იმ ხმებისა, რომლებიც ჩანაწერის სახით ჩართულია კინემატოგრაფიულ ან სხვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში...) ადგენს ფონოგრამის ცნების კავშირს აუდიოვიზუალურ ჩანაწერთან. ამ დამატების შემოტანა მუხლში 2(ბ) განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით:

რომის კონვენციის მუხლში 3(ბ) მოცემული ფორმულირება (მხოლოდ ხმოვან ჩანაწერს...) არ მოიცავს ხმების გამოხატულების ჩანაწერს, რომელიც WPPT ხელშეკრულების მიხედვით „ფონოგრამის“ განსაზღვრების ერთ-ერთი ელემენტია.

რომის კონვენციაში ეს დებულება არ არის მკაფიოდ ჩამო-

ყალიბებული და სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამჯერად კი, ნათლად გამოიკვეთა ისმო-ს ნევერი ქვეყნების პოზიცია ცალსახად განესაზღვრათ, რომ ფონოგრამად არ მიიჩნევა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში ჩართული ხმებისა და ხმების გამოხატულებების ჩანაწერები.

მუხლთან 2(ბ) დაკავშირებული შეთანხმებული განცხადების თანახმად, ამ მუხლში მოცემული ფონოგრამის განსაზღვრება არ გულისხმობს, რომ უფლებები ფონოგრამაზე რამენაირად ილახება მისი ჩართვით კინემატოგრაფიულ ან სხვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში. ეს კი ნიშნავს, რომ თუ ფონოგრამა ჩართულია კინემატოგრაფიულ ან აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში, ეს არ უკარგავს მას ფონოგრამის სტატუსს მისი დამოუკიდებლად გამოყენებისას. კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებად მიჩნეულია ის ფილმები, რომლებიც განკუთვნილია კინოთეატრებში საჩვენებლად. ტერმინი „აუდიოვიზუალური ნაწარმოები“, კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან ერთად, მოიცავს ვიდეო და სატელევიზიო ფილმებს.

აუდიოვიზუალური ნაწარმოები გამოსახულებათა თანამიმდევრობაა, რომელიც ქმნის მოძრაობის შთაბეჭდილებას და აკმაყოფილებს ნაწარმოებად მიჩნევის კრიტერიუმებს. ამდენად, თუ ხმების ან ხმების გამოხატულებების ჩანაწერი ჩართულია ისეთ „მოძრაავ“ გამოსახულებათა თანამიმდევრობაში, რომელიც არ შეიძლება მივაკუთვნოთ კინემატოგრაფიულ ან სხვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს, მაშინ ეს ჩანაწერი წარმოადგენს ფონოგრამას.

მაგალითად, თუ რაიმე წარმოდგენა ან სპექტაკლი უბრალოდ ფირზეა გადაღებული და არ აკმაყოფილებს მის აუდიოვიზუალურ ნაწარმოებად აღიარების კრიტერიუმს, მაშინ მუსიკის ან დეკლამაციის ჩანაწერი წარმოადგენს ფონოგრამას.

## **მუხლი 2(გ) – ჩანაწერი**

ამ მუხლში ტერმინი „განსახიერება“ ნიშნავს ხმების ან ხმების გამოხატულებების მატერიალური ფორმით არსებობას. ამასთან, მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, უნდა არსებობდეს მისი შესაბამისი მონწყობილობის მეშვეობით აღქმის, რეპროდუცირების, ან გადაცემის საშუალება. ამგვარი განსახიერების მაგალითებია: გრამფირფიტები, მაგნიტოფონის ფირები, CD-ROM დისკები, თუკი ისინი შეიცავს ხმების ან ხმების გამოხატულებებს, აუდიოვიზუალური ნაწარმოების ხმის

ბილიკები და კომპიუტერის მესხიერების მონყობილობები, ხისტი დისკისა და დისკეტის ჩათვლით.

ამგვარი სახით განსახიერებელი ხმები ან ხმების გამოხატულებები შეიძლება აღქმული, რეპროდუცირებული, ან გადაცემული იყოს შესაბამისი მონყობილობების საშუალებით, მაგალითად, ეთერით, კაბელით ან ქსელის საშუალებით კომპიუტერის მესხიერებიდან.

## **მუხლი 2(დ) – ფონოგრამის დამამზადებელი**

მუხლში 2(დ) მოცემული განსაზღვრების თანახმად, ფონოგრამის დამამზადებელი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი. ფონოგრამის დამამზადებლის განმსაზღვრელი ნიშნებია პირველ ჩანერაზე ინიციატივისა და პასუხისმგებლობის აღება.

ინიციატივის აღება გამოიხატება კონკრეტული საქმიანობის განხორციელებაში პირველი ჩანერის მიზნით. ამ თვალსაზრისით, საკმარისი არაა მხოლოდ სურვილის ან იდეის არსებობა. აუცილებელია კონკრეტული ქმედებების განხორციელება მათი რეალიზებისათვის. პასუხისმგებლობის აღება ნიშნავს, რომ პირველ ჩანერასთან დაკავშირებული საქმიანობა უნდა განხორციელდეს ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ან მისი სახელით და მისი არსი იყოს განსაზღვრული ვალდებულებით. ინიციატივის და პასუხისმგებლობის აღება გამოიხატება, მაგალითად, მუსიკალური ნაწარმოების ავტორთან და შემსრულებელთან, შესაბამისი კონტრაქტების გაფორმებაში. საჭიროების შემთხვევაში, ჩანერისათვის სტუდიის და პერსონალის დაქირავებაში, ასევე, შესაძლოა დამფინანსებელ პირებთან ხელშეკრულების დადებაში და სხვა.

პირები, რომლებიც ახორციელებენ ზემოაღნიშნულ ან მსგავსი ხასიათის საქმიანობას, მიიჩნევიან ფონოგრამის დამამზადებლებად. პირი, რომლის საქმიანობა, მაგალითად, შემოიფარგლება მხოლოდ ფინანსების გამოყოფით, ან ფონოგრამის დამამზადებაზე დაკვეთის მიცემით, არ წარმოადგენს ფონოგრამის დამამზადებელს. ჩვეულებრივ, ერთი და იგივე პირი იღებს თავის თავზე როგორც ინიციატივას, ისე პასუხისმგებლობას პირველ ჩანერაზე. შესაძლებელია ისეთი შემთხვევებიც, როცა დამამზადებელი რამდენიმე პირია, რომლებიც ერთობლივად ახორციელებენ საქმიანობას.

ფონოგრამის დამამზადებლად არ მიიჩნევიან ის პირები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან პირველი ჩანერის მომდევნო ქმედებებ-

თან. მაგალითად, ასლების დამზადებასთან, მათ გავრცელებასთან, ან გამოყენებასთან. ეს ქმედებები შეიძლება განახორციელონ სხვა პირებმა, რომლებსაც შესაბამისი უფლებები აქვთ მიღებული ფონოგრამის დამამზადებლისგან.

ამ მუხლთან მიმართებაში მნიშვნელობა არა აქვს ჩანაწერის ხარისხს, მის ტექნიკურ მახასიათებლებს, ასევე, მოხდა თუ არა ჩანწერა ავტორის ან შემსრულებლის უფლებების დარღვევით, როგორც აღინიშნა, ამ მუხლის შესაბამისად, ფონოგრამის დამამზადებელი სარგებლობს დაცვის უფლებით პირველ ჩანწერაზე ინიციატივის და პასუხისმგებლობის აღებით. თუ ცოცხალი შესრულება ჩანწერილ იქნა ერთდროულად რამდენიმე პირის მიერ, თითოეული მათგანი მიიჩნევა ფონოგრამის დამამზადებლად.

პირველი ჩანწერა წარმოადგენს დროის გარკვეულ მონაკვეთში სმენით აღქმადი ხმების ჩანწერას, დამოუკიდებლად იმისა, მიიჩნევა თუ არა ეს ხმები ნაწარმოებად, რომლის შესრულება (მათ შორის, იგივე შემსრულებლის მიერ) ადრე უკვე იყო ჩანწერილი.

მუხლის 2(დ) შესაბამისად, პირველი ჩანწერა მოიცავს როგორც ხმების, ისე ხმების გამოხატულების ჩანწერას. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ხმების გამოხატულებების მიმართ ტერმინის „ჩანწერა“ გამოყენება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კორექტულად, რადგან, ფაქტიურად, ხდება ხმების ჩანწერა ანალოგიური სიგნალის სახით, რომელიც შემდგომ გარდაიქმნება ხმების გამოხატულებად ციფრული სახით.

მაგრამ, ამ შემთხვევაში, ამას არა აქვს სამართლებრივი მნიშვნელობა. მუხლის 2(დ) მიზანია დაცულ იქნეს ფონოგრამის დამამზადებლის უფლებები დამოუკიდებლად იმისა, რა სახით არსებობს ჩანაწერი – ხმების ამსახველი ანალოგიური ფორმით თუ ციფრული სახით. ფონოგრამის დამამზადებელს დაცვა ენიჭება ორგანიზაციული და ფინანსური საქმიანობისთვის და არა იმ ტექნიკური ხასიათის გაუმჯობესებისათვის, რომელიც საშუალებას იძლევა ამაღლდეს ჩანაწერის აკუსტიკური მახასიათებლები.

**მუხლი 2(ე) – გამოქვეყნება**

მუხლში 2(ე) გამოქვეყნების განსაზღვრების ფორმულირება მნიშვნელოვანწილად ეფუძნება რომის კონვენციის მუხლში 3(დ) მოცემულ ანალოგიურ განსაზღვრებას, იმ განსხვავებით, რომ WPPT ხელშეკრულების მუხლში 2(ე) დამატებულია პირობა გამოქვეყ-



ნებისათვის უფლების მფლობელის თანხმობის არსებობის თაობაზე (ეს მოთხოვნა, თავის მხრივ, აღებულია ბერნის კონვენციის მუხლიდან 3(3)).

მუხლის 2(ე) მიხედვით, გამოქვეყნებას ადგილი აქვს, თუკი ას-ლები დამზადებულია უფლების მფლობელის თანხმობით. იმ შემთხვევაში, როცა ფონოგრამაზე ჩანერილია დაცული შესრულება, საჭიროა როგორც შემსრულებლის, ისე ფონოგრამის დამამზადებლის თანხმობა. ჩვეულებრივ, შემსრულებლის უფლება გამოქვეყნებაზე ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა ფონოგრამის დამამზადებელს.

ასლების შეთავაზება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა სახით – რეკლამის გამოყენებით, გაყიდვით, გაჭირავებით, ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარად ჩართვით. მუხლის 2(ე) მოთხოვნაა შეთავაზებული ასლების საზოგადოებისთვის გონივრული რაოდენობით მიწოდება. ეს ნიშნავს, რომ უკვე ფონოგრამის რეკლამის ან პრეზენტაციის დროს უნდა არსებობდეს მომხმარებლისთვის ისეთი რაოდენობის ასლების მიწოდების საშუალება, რომელიც დააკმაყოფილებს საზოგადოებაში იმ დროისათვის არსებულ მოთხოვნას. სიტყვა „თანხმობა“, თავისი შინაარსით, ფართოა და მოიცავს როგორც წინასწარ თანხმობას, ისე თანხმობის მიცემას შეთავაზების შემდეგ.

WPPT ხელშეკრულების მუხლებთან: 2(ე), 8, 9, 12, 13 დაკავშირებული შეთანხმებული განცხადებებიდან გამომდინარე, გამოქვეყნებას ადგილი აქვს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეთავაზებული ასლები წარმოდგენილია მატერიალური ფორმით.

შესაბამისად, მუხლის 2(ე) გაგებით, ფონოგრამის ხელმისაწვდომობა on-line სისტემების მეშვეობით არ წარმოადგენს გამოქვეყნებას, რადგან სერვერიდან ფონოგრამა მომხმარებელს მიეწოდება არამატერიალური ფორმით და, ამ შემთხვევაში, ფონოგრამამ შეიძლება მიიღოს მატერიალური სახე მხოლოდ მომხმარებლის ტერმინალზე.

უნდა აღინიშნოს, რომ WPPT ხელშეკრულების მომზადების პროცესში არსებობდა მოსაზრება, ცნების „გამოქვეყნება“ იმგვარად გაფართოებაზე, რომ მასში მოაზრებულიყო on-line-ით ფონოგრამების ხელმისაწვდომობაც. შემდგომ ეს მოსაზრება უარყოფილ იქნა, რადგან წარმოიშობოდა განუსაზღვრელობა რიგ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, on-line-ის შემთხვევაში, განუსაზღვრელი ხდებოდა გამოქვეყნების ადგილი და დრო, რომლებიც ძირითადი

ელემენტებია დაცვას დაქვემდებარებული პირების (მუხლი 3(2)) და დაცვის დროის ათვლის მომენტის დადგენისთვის (მუხლი 17(2)).

### **მუხლი 2(ვ) – ეთერით მაუწყებლობა**

WPPT ხელშეკრულების ამ მუხლში მოცემული ეთერით მაუწყებლობის განსაზღვრება განსხვავდება რომის კონვენციის ეთერით მაუწყებლობის განსაზღვრებისგან (მუხლი 3(8)) ორი დამატებით, რომლებიც მუხლის 2(ვ) მეორე და მესამე ნაწილებშია მოცემული.

პირველი დამატების შესაბამისად, ეთერით მაუწყებლობა მოიცავს თანამგზავრის მეშვეობით განხორციელებულ გადაცემას. მეორე დამატება კი ეხება გადაცემას კოდირებული სიგნალებით. სიტყვა „გადაცემა“ აღნიშნავს, რომ საზოგადოების მიერ ხმების და გამოსახულებების მიღება ხდება ხმების და გამოსახულებების ადგილიდან ისეთ მანძილზე, რომლის გადაცემის დროს ისინი ვერ იქნებოდა აღქმული.

ეთერით მაუწყებლობის შემთხვევაში, გადაცემა ხდება უსადენო საშუალებებით. ასეთ საშუალებებს წარმოადგენს სხვადასხვა სიხშირული დიაპაზონის ელექტრომაგნიტური ტალღები, რომელთა გავრცელების რადიუსის გაზრდის საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება კავშირგაბმულობის თანამგზავრი.

ეთერით მაუწყებლობის ცნება ფართოა და მოიცავს „რეტრანსლაციასაც“. რომის კონვენციის მუხლის 3(გ) თანახმად, რეტრანსლაცია განიხილება, ასევე, ეთერით მაუწყებლობის სპეციალურ ფორმად.

განსაზღვრების თანახმად, ეთერით გადაცემა განკუთვნილი უნდა იყოს საზოგადოების მიერ მიღებისთვის. გადაცემა საზოგადოების მიერ მიღებისთვისაა განკუთვნილი, თუ მიღება დაკავშირებულია ისეთ პირობებთან, რომლის შესრულება შეუძლია საზოგადოების უმრავლეს ნაწილს. ამგვარი პირობების მაგალითებია: რადიო და ტელევიზიის შექმნა, აგრეთვე, მიწისზედა სადგურებიდან ან თანამგზავრებიდან გადმოცემული კოდირებული სიგნალების მიღებისა და დეკოდირებისთვის საჭირო მოწყობილობების შექმნა და სხვა.

რაც შეეხება ეთერით მაუწყებლობას თანამგზავრის საშუალებით, ამ შემთხვევაში რადიოსიგნალი მიწიდან ჯერ მიემართება თანამგზავრისკენ, ხოლო შემდეგ გადაიცემა დედამიწის მიმართულებით მომხმარებლის მიერ მისაღებად. მიღება შეიძლება ხდებოდეს როგორც საშუალოდ მიწისზედა სადგურების მეშვეობით, ისე პირდაპირ მომხმარებლების მიერ.

გადაცემა შეიძლება ხორციელდებოდეს კოდირებული სიგნალებით, რაც გადაცემის მიღების საშუალებას აძლევს მხოლოდ იმათ, ვისაც შეძენილი აქვთ დეკოდირების მონოპოლიტობები. მუხლის 2(ვ) თანახმად, გადაცემა არის „ეთერით მაუნყებლობა“, თუ დეკოდირების საშუალებები საზოგადოებას მიენოდება სამაუნყებლო ორგანიზაციის მიერ ან მისი თანხმობით.

### **მუხლი 2(ზ) – საჯარო გადაცემა**

რომის კონვენცია არ იძლევა საჯარო გადაცემის განსაზღვრებას. WPPT ხელშეკრულების მუხლი 2(ზ) საჯარო გადაცემას განსაზღვრავს როგორც ხმების, ისე ხმების გამოხატულებების გადაცემას საზოგადოებისთვის, გარდა ეთერით მაუნყებლობისა.

თუ, ეთერით მაუნყებლობის შემთხვევაში, რადიო და სატელევიზიო სიგნალები გადაიცემა ეთერით, საჯარო გადაცემაში მოიაზრება ამ მიზნით კაბელის (სატელეფონო კაბელები, კომპიუტერული ქსელის კაბელები) გამოყენება. კაბელები განკუთვნილია როგორც ორიგინალური საკაბელო პროგრამების, ისე ეთერით შემდგომი გადაცემისთვის. ეთერით მაუნყებლობისგან განსხვავებით, საჯარო გადაცემის ობიექტები მხოლოდ ხმები ან ხმების გამოხატულებებია, ანუ, ამ მუხლის მიხედვით, „საჯარო გადაცემა“ არ მოიცავს გამოსახულებების გადაცემას.

ის ფაქტი, რომ შესრულებისა და ფონოგრამის საყოველთაო ხელმისაწვდომობა შერჩეულ ადგილზე და დროს წარმოადგენს შემსრულებლისა და ფონოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებულ უფლებას (WPPT ხელშეკრულების მე-10 და მე-14 მუხლები), ხოლო იმავე პირების უფლება საჯარო გადაცემაზე შემოიფარგლება ჰონორარის მიღების უფლებით (WPPT ხელშეკრულების მე-15 მუხლი), მიგვითითებს იმაზე, რომ საჯარო გადაცემის ცნება, ისე, როგორც გამოყენებულია მე-15 მუხლში, არ მოიცავს საყოველთაო ხელმისაწვდომობას და WPPT-ის მუხლში 2(ზ) მოცემული საჯარო გადაცემის განსაზღვრება გაგებულ უნდა იქნეს ამგვარადვე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ WPPT ხელშეკრულების მუხლისგან 2(ზ) განსხვავებით, WCT ხელშეკრულების მე-8 მუხლი იძლევა „საჯარო გადაცემის“ ფართო განმარტებას, რომელიც მოიცავს ეთერით მაუნყებლობას, კაბელით გადაცემასა და საყოველთაო ხელმისაწვდომობას შერჩეულ დროსა და ადგილზე.

მუხლის 2(8) შესაბამისად, WPPT მე-15 მუხლის მიზნებისთვის საჯარო გადაცემა, აგრეთვე, მოიცავს ფონოგრამაზე ჩანერილი ხმების ან ხმების გამობატულელების იმგვარ გამოყენებას, რომ შესაძლებელი იყოს საზოგადოების მიერ მათი სმენითი აღქმა. ამგვარად, მე-15 მუხლში ცნება „საჯარო გადაცემა“, გარდა კაბელით საყოველთაო გაცნობისათვის გადაცემისა, ეხება, აგრეთვე, ფონოგრამის გამოყენებას ყოველგვარი გადაცემის გარეშე, კერძოდ, ფონოგრამის შესრულებას უშუალოდ საზოგადოების წინაშე.

მე-15 მუხლი პრაქტიკულად ასახავს რომის კონვენციის მე-12 მუხლის სულისკვეთებას, რომელშიც ფონოგრამის საჯარო გადაცემა განხილულია ისეთი გაგებით, რომელიც მოიცავს, აგრეთვე, ფონოგრამის შესრულებას უშუალოდ მსმენელის წინაშე. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, WPPT ხელშეკრულება მიჰყვება რომის კონვენციის ტერმინოლოგიას, იმ დროს, როცა ბერნის კონვენციაში ამ მიზნით გამოიყენება ტერმინები საჯარო შესრულება (ბერნის კონვენციის მე-11 მუხლი) და საჯარო დეკლამირება (ბერნის კონვენციის მე-11<sup>ter</sup> მუხლი).

### **მუხლი 3. ამ ხელშეკრულებით დაცული პირები (ბენეფიციარები)**

(1) ხელშეკრულების დამდები მხარეები ანიჭებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაცვას იმ შემსრულებლებსა და ფონოგრამების დამამზადებლებს, რომლებიც არიან ხელშეკრულების დამდები სხვა მხარეების მოქალაქეები.

(2) ხელშეკრულების დამდები სხვა მხარეების მოქალაქეებში იგულისხმებიან ფონოგრამების ის შემსრულებლები ან დამამზადებლები, რომლებიც აკმაყოფილებენ დაცვის უზრუნველყოფისათვის „რომის კონვენციით“ გათვალისწინებულ აუცილებელ კრიტერიუმებს ისე, თითქოს ამ ხელშეკრულების დამდები ყველა მხარე ამ კონვენციის დამდები სახელმწიფო იყოს. აღნიშნულ კრიტერიუმებთან მიმართებაში, ხელშეკრულების დამდები მხარეები იყენებენ ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამის განსაზღვრებებს.

(3) ხელშეკრულების დამდები ნებისმიერი მხარე, რომელიც სარგებლობს „რომის კონვენციის“ მუხლში 5(3) ან, ხსენებული კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებისთვის, ამ კონვენციის მე-17 მუხლში განსაზღვრული შესაძლებლობებით, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) დირექტორს უგზავნის შეტყობინებას, როგორც ეს მოცემულია აღნიშნულ დებულებებში.

### **შეთანხმებული განცხადება მუხლთან 3(2) დაკავშირებით**

გაგებულია, რომ მუხლი 3(2)-ის მიზნებისთვის „ჩანაწერი“ ნიშნავს თავდაპირველ ფირს (bande-mere) დასრულებული სახით.

### **შეთანხმებული განცხადება მე-3 მუხლთან დაკავშირებით**

გაგებულია, რომ რომის კონვენციის მუხლებში 5(ა) და 16(ა)(iv) მითითება მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეზე, ამ ხელშეკრულების გამოყენებისათვის მასში მონაწილე სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის მიმართ, ნიშნავს ამ ორგანიზაციაში შემავალი ერთ-ერთი მონაწილე ქვეყნის მოქალაქეს.

### **კომენტარი**

მუხლები 3(1) და 3(2) აწესებენ პირობებს იმ პირთა განსაზღვრისთვის, რომლებზეც ვრცელდება WPPT ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვა. მუხლი 3(3) უშვებს დათქმების არსებობის შესაძლებლობას დაცვის მინიჭების პირობებთან დაკავშირებით.

მუხლი 3(1) ადგენს ხელშეკრულების დამდები მხარეების ვალდებულებებს მიანიჭონ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვა იმ შემსრულებლებს და ფონოგრამის დამამზადებლებს, რომლებიც ხელშეკრულების დამდები მხარის მოქალაქეები არიან.

აქ დაცვის ცნება ფართოდაა გაგებული. იგი მოიცავს არა მხოლოდ შემსრულებლებისა და ფონოგრამის დამამზადებლების უფლებებს (მუხლები: 5–15), ამ უფლებებთან მიმართებაში დაშვებული შესაძლო შემლუდვებითა და გამონაკლისებით (მუხლი 16), არამედ, აგრეთვე, დაცვის ვადას (მუხლი 17); ვალდებულებებს ტექნოლოგიურ ზომებთან (მუხლი 18) და უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში (მუხლი 19); ეროვნული რეჟიმის გავრცელების პრინციპებს ხელშეკრულების სხვა მონაწილე მხარეების მოქალაქეებზე (მუხლი 4); უფლებების წარმოქმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებით ფორმალური მოთხოვნების არარსებობის ვალდებულებებს (მუხლი 20); დაცვის გამოყენებას დროში (მუხლი 22); უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებულ ზომებს (მუხლი 23). გასათვალისწინებელია, ასევე, რომ WPPT ხელშეკრულებით დადგენილი დაცვის ფარგლები კავშირშია ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში მოცემულ განსაზღვრებებთან და მუხლით 15(3) დაშვებული დათქმების გარდა, სხვა დათქმების დაუშვებლობის პირობასთან (მუხლი 21).

ხელშეკრულებაში ცნება „მოქალაქე“ გაიგება განსხვავებულად ვიდრე მისი საზოგადოდ მიღებული მნიშვნელობა. კერძოდ, მუხლის 3(2) შესაბამისად, ხელშეკრულების მონაწილე მხარის მოქალაქეებად მიიჩნევიან ის შემსრულებლები და ფონოგრამის დამამზადებლები, რომლებიც აკმაყოფილებენ რომის კონვენციით დადგენილ პირობებს.

მე-3 მუხლის (1) და (2) პუნქტების ერთიანი კონტექსტიდან გამომდინარეობს, რომ WPPT ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობენ ის შემსრულებლები და ფონოგრამის დამამზადებლები, რომლებიც აკმაყოფილებენ რომის კონვენციით დაწესებულ კრიტერიუმებს. ამასთან, მე-(2) პუნქტის მეორე წინადადების თანახმად, რომის კონვენციით დადგენილ კრიტერიუმებთან მიმართებაში, WPPT ხელშეკრულების მიზნებისათვის გამოიყენება ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლში მოცემული შემსრულებლისა და ფონოგრამის დამამზადებლის განსაზღვრებები.

### **შემსრულებლების დაცვა**

WPPT ხელშეკრულების მუხლის 3(2) შესაბამისად, შემსრულებელს შეუძლია მოითხოვოს დაცვა ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, თუ შესრულებულია ამ მუხლით და რომის კონვენციის მე-4 მუხლით დაწესებული პირობები, კერძოდ:

1. შესრულება ხორციელდება WPPT ხელშეკრულების სხვა მონაწილე მხარის ტერიტორიაზე (რომის კონვენციის მუხლი 4(ა)). ეს შეიძლება იყოს საკონცერტო დარბაზი, თეატრის სცენა, საჯარო შესრულების სხვა ადგილი, ასევე, შესრულების ფონოგრამაზე ჩანერის ადგილის, მაგალითად, სტუდიის ადგილსამყოფელი. ამ შემთხვევაში, შესრულების დაცვისათვის, გარდა სტუდიის ადგილსამყოფელთან დაკავშირებული პირობისა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფონოგრამაში ჩართული შესრულების დაცვის რომის კონვენციაში გათვალისწინებული კრიტერიუმები. როცა საუბარია შესრულების ადგილზე, იგულისხმება არა თეატრის ადმინისტრაციის ადგილსამყოფელი, არამედ ის სივრცე, სადაც შესრულებას ფაქტიურად ჰქონდა ადგილი. არ მიიჩნევა შესრულების ადგილად ეთერით მაუწყებლობის ან საჯარო გადაცემის სხვა საშუალებით ცოცხალი შესრულების გადაცემის მიღების ადგილი.
2. შესრულება ჩართულია ფონოგრამაში, რომელიც აკმაყოფილებს WPPT ხელშეკრულების მუხლის 3(2) და რომის კონვენციის მე-5 მუხლით დადგენილ პირობებს, რომლებზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

3. შესრულება გადაიცემა ეთერით მაუწყებლობის საშუალებით, როცა დაკმაყოფილებულია რომის კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნები WPPT ხელშეკრულების 3(2) მუხლის ფარგლებში, ანუ თუ შესრულება, რომელიც არ არის ჩანერგილი ფონოგრამაზე, გადაიცემა ეთერით მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ, რომლის შტაბ-ბინა განლაგებულია სხვა მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, ან გამოიყენება სხვა მონაწილე მხარის ტერიტორიაზე განთავსებული გადამცემი.

### **ფონოგრამის დამამზადებლების დაცვა**

ფონოგრამის დამამზადებლებთან მიმართებაში WPPT ხელშეკრულება ითვალისწინებს ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარის ტერიტორიაზე დაცვას შემდეგ შემთხვევებში:

1. ფონოგრამის დამამზადებელი არის ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარის მოქალაქე (მოქალაქეობის კრიტერიუმი, რომის კონვენცია, მუხლი 5(1)(ა)). თუ ფონოგრამის დამამზადებელი არის ფიზიკური პირი ან სანარმოს მფლობელი, მოქალაქეობის საკითხი არ ბადებს არავითარ კითხვებს. იმ შემთხვევაში, თუ დამამზადებლად გვევლინება იურიდიული პირი კომპანიის, ასოციაციის, ან რაიმე სხვა ფორმით, მოქალაქეობის საკითხი წყდება საერთაშორისო კერძო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით. იურიდიული პირების შემთხვევაში, ძირითად კრიტერიუმს, რომლის საფუძველზეც დგინდება მოქალაქეობა, წარმოადგენს მთავარი ადმინისტრაციული შენობის ადგილმდებარეობა ან ქვეყანა, რომლის კანონების საფუძველზეც შექმნილია ეს იურიდიული პირი. იმ შემთხვევაში, თუ ფონოგრამის დამამზადებელი არის ევროკავშირის მოქალაქე, რომელიც WPPT ხელშეკრულების მონაწილე მხარეა, „მოქალაქე“ ნიშნავს ევროკავშირში შემავალი ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეს (WPPT ხელშეკრულების მუხლთან 3(2) დაკავშირებული შეთანხმებული განცხადება). აღნიშნული ეხება WPPT ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციასაც (WPPT ხელშეკრულების მუხლი 26(2)).
2. ხმის პირველი ჩანაწერი გაკეთდა სხვა მონაწილე მხარის ტერიტორიაზე (პირველი ჩანაწერის კრიტერიუმი, რომის კონვენცია, მუხლი 5(1)(ბ)). „ჩანაწერი“ აქ გაიგება WPPT ხელშეკრულების მუხლის 2(გ) მიხედვით, მაგრამ მისი ინტერპრეტირება უნდა მოხდეს ამ ხელშეკრულების მუხლთან 3(2) დაკავშირებული ერთობლივი

განცხადების საფუძველზე, რომლის შესაბამისად „ჩანაწერი“ არის „თავდაპირველი ფირი დასრულებული სახით“.

3. ფონოგრამა პირველად გამოქვეყნდა WPPT ხელშეკრულების სხვა მონაწილე ქვეყანაში (პირველი გამოქვეყნების კრიტერიუმი (რომის კონვენციის მუხლი 5(1)(გ)). გამოქვეყნება ამ შემთხვევაში, მუხლთან 2(ე) დაკავშირებული ერთობლივი განცხადების შესაბამისად, ითვალისწინებს საზოგადოებისთვის ფონოგრამების ასლების შეთავაზებას მატერიალური ფორმით. თუ ფონოგრამა პირველად გამოქვეყნდა იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელიც არ მონაწილეობს WPPT ხელშეკრულებაში, მაგრამ მისი პირველი გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში მოხდა მისი გამოქვეყნება WPPT ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიაზე (ერთდროული გამოქვეყნება), ფონოგრამა ჩაითვლება პირველად გამოქვეყნებულად WPPT ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიაზე. გამოქვეყნების ადგილის განსაზღვრისას მნიშვნელობა ენიჭება არა იმას, თუ სად იქნა დამზადებული ფონოგრამის ასლები, არამედ მათი შეთავაზების ადგილს, ფონოგრამების ასლების ხელმისაწვდომობის პირობით.

აქ მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, ჩაითვალოს თუ არა ფონოგრამა გამოქვეყნებულად ხელშეკრულების მონაწილე მხარის იმ ტერიტორიაზე, სადაც საინფორმაციო საშუალებებით (გაზეთი, რადიო და ტელევიზია, ინტერნეტი და სხვ.) ხდება მისი ასლების საზოგადოებისთვის შეთავაზება და, ამავე დროს, არსებობს ამ ასლების სხვა ქვეყანაში დაკვეთისა და მიღების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში, თითქოს, ფორმალურად დაცულია გამოქვეყნების პირობები – ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიაზე ხდება ფონოგრამის ასლების შეთავაზება და, ამავე დროს, ისინი ხელმისაწვდომია ამ ქვეყანაში.

„გამოქვეყნების“ ამგვარი ინტერპრეტაციისას, ფონოგრამის გამოქვეყნების აღიარება მიიღწეოდა საკმაოდ მარტივად და აზრს დაკარგავდა WPPT ხელშეკრულების მე-3 მუხლის მიზნებისთვის რომის კონვენციის მე-5 მუხლით დადგენილი დაცვის კრიტერიუმების გამოყენება. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება WPPT ხელშეკრულების სულისკვეთებას და ანებს შემზღუდავი პირობები დაცვის უფლებების მოსაპოვებლად. უფრო მეტიც, ამ გზით, WPPT ხელშეკრულებასთან მიერთების გარეშე, მესამე ქვეყნები შესძლებდნენ მონაწილე მხარეთა ტერიტორიაზე შესრულებებისა და ფონოგრამების დაცვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიჩნეულია, რომ ფონოგრამის



დამამზადებელთათვის რომის კონვენციის მუხლის 5(1)(გ) საფუძველზე დაცვის მისანიჭებლად WPPT ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, სულ მცირე, უნდა არსებობდეს ფონოგრამების გავრცელების ცენტრი.

რომის კონვენციის მე-5 მუხლიდან გამომდინარე, WPPT ხელშეკრულების ფარგლებში ფონოგრამის დამამზადებლისთვის დაცვის მინიჭების კრიტერიუმები (მოქალაქეობა, ფონოგრამის ჩანწერა და გამოქვეყნება) ალტერნატიული ხასიათისაა და საკმარისია მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის შესრულება.

WPPT ხელშეკრულების მუხლი 3(3) ადგენს დეკლარაციების მექანიზმს, რომელიც შეუძლია გააკეთოს WPPT ხელშეკრულების მონაწილე მხარემ რომის კონვენციის მუხლის 5(3) საფუძველზე, ამ მუხლით გათვალისწინებული დაცვის მინიჭების ალტერნატივებთან დაკავშირებით, ან რომის კონვენციის მუხლთან 5 მიმართებაში, ამ კონვენციის მუხლის 17 საფუძველზე.

თუ რომის კონვენციის მიხედვით ასეთი შეტყობინება უნდა გაკეთდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდივნის სახელზე, WPPT ხელშეკრულება მოითხოვს შეტყობინებას ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორისთვის.

ამ ხელშეკრულების მუხლის 3(3) საფუძველზე, WPPT ხელშეკრულების მონაწილე მხარეს შეუძლია განაცხადოს, რომ არ გამოიყენებს რომის კონვენციის მე-5 მუხლის (1)-ლი პუნქტის (ბ) და (გ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გამოქვეყნებისა ან ჩანწერის კრიტერიუმს, როგორც დაცვის მინიჭების საფუძველს შემსრულებელთათვის (რომის კონვენციის მუხლი 4(ბ)) და ანალოგიურად ფონოგრამის დამამზადებლებისთვის (რომის კონვენციის მუხლები: 5(1)(ბ) და 5(1)(გ)).

რომის კონვენციის მე-17 მუხლის შესაბამისად, ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც 1961 წლის 26 ოქტომბრისთვის ანიჭებდა დაცვას ფონოგრამების დამამზადებელს მხოლოდ ჩანწერის კრიტერიუმის საფუძველზე, შეუძლია გააგრძელოს ამ კრიტერიუმის გამოყენება რომის კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებისათვის.

WPPT ხელშეკრულების მუხლის 3(3) შესაბამისად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეს, ასევე, ეძლევა ამ შესაძლებლობის გამოყენების უფლება, მაგრამ მონაწილე მხარის მიერ ფონოგრამის დამამზადებლებს მინიჭებული უნდა ჰქონდეთ დაცვა მხოლოდ ჩანწერის კრიტერიუმის საფუძველზე WPPT ხელშეკრულების მიღების თარიღამდე (1996

ნლის 20 დეკემბერი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, WPPT ხელშეკრულების მუხლი 3(3) იძლევა შემდეგ შესაძლებლობებს დათქმებთან მიმართებაში:

- 1) მონაწილე მხარე არ იყენებს დათქმის გაკეთების უფლებას. ამ შემთხვევაში მან უნდა დაიცვას ფონოგრამის დამამზადებლები და რომის კონვენციის მუხლის 4(ბ) შესაბამისად შემსრულებლები, თუკი შესრულებულია რომის კონვენციის მუხლში 5(1) მოყვანილი კრიტერიუმებიდან ერთი მაინც.
- 2) მაგრამ, თუ მონაწილე მხარე აკეთებს განცხადებას იმის თაობაზე, რომ არ ცნობს ჩანერის კრიტერიუმს, იგი ვალდებულია დაიცვას მხოლოდ ფონოგრამის ის დამამზადებელი და რომის კონვენციის მუხლის 4(ბ) შესაბამისად ის შემსრულებელი, რომელიც აკმაყოფილებს რომის კონვენციის მუხლის 5(1)(ა) (ეროვნულობის კრიტერიუმი) ან მუხლის 5(1)(გ) (გამოქვეყნების კრიტერიუმი) მოთხოვნებს (WPPT ხელშეკრულების მუხლი 3(2), რომის კონვენციის მუხლთან 5(ვ) კავშირში).
- 3) თუ მონაწილე მხარე აკეთებს განცხადებას იმის შესახებ, რომ გამოიციხავს გამოქვეყნების კრიტერიუმის გამოყენებას, ის ვალდებულია დაიცვას ფონოგრამის დამამზადებელი და რომის კონვენციის მუხლის 4(ბ) შესაბამისად – შემსრულებელი, თუ დაკმაყოფილებულია რომის კონვენციის მუხლების 5(1)(ა) (ეროვნულობის კრიტერიუმი) ან 5(1)(ბ) (ჩანერის კრიტერიუმი) მოთხოვნები.

WPPT-ის მონაწილე მხარე, რომელიც 1996 წლის 20 დეკემბრისთვის, ფონოგრამის დამამზადებლებს ანიჭებდა დაცვას მხოლოდ ჩანერის კრიტერიუმის საფუძველზე და რომელიც ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლიდან გამომდინარე, აკეთებს განცხადებას რომის კონვენციის მე-17 მუხლის საფუძველზე, აღარ არის ვალდებული გამოიყენოს ეროვნულობის და გამოქვეყნების კრიტერიუმები რომის კონვენციის მუხლების 5(1)(ა) და 5(1)(გ) საფუძველზე (რომის კონვენციის მე-3 მუხლი ამავე კონვენციის მე-17 მუხლთან კავშირში).

რომის კონვენციის მე-18 მუხლი ითვალისწინებს დათქმების შესუსტების ან გაუქმების შესაძლებლობას სახელმწიფოს მიერ შესაბამისი განცხადების გაკეთების საფუძველზე.

საერთაშორისო საჯარო სამართლის მიხედვით, დათქმები შესაძლებელია გაუქმდეს იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება არ

ითვალისწინებს რაიმე სანინააღმდეგოს. შესაბამისად, ვინაიდან WPPT ხელშეკრულებაში არ ფიგურირებს სპეციალური მუხლი დათქმების გაუქმებასთან დაკავშირებით, ანუ არ არის აკრძალული დათქმების გაუქმება, ისინი დაშვებულად უნდა მივიჩნიოთ.

#### **მუხლი 4. ეროვნული რეჟიმი**

(1) ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე მუხლით 3(2) განსაზღვრულ სხვა დამდები მხარის მოქალაქეებს ანიჭებს ისეთივე რეჟიმს, როგორიც მინიჭებული აქვს საკუთარი მოქალაქეებისთვის ამ ხელშეკრულებით სპეციალურად უზრუნველყოფილ განსაკუთრებულ უფლებებთან და, ასევე, ამ ხელშეკრულების მუხლით 15(3) გათვალისწინებულ ჰონორარის მიღების უფლებასთან დაკავშირებით.

(2) (1)-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება არ გამოიყენება იმ ზომით, როგორითაც ხელშეკრულების დამდები სხვა მხარე იყენებს ამ ხელშეკრულების მუხლით 15(3) დაშვებულ დათქმებს.

#### **კომენტარი**

ეროვნული რეჟიმი ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში მოქმედი მრავალმხრივი საერთაშორისო კონვენციებისა და ხელშეკრულებების საფუძველია. ის ადგენს იმ უფლებებს, რომელსაც საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანა ანიჭებს ხელშეკრულების მონაწილე სხვა ქვეყნის მოქალაქეებს. ეროვნული რეჟიმის არსი და ფარგლები განსხვავებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებში, მაგრამ შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი პრინციპი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბდა ეროვნულ რეჟიმთან მიმართებაში.

პირველ შემთხვევაში, ვალდებულება ეროვნული რეჟიმის მინიჭების თაობაზე კომბინირებულია გარკვეულ მინიმალურ უფლებებთან, რომელთა დაცვა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების მონაწილე ყველა ქვეყანამ. ასეთ დროს ეროვნული რეჟიმი მოიცავს ყველა იმ უფლებას, რომელსაც ხელშეკრულების მონაწილე მხარე, ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, ანიჭებს თავის მოქალაქეებს, იმ უფლებების ჩათვლით, რომლებიც გათვალისწინებულია უშუალოდ საერთაშორისო ხელშეკრულებაში.

მეორე შემთხვევაში, ეროვნული რეჟიმი შემოიფარგლება მხოლოდ იმ უფლებებით, რომელთა დაცვაც პირდაპირაა გათვალისწინებული

საერთაშორისო ხელშეკრულებით. ის არ ვრცელდება ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებებზე.

პირველ მიდგომასთან საქმე გვაქვს ხელშეკრულებებში, რომლის მონაწილე ქვეყნებს გააჩნიათ მსგავსი კონცეპტუალური ხედვა და საკმარისად ჰარმონიზებული საკანონმდებლო ბაზა შესაბამის სფეროებში.

ასეთი ხელშეკრულების მაგალითებია პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ და ბერნის კონვენცია ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ.

მეორე პრინციპზე აგებული ეროვნული რეჟიმი გვხვდება იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებში, რომელთა წევრი ქვეყნების კონცეპტუალური მიდგომები და ეროვნული კანონმდებლობის ნორმები, საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სავალდებულო ნორმების გამოკლებით, ძალიან განსხვავებულია ხელშეკრულებით მოცულ სფეროებში.

ეროვნულ რეჟიმს ამგვარი გაგებით ვხვდებით რომის კონვენციასა და TRIPS შეთანხმებაში მომიჯნავე უფლებებთან მიმართებაში. ანალოგიურია მიდგომა WPPT ხელშეკრულებაშიც.

WPPT ხელშეკრულების მუხლი 4(1) პირდაპირ ავალდებულებს ხელშეკრულების მონაწილე ყოველ მხარეს უზრუნველყოს სხვა მონაწილე მხარეების მოქალაქეები ისეთივე რეჟიმით, როგორსაც ის ანიჭებს თავის მოქალაქეებს გარკვეულ უფლებებთან მიმართებაში. ამ მუხლის თანახმად, ასეთი რეჟიმი შემოფარგლულია შემსრულებლისა და ფონოგრამის დამამზადებლისათვის სპეციალურად მინიჭებული განსაკუთრებული უფლებებით, შემსრულებლის არაქონებრივი უფლებითა და ამავე ხელშეკრულების მე-15 მუხლით შემსრულებლისა და ფონოგრამის დამამზადებლისათვის მინიჭებული უფლებით ჰონორარის მიღებაზე.

შემსრულებლებს და ფონოგრამის დამამზადებლებს გააჩნიათ შემდეგი ქონებრივი უფლებები: რეპროდუცირების უფლება (მუხლები: 7, 11), გავრცელების უფლება (მუხლები: 8, 12), გაქირავების უფლება (მუხლები: 9, 13), არჩეულ დროსა და ადგილზე ხელმისაწვდომობის უფლება (მუხლები: 10, 14). გარდა ამისა, შემსრულებელს გააჩნია ქონებრივი უფლება თავის ჩაუნერეველ შესრულებაზე (მუხლი 6).

WPPT ხელშეკრულების მუხლის 4(1) პირდაპირი მითითება გან-

საკუთრებულ უფლებებსა და სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლებაზე მიგვანიშნებს, რომ ეროვნული კანონით განმტკიცებული ნებისმიერი სხვა უფლება, რომელიც არ გამომდინარეობს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებიდან, არ არის მოცული ეროვნული რეჟიმით და, შესაბამისად, მონაწილე მხარეს არ აქვს ვალდებულება გაავრცელოს ეს უფლება სხვა მონაწილე მხარის მოქალაქეზე.

მიუხედავად იმისა, რომ WPPT ხელშეკრულებაში არ არის ამაზე პირდაპირი მითითება ხელშეკრულების შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეროვნული რეჟიმი, ამ ხელშეკრულებით დადგენილი არაქონებრივი, ქონებრივი და ჰონორარის მიღების უფლებების გარდა, მოიცავს უფლებას დაცვის ხანგრძლივობაზე. ეროვნული რეჟიმი, ასევე, ვრცელდება მონაწილე მხარეთა ვალდებულებებზე, რომლებიც ითვალისწინებს სამართლებრივი ზომების გატარებას ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლისა (მუხლი 18) და უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციაში ჩარევის (მუხლი 19) წინააღმდეგ. ეროვნული რეჟიმის ქვეშ, ასევე, მოქცეულია უფლებების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამართლებრივი ქმედებები (მუხლი 23(2)).

ეროვნული რეჟიმის გავრცელების ასეთ ფართო გაგებაზე პირდაპირ მიუთითებს TRIPS-ის მე-3 მუხლის სქოლიოში არსებული განმარტება: „დაცვა მოიცავს საკითხებს, რომლებიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების არსებობას, მოპოვებას, ფარგლებს, ძალაში შენარჩუნებასა და განხორციელებას...“. ცხადია, რომ უმნიშვნელო იქნებოდა ეროვნული რეჟიმის გავრცელება მხოლოდ მატერიალურ უფლებებზე, თუ ის არ განმტკიცდებოდა სასამართლო და უფლებების განხორციელების სხვა საშუალებებით, რომლებიც გააჩნიათ კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეებს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მუხლის 4(1) თანახმად, ეროვნული რეჟიმი ვრცელდება ეთერით მაუწყებლობასა და საჯარო გადაცემებში ფონოგრამის კომერციული მიზნით გამოყენებისას ჰონორარის მიღების უფლებაზე, რაც დადგენილია მე-15 მუხლით. იმავდროულად, მე-15 მუხლი ერთადერთია WPPT-ში, რომელიც იძლევა დათქმის გაკეთების შესაძლებლობას (მუხლი 15(3)). კერძოდ, ის ადგენს მონაწილე მხარეთა უფლებას მთლიანად ან ნაწილობრივ შეზღუდოს ჰონორარის მიღების უფლება ისმო-ს გენერალური დირექტორის სახელზე გაკეთებული შეტყობინებების საფუძველზე.

მუხლის 4(2) შესაბამისად, WPPT ხელშეკრულების მონაწილე მხარეს შეუძლია არ გაავრცელოს ეროვნული რეჟიმი ჰონორარის მიღების უფლებაზე სხვა მხარის მოქალაქეებზე იმ ზომით, რა ზომითაც ამ მხარემ გამოიყენა უფლება WPPT ხელშეკრულების მუხლის 15(3) საფუძველზე. ამრიგად, მუხლი 4(2) ითვალისწინებს ეროვნული რეჟიმის მინიჭების შესაძლებლობას ორი ეროვნული სისტემის ურთიერთშედარების საფუძველზე.

## თავი II შემსრულებელთა უფლებები

### მუხლი 5. შემსრულებლის ძირადი არაქონებრივი უფლებები

(1) შემსრულებლის ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და ამ უფლებების გადაცემის შემდეგაც კი, შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი შესრულებების შემსრულებლად იდენტიფიცირება თავისი ცოცხალი ხმოვანი შესრულებების ან ფონოგრამაზე ჩანერილი შესრულებების მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ვერ ხერხდება შესრულების გამოყენების ხასიათიდან გამომდინარე, და გამოვიდეს თავისი შესრულებების ყოველგვარი ისეთი დამახინჯების, გამრუდების ან სხვაგვარი შეცვლის წინააღმდეგ, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მის რეპუტაციას.

(2) (1)-ლი პუნქტის შესაბამისად, შემსრულებლისათვის მინიჭებული უფლებები უნდა შენარჩუნდეს მისი გარდაცვალების შემდეგაც ქონებრივი უფლებების შეწყვეტამდე და განხორციელდეს იმ პირებისა და დაწესებულებების მიერ, რომლებსაც ამის უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კანონმდებლობით, სადაც მოითხოვება დაცვა. ხელშეკრულების დამდებმა იმ მხარეებმა კი, რომელთა კანონმდებლობა ამ ხელშეკრულების რატიფიკაციისა ან მასთან მიერთების მომენტში არ ითვალისწინებს შემსრულებლის გარდაცვალების შემდეგ წინა პუნქტით გათვალისწინებული მისი ყველა უფლების დაცვას, შეიძლება დაადგინონ, რომ შემსრულებლის გარდაცვალების შემდეგ ამ უფლებათაგან ზოგიერთი შეწყდება.

(3) ამ პუნქტით უზრუნველყოფილი უფლებების განხორციელებისათვის აუცილებელი დაცვითი ღონისძიებები რეგლამენტირებულია ამ ხელშეკრულების დამდები მხარის კანონმდებლობით, რომლის შესაბამისად ხდება დაცვის მოთხოვნა.

## კომენტარი

WPPT ხელშეკრულების მე-5 მუხლი ჩამოყალიბებულია ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებთა დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის მე-6<sup>bis</sup> მუხლის მსგავსად, რომელიც ეხება ავტორთა არაქონებრივ უფლებებს.

მუხლი 5(1) ავალდებულებს ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს უზრუნველყონ შემსრულებელი, მისი ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად, უფლებით მოითხოვოს შესრულების შემსრულებლად აღიარება და წინ აღუდგეს თავისი შესრულების ყოველგვარ გამრუდებას, დამახინჯებას, ან სხვაგვარ შეცვლას, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მის რეპუტაციას.

მუხლი 5(2) ითვალისწინებს შემსრულებლის არაქონებრივი უფლებების დაცვას მისი სიკვდილის შემდეგაც ქონებრივი უფლებების შეწყვეტამდე.

აღსანიშნავია, რომ WPPT ხელშეკრულებით, მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების დონეზე პირველად მოხდა შემსრულებლის არაქონებრივი უფლებების აღიარება. ამ ხელშეკრულებას სხვა მხარეებთან ერთად, ხელი მოაწერეს საერთო სამართლის ქვეყნებმაც, რომელთა კანონმდებლობისათვის, ტრადიციულად, უცხო არაქონებრივი უფლებების დაცვა. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, აღნიშნული ფაქტი დიდ მიღწევად უნდა იქნეს მიჩნეული.

შემსრულებელთა არაქონებრივი უფლებების დაცვა განსაკუთრებით აქტუალური გახდა თანამედროვე ეპოქაში, როცა ციფრული ტექნოლოგიების ფართო შესაძლებლობების გამოყენებამ გაამარტივა შესრულების ნებისმიერი ტრანსფორმაცია.

WPPT ხელშეკრულებით შემსრულებელთა არაქონებრივი უფლებების აღიარება საერთაშორისო დონეზე, ხაზს უსვამს შემსრულებელთა უფლებების თვისობრივ განსხვავებას იმ მომიჯნავე უფლებებისაგან, რომლებიც კავშირშია პროდიუსერული ან სხვა მსგავსი ხასიათის საქმიანობასთან.

WPPT ხელშეკრულების მუხლის 5(1) თანახმად, არაქონებრივი უფლებები დამოუკიდებელია ქონებრივი უფლებებისაგან, რაც არაქონებრივი უფლებების არსის კონცეპტუალური საფუძველია და გამოიხატება იმაში, რომ ეს უფლებები ორგანულადაა შერწყმული შემსრულებლის პიროვნებასთან და, შესაბამისად, ქონებრივი

უფლებების გადაცემა არ გულისხმობს არაქონებრივი უფლებების გადაცემას ისევე, როგორც შემსრულებლის თანხმობას არ გამოიყენოს ეს უფლებები.

არაქონებრივ და ქონებრივ უფლებების შორის განსხვავება აისახა უმრავლეს ეროვნულ კანონმდებლობაში, რომელთა მიხედვით არაქონებრივი უფლებები საერთოდ განუსხვისებელია, ხოლო მათი გადაცემის ან მათ აღიარებაზე უარის თქმის შესაძლებლობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მკაცრად შეზღუდულია.

WPPT-ის მოქმედების არეალიდან გამომდინარე, მუხლის 5(1) თანახმად, არაქონებრივი უფლებები ენიჭება მხოლოდ ცოცხალი ხმოვანი შესრულებებისათვის ან შესრულებებისათვის, რომლებიც ჩანერილია ფონოგრამაზე.

ცოცხალი შესრულება ყველა ის შესრულებაა, რომელიც არ არის ჩანერილი ფონოგრამაზე, მაგალითად, როცა შესრულება ხორციელდება ფონოგრამაზე ჩანერის მიზნით სპეციალურ სტუდიაში ან საკონცერტო დარბაზში, მათ შორის, როცა გადაცემა მიმდინარეობს საკონცერტო დარბაზიდან ეთერის ან კაბელის მეშვეობით, ამ გადაცემის რეტრანსლაციის ჩათვლით.

ხმოვანი შესრულება ნებისმიერი შესრულებაა, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნეს სმენის მეშვეობით. ხმოვანი შესრულება მოიცავს როგორც სიმღერების და მუსიკალური კომპოზიციების შესრულებას, ისე ტექსტის კითხვას ან ლიტერატურული ნაწარმოების დეკლამირებას. ხმოვან შესრულებად, ასევე, მიიჩნევა რეჩიტატივი სხვადასხვა ფორმით.

როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი არაქონებრივი უფლებაა შემსრულებლის უფლება მოითხოვოს მისი იდენტიფიცირება შესრულების შემსრულებლად, თუმცა, მუხლი 5(1) არაფერს ამბობს თუ რა გზითა და ფორმით უნდა განხორციელდეს ეს. თვით იდენტიფიცირების მიზნებიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ ეს შეიძლება განხორციელდეს შემსრულებლების შესახებ ინფორმაციის განთავსებით საკონცერტო და თეატრალურ აფიშებსა და პროგრამებში, სატელევიზიო და რადიო პროგრამებში, მაგნიტურ ფირებსა და კომპაქტდისკებზე და სხვ.

რა თქმა უნდა, თუ ნაწარმოებს ასრულებს შემსრულებელთა დიდი კოლექტივი, ანსამბლის თითოეული წევრის მიერ ამ უფლების რეალიზება, გარკვეულ შემთხვევებში, პრაქტიკულად შეუძ-



ლებელია, რაც აისახა კიდევ WPPT ხელშეკრულების მუხლში 5(1) გამონაკლისების დაშვებით იმ შემთხვევებისთვის, როცა ამგვარი უფლების განუხორციელებლობა ნაკარნახევია შესრულების ხასიათით.

მაგალითად, ორკესტრის ყველა წევრის სახელის მითითება უშუალოდ კომპაქტდისკზე, დისკის ზედაპირის ფართობის სიმცირის გამო, ვერ მოხერხდება, მაგრამ ეს გამონაკლისი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროგრამების მიმართ, რომელიც კონცერტის დროს ვრცელდება საზოგადოებაში. ამ პროგრამებში მითითებულია ყველა შემსრულებლის სახელი, ორკესტრის წევრების ჩათვლით, იმ შემთხვევაშიც, თუ ორკესტრანტების რაოდენობა ძალზე დიდია.

შეთანხმების მუხლი 5(1), ასევე, უფლებას აძლევს შემსრულებელს წინ აღუდგენს შესრულებაში ისეთი ცვლილებების შეტანას, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენონ მის რეპუტაციას.

შესრულებაში ცვლილების შეტანა შეიძლება განხორციელდეს ხმების შეცვლით, მისი შემადგენელი ელემენტების ამოღებით, ან დამატებით, რის შესაძლებლობასაც იძლევა თანამედროვე ტექნიკური საშუალებები. კერძოდ, მათი გამოყენებით შესაძლებელია შესრულების ტონალობისა და რიტმის შეცვლა, შესრულების აჩქარება ან შენელება და სხვა.

ამ მუხლის შესაბამისად, აკრძალულია შესრულების ისეთი მოდიფიცირება, რომელიც ზიანს აყენებს შემსრულებლის რეპუტაციას, ან ქმნის ამგვარი შედეგების დადგომის შესაძლებლობას, რაც თავისთავად უფრო აფართოვებს შემსრულებლის უფლებებს. საინტერესოა, შესრულების როგორმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს შემსრულებლის რეპუტაციის შელახვა და როგორ უნდა დადგინდეს რეპუტაციის შელახვის ფაქტი?

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ შემსრულებლის რეპუტაციის შელახვა შეიძლება მოჰყვეს შესრულების წარმოდგენას მისი სტილისაგან განსხვავებული სახით. მაგალითად, თუ შემსრულებელი არის საყოველთაოდ აღიარებული ჯაზმენი და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ხდება მის შესრულებაში ჯაზის ელემენტების შეცვლა სხვა მუსიკალური ელემენტებით. შემსრულებლის რეპუტაციის შელახვაში შეიძლება მოჰყვეს, აგრეთვე, მისი ხმის შეცვლას, მაგალითად, თუ მომღერლის ხმამ, რომელიც გამოირჩევა ხავერდოვნებით, ჩარევის შემდეგ შეიძინა სიმყიფე და განსხვავებული ჟღერადობა.

თუმცა, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ, დავის არსებობის

შემთხვევაში, შემსრულებლის რეპუტაციის შელახვის ფაქტი უნდა დაადგინოს სასამართლომ, რომელსაც მოუწევს ბევრი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინება, რადგან შეუძლებელია მოქმედ კანონმდებლობაში იმ ფაქტებისა და გარემოებების ფორმალიზება, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს რეპუტაციის შემლახველად და გამოყენებულ იქნეს ყველა შემთხვევაში.

WPPT ხელშეკრულების მუხლი 5(2) ეხება შემსრულებლის არაქონებრივი უფლებების მოქმედების ვადას. შესაბამისად, არაქონებრივი უფლებები უნდა მოქმედებდეს, სულ მცირე, შემსრულებლის ქონებრივი უფლებების მოქმედების პერიოდში, ანუ შესრულების ფონოგრამაზე ჩაწერიდან 50 წლის განმავლობაში. თუმცა, ამავე მუხლის რედაქციაში მითითებულია, რომ შემსრულებლის გარდაცვალების შემდეგ მის არაქონებრივ უფლებებს ახორციელებენ მონაწილე მხარეთა კანონმდებლობით გასაზღვრული უფლებამოსილი პირები. ერთი შეხედვით, გაურკვევლობას იწვევს ის ფაქტი, რომ შეთანხმებამ შემსრულებლის არაქონებრივი უფლებების დაცვის მინიმალურ ვადად განსაზღვრა 50 წელი შემსრულებლის გარდაცვალების შემდეგ და თითქოს არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ შემსრულებლის ქონებრივი უფლებების დაცვის ვადა (50 წელი) შეიძლება ამოიწუროს მის სიცოცხლეშივე და, ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი მითითება გარდაცვალების შემდეგ უფლებების განხორციელებაზე მოკლებულია ყოველგვარ აზრს.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს მუხლი ადგენს არაქონებრივი უფლებების დაცვის მინიმალურ ვადას, რაც ხელს არ უშლის შეთანხმების წევრ ქვეყნებს დაადგინონ უფრო ხანგრძლივი დაცვა, მათ შორის უვადოც.

ამავე დროს, პირდაპირი მითითება იმაზე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს უფლებები შემსრულებლის გარდაცვალების შემდეგ, ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ არაქონებრივი უფლებები დაცულია შემსრულებლის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, თუნდაც მისი სიცოცხლე გაგრძელდეს 100 წელი, რაც ცხადია შეუსაბამობაშია ამ მუხლის რედაქციასთან.

## **მუხლი 6. შემსრულებლების ქონებრივი უფლებები თავიანთ ჩაუწერიელ შესრულებებზე**

შემსრულებლებს თავიანთ შესრულებებთან დაკავშირებით აქვთ განსაკუთრებული უფლება ნება დართონ:

(i) თავიანთი ჩაუნერეელი შესრულებების ეთერში და საჯარო გადაცემაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შესრულება უკვე გადაცემულია ეთერში; და

(ii) თავიანთი ჩაუნერეელი შესრულებების ჩანერაზე ნებართვა.

### კომენტარი

WPPT ხელშეკრულების მე-6 მუხლი განსაზღვრავს შემსრულებლების ორ ქონებრივ უფლებას, კერძოდ:

- 1) შემსრულებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლებები იმ შესრულებების ეთერში და საჯარო გადაცემაზე, რომლებიც ჯერ არ ჩანერილა და არც ეთერით გადაცემულა;
- 2) შემსრულებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლებები თავიანთი ჩაუნერეელი შესრულებების ჩანერაზე.

WPPT ხელშეკრულების ამ მუხლით პირველად მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების დონეზე აღიარებულ იქნა შემსრულებელთა განსაკუთრებული ქონებრივი უფლებები. ეს გამოიხატა იმაში, რომ შემსრულებელს შეუძლია ნება დართოს ან აკრძალოს თავისი ჩაუნერეელი შესრულების ეთერში გადაცემა, საჯარო გადაცემა, ან ჩანერა.

WPPT ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, შემსრულებელთა უფლებები საგრძნობლად შეზღუდულია ადრე მიღებულ საერთაშორისო მრავალმხრივ ხელშეკრულებებში, სადაც შემსრულებლებს აქვთ მხოლოდ შესაძლებლობა წინ აღუდგნენ საკუთარი შესრულებების უნებართვო გამოყენებას (რომის კონვენციის მე-7 მუხლი და TRIPS შეთანხმების მუხლი 14(1)).

ფორმულა, რომ დაცვა უნდა ითვალისწინებდეს შემსრულებლების „შესაძლებლობას წინ აღუდგნენ“ ჩაუნერეელი შესრულებების არამართლზომიერ გამოყენებას, იმ კომპრომისის შედეგია, რომელიც მიღწეულ იქნა ინგლისსა და სხვა მონაწილე სახელმწიფოებს შორის რომის კონვენციის მომზადების პერიოდში.

ზოგადი სამართლებრივი ხასიათის ამ ფორმულირებამ შესაძლებლობა მისცა ინგლისს, რომელიც შემსრულებელთა უფლებების დაცვას ახორციელებდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე, მიერთებოდა რომის კონვენციას შემსრულებელთა ქონებრივი უფლებების აღიარების გარეშე.

TRIPS შეთანხმებამ, შემსრულებელთა უფლებებთან მიმარ-

თებაში, გაიზიარა ასეთივე მიდგომა და მასში ისევე, როგორც რომის კონვენციაში შემსრულებლებს არ გააჩნიათ განსაკუთრებული უფლებები.

WPPT ხელშეკრულებაში მოცემული შემსრულებლის განსაზღვრებიდან (მუხლი 2(ა)) გამომდინარე, შესრულებას შეადგენენ შესრულებები, რომლებიც შეიძლება განკუთვნილი იყოს სმენითი, აუდიოვიზუალური ან მხოლოდ ვიზუალური აღქმისათვის.

შემსრულებლის უფლება ჩაუნერეღი შესრულების ეთერთ გადაცემაზე, ეთერთ მაუწყებლობის შესახებ WPPT განსაზღვრებიდან (მუხლი 2(ვ)) გამომდინარე, მოიცავს ხმოვან, აუდიოვიზუალურ და ვიზუალურ შესრულებებს.

რაც შეეხება შემსრულებლის უფლებას ჩაუნერეღი შესრულების საჯარო გადაცემაზე, WPPT ხელშეკრულების მუხლის 2(ბ) გათვალისწინებით, ის ვრცელდება მხოლოდ ხმოვან შესრულებებზე.

WPPT ხელშეკრულების მუხლის 6(1) თანახმად, შემსრულებელს არ გააჩნია განსაკუთრებული უფლება ჩაუნერეღი შესრულების ეთერში ან საჯარო გადაცემაზე, როცა შესრულება უკვე გადაცემულია ეთერში.

მაგალითად, თუ ჩაუნერეღი შესრულების ეთერში გადაცემის შემდეგ, დაუყონებლივ ხდება კვლავ გადაცემა ეთერისვე მეშვეობით (რეტრანსლაცია) ან კაბელის გამოყენებით, არ მოქმედებს შემსრულებლის განსაკუთრებული უფლებები ეთერში და საჯარო გადაცემებზე. მაგრამ, თუ ცოცხალი შესრულება თავიდან გადაიცემა საკაბელო სისტემის გამოყენებით, ხოლო მისი შემდგომი გადაცემა ხდება ეთერის ან სხვა საკაბელო ქსელის მეშვეობით, სრულ მოქმედებაშია შემსრულებლის განსაკუთრებული უფლებები როგორც ეთერში გადაცემაზე, ისე საჯარო გადაცემაზე. უფლება საჯარო გადაცემაზე მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ საკონცერტო დარბაზიდან ხმის გამაძლიერებლის ან კაბელის მეშვეობით შესრულება გადაიცემა იმ ადგილებში, რომლებიც არ წარმოადგენს შესრულების ადგილს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ თუ ეთერთ გადაცემა ან საჯარო გადაცემა ხორციელდება ჩანანერის საფუძველზე, შემსრულებელს აქვს მხოლოდ ჰონორარის მიღების უფლება, რაც რეგულირდება ამ ხელშეკრულების მე-15 მუხლით.

WPPT ხელშეკრულების მუხლი 6(ii) კრძალავს ჩაუნერეღი შესრულების უნებართვოდ ჩანერას. აკრძალვა მოიცავს ცოცხალი შეს-

რულების ჩანერას როგორც უშუალოდ, შესრულების ადგილზე, ისე ეთერის ან საჭარო გადაცემის საშუალებების გამოყენებით ნებისმიერ სხვა ადგილზე.

რომის კონვენციისაგან განსხვავებით, სადაც ჩანერის უფლება ვრცელდება აუდიოვიზუალურ ჩანაწერებზე, WPPT ხელშეკრულება, მასში მოცემული ჩანაწერის განსაზღვრებიდან (მუხლი 2(გ)) გამომდინარე, ჩანერის უფლებას ავრცელებს ხმისა და ხმის გამოხატულების ჩანერაზე, მაგრამ არა გამოსახულებაზე.

ამდენად, WPPT ხელშეკრულების ფარგლებში, შემსრულებელს შეუძლია ნება დართოს ან აკრძალოს მხოლოდ ხმისა და ხმის გამოხატულებების ჩანერა. მისი უფლებამოსილება არ ვრცელდება ვიზუალურ ჩანაწერებზე.

## **მუხლი 7. რეპროდუცირების უფლება**

შემსრულებლებს აქვს განსაკუთრებული უფლება გასცეს ფონოგრამაზე ჩანერილი შესრულებების ნებისმიერი სახითა და ფორმით პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუცირების ნებადართვა.

### **შეთანხმებული განცხადება მე-7, მე-11 და მე-16 მუხლებთან დაკავშირებით**

რეპროდუცირების უფლება, როგორც ეს განსაზღვრულია მე-7 და მე-11 მუხლებით და ქვემოთ მე-16 მუხლით დაშვებული გამონაკლისები, სრულად გამოიყენება ციფრულ გარემოში, კერძოდ, შესრულებებისა და ფონოგრამების ციფრული ფორმით გამოყენებისას. გაგებულია, რომ ამ მუხლის მიხედვით რეპროდუცირებას წარმოადგენს შესრულებისა და ფონოგრამის ციფრული ფორმით შენახვა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

### **კომენტარი**

საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სფეროში რეპროდუცირების უფლება ძირითადი ქონებრივი უფლებაა, რომელიც საერთაშორისო საავტორო სამართლის ნორმებით რეგულირდება.

ავტორთა რეპროდუცირების უფლებების განმსაზღვრელი დებულებები მოცემულია ბერნის კონვენციის მე-9 მუხლში, ხოლო შემსრულებლის და ფონოგრამის დამამზადებელთა რეპროდუცირების უფლებები რეგულირდება რომის კონვენციის მე-7 და მე-9 მუხლებით.

TRIPS-ის მე-14 მუხლი, ასევე, ითვალისწინებს რეპროდუქციების უფლებას მომიჯნავე უფლებათა მფლობელთათვის.

როგორც აღვნიშნავდით, WPPT ხელშეკრულების დებულებები პირდაპირ არ ეფუძნება რომის კონვენციას, როგორც WCT ხელშეკრულება ბერნის კონვენციას.

რომის კონვენცია რეპროდუქციების განსაკუთრებულ უფლებებს არ ანიჭებს შემსრულებლებს და მათ შესაძლებლობებს შემოსაზღვრავს მხოლოდ რეპროდუქციების აკრძალვის უფლებით იმ შემთხვევაში, თუ:

1. ორიგინალური ჩანაწერი გაკეთდა მათი თანხმობის გარეშე;
2. რეპროდუქცირება ხორციელდება არა იმ მიზნით, რაზეც შემსრულებლებმა მისცეს თანხმობა;
3. ორიგინალური ჩანაწერი განხორციელდა მე-15 მუხლის დებულებებით დაშვებული გამონაკლისების შესაბამისად, ხოლო რეპროდუქცირება ხორციელდება ამ დებულებებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული მიზნებით.

TRIPS შეთანხმება, რომის კონვენციის მსგავსად, შემსრულებლებს ანიჭებს მხოლოდ უფლებას არ დაუშვან თავისი ჩაუნერეელი შესრულების უნებართვოდ ჩანწერა და ამგვარი ჩანწერის რეპროდუქცირება. ამ თვალსაზრისით, WPPT ხელშეკრულება ძირეულად განსხვავდება რომის კონვენციისა და TRIPS შეთანხმებისგან და რეპროდუქცირებაზე შემსრულებლებს ანიჭებს რომი-პლუს და TRIPS-პლუს უფლებებს.

WPPT ხელშეკრულების მე-7 მუხლის თანახმად, „შემსრულებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ ფონოგრამაზე ჩანწერილი შესრულებების ნებისმიერი სახითა და ფორმით პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუქციების ნებართვა“.

ამგვარად, WPPT ხელშეკრულებით, შემსრულებლებს გააჩნიათ რეპროდუქციების განსაკუთრებული უფლება, ნაცვლად რომის კონვენციათა და TRIPS შეთანხმებით გათვალისწინებული უფლებისა არ დაუშვან ნაწარმოების არამართლზომიერი რეპროდუქცირება.

შემსრულებლების განსაკუთრებული უფლებების აღიარებით WPPT ხელშეკრულებამ გამოასწორა შემსრულებლების უფლებრივი დისკრიმინაცია რეპროდუქცირებაზე ფონოგრამის დამამზადებლებთან შედარებით, რასაც ადგილი ჰქონდა რომის კონვენციისა და TRIPS შეთანხმებაში.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ WPPT ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად, შემსრულებლებს მიენიჭათ რეპროდუცირების განსაკუთრებული უფლება მიუხედავად იმისა შესრულების ჩანერა მოხდა შემსრულებლის ნებართვის საფუძველზე თუ მის გარეშე. აღნიშნული წარმოადგენს სერიოზულ ნოვაციას მომიჯნავე უფლებების საერთაშორისო სამართალში, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, რომის კონვენციისა და TRIPS შეთანხმების თანახმად, შემსრულებლის უფლება ვრცელდება მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე, როცა შესრულების ჩანერა განხორციელდა შემსრულებლის ნებართვის გარეშე ან ამ საერთაშორისო დოკუმენტებით დაშვებული გამონაკლისებისაგან განსხვავებული მიზნებით.

WPPT ხელშეკრულების მე-7 მუხლის თანახმად, რეპროდუცირება მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ რეპროდუცირებას. აღნიშნული ფორმულირება გამოიყენება რომის კონვენციის მე-10 მუხლისა და TRIPS შეთანხმების მუხლში 14(2) ფონოგრამის დამამზადებლების რეპროდუცირების უფლებებთან მიმართებაში. არსებული ტერმინოლოგიით ფონოგრამის პირდაპირი რეპროდუცირება ეხება ფონოგრამის დამამზადებას ტრადიციული ტექნოლოგიით, მატრიცების გამოყენებით ან ფონოგრამის კოპირებას (მაგ., გადაწერა კომპაქტდისკიდან ფირზე ან სხვა კომპაქტდისკზე). ფონოგრამის არაპირდაპირი რეპროდუცირება შეიძლება განხორციელდეს მაუნ-ყებლობის გადაცემის, რომელიც ხორციელდება ფონოგრამის გამოყენებით, დაშორებულ მანძილზე ჩანერით.

WPPT-ის მე-7 მუხლი შემსრულებელს ანიჭებს რეპროდუცირების უფლებას მხოლოდ ისეთ შესრულებებზე, რომლებიც ჩანერილია ფონოგრამებზე. ამდენად, შემსრულებლის რეპროდუცირების განსაკუთრებული უფლება არ ვრცელდება აუდიოვიზუალურ და სხვა ისეთ ჩანანერებზე, რომლებიც არ პასუხობენ მე-2 მუხლში მოცემული ფონოგრამის განსაზღვრებას.

WPPT ხელშეკრულების მე-7 მუხლში რეპროდუცირება განხილულია ფართო კონტექსტში. ამ მუხლის შესაბამისად, შემსრულებლის განსაკუთრებული უფლება ვრცელდება ნებისმიერი სახითა და ფორმით განხორციელებულ რეპროდუცირებაზე. აღნიშნულ მუხლში მოცემული ფორმულირება „რეპროდუცირება... ნებისმიერი სახითა და ფორმით“ ნასესხებია ბერნის კონვენციის მუხლიდან 9(1), რომელიც ეხება ავტორთა განსაკუთრებულ უფლებას რეპროდუცირებაზე.

საავტორო სამართალში რეპროდუცირების ფართოდ გაგება ქმნის იმის სამართლებრივ საფუძველს, რომ რეპროდუცირების განსაკუთრებული უფლებები გავრცელდეს ახალ ტექნოლოგიურ მიღწევებზე დამყარებულ ინფორმაციის ჩანერის და გავრცელების საშუალებებზე. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მე-7, მე-11 და მე-16 მუხლებთან დაკავშირებული შეთანხმებული განცხადება, რომლის მიხედვითაც მე-7 და მე-11 მუხლებით განსაზღვრული რეპროდუცირების უფლება და მე-16 მუხლით დაშვებული გამონაკლისები სრულად გამოიყენება ციფრულ გარემოში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ელექტრონული საშუალების გამოყენებით შესრულებისა და ფონოგრამის ციფრული ფორმით შენახვა (ჩანერა) წარმოადგენს რეპროდუცირებას.

### **მუხლი 8. ბავრცელების უფლება**

(1) შემსრულებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება ფონოგრამაზე ჩანერილი თავიანთი შესრულებების ორიგინალი და ასლები გახადონ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, გაყიდვის ან საკუთრებაში გადაცემის სხვა გზით.

(2) ამ ხელშეკრულების არც ერთი დებულება არ ზღუდავს დამდეგი მხარეების თავისუფლებას განსაზღვრონ პირობები, ასეთის არსებობისას, რომლითაც (1)-ლ პუნქტში ნახსენები უფლების ამონერვა ხდება შემსრულებლის ნებართვით ჩანერილი შესრულების ორიგინალის ან ასლის პირველი გაყიდვის ან საკუთრებაში სხვა გზით გადაცემისას.

### **შეთანხმებული განცხადება მე-2(გ), მე-8, მე-9, მე-12 და მე-13 მუხლებთან დაკავშირებით**

ამ მუხლებში გამოყენებული ტერმინები „ასლები“ და „ორიგინალი და ასლები“, რომლებიც, ამ მუხლების თანახმად, გავრცელების და გაქირავების ობიექტებია ეხება მხოლოდ ჩანერილ ასლებს, რომლებიც შეიძლება ჩართულ იქნეს ბრუნვაში მატერიალური ობიექტების სახით.

### **კომენტარი**

პირველად მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში, WPPT ხელშეკრულების მე-8 მუხლის საფუძველზე, შემსრულებლებს მიენიჭათ გავრცელების განსაკუთრებული უფლება. შემსრულებლებს გავრცელების უფლება არ გააჩნიათ არც რომის კონვენციითა და არც TRIPS შეთანხმებით. ამდენად, WPPT



ხელშეკრულების მე-8 მუხლი წარმოადგენს რომი-ჰლუს და TRIPS-ჰლუს ნორმას.

მუხლი 8(1) შეიცავს შემსრულებელთა გავრცელების უფლების განსაზღვრებას. მოცემული განსაზღვრების შესაბამისად, გავრცელება განიმარტება, როგორც აქტი, რომლითაც შემსრულებელს ფონოგრამაზე ჩანერილი თავისი შესრულების ორიგინალი და ასლები შეუძლია გახადოს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი. აქ ზოგადი ხასიათის ტერმინის „გავრცელება“ შეცვლა ტერმინით „გახადოს ხელმისაწვდომი“ მიზნად ისახავს მკაფიოდ დაფიქსირდეს ის ფაქტი, რომ ფონოგრამის ორიგინალის და ასლების გაყიდვა ან მათზე უფლებების სხვა სახით გადაცემა ექვემდებარება შემსრულებლის კონტროლს. ამავდროულად, აღნიშნული რედაქცია WPPT ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს უტოვებს საკმაო თავისუფლებას გავრცელების უფლებასთან დაკავშირებული ნორმების მათთვის მისაღები სახით ჩამოყალიბებაში.

მუხლში 8(1) გამოთქმა „გაყიდვა ან სხვა სახით გადაცემა“ მიუთითებს, რომ ამ მუხლით დადგენილი გავრცელების უფლება ეხება არა დროებითი, არამედ მუდმივი ხასიათის გავრცელებას.

ამდენად, ეს მუხლი არ მოიცავს უფლებებს, რომლებიც დაკავშირებულია დროებით გავრცელებაზე, მაგალითად გაქირავებაზე.

მუხლი 8(2) ეხება შემსრულებლის უფლებების ამონწერის საკითხს. ამ მუხლის თანახმად, WPPT არ ზღუდავს მხარეების ეროვნულ კანონმდებლობებს უფლებების ამონწერის შესაძლებლობების რეგულირებაში, მაგრამ უფლებების ამონწერა შეიძლება მოხდეს მხოლოდ „შემსრულებლის ნებართვით პირველი გაყიდვის ან ჩანერილი შესრულების ორიგინალისა ან ასლზე საკუთრების უფლების სხვა სახით გადაცემისას“.

ამდენად, ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები, ზემოთ მოყვანილი მოთხოვნის გამოკლებით, აბსოლუტურად თავისუფალნი არიან უფლებების ამონწერის რეჟიმის დადგენაში. სახელდობრ, დამდები მხარის პრეროგატივაა განსაზღვროს ამონწერა შემოიფარგლოს მხოლოდ ეროვნული ტერიტორიით, რეგიონული ტერიტორიით (მაგ., ევროკავშირის ტერიტორია), თუ ამონწერვას ადგილი ჰქონდეს უკვე ჩანერილი შესრულების ასლის მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში გაყიდვის შემთხვევაში.

ამ თვალსაზრისით, ქვეყნების თავისუფლება არ შეიძლება შეიზ-

ლუდოს არც WPPT ხელშეკრულების მუხლით 16(2) დადგენილი სამსაფეხურიანი ტესტის მოთხოვნებით. მაგალითად, იმის მტკიცების საფუძველზე, რომ უფლებების ამონურვა ლახავს შემსრულებლის ეკონომიკურ ინტერესებს.

მუხლში 8(1) გამოყენებული გამოთქმა „ორიგინალი ან ასლი“ წარმოადგენს გავრცელების უფლებასთან დაკავშირებით ეროვნულ კანონმდებლობებში ჩვეულებრივ გამოყენებულ ტერმინებს. უნდა აღინიშნოს, რომ, საზოგადოდ, ჩანაწერის ორიგინალის ანუ პირველი ჩანაწერის გავრცელება ნაკლებ სავარაუდოა და გამოთქმა „ორიგინალი ან ასლი“ მუხლში 8(1) მიუთითებს უფრო სურვილზე, რომ ამ მუხლის რედაქცია ყოფილიყო მსგავსი WCT ხელშეკრულების მე-6 მუხლის რედაქციისა, რომელიც ეხება გავრცელების უფლებას ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე. თუმცა, უკანასკნელ შემთხვევაში, გავრცელების უფლების გამოყენება მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოების ორიგინალის მიმართ გამოხატავს არსებულ რეალობას.

შეთანხმებული განცხადების მიხედვით, გავრცელების უფლება ეხება მხოლოდ მატერიალურ ობიექტებს. ჩანაწერი, რომელიც ვრცელდება, უნდა იყოს ხელშესახები ანუ მატერიალური ფორმით დაფიქსირებული, მაგალითად, კომპაქტდისკზე, მაგნიტურ ფირზე და ა.შ.

მე-8 მუხლში ერთმნიშვნელოვანი მითითება ობიექტების მატერიალური სახით არსებობის აუცილებლობაზე განპირობებული იყო WCT და WPPT ხელშეკრულებების განხილვებისას გავრცელების უფლების ქვეშ შესრულებებისა და ჩანაწერების ელექტრონული ტრანსმისიის მოქცევის მცდელობით, რასაც მხარი არ დაუჭირეს დელეგაციებმა.

## **მუხლი 9. გაქირავების უფლება**

(1) შემსრულებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება, ამ ხელშეკრულების დამდები მხარის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, გასცენ ნებართვა ფონოგრამებზე ჩანერილი თავისი შესრულებების ორიგინალის ან ასლების საზოგადოებისთვის კომერციულ გაქირავებაზე მაშინაც კი, თუ გავრცელება მოხდა შემსრულებლის მიერ ან მისი ნებართვით.

(2) მიუხედავად (1)-ლი პუნქტის დებულებებისა, ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეს, რომელშიც 1994 წლის 15 აპრილისთვის მოქმედებდა და ამჟამადაც მოქმედებს ფონოგრამაზე ჩანერილი შესრულებების

ასლების გაქირავების შემთხვევაში შემსრულებლისთვის სამართლიანი ანაზღაურების სისტემა, შეუძლია შეინარჩუნოს ეს სისტემა იმ პირობით, თუ ფონოგრამების კომერციული გაქირავება არსებით ზიანს არ აყენებს შემსრულებლის განსაკუთრებულ უფლებას რეპროდუცირებაზე.

### **შეთანხმებული განცხადება მე-2(გ), მე-8, მე-9, მე-12 და მე-13 მუხლებთან დაკავშირებით**

ამ მუხლებში გამოყენებული ტერმინები „ასლები“ და „ორიგინალი და ასლები“, რომლებიც, ამ მუხლების თანახმად, წარმოადგენს გავრცელებისა და გაქირავების ობიექტებს, ეხება მხოლოდ ჩანერილ ასლებს, რომლებიც შეიძლება ჩართულ იქნეს ბრუნვაში მატერიალური ობიექტების სახით.

### **კომენტარი**

გაქირავების უფლება არ ფიგურირებს ბერნისა და რომის კონვენციებში. მრავალმხრივ საერთაშორისო შეთანხმებაში გაქირავების განსაკუთრებული უფლებები პირველად შემოტანილი იქნა TRIPS შეთანხმების მე-11 და მე-14 მუხლებში, როგორც ბერნი-პლუს ელემენტი ავტორთათვის და რომი-პლუს ელემენტი შემსრულებლებისა და ფონოგრამის დამამზადებელთათვის.

TRIPS შეთანხმების მე-11 მუხლის შესაბამისად, „წვერი ქვეყანა, სულ მცირე, კომპიუტერულ პროგრამებსა და კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით, ავტორებს ან მათ უფლებამონაცვლევებს უზრუნველყოფს უფლებით ნება დართონ ან აკრძალონ საავტორო უფლებით დაცული თავისი ნაწარმოებების ორიგინალების ან ასლების საზოგადოებისათვის კომერციული მიქირავება“.

TRIPS შეთანხმების მუხლის 14(4) თანახმად, კომპიუტერულ პროგრამებზე გაქირავების უფლება ვრცელდება „შესაბამისი ცვლილებებით ფონოგრამის დამამზადებელსა და ფონოგრამაზე უფლების ნებისმიერ სხვა მფლობელზე წვერი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილის შესაბამისად“.

WPPT ხელშეკრულების მე-9 მუხლი პრაქტიკულად იმეორებს TRIPS შეთანხმების მიდგომას შემსრულებელთა გაქირავების უფლებებთან დაკავშირებით ერთი მცირე განსხვავებით.

თუ TRIPS-ის მუხლის 14(4) თანახმად, შემსრულებლებს გააჩნიათ გაქირავების უფლება იმდენად, რამდენადაც ისინი მიიჩნევიან ფონოგრამაზე უფლებების მფლობელად, WPPT ხელშეკრულების

მუხლი 9(1) პირდაპირ მიუთითებს შემსრულებელთა გაქირავების უფლებაზე, რაც შეიძლება მივიჩნიოთ TRIPS-პლუს ელემენტად. უნდა ითქვას, რომ ეს ელემენტი არსებითად არ ცვლის ვითარებას, მაგრამ მუხლს 9(1) ანიჭებს მეტ სამართლებრივ ტრანსფარენტულობას და სიცხადეს.

WPPT ხელშეკრულების მუხლის 9(1) უკანასკნელი მოთხოვნის ინტერპრეტაციისას აღსანიშნავია, რომ იგი თვისობრივად განსხვავდება WCT ხელშეკრულების მე-7 მუხლით ავტორთათვის გათვალისწინებული გაქირავების უფლებისაგან. ამ მუხლთან დაკავშირებული შეთანხმებული განცხადების თანახმად, ნაწარმოების ავტორებს არ გააჩნიათ გაქირავების უფლება ფონოგრამაზე, თუ მათ ეროვნული კანონმდებლობით არ აქვთ მინიჭებული სხვა უფლებები ფონოგრამასთან დაკავშირებით.

მუხლის 9(1) შესაბამისად, განსაკუთრებული უფლებები მოქმედებს მხოლოდ კომერციული მიზნებით გაქირავებისას, ანუ მათი მოქმედება არ ვრცელდება საზოგადოებრივი ან არაკომერციული მიზნით თხოვბასა და სხვა მსგავს ქმედებებზე.

მუხლი 9(1) პირდაპირ მიუთითებს, რომ შემსრულებელს გაქირავების უფლება რჩება ფონოგრამების გავრცელების შემდეგაც კი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოთხოვნა ცხადად არ ფიგურირებს არც TRIPS შეთანხმებაში და არც WCT ხელშეკრულების მე-7 მუხლში, რომელიც ეხება ავტორთა განსაკუთრებულ უფლებებს გაქირავებაზე.

ამ მუხლში აღნიშნული მოთხოვნის ჩადების მიზანია ზუსტად გაიმიჯნოს გაქირავებისა და გავრცელების უფლებები მათ ამონურვასთან მიმართებაში.

თუ მე-8 მუხლის შესაბამისად, WPPT ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თავისუფალნი არიან განსაზღვრონ გავრცელების უფლების ამონურვის პირობები, გაქირავების შემთხვევებში, რომელიც წარმოადგენს გავრცელების ერთ-ერთ სახეს, არ შეიძლება შემსრულებელს ამონურვოს უფლებები და მას რჩება გაქირავების უფლება.

WPPT ხელშეკრულების მუხლი 9(2) ხელშეკრულების დამდებ მხარეებს უტოვებს უფლებას, გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში, შეინარჩუნონ ფონოგრამაზე ჩანერილი შესრულებების გაქირავებისათვის შემსრულებლის სამართლიანი ანაზღაურების სისტემა. ეს მუხლი ფორმულირებულია TRIPS შეთანხმების მუხლის 14(4) და WCT ხელშეკრულების მუხლის 7(3) ანალოგიურად.

ხელშეკრულების მონაწილე მხარემ შეიძლება შეინარჩუნოს სამართლიანი ანაზღაურების სისტემა, თუ ეს სისტემა ქვეყანაში მოქმედებდა 1994 წლის 15 აპრილისათვის (TRIPS შეთანხმების ხელმოწერის თარიღი) და მოქმედებაში იყო WPPT ხელშეკრულებასთან მისი მიერთების მომენტამდე.

გარდა ზემოაღნიშნული პირობებისა, მუხლის 9(2) კიდეც ერთი მოთხოვნაა, რომ ფონოგრამების კომერციული გაქირავება არ აყენებდეს არსებით ზიანს შემსრულებლის განსაკუთრებულ უფლებას რეპროდუცირებაზე.

ისევე როგორც WPPT ხელშეკრულების მე-8 მუხლით დადგენილი გავრცელების უფლების შემთხვევაში, გაქირავების უფლება ვრცელდება მხოლოდ მატერიალური ფორმით არსებულ ჩანაწერებზე.

### **მუხლი 10. ჩანაწერი შემსრულებლის საჯარო ხელმისაწვდომობის უფლება**

შემსრულებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ ჩანაწერი შესრულების სადენებით ან კავშირგაბმულობის უმავეთლო საშუალებებით საჯარო ხელმისაწვდომობის ნებართვა იმგვარად, რომ საზოგადოების წარმომადგენლებს ჰქონდეთ მათზე წვდომის საშუალება ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით.

### **კომენტარი**

WPPT ხელშეკრულების მე-10 მუხლი ეხება შემსრულებლის უფლებას გახადოს ჩანაწერი შესრულება საზოგადოების წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომი ციფრული გადაცემების საშუალებით.

ამ ნორმის დანესებით შემსრულებლებს, პირველად საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში, მიეცათ განსაკუთრებული უფლება online სისტემების გამოყენებით შესრულებების ჩანაწერების საჯარო ხელმისაწვდომობაზე.

WCT და WPPT ხელშეკრულებების მომზადებისას ექსპერტთა კომიტეტი განიხილავდა შემსრულებელთათვის ავტორთა მსგავსად ჩანაწერების საჯარო გადაცემების ფართო უფლებების მინიჭების საკითხს, რომლითაც, ციფრულ გადაცემებთან ერთად, მოცული იქნებოდნენ საჯარო გადაცემები ეთერისა და კაბელის გამოყენებით. მაგრამ, ეს წინადადება ქვეყნების უმრავლესობის მიერ უარყოფილ

იქნა და შემსრულებლების განსაკუთრებული უფლებები, ავტორების უფლებებისაგან განსხვავებით, გავრცელდა მხოლოდ საჯარო ციფრულ გადაცემაზე.

მე-10 მუხლის შესაბამისად, შემსრულებლის უფლება, ჩანერილი შესრულებები გახადოს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ვრცელდება მხოლოდ ისეთ საჯარო გადაცემებზე, რომელთა წვდომა შესაძლებელია ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერ დროს დაინტერესებული პირის არჩევანის მიხედვით, ანუ ე.წ. ინტერაქტიულ რეჟიმში.

ამჟამად, ასეთი ტიპის გადაცემები, ძირითადად, ხორციელდება ინტერნეტის მეშვეობით, მაგრამ შემსრულებლის ეს უფლებები მოქმედებს ნებისმიერი on-line სისტემის გამოყენების პირობებში, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როცა შესრულების ჩანაწერი ხელმისაწვდომია საზოგადოების შეზღუდული ნაწილისათვის. ასეთი სისტემის მაგალითს წარმოადგენს ორგანიზაციის შიდა ქსელი – ინტრანეტი, რომლითაც სარგებლობენ ამ ორგანიზაციის თანამშრომლები.

შემსრულებლის განსაკუთრებული უფლებები არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი სერვერთან შეერთებულია მხოლოდ ერთი კომპიუტერული ტერმინალი. შემსრულებლის უფლება ციფრულ გადაცემებზე ვრცელდება როგორც უშუალოდ გადაცემის განხორციელების აქტზე, ისე ჩანაწერის წვდომის პოტენციურ შესაძლებლობაზე. მაგალითად, სერვერის განთავსების ფაქტი, რომელიც საშუალებას იძლევა ფონოგრამაზე ჩანერილი შესრულება ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოების წარმომადგენლებისთვის, ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერ დროს, ექცევა მე-10 მუხლის მოქმედების ქვეშ. თუ შესრულება ფაქტობრივად გადაიცემა, მაშინ ეს უფლება ვრცელდება უშუალოდ გადაცემის აქტზე მომხმარებლის კომპიუტერულ ტერმინალამდე.

თუმცა, შემსრულებლის უფლება გახადოს შესრულება საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ეხება მოშორებულ მანძილზე გადაცემებს, იგი არ გულისხმობს რაიმე მინიმალური მანძილის არსებობის აუცილებლობას შესრულების გადაცემისა და მიღების ადგილებს შორის. მაგალითად, სერვერი, რომლის მესხიერებაში მუსიკის ჩანაწერი განთავსებული და კომპიუტერული ქსელის ტერმინალები, საიდანაც შესრულება ხელმისაწვდომია მომხმარებლებისთვის, შესაძლებელია განთავსებული იყოს ერთ შენობაში.

უფლებები ციფრულ გადაცემებზე არ არის დაკავშირებული იმ

ტექნიკურ საშუალებებთან, რომლითაც ხორციელდება გადაცემები და არის მათ მიმართ ნეიტრალური. მე-10 მუხლის თანახმად, ასეთი გადაცემა შეიძლება მოხდეს „სადენით ან უსადენო საშუალებებით“.

### თავი III ფონოგრამის დამამზადებელთა უფლებები

#### **მუხლი 11. რეპროდუქციის უფლება**

ფონოგრამის დამამზადებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ თავიანთი ფონოგრამების ნებისმიერი სახითა და ფორმით პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუქციების ნებართვა.

#### **შეთანხმებული განცხადება მე-7, მე-11 და მე-16 მუხლებთან დაკავშირებით**

რეპროდუქციების უფლება, როგორც ეს განსაზღვრულია მე-7 და მე-11 მუხლებით და ქვემოთ მე-16 მუხლით დაშვებული გამონაკლისები, სრულად გამოიყენება ციფრულ გარემოში, კერძოდ, შესრულებებისა და ფონოგრამების ციფრული ფორმით გამოყენებისას. გაგებულია, რომ შესრულებისა და ფონოგრამის ციფრული ფორმით შენახვა ელექტრონული საშუალებით წარმოადგენს რეპროდუქციებას ამ მუხლის მნიშვნელობით.

#### **კომენტარი**

როგორც მე-7 მუხლის კომენტარებისას აღინიშნა, რეპროდუქციების უფლება ძირითადი ქონებრივი უფლებაა საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სფეროში და მიეკუთვნება საერთაშორისო სამართლით რეგულირების უმნიშვნელოვანეს საკითხს. საერთაშორისო სამართალში ავტორთა რეპროდუქციების უფლებების განმსაზღვრელი დებულებები მოცემულია ბერნის კონვენციის მე-9 მუხლში, შესაბამისად, შემსრულებლისა და ფონოგრამის დამამზადებლის რეპროდუქციების უფლებები რეგულირდება რომის კონვენციის მე-7 და მე-9 მუხლებით.

რომის კონვენციამ მე-9 მუხლით ფონოგრამის დამამზადებლებს მიანიჭა განსაკუთრებული უფლებები ფონოგრამის რეპროდუქციებაზე, განსხვავებით მე-7 მუხლით შემსრულებელთათვის მინიჭებული გარკვეულად შემღვდული უფლებებისა, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

TRIPS შეთანხმების მე-14 მუხლი, ასევე, ითვალისწინებს ფონოგრამის რეპროდუცირების განსაკუთრებული უფლების მინიჭებას ფონოგრამის დამამზადებელთათვის.

ზემოთ მოყვანილი შეთანხმებული განცხადებით, ფონოგრამის დამამზადებლის რეპროდუცირების უფლება და მასთან დაკავშირებული გამონაკლისები ვრცელდება ციფრული ფორმით ელექტრონული საშუალებით ჩაწერილ ფონოგრამაზეც. ამასთან დაკავშირებით, დიპლომატიურ კონფერენციაზე სპეციალურად აღინიშნა, რომ ვინაიდან კომპიუტერის მეხსიერებაში მცირე ინფორმაციის შენახვა, ხანმოკლე დროითაც კი, საყოველთაოდ მიჩნეულია რეპროდუცირების აქტად, ეს მიდგომა უნდა გავრცელდეს ციფრული სახით ჩაწერილ ფონოგრამაზეც.

## **მუხლი 12. გავრცელების უფლება**

(1) ფონოგრამის დამამზადებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გახადონ მათი ფონოგრამების ორიგინალები და ასლები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გაყიდვის ან საკუთრებაში გადაცემის სხვა გზით.

(2) ამ ხელშეკრულების არც ერთი დებულება არ ზღუდავს დამდები მხარის თავისუფლებას განსაზღვროს პირობები, ასეთის არსებობისას, რომლითაც (1)-ლ პუნქტში ნახსენები უფლების ამონაწერა ხდება ფონოგრამის დამამზადებლის ნებართვით ფონოგრამის ორიგინალის ან ასლის პირველი გაყიდვის ან საკუთრებაში სხვა გზით გადაცემისას.

## **შეთანხმებული განცხადება მე-2(გ), მე-8, მე-9, მე-12 და მე-13 მუხლებთან დაკავშირებით**

ამ მუხლებში გამოყენებული ტერმინები „ასლები“ და „ორიგინალები და ასლები“, რომლებიც ამ მუხლების თანახმად წარმოადგენს გავრცელებისა და გაქირავების ობიექტებს, ეხება მხოლოდ ჩაწერილ ასლებს, რომლებიც შეიძლება ჩართულ იქნეს ბრუნვაში მატერიალური ობიექტების სახით.

## **კომენტარი**

როგორც ვხედავთ, ფონოგრამის დამამზადებლებს გააჩნიათ შემსრულებლების ანალოგიური გავრცელების განსაკუთრებული უფლება (მუხლი 8), რომელიც, შეთანხმებული განცხადების შესაბამისად, ვრცელდება მატერიალური სახით არსებულ ჩანაწერებზე.



უნდა აღინიშნოს, რომ WPPT ხელშეკრულებით, პირველად მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულების პრაქტიკაში, ისევე როგორც შემსრულებლებს, ფონოგრამის დამამზადებლებს მიენიჭათ ფონოგრამის გავრცელების განსაკუთრებული უფლება. ამრიგად, WPPT ხელშეკრულების ეს მუხლი ფონოგრამის დამამზადებლებს ანიჭებს რომი-პლუს და TRIPS-პლუს უფლებებს, რის საფუძველზეც ფონოგრამის დამამზადებლები ავტორებთან და შემსრულებლებთან ერთად გახდნენ ფონოგრამების გავრცელების ავტორიზაციის სრულუფლებიანი თანამონაწილენი.

### **მუხლი 13. გაქირავების უფლება**

1) ფონოგრამის დამამზადებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ ნებართვა თავიანთი ფონოგრამების ორიგინალის ან ასლების საზოგადოებისთვის კომერციულ გაქირავებაზე მაშინაც კი, თუ ფონოგრამის გავრცელება მოხდა ფონოგრამის დამამზადებლის მიერ ან მისი ნებართვით.

2) მიუხედავად (1)-ლი პუნქტის დებულებებისა, ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეს, რომელშიც 1994 წლის 15 აპრილისათვის მოქმედებდა და ამჟამადაც მოქმედებს ფონოგრამის ასლების გაქირავების შემთხვევაში ფონოგრამის დამამზადებლისთვის სამართლიანი ანაზღაურების სისტემა, შეუძლია შეინარჩუნოს ეს სისტემა იმ პირობით, თუ ფონოგრამების კომერციული გაქირავება არსებით ზიანს არ აყენებს ფონოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებულ უფლებას ფონოგრამის რეპროდუცირებაზე.

### **შეთანხმებული განცხადება მე-2(გ), მე-8, მე-9, მე-12 და მე-13 მუხლებთან დაკავშირებით**

ამ მუხლების გაგებით, ტერმინები „ასლები“ და „ორიგინალი და ასლები“, რომლებიც ამ მუხლების თანახმად წარმოადგენს გავრცელებისა და გაქირავების საგანს, ეხება მხოლოდ ჩანერილ ასლებს, რომლებიც შეიძლება ჩართულ იქნეს ბრუნვაში მატერიალური ობიექტების სახით.

### **კომენტარი**

როგორც WPPT ხელშეკრულების მე-9 მუხლის კომენტირებისას ითქვა, ავტორებთან და მომიჯნავე უფლებების მფლობელებთან მიმართებაში გაქირავების უფლებები პირველად შემოტანილ იქნა

TRIPS შეთანხმების მე-11 და მე-14 მუხლებში, როგორც ბერნი-პლუს ელემენტი ავტორთათვის და როგორც რომი-პლუს ელემენტი შემსრულებელთა და ფონოგრამის დამამზადებელთათვის.

TRIPS შეთანხმების მე-11 მუხლის შესაბამისად, „წვერი ქვეყანა, სულ მცირე, კომპიუტერულ პროგრამებსა და კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით ავტორებს ან მათ უფლებამონაცვლეებს უზრუნველყოფს უფლებით ნება დართონ ან აკრძალონ საავტორო უფლებით დაცული თავისი ნაწარმოებების ორიგინალების ან ასლების საზოგადოებისათვის კომერციული მიქირავება“.

TRIPS შეთანხმების მუხლის 14(4) თანახმად, „კომპიუტერულ პროგრამებზე გაქირავების უფლება ვრცელდება mutatis-mutandis ფონოგრამის დამამზადებელზე და ფონოგრამაზე უფლების ნებისმიერ სხვა მფლობელზე წვერი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილის შესაბამისად“.

მუხლი 13(1) ცხადად ადგენს ფონოგრამის დამამზადებელთა განსაკუთრებულ უფლებებს გაქირავებაზე. ამ მუხლის შესაბამისად, განსაკუთრებული უფლებები მოქმედებს მხოლოდ კომერციული მიზნით გაქირავებისას, ანუ მათი მოქმედება არ ვრცელდება არაკომერციული მიზნით თხოვებასა და სხვა ამგვარ ქმედებებზე.

მუხლი 13(1) პირდაპირ მიუთითებს, რომ ფონოგრამის დამამზადებელს გაქირავების უფლება რჩება ფონოგრამების გავრცელების შემდეგაც კი. როგორც მე-9 მუხლის კომენტარებისას ითქვა, ამ მოთხოვნის მიზანია ზუსტად გაიმიჯნოს გაქირავებისა და გავრცელების უფლებები მათ ამოწურვასთან მიმართებაში.

თუ მე-12 მუხლის შესაბამისად, WPPT ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თავისუფალნი არიან გავრცელების უფლების ამოწურვის პირობების განსაზღვრაში. გაქირავების შემთხვევებში, რომელიც გავრცელების ერთ-ერთი სახეა, ფონოგრამის დამამზადებელთა უფლებები არ შეიძლება ამოიწუროს და მათ რჩებათ გაქირავების უფლება.

მუხლი 13(2) ხელშეკრულების დამდებ მხარეებს უტოვებს უფლებას, გარკვეული პირობების არსებობისას, ფონოგრამის გაქირავების შემთხვევაში, შეინარჩუნონ მისი დამამზადებლისთვის სამართლიანი ანაზღაურების სისტემა. მუხლი 13(2) ფორმულირებულია TRIPS შეთანხმების მუხლის 14(4) და WCT ხელშეკრულების მუხლის 7(3) ანალოგიურად.

ისევე, როგორც შემსრულებლის შემთხვევაში, ხელშეკრულების მონაწილე მხარემ ფონოგრამის დამამზადებლისთვის სამართლიანი ანაზღაურების სისტემა შეიძლება შეინარჩუნოს, თუ ეს სისტემა ქვეყანაში მოქმედებდა 1994 წლის 15 აპრილისათვის (TRIPS შეთანხმების ხელმოწერის თარიღი) და მოქმედებაში იყო WPPT ხელშეკრულებასთან მისი მიერთების მომენტამდე.

გარდა ზემოაღნიშნული პირობებისა, მუხლის 13(2) კიდევ ერთი მოთხოვნაა, რომ ფონოგრამების კომერციული გაქირავება არსებით ზიანს არ უნდა აყენებდეს ფონოგრამის დამამზადებელთა განსაკუთრებულ უფლებას რეპროდუცირებაზე.

შეთანხმებული განცხადების შესაბამისად, ისევე, როგორც მე-8, მე-9 და მე-12 მუხლების შემთხვევაში, გაქირავების უფლება ვრცელდება მხოლოდ მატერიალური ფორმით არსებულ ჩანაწერებზე.

#### **მუხლი 14. ფონოგრამის საჯარო ხელმისაწვდომობის უფლება**

ფონოგრამების დამამზადებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ თავიანთი ფონოგრამების სადენებით ან კავშირგაბმულობის უმავთულო საშუალებებით საჯარო ხელმისაწვდომობის ნებართვა იმგვარად, რომ საზოგადოების წარმომადგენლებს ჰქონდეთ მათზე წვდომის საშუალება ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით.

#### **კომენტარი**

WPPT ხელშეკრულების მე-14 მუხლი ჩამოყალიბებულია ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლის მსგავსად. იგი ეხება ფონოგრამის დამამზადებლის უფლებას გახადოს ფონოგრამა საზოგადოების წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომი ციფრული გადაცემების საშუალებით ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით.

ამ ნორმის დაწესებით ფონოგრამის დამამზადებლებს, ისევე როგორც შემსრულებლებს, პირველად საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში, მიენიჭათ განსაკუთრებული უფლება on-line სისტემების გამოყენებით ფონოგრამების საჯარო ხელმისაწვდომობაზე.

WPPT და WCT ხელშეკრულებების მომზადებისას, ექსპერტთა კომიტეტი განიხილავდა, ავტორთა მსგავსად, ფონოგრამის დამამზადებლებისთვის ფონოგრამების საჯარო გადაცემების ფართო

უფლებების მინიჭების საკითხს, რომლითაც ციფრულ გადაცემებთან ერთად მოცული იქნებოდა საჯარო გადაცემები ეთერისა და კაბელის გამოყენებით. მაგრამ, ეს წინადადება ქვეყნების უმრავლესობამ უარყო და შემსრულებლების მსგავსად, ფონოგრამის დამამზადებლების განსაკუთრებული უფლებები გავრცელდა მხოლოდ საჯარო ციფრულ გადაცემაზე.

მე-14 მუხლის შესაბამისად, ფონოგრამის დამამზადებლების უფლება ვრცელდება მხოლოდ ისეთ საჯარო გადაცემებზე, რომელთა წვდომა შესაძლებელია ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერ დროს დაინტერესებული პირის არჩევანის მიხედვით, ე.წ. ინტერაქტიულ რეჟიმში, რომელიც ამჟამად, ძირითადად, ხორციელდება ინტერნეტის გამოყენებით.

მართალია, ფონოგრამის დამამზადებლების, ისევე როგორც შემსრულებლის, ეს განსაკუთრებული უფლებები მოქმედებს ნებისმიერი on-line სისტემის გამოყენების პირობებში, მაგრამ ისინი არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როცა სერვერთან შეერთებულია მხოლოდ ერთი კომპიუტერული ტერმინალი.

ფონოგრამის დამამზადებლების უფლება ციფრულ გადაცემებზე ვრცელდება როგორც უშუალოდ გადაცემის განხორციელების მიმდინარეობაზე, ისე ფონოგრამის წვდომის პოტენციურ შესაძლებლობაზე.

თუმცა, ფონოგრამის დამამზადებლების უფლება გახადოს ფონოგრამა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ეხება მოშორებულ მანძილზე გადაცემებს და ის არ გულისხმობს რაიმე მინიმალური მანძილის არსებობის აუცილებლობას შესრულების გადაცემისა და მიღების ადგილებს შორის.

ისევე, როგორც შემსრულებლების შემთხვევაში (მუხლი 10), ფონოგრამის დამამზადებლების უფლებები ციფრულ გადაცემებზე არ არის დაკავშირებული ტექნიკურ საშუალებებთან, რომლითაც ხორციელდება გადაცემები. ისინი შეიძლება განხორციელდეს როგორც „სადენებით, ისე კავშირგაბმულობის უმაჯთულო საშუალებებით“.

## თავი IV საერთო დებულებები

### **მუხლი 15. ეთერით მაუწყებლობისა და საჯარო გადაცემისთვის ჰონორარის მიღების უფლება**

(1) შემსრულებლებსა და ფონოგრამების დამამზადებლებს უფლება აქვთ მიიღონ ერთჯერადი სამართლიანი ანაზღაურება კომერციული მიზნებით გამოქვეყნებული ფონოგრამების პირდაპირი ან არაპირდაპირი გამოყენებისათვის ეთერით მაუწყებლობის ან ნებისმიერი სხვა საჯარო გადაცემის საშუალებით.

(2) ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შეუძლიათ თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში დაადგინონ, რომ მომხმარებლებისაგან ერთჯერადი სამართლიანი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს შემსრულებელს ან ფონოგრამის დამამზადებელს, ან შემსრულებელსა და ფონოგრამის დამამზადებელს ერთდროულად. ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შეუძლიათ მიიღონ ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც, შემსრულებელსა და ფონოგრამის დამამზადებელს შორის შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, დაადგენს პირობებს, რომელთა შესაბამისადაც ერთჯერადი სამართლიანი ანაზღაურება ნაწილდება შემსრულებლებსა და ფონოგრამების დამამზადებლებს შორის.

(3) ამ ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერ მხარეს შეუძლია ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის ჩაბარებულ შეტყობინებაში განაცხადოს, რომ (1)-ლი პუნქტის დებულებებს მიმართავს მხოლოდ გარკვეულ გამოყენებებთან დაკავშირებით, ან შეზღუდავს მათ რაიმე სხვა გზით, ან საერთოდ არ გამოიყენებს ამ დებულებებს.

(4) ამ მუხლის მიზნებისათვის ფონოგრამები, რომლებიც საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა სადენებით ან კავშირგაბმულობის უმავთულო საშუალებებით იმგვარად, რომ საზოგადოების წარმომადგენლებისათვის მათი წვდომა შესაძლებელია ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით, განიხილება კომერციული მიზნებით გამოქვეყნებულად.

### **შეთანხმებული განცხადება მე-15 მუხლთან დაკავშირებით**

გაგებულია, რომ მე-15 მუხლი არ წარმოადგენს სრულყოფილ გადაწყვეტას ეთერით მაუწყებლობისა და საჯარო გადაცემების უფლებების დონესთან მიმართებაში, რომელიც უნდა მიეღოს

შემსრულებლებსა და ფონოგრამის დამამზადებლებს ციფრულ საუკუნეში. დელეგაციებმა ვერ შეძლეს მიეღწიათ კონსენსუსისთვის სხვადასხვა წინადადებებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხებოდა განსაკუთრებულობის ასპექტების უზრუნველყოფას გარკვეული შემთხვევებისათვის ან უფლებების მინიჭების საკითხს დათქმების შესაძლებლობის გარეშე, რის გამოც ეს საკითხი დატოვეს მომავალში გადასაწყვეტად.

გაგებულია, რომ მე-15 მუხლი არ ზღუდავს ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებების მინიჭებას ფოლკლორის შემსრულებლებისა და ფონოგრამის დამამზადებლებისთვის ფოლკლორის ჩანერისას, როცა ფონოგრამა არ არის გამოქვეყნებული კომერციული მიზნით.

### **კომენტარი**

მე-15 მუხლი ფონოგრამების ეთერით ან ნებისმიერი სხვა სახის საჯარო გადაცემაში გამოყენებისთვის, შემსრულებლებსა და ფონოგრამის დამამზადებლებს ანიჭებს ერთჯერადი ანაზღაურების მიღების უფლებას, მაგრამ არ ანიჭებს ამ საშუალებებით ფონოგრამების საჯარო გადაცემის აკრძალვის განსაკუთრებულ უფლებას. აქ უნდა აღინიშნოს, რომ WPPT ხელშეკრულება ამ მუხლთან დაკავშირებული შეთანხმებული განცხადებიდან გამომდინარე, არ ზღუდავს დამდებ მხარეებს ეროვნული კანონმდებლობით მიანიჭონ შემსრულებელსა და ფონოგრამის დამამზადებელს ან ერთ-ერთ მათგანს განსაკუთრებული უფლებები. თუმცა, ეს უფლებები შეიძლება მიანიჭონ მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში.

მუხლის 15(2) შესაბამისად, თუ მხარეები ვერ აღწევნენ შეთანხმებას სამართლიანი ანაზღაურების შესახებ, მაშინ ეს საკითხი რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით.

ერთჯერადი ანაზღაურების მიღების უფლება არ გულისხმობს იმას, რომ მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს მხოლოდ ერთხელ და შემდგომი გამოყენებისას თავისუფალია ანაზღაურების ვალდებულებისაგან. ამ შემთხვევაში, „ერთჯერადი“ მიანიშნებს მხოლოდ იმაზე, რომ გადახდა ხდება ერთხელ ცალკეული გამოყენებისთვის, ერთდროულად შემსრულებლისა და ფონოგრამის დამამზადებლისთვის და არა თითოეულისთვის ცალ-ცალკე. საზოგადოდ მიღებულია, რომ ანაზღაურება უნდა ხორციელდებოდეს პერმანენტულად, ფონოგრამის ყოველი გამოყენებისას.

მე-15 მუხლის მოქმედება ვრცელდება კომერციული მიზნით გამოქვეყნებულ ფონოგრამებზე. გარდა სპეციალურად ჩანერილი შესრულებისა, ისინი მოიცავს, მაგალითად, CD-დისკზე გამოქვეყნებულ ფილმების ხმოვან ჩანაწერებს. ასეთი ფონოგრამების გამოქვეყნება უნდა მოხდეს მუხლის 2(ე) მოთხოვნების თანახმად, რაც ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებისათვის მათი შეთავაზება უნდა მოხდეს ფონოგრამის დამამზადებლისა და შემსრულებლის თანხმობით და გონივრული რაოდენობით.

მუხლებთან: 2(ე), 8, 9, 12 და 13 დაკავშირებული ერთობლივი განცხადების თანახმად, ცნება „გამოქვეყნებული ფონოგრამა“ ეხება მატერიალური სახით არსებულ ასლებს, რომლებიც შეიძლება ასეთი სახით ჩართული იყოს სამოქალაქო ბრუნვაში.

მუხლის 15(4) თანახმად, მე-15 მუხლის კომერციული მიზნებისათვის გამოქვეყნებულ ფონოგრამებად, ასევე, შეიძლება მივიჩნიოთ ფონოგრამები, რომლებიც ხელმისაწვდომია on-line რეჟიმში. ამ მუხლის სამართლებრივი დატვირთვა, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს იმაში, რომ იგი გამოქვეყნებულად მიიჩნევა ისეთ ფონოგრამას, რომელიც ხელმისაწვდომია on-line რეჟიმში მიუხედავად იმისა, იმ დროისათვის არის თუ არა გამოქვეყნებული მისი ფიზიკური ასლები. ასეთი მიდგომა გამომწვეულია იმ მოსაზრებით, რომ ეს მუხლი არ გამხდარიყო მთლიანად ან ნაწილობრივ უმოქმედო არსებული რეალობებიდან გამომდინარე. დღეს, ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა, როცა ჩანაწერები სწორედ on-line რეჟიმში პირველად ხდება საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი და ლოგიკურია, რომ შემსრულებელი და ფონოგრამის დამამზადებელი ნებისმიერი სახის საჯარო გადაცემებში მათი გამოყენებისათვის ისევე, როგორც ტრადიციული გზით გამოქვეყნებული ფონოგრამების შემთხვევაში, უნდა იღებდნენ შესაბამის ანაზღაურებას.

მე-15 მუხლის მოქმედება ვრცელდება კომერციული მიზნებისათვის გამოქვეყნებულ ფონოგრამებზე, ანუ როცა მათი გამოყენება მიზნად ისახავს მოგების ან ნებისმიერი სხვა ეკონომიკური სარგებლის მიღებას. ამდენად, ის არ ვრცელდება ისეთ ჩანაწერებზე, რომლებიც, მაგალითად, სამაუწყებლო კომპანიამ განახორციელა საკუთარ სტუდიაში თავის არქივში შესანახად.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ მე-15 მუხლის მე-2 შეთანხმებული განცხადების შესაბამისად, ფოლკლორის შემსრულებლებისა და

ფონოგრამის დამამზადებლებისათვის სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლება არ იზღუდება იმ შემთხვევაშიც, როცა ეს ფონოგრამა გამოქვეყნებულია არაკომერციული მიზნით, რასაც, ჩვეულებრივ, ადგილი აქვს ფოლკლორული ნაწარმოებებისათვის. აქ უნდა ითქვას, რომ WPPT ადგენს მინიმალურ სტანდარტებს და ეროვნულ კანონმდებლობას შეუძლია გაავრცელოს ანაზღაურების მიღების უფლება არაკომერციული მიზნებით გამოქვეყნებულ სხვა ფონოგრამებზეც.

მუხლის 15(1) მოქმედების ბენეფიციარები არიან ეთერით მაუწყებლები და ნებისმიერი სხვა სახის საჯარო გადაცემის განმახორციელებელი პირები. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ საჯარო გადაცემაში მოიაზრება არა მხოლოდ გადაცემის ადგილიდან მოშორებულ მანძილზე განხორციელებული გადაცემები, არამედ ისეთი აქტივობებიც, რომლებიც უზრუნველყოფენ ფონოგრამის ჩანაწერის აღქმას იქვე მყოფი საზოგადოებისთვის, მაგალითად, რესტორანში, ბარში, ან საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში.

მე-15 მუხლი ითვალისწინებს გარკვეულ დათქმებს. კერძოდ, მე-(3) პუნქტის მიხედვით, ამ ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერ მხარეს შეუძლია განახორციელოს ოფიციალური დეკლარირება იმის შესახებ, რომ გაავრცელებს ამ მუხლის (1)-ლი პუნქტის დებულებებს მხოლოდ ფონოგრამის გამოყენების ზოგიერთ სახესთან მიმართებაში, ან შეზღუდავს სხვა რაიმე გზით, ან საერთოდ არ გამოიყენებს მათ.

მაგალითად, ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევებში, როგორებიცაა: ფოლკლორის ფესტივალები, რელიგიური ცერემონიალები, საგანმანათლებლო გადაცემები და სხვ. ასეთივე შეზღუდვები შეიძლება გავრცელდეს იმ ქვეყნის მოქალაქეებზე, რომელიც არ არის ხელშეკრულების მონაწილე მხარე. ასევე, მონაწილე მხარეს შეუძლია საერთოდ უარი თქვას ამ მუხლის პირობების შესრულებაზე.

## **მუხლი 16. შიზღუდვები და გამონაკლისები**

(1) ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შეუძლიათ თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში დაანესონ იმავე სახის შეზღუდვები ან გამონაკლისები შემსრულებლებისა და ფონოგრამების დამამზადებლების უფლებების დაცვის თვალსაზრისით, რაც გათვალისწინებული აქვთ ეროვნულ კანონმდებლობაში საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებით ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების მიმართ.



(2) ხელშეკრულების დამდები მხარეები ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების რაიმე შეზღუდვებსა და გამონაკლისებს აწესებენ განსაზღვრულ და განსაკუთრებულ შემთხვევებში შესრულების ან ფონოგრამის ნორმალური გამოყენებისათვის ზიანის მიყენებისას და შემსრულებლის ან ფონოგრამის დამამზადებლის კანონიერი ინტერესების უსაფუძვლოდ შელახვის გარეშე.

### **შეთანხმებული განცხადება მე-7, მე-11 და მე-16 მუხლებთან დაკავშირებით**

რეპროდუცირების უფლება, როგორც ეს განსაზღვრულია მე-7 და მე-11 მუხლებით და ქვემოთ მე-16 მუხლით დაშვებული გამონაკლისები, სრულად გამოიყენება ციფრულ გარემოში, კერძოდ, შესრულებებისა და ფონოგრამების ციფრული ფორმით გამოყენებისას. გაგებულია, რომ შესრულებისა და ფონოგრამის ციფრული ფორმით შენახვა ელექტრონული საშუალებით წარმოადგენს რეპროდუცირებას ამ მუხლის მნიშვნელობით.

### **შეთანხმებული განცხადება მე-16 მუხლთან დაკავშირებით**

საავტორო უფლებების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების მე-10 მუხლთან (შეზღუდვებისა და გამონაკლისების შესახებ) დაკავშირებული ერთობლივი განცხადება შესაბამისი ცვლილებებით (*mutatis mutandis*), გამოყენებადი შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების მე-16 მუხლთან მიმართებაში.

[მე-10 მუხლთან დაკავშირებული შეთანხმებული განცხადება: „გაგებულია, რომ მე-10 მუხლის დებულებები ნებას რთავს მონაწილე მხარეებს გადაიტანონ და სათანადოდ განავრცონ ეროვნული კანონმდებლობით ციფრულ სივრცეში ის შეზღუდვები და გამონაკლისები, რომლებიც მიჩნეული იყო მისაღებად ბერნის კონვენციის საფუძველზე. მსგავსად უნდა იქნეს გაგებული, რომ ეს დებულებები ნებას რთავს მონაწილე მხარეებს შემუშაონ ახალი შეზღუდვები და გამონაკლისები, რომლებიც მიესადაგება ციფრულ ქსელს.

ასევე, გაგებულ უნდა იქნეს, რომ მუხლი 10(2) არც ამცირებს და არც აფართოებს ბერნის კონვენციით დაშვებულ შეზღუდვებსა და გამონაკლისებს“].

## კომენტარი

მე-16 მუხლი წარმოადგენს ერთადერთ მუხლს WPPT ხელშეკრულებაში შემლუდვებსა და გამონაკლისებზე. ის მოიცავს შემლუდვებსა და გამონაკლისებს, რომლებიც ეხება შემსრულებლებსა და ფონოგრამის დამამზადებლებს. მუხლი არ იძლევა პირდაპირ მითითებას თუ რომელი შემლუდვები და გამონაკლისები უნდა შემოიღონ მონაწილე მხარეებმა WPPT ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებებთან მიმართებაში. ის ადგენს მხოლოდ ბაზისს, რომლის ფარგლებში მონაწილე მხარეებს ეძლევათ თავისუფალი არჩევანის საშუალება.

მუხლი 16(1) იმეორებს რომის კონვენციის მუხლით 15(2) დადგენილ პრინციპს, რომლის მიხედვით მონაწილე მხარეებმა რომის კონვენციით განსაზღვრული მომიჯნავე უფლებების მიმართ უნდა დაანესონ ისეთივე შემლუდვები და გამონაკლისები, როგორსაც ეროვნული კანონმდებლობა ადგენს საავტორო უფლებების მიმართ. WPPT ხელშეკრულების მუხლი 16(1) რომის კონვენციის მუხლის 15(2) მსგავსად, გამორიცხავს სიტუაციას, როცა შემსრულებლებსა და ფონოგრამის დამამზადებლებს შემლუდვებსა და გამონაკლისებთან დაკავშირებით, შეიძლება ჰქონდეთ ავტორებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა.

მე-16(2) მუხლი ადგენს სამ პირობას, რომელსაც უნდა ეყრდნობოდნენ მონაწილე მხარეები WPPT ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების მიმართ შემლუდვებისა და გამონაკლისების დადგენისას. კერძოდ, შემლუდვები და გამონაკლისები შეიძლება შემოღებულ იქნეს:

- 1) განსაზღვრულ და განსაკუთრებულ შემთხვევებში;
- 2) შესრულების ან ფონოგრამის ნორმალური გამოყენებისათვის ზიანის მიყენების გარეშე;
- 3) შემსრულებლის ან ფონოგრამის დამამზადებლის კანონიერი ინტერესების უსაფუძვლოდ შელახვის გარეშე.

ეს პირობები, რომლებიც სამსაფეხურიანი ტესტის სახელითაა ცნობილი, პირველად შემოღებულ იქნა ბერნის კონვენციით ავტორთა რეპროდუცირების უფლებებთან დაკავშირებით. ეს ტესტი, პრაქტიკულად, წარმოადგენს ინსტრუმენტს კანონმდებლის, რათა დაიცვას ინტერესთა ბალანსი უფლებების მფლობელთა და საზოგადოებას შორის. როგორც მსოფლიოში არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, შემლუდვებისა და გამონაკლისების კონკრეტული კონტექსტი დაკავშირებულია ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ რეალობებსა და

ტექნოლოგიურ საშუალებებთან, რომლებიც ხელმისაწვდომია საზოგადოების განვითარების მიმდინარე ეტაპზე.

მე-16 მუხლის ინტერპრეტაციისას ეროვნულმა კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ WPPT ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენდა შემსრულებლის ან ფონოგრამის დამამზადებლის უფლებების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტების შემოღება, ვიდრე ამას ითვალისწინებს რომის კონვენცია მომიჯნავე უფლებების შესახებ. WPPT ხელშეკრულებას, რომელმაც პრაქტიკულად განაახლა რომის კონვენცია, არც ერთ შემთხვევაში არ დაუკნინებია რომის კონვენციით დადგენილი უფლებები (derogation). როგორც ადრე აღვნიშნეთ, WPPT ხელშეკრულება განიხილება, როგორც სპეციალური შეთანხმება რომის კონვენციის 22-ე მუხლის გაგებით, და, ამდენად, დაუშვებელი იქნებოდა სამსაფეხურიანი ტესტის იმგვარი ინტერპრეტაცია, რომელიც რაიმე სახით დააზიანებდა რომის კონვენციით გარანტირებულ მომიჯნავე უფლებებს.

### **მუხლი 17. დაცვის ვადები**

(1) შემსრულებლებისთვის ამ ხელშეკრულებით დაწესებული დაცვის ვადა გრძელდება არანაკლებ 50 წლის განმავლობაში იმ წლის ბოლოდან, როდესაც შესრულება ჩაინერა ფონოგრამაზე.

(2) ფონოგრამის დამამზადებლებისათვის ამ ხელშეკრულებით დაწესებული დაცვის ვადა გრძელდება არანაკლებ 50 წლის განმავლობაში იმ წლის ბოლოდან, როდესაც ფონოგრამა გამოქვეყნდა ან თუ ფონოგრამის ჩანერიდან 50 წლის განმავლობაში არ მომხდარა ამგვარი გამოქვეყნება – 50 წლის განმავლობაში იმ წლის ბოლოდან, როცა ჩანერა მოხდა.

### **კომენტარი**

WPPT ხელშეკრულების მე-17 მუხლის (1)-ლი პუნქტით შემსრულებლებისათვის, ხოლო ამავე მუხლის მე-(2) პუნქტით ფონოგრამის დამამზადებლებისათვის დადგენილია დაცვის ის მინიმალური ვადები, რომლებიც ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა შეიძლება დააწესონ ეროვნული კანონმდებლობებით.

რომის კონვენციის თანახმად, დაცვის მინიმალური ვადა შეადგენს 20 წელიწადს, თუმცა, 90-იანი წლებიდან გამოიკვეთა დაცვის ვადების გახანგრძლივების ტენდენცია და 50-წლიანი ვადა გახდა

საზოგადოდ მიღებული. დაცვის ვადების ზრდა განაპირობა ხმის ჩამწერ ინდუსტრიაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებამ, მათი საშუალებით ადრინდელი ჩანაწერების ხელახალი მაღალხარისხიანი გამოცემების განხორციელების შესაძლებლობამ და, შესაბამისად, ფონოგრამების მწარმოებელთა დაინტერესებამ დაცვის ვადების გაზრდაში. საერთაშორისო დონეზე შემსრულებლებისა და ფონოგრამის დამამზადებლების უფლებების 50 წლიანი ვადა პირველად შემოღებულ იქნა TRIPS შეთანხმების მე-14 მუხლის მე-(5) პუნქტის საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ რეალურად WPPT ხელშეკრულების მე-17 მუხლი ადგენს ფონოგრამის დამამზადებლებისთვის დაცვის უფრო ხანგრძლივ ვადას TRIPS-თან შედარებით, რადგან ამ მუხლის მე(2) პუნქტის მიხედვით, ეს ვადა აითვლება გამოქვეყნების თარიღიდან და არა ჩანერის მომენტიდან, როგორც ამას ითვალისწინებს TRIPS შეთანხმება. მხედველობაშია მისაღები, რომ მე-2 მუხლის თანახმად გამოქვეყნების ფაქტს ადგილი აქვს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეთავაზებული ასლები წარმოდგენილია მატერიალური ფორმით. ამდენად, მუხლის 17(2) მოქმედება არ ვრცელდება იმ ფონოგრამებზე, რომლებიც გამოქვეყნდა on-line, მაგალითად, ინტერნეტით.

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ WPPT ხელშეკრულება ადგენს მხოლოდ მინიმალურ სტანდარტებს, ეროვნულ კანონმდებლობას შეუძლია გააფართოოს გამოქვეყნების ცნება და მასში მოიაზროს on-line გამოქვეყნებაც, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მატერიალური სახით გამოქვეყნებას ადგილი აქვს ჩანაწერის განხორციელებიდან 50 წლის განმავლობაში, ანუ on-line გამოქვეყნების შემდეგ, თუ ამ პერიოდში მოხდა საზოგადოებისათვის ფონოგრამების ფიზიკურ ფორმატში გონივრული რაოდენობით შეთავაზება.

### **მუხლი 18. ტექნოლოგიურ საშუალებებთან დაკავშირებული პალდებულებები**

ხელშეკრულების დამდები მხარეები ითვალისწინებენ ადეკვატურ სამართლებრივ დაცვასა და სამართლებრივი დაცვის ეფექტურ ზომებს იმ ქმედითი ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლის წინააღმდეგ, რომლებსაც შემსრულებლები და ფონოგრამების დამამზადებლები იყენებენ ამ ხელშეკრულებით დადგენილი თავიანთი უფლებების განსახორციელებლად და რომლებიც მათი შესრულებებისა

და ფონოგრამების მიმართ ზღუდავს ისეთ ქმედებებს, რომლებიც არ არის ნებადართული შემსრულებლების ან ფონოგრამების დამამზადებლების მიერ ან დაშვებული კანონით.

### კომენტარი

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ საგრძნობლად გაამარტივა დაცული ობიექტების გამოყენება მათი ციფრული ქსელების საშუალებით გავრცელებისა და მაღალხარისხიანი ციფრული ასლების დამზადების გამო. ამან, ერთი მხრივ, გაზარდა მეკობრეობის რისკი, მეორე მხრივ კი, შექმნა ტექნოლოგიური საფუძველი ისეთი მონეობილობების და საშუალებების განვითარებისა (ძირითადად, კოდირებისა და კოპირების კონტროლის მონეობილობები და პროგრამები) და პრაქტიკული გამოყენებისათვის, რომლებსაც შეუძლია უზრუნველყოს საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ობიექტების ტექნიკური დაცვა არალეგალური ქმედებებისაგან. დღეისათვის ტექნოლოგიური საშუალებებით, ძირითადად, ხორციელდება წვდომისა და კოპირების შემდეგი სახის კონტროლი:

- 1) **ფიზიკური ასლების წვდომის კონტროლი** – ტექნიკური საშუალებებით კონტროლდება ინფორმაციის მყარ მატარებელზე ციფრული სახით წარმოდგენილი მასალის (მაგ., ხმოვანი ჩანაწერი CD-ზე ან ფილმის ჩანაწერი DVD-ზე) წვდომა;
- 2) **წამკითხავი მონეობილობების კონტროლი** – სპეციალური ტექნოლოგიების გამოყენებით ჩანაწერი წაკითხვება მხოლოდ გარკვეული ტიპის ან გარკვეული რეგიონებისათვის განკუთვნილი მონეობილობებით;
- 3) **ჩანაწერის განმეორებითი წაკითხვის კონტროლი** – სპეციალური ტექნიკური საშუალება არ იძლევა გარკვეულ რაოდენობაზე მეტჯერ ჩანაწერის წაკითხვის საშუალებას;
- 4) **ინფორმაციის ტრანსმისიის კონტროლი** – ტექნიკური საშუალება არ იძლევა გადაცემული ინფორმაციის წვდომის საშუალებას გარკვეული პირობების დაცვის გარეშე;
- 5) **კოპირების კონტროლი** – სპეციალური მონეობილობა არ იძლევა ასლების დამზადების ან გარკვეულ რაოდენობაზე მეტი ასლის დამზადების საშუალებას.

ამ ტექნოლოგიურმა საშუალებებმა, თავის მხრივ, განაპირობა ისეთი საშუალებების გაჩენა, რომლებიც მიმართული იყო დაცვის ტექნოლოგიური მექანიზმების გვერდის ავლისა და მეკობრული

ქმედებების განხორციელებისაკენ. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა დაცვის ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლის სამართლებრივი დარეგულირების საკითხი.

ისმო-ს ექსპერტთა კომიტეტი თავის პირველ სამ სესიაზე აღნიშნულ საკითხს განიხილავდა უფლებების დაცვის უზრუნველყოფასთან (enforcement) დაკავშირებული ქმედებების კონტექსტში, მაგრამ შემდგომ სესიებზე მხარდაჭერილ იქნა შეერთებული შტატების დელეგაციის წინადადება ტექნოლოგიური საშუალებების დაცვის საკითხის ცალკე გამოყოფისა და სპეციალური ნორმებით დარეგულირების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ მეკობრეობის წინააღმდეგ მიმართული ტექნოლოგიური საშუალებების შექმნა და მათი გვერდის ავლის სამართლებრივი ნორმების არსებობა როგორც უფლებამფლობელთა, ისე მომხმარებელთა ინტერესებშია, რადგან იძლევა დაცული ობიექტის წვდომისა და გამოყენების კონტროლის საშუალებას, რაც, თავის მხრივ, არის ინდივიდუალური ლიცენზიებით დადგენილი საფასურებით კოლექტიური მართვის ორგანიზაციების მიერ საშუალო ექსპლოატაციის გათვლებზე დამყარებული ჰონორარების გაცემის ჩანაცვლების წინაპირობა.

ამ მუხლიდან გამომდინარე, შედეგების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს:

პირველი – ტექნოლოგიური საშუალებების დაცვა შემოიფარგლოს მხოლოდ ამ საშუალებების გვერდის ავლის წინააღმდეგ მიმართული ქმედებებით, თუ მან მოიცვას, აგრეთვე, შესაბამისი მოწყობილობები და სერვისები, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია განხორციელდეს ტექნოლოგიური კონტროლის გვერდის ავლა.

პრობლემის არსი გვკარნახობს, რომ უფლებამფლობელთათვის სასურველი შედეგის დადგომისათვის სამართლებრივი დაცვა მიზანშეწონილია გავრცელდეს ზემოთ მითითებულ ორივე ელემენტზე, როგორც უშუალოდ გვერდის ავლაზე, ისე შესაბამის მოწყობილობებსა და სერვისებზე, ანუ ე.წ. „მოსამზადებელ (წინასწარ) ქმედებებზე“.

მიუხედავად იმისა, რომ WPPT ხელშეკრულება შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი მითითებით ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე, რაიმე კონკრეტულის გარეშე, იგი არანაირად არ კრძალავს ეროვნულ თუ რეგიონულ სამართლებრივ აქტებში უფრო ფართოდ მიმართული იმ ზომების

გატარების შესაძლებლობას, რომლებიც მოიცავს ზემოაღნიშნულ „მოსამზადებელ ქმედებებსაც“. მაგალითად, ევროკავშირის რეგულაცია „საინფორმაციო საზოგადოების შესახებ“ (მუხლი 6(1)), აგრეთვე, უმრავლესი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობა საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ (მუხლები: 58(3)(დ), 58(3)(ე)) იძლევა იმ „მოსამზადებელი ქმედებების“ ჩამონათვალს, რომლის განხორციელებაც აკრძალულია.

მეორე საკითხი ეხება ბალანსის დაცვას უფლებამფლობელებისა და შესაბამისი ინდუსტრიების (ციფრული მონოპოლიზებისა და პროგრამების მწარმოებლები) ინტერესებს შორის. ცხადია, რომ უფლებამფლობელები დაინტერესებულნი არიან, რომ ტექნოლოგიური დაცვა მოიცავდეს ყველა შესაძლო დარღვევის შემთხვევას, რაც გულისხმობს, რომ მწარმოებელ ინდუსტრიებს არ უნდა შეეძლოთ თავისი ნებით განსაზღვრონ ტექნოლოგიური საშუალებების დაცვის მოთხოვნები.

თავის მხრივ, ციფრული მონოპოლიზებისა და პროგრამების დამამზადებლები მოითხოვენ თავისუფლებასა და მინიმალურ წინაღობებს საკუთარი პროდუქციის დამუშავებისა და რეალიზებისას, რაც გამომდინარეობს უფლებამფლობელთა უფლებებიდან. მათ არ სურთ ჰქონდეთ ისეთი ვალდებულებები, რომლებითაც მათი პროდუქცია მორგებული იქნება ყველა შესაძლო დარღვევაზე და მოითხოვენ მკაფიოდ იქნეს გაწერილი ტექნოლოგიური საშუალებების დაცვის მოთხოვნები.

არსებული მოსაზრებით, აქ შესაძლებელია მისაღები იყოს ნება-ყოფლობითი შეთანხმებები დაინტერესებულ (უფლებამფლობელები და ინდუსტრიები) მხარეებს შორის, ნაცვლად იმისა, რომ მათ დავაკისროთ სამართლებრივი მოდელეები, რომლებიც, ამასთანავე, შესაძლოა არც იყოს მომავალში შექმნილი ტექნოლოგიური სიახლეების ადეკვატური.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც მოითხოვს სიდრმისეულ გააზრებას, ეხება ტექნოლოგიური კონტროლის მიმართებას შემსრულებლებისა და ფონოგრამების დამამზადებლების უფლებების სამართლებრივი დაცვის შეზღუდვებსა და გამონაკლისებთან. WPPT-ის ამ მუხლის შესაბამისად, უფლებამფლობელს გააჩნია განსაკუთრებული უფლება აღკვეთოს დაცული ობიექტის ნებისმიერი არამართლზომიერი გამოყენება, დამოუკიდებლად იმისა, რომ მისი განსაკუთრებული უფლებები ექვემდებარება შეზღუდვებსა და გამონაკლისებს.

აქედან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ მე-18 მუხლის არსებული რედაქცია არ კრძალავს ტექნოლოგიური კონტროლის საშუალებების დაცვას იმ შემთხვევებისთვისაც, რომლებზეც ვრცელდება შემლუდვები და გამონაკლისები. მეორე მხრივ, ხელშეკრულება არ ზღუდავს მონაწილე მხარეს მკაცრად დაადგინოს შემლუდვები და გამონაკლისები და, შესაბამისად, გამორიცხოს უფლებამფლობელთა მხრიდან მათ მიმართ კონტროლის საშუალებების დაცვის ბოროტად გამოყენება.

მე-18 მუხლი მოითხოვს მონაწილე მხარეებისაგან ტექნოლოგიური საშუალებების ადეკვატურ სამართლებრივ დაცვას. აქ ტერმინი „ადეკვატური“ მიანიშნებს, რომ ეროვნული კანონმდებლობა, ერთი მხრივ, უნდა იყოს საკმარისად მკაცრი, რათა უზრუნველყოს შემსრულებლებისა და ფონოგრამის დამამზადებლების უფლებების და ინტერესების სათანადოდ დაცვა, მეორე მხრივ კი არ უქმნიდეს ტექნოლოგიური საშუალებების მწარმოებელ ინდუსტრიებს გაუმართლებელ წინაღობებს მათ საქმიანობაში.

ადეკვატურობის მოთხოვნა, ასევე, კანონმდებლის დღის წესრიგში აყენებს იმის გააზრებას შემოფარგლოს დაცვა მხოლოდ უშუალოდ გვერდის ავლის წინააღმდეგ მიმართული ქმედებებით, თუ განავრცოს ის ე.წ. „მოსამზადებელ ქმედებებზე“, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ასევე, „ადეკვატურობის“ კონტექსტში უნდა იქნეს გადანყვებილი კანონმდებლის მიერ ტექნოლოგიურ კონტროლთან დაკავშირებული უფლებების მიმართება კანონით დადგენილ „შემლუდვებსა და გამონაკლისებთან“.

მე-18 მუხლი მოითხოვს, ასევე, რომ ხელშეკრულების დამდები მხარეები ითვალისწინებდნენ სამართლებრივი დაცვის ეფექტურ ზომებს ქმედითი ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლის წინააღმდეგ. ხელშეკრულება არ ამუსტებს თუ როგორი ხასიათის ზომები უნდა იქნეს გათვალისწინებული – სამოქალაქო, სისხლის სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული. მაგრამ, ყველა შემთხვევაში, ისინი შედეგის მომცემი უნდა იყოს. თუ გავყვებით TRIPS-ის მოთხოვნებს, ეს ზომები უნდა იყოს გადაუდებელი (expeditious), იმდენად, რომ პრევენცია გაუკეთდეს ტექნოლოგიური დაცვის გვერდის ავლის ფაქტსა და შემდგომში ხელი ააღებინოს პოტენციურ დამრღვევს (dissuasive) ტექნოლოგიურ დაცვასთან დაკავშირებულ არაკანონიერ ქმედებებზე.

სამოქალაქო პროცედურებით გათვალისწინებული ზომები შეიძლება შეიცავდეს: სასამართლო აკრძალვას, ზარალის ანაზღაურებას, ან, მაგალითად, ტექნოლოგიური დაცვის გვერდის ავლისათვის განკუთ-



ვნილი მონაცემების ჩამორთმევას.

როგორც ვხედავთ, ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ეფექტიანი ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე. ამდენად, ამ ხელშეკრულების შესაბამისად, არ ექვემდებარება დაცვას ისეთი ტექნოლოგიური საშუალებები, რომლებიც არ უზრუნველყოფს სათანადო კონტროლს ან აფერხებს იმ სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას, რომლის დასაცავადაცაა განკუთვნილი.

მე-18 მუხლი ადგენს, ასევე, რომ დაცვა არ ვრცელდება იმ ქმედებების აღმკვეთ ტექნოლოგიურ ზომებზე, რომლებიც ნებადართულია უფლებამფლობელის მიერ ან დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობით, მაგალითად, შეზღუდვებსა და გამონაკლისებთან მიმართებაში.

**მუხლი 19. ვალდებულებები უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში**

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები სამართლებრივი დაცვის ადევკატურ და ქმედით ზომებს ითვალისწინებენ ნებისმიერი იმ პირის მიმართ, რომელიც შეგნებულად ახორციელებს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას, და რომელმაც იცის ან, დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი ზომების გამოყენებასთან მიმართებაში, აქვს საკმარისი საფუძველი იცოდეს, რომ ამგვარი ქმედება გამოიწვევს, შესაძლებელს გახდის, ხელს შეუწყობს, ან დაფარავს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების დარღვევას:

- (i) უნებართვოდ ნაშალოს ან შეცვალოს უფლებების მართვის შესახებ ნებისმიერი ელექტრონული ინფორმაცია;
- (ii) უნებართვოდ გაავრცელოს, გავრცელების მიზნით შემოიტანოს, ეთერში ან საჯაროდ გადასცეს შესრულებები, ჩანერილი შესრულებების ასლები ან ფონოგრამები, როცა ცნობილია, რომ უფლებების მართვის შესახებ მათში არსებული ელექტრონული ინფორმაცია უნებართვოდ იქნა ნაშლილი ან შეცვლილი.

(2) „ინფორმაცია უფლებების მართვის შესახებ“ ამ მუხლში აღნიშნავს ინფორმაციას, რომელიც ახდენს შემსრულებლის, შემსრულებლის შესრულების, ფონოგრამის დამამზადებლის, ფონოგრამის, შესრულებას ან ფონოგრამაზე რაიმე უფლების მფლობელის

იდენტიფიცირებას, ან ინფორმაციას შესრულებისა და ფონოგრამის გამოყენების ვადებისა და პირობების, ან ასეთი ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი ციფრების ან კოდების შესახებ, როცა ამ ინფორმაციათაგან ნებისმიერი თან ახლავს ჩანერილი შესრულების ასლს ან ფონოგრამას, ან ჩნდება ჩანერილი შესრულების ან ფონოგრამის საჯარო გადაცემასთან ან საჯარო ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

### **შეთანხმებული განცხადება მე-19 მუხლთან დაკავშირებით**

შეთანხმებული განცხადება საავტორო უფლებების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების მე-12 მუხლთან (ვალდებულებებზე უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში) დაკავშირებით, გამოყენებადია შესაბამისი შესწორებებით (*mutatis mutandis*) შესრულებისა და ფონოგრამების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების მე-19 მუხლთან (ვალდებულებებზე უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში) დაკავშირებით.

### **კომენტარი**

წინადადება WPPT ხელშეკრულებაში უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებული დებულებების გათვალისწინების შესახებ, ისმო-ს ექსპერტთა კომიტეტის წინაშე წარადგინა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ. დელეგაციის კომენტარში აღნიშნული იყო უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციის მნიშვნელობა გლობალური ციფრული ქსელების ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანისაგან დაცვის მიზნით. შემდგომში, ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს სხვა დელეგაციებმაც და შესაბამისი დებულებები აისახა კიდევ ისმო-ს საავტორო უფლებების შესახებ ხელშეკრულების (WCT) მე-12 მუხლსა და შესრულებისა და ფონოგრამების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების (WPPT) მე-19 მუხლში.

მე-19 მუხლი თითქმის იდენტურია WCT ხელშეკრულების მე-12 მუხლისა, განსხვავდება მხოლოდ დასაცავი ობიექტი. ეს მუხლი ავალდებულებს ხელშეკრულების დამდებ მხარეებს უზრუნველყონ უფლებების მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაციის უნებართვოდ წაშლის ან შეცვლისგან სამართლებრივი დაცვა.

უნდა აღინიშნოს, რომ WPPT ხელშეკრულებების ხელმოწერისას მსოფლიო პრაქტიკა შემოიფარგლებოდა მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაციის გამოყენების ერთეული შემთხვევებით და ამ მუხლების მიღება იყო ის იშვიათი გამონაკლისი, როცა საერთაშორისო

აქტის სამართლებრივი ნორმები წინსწრებით არეგულირებს მოსალოდნელ საფრთხეებს, რომლებიც, ამ შემთხვევაში, დაკავშირებულია მართვის შესახებ ინფორმაციის ნებართვის გარეშე მანიპულირებასთან.

ამ მუხლის არსებობის საფუძველია ციფრულ სივრცეში ადვილად რეალიზებადი შესაძლებლობა იმისა, რომ სასურველი ინფორმაცია შეიძლება ელექტრონულად მივაბათ შესრულებასა და ფონოგრამას. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს ინფორმაცია უშუალოდ შესრულებისა და ფონოგრამის თაობაზე, შემსრულებლის, ფონოგრამის დამამზადებლის, ან ნებისმიერი სხვა უფლებამფლობელის შესახებ. ასევე, ინფორმაცია შეიძლება ეხებოდეს დაცული ობიექტების გამოყენების პირობებს. მაგალითად, მითითებული იყოს, რომ ნებადართულია მხოლოდ ერთი ასლის გადაღება, ან საგანმანათლებლო მიზნებით გამოყენება დასაშვებია მხოლოდ გარკვეული დღეების გარკვეულ საათებში. მართვის ელექტრონული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს, ასევე, უფლებამფლობელთა სალიცენზიო ანაზღაურების განსაზღვრის მიზნით.

მესამე პირთა მხრიდან შეიძლება ნამდვილი უფლებამფლობელის ვინაობა შეიცვალოს უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციის უნებართვო მანიპულირებით ან მოხდეს შესრულების ან ფონოგრამის გამოყენების პირობების გადასხვაფერება, რის გამოც ვერ ამოქმედდება უფლებების დაცვისთვის აუცილებელი მექანიზმები და, შედეგად, უფლებამფლობელებს მიადგება სერიოზული მორალური და ქონებრივი ზიანი.

მე-19 მუხლი, მე-18 მუხლის მსგავსად, არ წარმოშობს რაიმე ახალ უფლებებს შემსრულებელთათვის მათი შესრულებების მიმართ ან ფონოგრამის დამამზადებელთათვის მათი ფონოგრამების მიმართ. ეს მუხლი, ასევე, არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც უფლებების დაცვის უზრუნველყოფის ნორმა WPPT ხელშეკრულების მუხლის 23(2) გაგებით, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მე-19 მუხლი შემსრულებლებს და ფონოგრამის დამამზადებლებს ანიჭებს სპეციალურ უფლებებს იმ ქმედებების საწინააღმდეგოდ, რომელიც გამოიწვევს, შესაძლებელს გახდის, ხელს შეუწყობს ან დაფარავს შემსრულებლის და ფონოგრამის დამამზადებლის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების დარღვევას, ეს მუხლი შეიძლება მივიჩნიოთ მუხლით 23(2) დადგენილი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის დებულებების ახლო მდგომ ნორმად.

მე-19 მუხლი მართვის ინფორმაციასთან დაკავშირებული დარღვევების წინააღმდეგ დამდეგი მხარეებისაგან მოითხოვს სათანადო და ქმედითი სამართლებრივი ზომების გატარებას, რომელთა კონკრეტული შინაარსის დადგენას ტოვებს მხარეების დისკრეციაში. სათანადოში მოიაზრება ისეთი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბალანსს სიმკაცრის დონესა და მოსალოდნელი შედეგების მნიშვნელობას შორის. ქმედითობის მოთხოვნა ნიშნავს, რომ ზომების გატარებით უნდა რეგულარულად მიიღწეოდეს სასურველი შედეგი, მათ შორის, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მომავალში დარღვევების პრევენცია.

მუხლი 19(1)(i) მიმართულია მართვის შესახებ ინფორმაციის მანიპულირების, კერძოდ, ელექტრონული ინფორმაციის უნებართვო წაშლის ან შეცვლის წინააღმდეგ. აქ „წაშლაში“ მოიაზრება გარკვეული ინფორმაციის სრულად მოშორება, ხოლო „შეცვლაში“ – ინფორმაციის ნაწილის ჩანაცვლება სხვა ინფორმაციით. მაგალითად, შეიძლება შეცვლილ იქნეს შემსრულებლის სახელი და გვარი, შეიცვალოს უფლებამფლობელის ვინაობა, დაცული ობიექტის გამოყენების პირობები და სხვა.

მუხლი 19(1)(ii) ითვალისწინებს ზომების გატარებას ისეთი ქმედებების უნებართვოდ განხორციელების წინააღმდეგ, როგორებიცაა შესრულებების, ჩანერილი შესრულებების ან ფონოგრამების უნებართვო გავრცელება, გავრცელების მიზნით შემოტანა (იმპორტირება), ეთერში გადაცემა ან ნებისმიერი სახის საჯარო გადაცემა (მათ შორის, მოთხოვნით ხელმისაწვდომობა), როცა ცნობილია, რომ უფლებების მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაცია მათში უნებართვოდ იქნა წაშლილი ან შეცვლილი.

დიპლომატიურ კონფერენციაზე მიღწეულ იქნა ერთიანი გაგება, რომ ხელშეკრულების მუხლებისაგან 9(1) და 13(1) განსხვავებით, მე-19 მუხლში „გავრცელების“ ქვეშ მოიაზრება, აგრეთვე, ჩანანერების თხოვება და გაქირავება. ამასთან, გავრცელებას უნდა ჰქონდეს საჯარო ხასიათი. ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს, მაგალითად, ფონოგრამის ასლების გადაცემას მეგობრისათვის.

იმპორტირების აქტი ნიშნავს შესრულების ან ფონოგრამების ასლების შემოტანას ქვეყანაში მათი გაყიდვის, გაქირავების ან თხოვების მიზნით, მაგრამ არ მოიცავს მათ შემოტანას ქვეყანაში პირადი სარგებლობისთვის.

მუხლის 19(1)(ii) მოქმედება მიმართულია, ასევე, შესრულებების, ჩანერილი შესრულებების ან ფონოგრამების ნებართვის გარეშე ეთერში გადაცემის, საჯარო გადაცემის ან საჯარო ხელმისაწვდომობის წინააღმდეგ, თუ მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაცია მათში უნებართვოდ იქნა წაშლილი ან შეცვლილი. ზემოთ მოყვანილი ტერმინები (ეთერში გადაცემა, საჯარო გადაცემა, ან საჯარო ხელმისაწვდომობა) გაგებულ უნდა იქნეს WPPT-ის მე-2 მუხლის (ე) და (ზ) პუნქტებით, აგრეთვე, მე-10 და მე-14 მუხლების შესაბამისად. ამდენად, ეთერში გადაცემა ეხება სიგნალის გავრცელებას სადენის გარეშე, მათ შორის, ეთერით ხელახალ გადაცემას. საჯარო გადაცემა მოიცავს კაბელით გადაცემას, აგრეთვე, კაბელით ან ეთერით გადაცემას – რეტრანსმისიას. საჯარო ხელმისაწვდომობა კი ნიშნავს შესრულებების და ფონოგრამების შეთავაზებას on-line რეჟიმში.

ამ მუხლის ინტერპრეტაციისას გასათვალისწინებელია, რომ ეთერში გადაცემა, საჯარო გადაცემა, ან საჯარო ხელმისაწვდომობა გულისხმობს შესრულებებისა და ფონოგრამების არამატერიალურ ექსპლუატაციას, ხოლო როცა ვსაუბრობთ გავრცელებასა და იმპორტზე, ვგულისხმობთ მხოლოდ მატერიალურ ასლებს.

მუხლის 19(1)(ii) მოქმედება ვრცელდება მხოლოდ უნებართვოდ განხორციელებულ ქმედებებზე, ანუ, როცა მართვის შესახებ ინფორმაციის შეცვლა, ან შეცვლილი ინფორმაციის მატარებელი ობიექტის გავრცელება, ან საჯარო გადაცემა ეთერით, კაბელით, ან on-line რეჟიმში, მოხდა სათანადო ნებართვის გარეშე.

მე-19 მუხლის მოქმედების ქვეშ ექცევა ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს, შესაძლებელს გახდის, ხელს შეუწყობს, ან დაფარავს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების დარღვევას. მაგალითად, შემსრულებლის სახელის არასწორად მითითებამ შეიძლება ხელი შეუწყოს შესრულების შემდგომ უნებართვო გამოყენებას იმ პირის მიერ, რომელმაც ლიცენზია შეიძინა ელექტრონულად წარმოდგენილ ინფორმაციაში მითითებული პირისაგან. ერთი ასლის დამზადების პირობის უნებართვოდ შეცვლამ მრავალი ასლის დამზადების პირობით, შეიძლება გავლენა იქონიოს კოპირების კონტროლის სისტემაზე და, ამდენად, შესაძლებელი გახადოს მრავალი ასლის უნებართვოდ დამზადება, რითაც სერიოზულად დაარღვევს შემსრულებლისა და ფონოგრამის დამამზადებლის უფლებებს.

მე-19 მუხლის მოქმედება, განსაკუთრებული უფლებების მქონე

პირების გარდა, ვრცელდება იმ პირებზეც, რომლებსაც მე-15 მუხლის თანახმად გააჩნიათ ანაზღაურების მიღების უფლება მიუხედავად იმისა არსებობს თუ არა ამის საკანონმდებლო ან კონტრაქტით დადგენილი საფუძველი.

მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის (i) და (ii) ქვეპუნქტებში მითითებული ქმედებები უნდა ატარებდეს შეგნებულ ხასიათს, ანუ ზომები არ მიიღება არაშეგნებულად განხორციელებული ქმედებების წინააღმდეგ. ამას მოსდევს მეორე პირობა, რომ დამრღვევმა იცის, ან დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით, აქვს საკმარისი საფუძველი იცოდეს, რომ ამგვარი ქმედება გამოიწვევს, შესაძლებელს გახდის, ხელს შეუწყობს, ან დაფარავს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების დარღვევას.

გარდა ამისა, მუხლი 19(1)(ii) შეიცავს დამატებით პირობას, რომ შესრულებების, ჩანერილი შესრულებების, ან ფონოგრამების უნებართვო გავრცელება, გავრცელების მიზნით შემოტანა, ეთერში გადაცემა, ან საჯარო გადაცემა ექცევა შესაბამისი სანქციის ქვეშ იმ შემთხვევაში, როცა ამ ქმედებების განმახორციელებელი პირისათვის ცნობილია, რომ უფლებების მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაცია მათში უნებართვოდ იქნა ნაშლილი ან შეცვლილი.

მუხლი 19(2) იძლევა უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციის განმარტებას. აღნიშნული დეფინიცია არ შეიცავს ინფორმაციის ზოგად ცნებას და მას განმარტავს იმ ელემენტების საშუალებით, რომელსაც ეხება ეს ინფორმაცია: შემსრულებელს, შესრულებას, ფონოგრამის დამამზადებელს, ფონოგრამას, ასევე, შესრულებაზე ან ფონოგრამაზე რაიმე უფლების მფლობელს, ან შესრულების, ან ფონოგრამის გამოყენების პირობებს, აგრეთვე, სხვა რელევანტურ ელემენტებს როცა ამ ინფორმაციის ელემენტთაგან ნებისმიერი ახლავს ჩანერილი შესრულების ან ფონოგრამის ასლს, ან ჩნდება ჩანერილი შესრულების ან ფონოგრამის ნებისმიერი საჯარო გადაცემის დროს. უფლებების შესახებ ინფორმაცია შეიძლება გამოხატული იყოს ნებისმიერი ციფრებით ან კოდებით რომლებიც აღნიშნავენ შესაბამის მონაცემებს.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ მუხლის 19(1)(i) მიხედვით, სანქციები მიმართულია მხოლოდ ელექტრონული სახით წარმოდგენილი უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციის უნებართვო მანიპულაციების წინააღმდეგ და არ ეხება დასაცავი ობიექტის

თანხლებ არაელექტრონულად წარმოდგენილ ინფორმაციას, გარდა იმისა, რომ ამ ინფორმაციას უნდა ჰქონდეს ელექტრონული ხასიათი, მუხლის 19(2) მიხედვით, ის თან უნდა ახლდეს ჩანერილი შესრულების ან ფონოგრამის ასლს, ან ჩნდებოდეს ჩანერილი შესრულების ან ფონოგრამის საჯარო გადაცემასთან ან საჯარო ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუხლში საჯარო გადაცემაში მოიაზრება ეთერით მაუწყებლობაც.

მე-19 მუხლთან დაკავშირებული ერთობლივი განცხადება ითვალისწინებს WCT ხელშეკრულების მე-12 მუხლთან დაკავშირებული ერთობლივი განცხადების გამოყენებას მე-19 მუხლის მიზნებისათვის. განცხადების პირველი ნაწილი ნათელს ხდის, რომ იმ უფლებების ქვეშ, რომელიც შეიძლება დაირღვეს, მოიაზრება, როგორც განსაკუთრებული, ისე ანაზღაურების მიღების უფლებები. აღნიშნული განცხადება გამორიცხავს ყოველგვარ ორამზროვნებას, რათა უფლებების დარღვევაში არ მოიაზრებოდეს მხოლოდ განსაკუთრებული უფლებების დარღვევა. მართლაც, უფლებების მართვის ინფორმაციით, თვითნებური მანიპულაცია შეიძლება ერთნაირად ზიანის მომტანი იყოს, როგორც განსაკუთრებული უფლებების მატარებელი, ისე ანაზღაურების მიღების უფლების მქონე პირთათვის.

განცხადების მეორე აბზაცი პირდაპირ მიუთითებს, რომ დამდებმა მხარეებმა მე-19 მუხლზე დაყრდნობით არ უნდა შეიმუშავონ ან აამოქმედონ უფლებების მართვის სისტემა, რომელიც შემოიტანს საერთაშორისო საავტორო სამართლით დაუშვებელ ფორმალობებს, აკრძალავს საქონლის თავისუფალ გადაადგილებას, ან ხელს შეუშლის ამ ხელშეკრულებით არსებული უფლებით სარგებლობას.

ამ ხელშეკრულებით დადგენილი უფლებების მოპოვებასთან და სარგებლობასთან რაიმე ფორმალობების დაუშვებლობის საკითხს პირდაპირ არეგულირებს მე-20 მუხლი, რომელზეც ქვემოთ გვეყენება საუბარი.

## **მუხლი 20. ფორმალობები**

ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა და გამოყენება არ შეიძლება იყოს რაიმე ფორმალობის საგანი.

## კომენტარი

მუხლი 20 ეყრდნობა ბერნის კონვენციის მუხლის 5(2) რედაქციას, რომელიც ადგენს, რომ საავტორო უფლებებით სარგებლობა და გამოყენება არ არის დაკავშირებული რაიმე ფორმალობების შესრულებასთან.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ბერნის კონვენციისაგან განსხვავებით, რომელიც კრძალავს ნებისმიერი ფორმალობების არსებობას საავტორო უფლებების მოპოვებასა და გამოყენებასთან მიმართებაში, რომის კონვენცია მომიჯნავე უფლებების შესახებ (მუხლი 11) ნებას რთავს დამდებ მხარეებს დაადგინონ ფორმალობები ეროვნული კანონმდებლობით უფლებების დაცვის მოსაპოვებლად.

TRIPS-ის მუხლი 14(6), ასევე, შესაძლებლად მიიჩნევს ფორმალობების არსებობას რომის კონვენციის მსგავსად. ასეთ ფორმალობებს შეიძლება წარმოადგენდეს: დასაცავი ობიექტის რეგისტრაციის, დეპონირების, მასზე დაცვის ნიშნის განთავსების, საფასურების გადახდის, ან სხვა მსგავსი ვალდებულებები.

ამ თვალსაზრისით, WPPT ხელშეკრულება წინ გადადგმული ნაბიჯია საავტორო და მომიჯნავე უფლებების საერთაშორისო სამართალში.

## მუხლი 21. დათქმები

მუხლის 15(3) დებულებების გათვალისწინებით, ამ ხელშეკრულებაში არ დაიშვება არანაირი დათქმები.

## კომენტარი

თუმცა, ეს მუხლი აშკარაა და თითქოს არ საჭიროებს განმარტებებს, უნდა გაკეთდეს შემდეგი დაზუსტებები: ერთი შეხედვით, ეს მუხლი უშვებს მხოლოდ იმ დათქმების არსებობას, რომლებსაც ითვალისწინებს WPPT ხელშეკრულების მუხლი 15(3), მაგრამ აქ გასათვალისწინებელია, რომ ამ მუხლის ინტერპრეტირება არ შეიძლება იმგვარად, რომ იგი ეწინააღმდეგებოდეს ამ ხელშეკრულების სხვა მუხლებს, კერძოდ კი მუხლს 3(3), რომელიც აღიარებს რომის კონვენციით დაშვებულ დათქმებს. ამდენად, WPPT ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შეუძლიათ ისარგებლონ როგორც მუხლის 15(3), ისე რომის კონვენციის მუხლის 3(3) დათქმებით.



## მუხლი 22. გამოყენება დროში

(1) ხელშეკრულების დამდები მხარეები უნდა იყენებდნენ „ბერნის კონვენციის“ მე-18 მუხლის დებულებებს შესაბამისი ცვლილებებით (*mutatis mutandis*), შემსრულებლებისა და ფონოგრამების დამამზადებლებისთვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დაცვისას.

(2) (1)-ლი პუნქტის მიუხედავად, ხელშეკრულების დამდებ მხარეს შეუძლია შეზღუდოს ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის გამოყენება შესრულებებით, რომლებიც თარიღდება ამ მხარისათვის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

### კომენტარი

WPPT ხელშეკრულების 22-ე მუხლის შესაბამისად, შემსრულებლებისა და ფონოგრამების დამამზადებლების უფლებების დაცვისას, მხარეები უნდა იყენებდნენ ბერნის კონვენციის მე-18 მუხლის დებულებებს შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით. თუმცა, თავად 22-ე მუხლი არ იძლევა სახელმძღვანელო მითითებებს აღნიშნულთან დაკავშირებით, ამ მიზნებისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ WCT ხელშეკრულების მე-3 მუხლთან დაკავშირებული შეთანხმებული განცხადება.

ამ განცხადებიდან გამომდინარე, ბერნის კონვენციის მე-18 მუხლის ტრანსფორმირებისას WPPT ხელშეკრულების მიზნებისათვის სიტყვა „ეს კონვენცია“ უნდა ჩანაცვლდეს სიტყვით „ეს ხელშეკრულება“, ბერნის კონვენციის მუხლში 18(4) სიტყვა „ეს კავშირი“, ასევე, ინტერპრეტირებულ უნდა იქნეს, როგორც „ეს ხელშეკრულება“. ბერნის კონვენციის მუხლში 18(3) მითითება „კავშირის ქვეყნებზე“ და მუხლში 18(1) გამოყენებული ტერმინი „წარმოშობის ქვეყანა“ (დეფინიცია მოცემულია ბერნის კონვენციის მუხლში 5(4)), რომელიც არის არაპირდაპირი მითითება იმავე კავშირის ქვეყნებზე, უნდა გავიგოთ WPPT ხელშეკრულების დამდებ მხარეებზე მითითებებად. იმ შემთხვევაში, როცა ბერნის კონვენციის მუხლის 5(4) მიხედვით, წარმოშობის ქვეყანა არ არის ბერნის კავშირის წევრი, WPPT ხელშეკრულების მიზნებისათვის ეს უნდა გავიგოთ, როგორც მითითება ქვეყანაზე, რომელიც არ არის WPPT ხელშეკრულების მონაწილე.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ბერნის კონვენციის მე-18 მუხლიდან გამომდინარე, ისმო-ს ამ ხელშეკრულების დროში გამოყენების პირობები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1) მუხლიდან 18(1) გამომდინარე:

ეს ხელშეკრულება გამოიყენება ყველა შესრულებებთან და ფონოგრამებთან მიმართებაში, რომელიც ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტისათვის, ხელშეკრულების დამდებ მხარეში დაცვის ვადის გასვლის გამო, ჯერ არ ქცეულა საზოგადოებრივ საკუთრებად.

2) მუხლიდან 18(2) გამომდინარე:

თუ შესრულება ან ფონოგრამა, ადრე მინიჭებული დაცვის ვადის გასვლის გამო, იქცა საზოგადოებრივ საკუთრებად დამდებ მხარეში, ასეთი შესრულება და ფონოგრამა ხელახლა არ დაიცვება.

აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ თუ შესრულება ან ფონოგრამა იქცა საზოგადოებრივ საკუთრებად არა დაცვის ვადის გასვლის, არამედ რაღაც სხვა მიზეზით (მაგ., რაღაც ფორმალობების მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო), მაშინ ამ მუხლიდან გამომდინარე, ისინი ექვემდებარებიან ხელახალ დაცვას.

3) მუხლიდან 18(3) გამომდინარე:

ხელშეკრულება ნებას რთავს დამდებ მხარეებს განსაზღვრონ წინა დებულებების გამოყენების პირობები მხარეებს შორის დადებული სპეციალური კონვენციების, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, უბრალოდ ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე.

ამ პუნქტთან მიმართებაში მხედველობაშია მისაღები, რომ ბერნის მე-18 მუხლის (1) და (2) პუნქტებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული არ ნიშნავს ვალდებულებებიდან გადახვევის შესაძლებლობას. ის მიუთითებს მხოლოდ მათი აღსრულების პირობების დადგენის უფლებაზე.

4) მუხლიდან 18(4) გამომდინარე, ყველა ზემოთ მოცემული დებულება გამოიყენება, აგრეთვე, ყველა იმ შემთხვევაში, როცა WPPT ხელშეკრულებას მიუერთდებიან ახალი მონაწილეები.

რაც შეეხება მუხლს 22(2), ის ნებას რთავს ხელშეკრულების დამდებ მხარეს შეზღუდოს შემსრულებლის არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებული ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის გამოყენება შესრულებებით, რომლებიც თარიღდება ამ მხარისათვის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ. ამ მუხლის მიზანია ხელშეკრულებასთან მიერთება გაუადვილოს იმ ქვეყნებს, რომელთაც არა აქვთ არაქონებრივი უფლებების (ავტორობა, ნაწარმოების ხელშეუხებლობა და სხვ.) დაცვის ტრადიცია.

**მუხლი 23. დეპულაბები უფლებების განხორციელების შესახებ**

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებულია იღებენ თავიანთი სამართლებრივი სისტემების შესაბამისად გაატარონ ამ ხელშეკრულების გამოყენების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ღონისძიებანი.

(2) ამ ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ მათ კანონებში უფლებების უზრუნველყოფელი ისეთი პროცედურების არსებობა, რაც საშუალებას მისცემს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის ნებისმიერი აქტის წინააღმდეგ გაატარონ ქმედითი ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს დარღვევების თავიდან აცილების სასწრაფო ზომებსა და, ასევე, იმ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფს შემდგომი დარღვევებისაგან თავის შეკავებას.

**კომენტარი**

მუხლი 23(1) დამდებ მხარეებს ცალსახად ავალდებულებს უზრუნველყონ ხელშეკრულების გამოყენება და, შესაბამისად, მასში შემავალი დებულებების იმპლემენტაცია. ეს დებულებები ეხება შემსრულებლებისა და ფონოგრამის დამამზადებლების სპეციფიკურ უფლებებს, უფლებების უზრუნველყოფის ზომებს, ეროვნული რეჟიმის ფუნდამენტურ პრინციპს, ხელშეკრულების დროში გამოყენებასა და ტექნოლოგიურ საშუალებებთან და უფლებების მართვასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

ის, თუ იმპლემენტაციის კონკრეტულად რა ღონისძიებები უნდა გატარდეს, დამოკიდებულია დამდებ მხარეზე, იქ არსებულ სამართლებრივ სისტემასა და მისი ფუნქციონირების ეფექტიანობაზე. ფრაზა – „თავიანთი სამართლებრივი სისტემის შესაბამისად“, მიუთითებს არჩევანის თავისუფლებაზე, რომელსაც ხელშეკრულება ანიჭებს დამდებ მხარეს. ეს ღონისძიებები შეიძლება ატარებდეს ორგანიზაციულ, ადმინისტრაციულ, საკანონმდებლო, ან შერეულ ხასიათს. რაც შეეხება ხელშეკრულების მუხლების გამოყენებას, ისინი შეიძლება განხორციელდეს ეროვნული კანონმდებლობის ან, უშუალოდ, საერთაშორისო ვალდებულებების საფუძველზე, თუ ეს უკანასკნელი გათვალისწინებულია კონსტიტუციაში.

მუხლი 23(2) ეხება უფლებების უზრუნველყოფის ზომებს და შესაბამისი შესწორებებით იდენტურია WCT ხელშეკრულების მუხლისა 14(2). ეს მუხლი დამდებ მხარეებს ავალდებულებს მათ კანონებში

იმ უფლებების უზრუნველყოფელი ზომების გათვალისწინებას, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის ნებისმიერი აქტის აღმკვეთი ეფექტური ქმედებების გატარება, მათ შორის, დარღვევების თავიდან ასაცილებლად სასწრაფო ზომებისა და შემდგომი დარღვევების შემაკავებელი ზომების ჩათვლით.

ეს მუხლი პრაქტიკულად იმეორებს TRIPS-ის მუხლის 41(1) პირველი ფრაზით დადგენილ ასეთივე ზოგად ვალდებულებებს უფლებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, მაგრამ თუ მუხლი 23(2) შემოიფარგლება ზემოთ მითითებული ზოგადი ვალდებულებებით, TRIPS-ის მუხლი 41(1) ახდენს გასატარებელი ზომების დეტალიზებას, რომელიც ეხება სამოქალაქო დაცვის საშუალებებს, სასწრაფო ზომებს, სასაზღვრო ღონისძიებებსა და სისხლის სამართლის პროცედურებს. WPPT-ის მუხლი 23(2) WCT ხელშეკრულების მუხლის 14(2) მსგავსად, მოითხოვს გასატარებელი ზომების ეფექტიანობას. თუ დავესხსებით TRIPS-ის შესაბამის დებულებებს, ზომების ეფექტიანობა უკავშირდება მოთხოვნას, რომ ისინი არ იყოს ზედმეტად რთული, ძვირადღირებული, ან არ საჭიროებდეს გაუმართლებლად ხანგრძლივ დროს (მუხლი 41(2)).

გარდა ზემოთ თქმულისა, მუხლი 23(2) დამდები მხარეებისაგან მოითხოვს დარღვევების თავიდან ასაცილებლად სასწრაფო ზომებისა და შემდგომი დარღვევების შემაკავებელი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას. ასეთი ხასიათის ზომები სავსაშუალოდ დეტალურადაა განერილი TRIPS-ის 44-46 მუხლებში. ეს ზომებია: შეჩერების ბრძანება, ზარალის ანაზღაურება, საქონლის ჩამორთმევა, გადაცემა, ან განადგურება, რომლებიც წარმოადგენს მეკობრეობასთან ბრძოლის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

მუხლით 23(2) განსაზღვრული ზომები ეხება მხოლოდ WPPT ხელშეკრულებით დაცულ უფლებებს, განსხვავებით WCT ხელშეკრულების მუხლით 14(2) გათვალისწინებული ზომებისა, რომლებიც, ასევე, ვრცელდება ბერნის კონვენციით დაცულ უფლებებზეც.

უნდა აღინიშნოს, რომ მუხლის 23(2) მოქმედება ეხება მხოლოდ შემსრულებლებისა და ფონოგრამის დამამზადებლების მატერიალურ უფლებებს და არ მოიცავს ტექნოლოგიური საშუალებებისა და უფლებების მართვის ინფორმაციის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს.

თავი V  
ადმინისტრაციული და დასკვნითი მუხლები

**მუხლი 24. ასამბლეა**

(1)

- (ა) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები აფუძნებენ ასამბლევას.
- (ბ) ამ ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები, მრჩეველები და ექსპერტები.
- (გ) ყოველი დელეგაციის ხარჯებს იხდის ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელმაც ის დანიშნა. ასამბლევას შეუძლია ფინანსური დახმარება სთხოვოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას (შემდგომში – ისმო), რათა ხელი შეუწყოს ასამბლეის მუშაობაში ხელშეკრულების დამდები იმ მხარეების მონაწილეობას, რომლებიც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, განიხილებიან განვითარებად ქვეყნებად ან არიან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში.

(2)

- (ა) ასამბლეა განიხილავს ამ ხელშეკრულების დაცვას, განვითარებას, გამოყენებასა და მოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
- (ბ) ასამბლეა ახორციელებს მასზე მუხლით 26(2) დაკისრებულ ფუნქციას ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად დაუშვას ზოგიერთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია.
- (გ) ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას ამ ხელშეკრულების გადასინჯვის მიზნით, ნებისმიერი დიპლომატიური კონფერენციის მონვევის თაობაზე და ისმო-ს გენერალურ დირექტორს აძლევს აუცილებელ მითითებებს ამგვარი დიპლომატიური კონფერენციის მოსამზადებლად.

(3)

- (ა) ამ ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს, აქვს ერთი ხმა, რომელსაც აძლევს მხოლოდ თავისი სახელით.
- (ბ) ამ ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს, რომელიც სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ნაცვლად. ხმების რაოდენობა ემთხვევა ამ ორ-

განიზაცის წევრი სახელმწიფოების რაოდენობას, რომლებიც ამ ხელშეკრულების დამდები მხარეებია. ასეთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია არ იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში, თუ ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებიდან ნებისმიერი იყენებს თავის ხმის უფლებას და პირიქით.

- (4) ასამბლეა მორიგ სესიებზე იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ. სესიებს იწვევს ისმო-ს გენერალური დირექტორი.
- (5) ასამბლეა იღებს თავის საპროცედურო წესებს, მათ შორის, რიგგარეშე სესიების მონვევის, ქვორუმის მოთხოვნებისა და, ამ ხელშეკრულების დებულებების გათვალისწინებით, სხვადასხვა გადანყვეტილების მისაღებად აუცილებელი უმრავლესობის თაობაზე.

### კომენტარი

24-ე მუხლი პირველია იმ 10 მუხლიდან (მუხლები: 24–33), რომლებიც შეიცავს ადმინისტრაციულ და დასკვნით დებულებებს. ეს მუხლი ეხება WPPT-ის ასამბლეის დაარსებას, მის ფუნქციებს, მონაწილე მხარეების წარმომადგენლობასა და სხვა. იგი მნიშვნელოვნად გვაგონებს ბერნის კონვენციის 22-ე მუხლს ბერნის კავშირის ქვეყნების მიერ ასამბლეის დაარსებასთან დაკავშირებით. მაგრამ, თუ ბერნის კონვენციის ამ მუხლში გამოყენებულია გამოთქმა „ქვეყნის მთავრობა“, WPPT-ში ლაპარაკია „ხელშეკრულების მხარეზე“, რაც განპირობებულია ამ უკანასკნელში სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობის შესაძლებლობით.

24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტი ადგენს ხელშეკრულების დამდები მხარეების უფლებას დააფუძნონ ასამბლეა, (ბ) ქვეპუნქტი კი – განსაზღვრავს მხარის უფლებას წარმოდგენილი იყოს ერთი დელეგატით. მუხლი 24(2) ეხება ასამბლეის ფუნქციებს. თუ მისი (ა) ქვეპუნქტი აღწერს ამ ფუნქციებს ზოგადად, (ბ) ქვეპუნქტი კონკრეტულად ეხება ასამბლეის დისკრეციას სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების ხელშეკრულების მხარედ გახდომის თაობაზე, ხოლო (გ) ქვეპუნქტი კი შეიცავს დებულებებს, რომლებიც ეხება დიპლომატიურ კონფერენციაზე WPPT ხელშეკრულების გადახედვის შესაძლებლობას. მუხლი 24(1)(გ) აწესრიგებს ხარჯების განწესის საკითხებს და ითვალისწინებს ფინანსური დახმარების შესაძლებლობას იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც გაერო-ს მიერ განიხილება განვითარებად ქვეყნებად ან არიან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში.

## **მუხლი 25. საერთაშორისო ბიურო**

ამ ხელშეკრულების შესაბამისად, ისმო-ს საერთაშორისო ბიურო ასრულებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს.

### **კომენტარი**

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო წარმოადგენს ბერნის კონვენციის და ისმო-ს მიერ ადმინისტრირებადი საერთაშორისო ხელშეკრულებების სამდივნოს. ისმო-ს უფლება ხელშეკრულებების ადმინისტრირებაზე დადგენილია ისმო-ს კონვენციის მე-4 მუხლით. საერთაშორისო ბიურო შექმნილია ისმო-ს კონვენციის მე-9 მუხლის საფუძველზე. ისმო-ს საერთაშორისო ბიუროს ფუნქციები საავტორო უფლებების სფეროში დეტალურადაა განვრილი ბერნის კონვენციის 24-ე მუხლში და, ამდენად, საჭიროდ არ მიიჩნის WPPT ხელშეკრულებაში მისი ხელახალი განმეორება.

## **მუხლი 26. ხელშეკრულების მხარედ გახდომის უფლება**

(1) ისმო-ს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მხარე.

(2) ასამბლევას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ხელშეკრულების მხარედ ნებისმიერი იმ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის დაშვების თაობაზე, რომელიც აცხადებს, რომ კომპეტენტურია და აქვს ამგვარი ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოსათვის სავალდებულო საკუთარი ნორმატიული ბაზა ამ ხელშეკრულებით მოცულ საკითხებზე და თავისი შიდა პროცედურების შესაბამისად, სათანადოდ უფლებამოსილია გახდეს ამ ხელშეკრულების მხარე.

(3) ვეროპის გაერთიანებას, რომელმაც წინა პუნქტში ნახსენები განცხადება გააკეთა ამ ხელშეკრულების მიმღებ დიპლომატიურ კონფერენციაზე, შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

### **კომენტარი**

მუხლის 26(1) თანახმად, ისმო-ს წევრ ყველა სახელმწიფოს შეუძლია გახდეს WPPT ხელშეკრულების მხარე. ეს მუხლი ასეთივე უფლებას ანიჭებს გარკვეულ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებს (მუხლი 26(2)) და ვეროპის გაერთიანებას (მუხლი 26(3)). სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის დაშვების პირობად განსაზღვრულია შესაბამისი კომპეტენტურობის არსებობა და ამგვარი ორგანიზაციის ყველა წევრ

სახელმწიფოში ამ ხელშეკრულებით დარეგულირებულ საკითხებზე სავალდებულო ნორმატიული ბაზის არსებობა.

## **მუხლი 27. ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები**

თუ ეს ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სხვა სპეციალურ დებულებებს, ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე სარგებლობს ყველა უფლებით და თავის თავზე იღებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას.

### **კომენტარი**

27-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების დამდები მხარე სარგებლობს ყველა უფლებით და თავის თავზე იღებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას, თუ ამ ხელშეკრულებაში არ არის მოცემული სხვა სპეციალური დებულებები.

ეს მუხლი თანაბრად ეხება როგორც მონაწილე სახელმწიფოებს, ისე სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებსა და ევროპის გაერთიანებას. ფრაზა „თუ ეს ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სხვა სპეციალურ დებულებებს“ მიუთითებს სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების და ევროპის გაერთიანების უფლებაზე საკითხის განხილვისას გამოვიდნენ მათში შემავალი სახელმწიფოების სახელით და კენჭისყრის პროცედურისას გამოიყენონ მათი ხმები.

## **მუხლი 28. ხელშეკრულების ხელმოწერა**

ისმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსა და ევროპის გაერთიანებისათვის ეს ხელშეკრულება ხელმოწერისათვის ღიაა 1997 წლის 31 დეკემბრამდე.

### **კომენტარი**

WPPT ხელშეკრულებამ ისმო-ს წევრი სახელმწიფოებისა და ევროპის გაერთიანებისათვის ხელშეკრულების ხელმოწერის მდგრულ ვადად განსაზღვრა 1997 წლის 31 დეკემბერი. ხელშეკრულების ხელმოწერა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გზავნილია მოლაპარაკებებში მონაწილე მხარეების მხრიდან ხელშეკრულების მხარდაჭერის თაობაზე. ეს ხელმოწერა ავალდებულებს მათ თავი შეიკავონ ნებისმიერი აქტისგან, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ხელშეკრულების მიზანსა და ობიექტს. იმავდროულად აღსანიშნავია, რომ



ხელშეკრულების ხელმოწერა არ ავალდებულებს ხელმოწერებს ხელშეკრულებასთან მიერთებას. აღსანიშნავია, რომ დადგენილ ვადაში WPPT ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 50 სახელმწიფომ და ევროპის გაერთიანებამ.

### **მუხლი 29. ხელშეკრულების ძალაში შესვლა**

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის 30 სახელმწიფოს მიერ ისმო-ს გენერალური დირექტორისთვის სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ.

### **კომენტარი**

ამ მუხლის თანახმად, ხელშეკრულება ძალაში უნდა შესულიყო სამი თვის შემდეგ მას მერე, რაც 30 სახელმწიფო ისმო-ს გენერალურ დირექტორს შესანახად ჩააბარებდა სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტებს, რაც განხორციელდა კიდევ 2002 წლის 20 მაისს. 2016 წლის 1 მარტის მდგომარეობით, WPPT ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა რაოდენობა შეადგენდა 94-ს. საქართველო ხელშეკრულებას მიუერთდა 2001 წლის 4 ივლისს.

### **მუხლი 30. ხელშეკრულების მხარედ გახდომის თარიღი**

ეს ხელშეკრულება სავალდებულო ხდება:

(i) 29-ე მუხლში ნახსენები 30 სახელმწიფოსათვის ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან;

(ii) ყოველი სხვა სახელმწიფოსათვის ამ სახელმწიფოს მიერ ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის თავისი დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ;

(iii) ევროპის გაერთიანებისათვის სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, თუ ეს დოკუმენტი შესანახად ჩაბარდა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ 29-ე მუხლის შესაბამისად, ან ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან სამი თვის შემდეგ, თუ ეს დოკუმენტი შესანახად ჩაბარდა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე;

(iv) ნებისმიერი სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციისათვის, რომელიც დაშვებულია ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის

მისაღებად, ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ.

### **კომენტარი**

ამ მუხლის შესაბამისად, 30-ე მუხლში ნახსენები 30 სახელმწიფოსათვის WPPT-ის მონაწილედ გახდომის თარიღად განისაზღვრება ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი (მუხლი 30(i)). დანარჩენი სახელმწიფოთათვის კი ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის გასვლის თარიღი (მუხლი 30(ii)).

ასეთივე წესი იყო დადგენილი ევროპის გაერთიანებისთვის (მუხლი 30(iii)), რომლის შესაბამისად ის WPPT-სთან მიერთებულად ითვლება 1996 წლის 20 დეკემბრიდან. მუხლის 30(iv)-ის შესაბამისად, ნებისმიერი სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია ხელშეკრულებასთან მიერთებულად ითვლება შესაბამისი დოკუმენტის ისმო-ში შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ.

### **მუხლი 31. ხელშეკრულების დენონსაცია**

ამ ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოახდინოს ხელშეკრულების დენონსაცია ისმო-ს გენერალური დირექტორისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით. ნებისმიერი დენონსაცია ძალაში შედის ისმო-ს გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ.

### **კომენტარი**

ჩვეულებრივ, საერთაშორისო ხელშეკრულებები ძალაშია დროის ლიმიტირების გარეშე. მაგალითად, ბერნის კონვენციის მუხლი 35(1) ცალსახად ადგენს, რომ „ეს კონვენცია მოქმედებს დროის შეზღუდვის გარეშე.“ ხელშეკრულება ექვემდებარება დენონსაციას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამაზე პირდაპირ არის მითითება ამ ხელშეკრულებაში. ბერნის კონვენცია (მუხლი 35(2)-(4)) და რომის კონვენცია (მუხლი 28) ითვალისწინებს დენონსაციას, მაგრამ იგი შეიძლება განხორციელდეს ხელშეკრულებასთან მიერთებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. ბერნისა და რომის კონვენციებისთვის ეს ვადა შეადგენს 5 წელს. დენონსაციით წყდება მხოლოდ კონკრეტული მხარის მონაწილეობა ხელშეკრულებაში და არანაირად არ ეხება სხვა მონაწილეებს.

ბერნისა და რომის კონვენციებისაგან განსხვავებით, WPPT ხელ-

შეკრულება არ ადგენს დენონსაციის თარიღთან დაკავშირებულ რაიმე შეზღუდვას. WPPT ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ ხელშეკრულების დენონსაცია ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით, რომელიც ძალაში შედის ისმო-ს გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ.

### **მუხლი 32. ხელშეკრულების ენები**

(1) ამ ხელშეკრულების ხელმოწერა ხდება ერთ ეგზემპლარად რუსულ, ინგლისურ, არაბულ, ესპანურ, ჩინურ და ფრანგულ ენებზე. ამასთან, ამ ენებზე შესრულებული ყველა ტექსტი ავთენტიკურია.

(2) ოფიციალურ ტექსტს ნებისმიერ ენაზე, გარდა (1)-ლ პუნქტში ნახსენები ენებისა, დაინტერესებული მხარის თხოვნით და, ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების შემდეგ, ამტკიცებს ისმო-ს გენერალური დირექტორი. ამ პუნქტში ნახსენები „დაინტერესებული მხარე“ შეიძლება იყოს ისმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფო, რომლის ოფიციალური ან ერთ-ერთი ოფიციალური ენა თხოვნის საგანია, აგრეთვე, ევროპის გაერთიანება და ნებისმიერი სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება ამ ხელშეკრულების მონაწილე გახდეს, თუ მისი ერთ-ერთი ოფიციალური ენა თხოვნის საგანია.

### **კომენტარი**

ვინაიდან საერთაშორისო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები, ჩვეულებრივ, მიმდინარეობს რამდენიმე ენაზე, მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების იმ ოფიციალური ენების თაობაზე, რომლებზეც უნდა ითარგმნოს ხელშეკრულების საბოლოო ტექსტი. ყოველი ასეთი თარგმანი ოფიციალურად მტკიცდება შესაბამისი სამდივნოს მიერ. ამასთან ერთად დგინდება ხელშეკრულების ავთენტიკური ენები, რომელთა საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხდება ხელშეკრულების დებულებების ინტერპრეტირება.

ბერნის კონვენციის მიხედვით, კონვენციასთან მიერთებისას ხელი ეწერება კონვენციის ფრანგულ და ინგლისურ ტექსტებს (მუხლი 37(1)). ორივე ეს ტექსტი მიიჩნევა ავთენტურად, თუმცა, ინტერპრეტირების დროს წამოჭრილ არაერთგვაროვნებისას უპირატესობა ეძლევა ფრანგულ ვერსიას (მუხლი 37(3)). მუხლის 37(2) შესაბამისად, კონვენციის ოფიციალური ტექსტები შემუშავდება ისმო-ს გენერალური

---

დირექტორის მიერ დაინტერესებულ მთავრობებთან ერთად ინგლისურ, არაბულ, ჩინურ, ფრანგულ, რუსულ, ესპანურ, ან ასამბლეის მიერ მითითებულ სხვა ენაზე.

რომის კონვენციის შემთხვევაში, ავთენტურად აღიარებულია ინგლისური, ფრანგული და ესპანური ტექსტები, რომლებიც კონვენციის ინტერპრეტირებისას სარგებლობს ერთნაირი სტატუსით. გარდა ამისა, ოფიციალურ ენებად დადგენილია გერმანული, იტალიური და პორტუგალიური.

ამჟამად ისმო, როგორც გაერო-ს სპეციალიზირებული დანესებულება, თავის მუშაობაში იყენებს გაერო-ს მიერ აღიარებულ ექვსივე ოფიციალურ ენას (ინგლისური, არაბული, ჩინური, ფრანგული, რუსული და ესპანური). აღნიშნული ასახულია მუხლში 24(1), რომლის მიხედვით WPPT-ის ამ ენებზე შესრულებული ექვსივე ტექსტი ავთენტიკურია. თუმცა, გარდა ზემოხსენებული ენებისა, დაინტერესებული მხარის თხოვნით, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შემდეგ, ისმო-ს გენერალურმა დირექტორმა შეიძლება დაამტკიცოს ოფიციალური ტექსტი სხვა ენაზეც (მუხლი 24(2)). ამჟამად, ზემოხსენებული ექვსი ენის გარდა, WPPT-ის ოფიციალური ტექსტები არსებობს გერმანულ და პორტუგალიურ ენებზეც.

### **მუხლი 33. დეპოზიტარი**

ამ ხელშეკრულების დეპოზიტარია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი.

### **კომენტარი**

მართალია, WPPT-ის ეს მუხლი ადგენს, რომ ხელშეკრულების დეპოზიტარია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი, მაგრამ არაფერს ამბობს მის, როგორც დეპოზიტარის, ფუნქციებზე. ეს ფუნქციები შეიძლება ამოვიკითხოთ WPPT-ის სხვა მუხლებში, კერძოდ ესენია: მუხლი 28 – ხელშეკრულების ღიად გამოცხადება ხელმოწერისათვის; მუხლი 29 – ხელშეკრულების ძალაში შესვლა; მუხლი 30 – ხელშეკრულების მონაწილედ გახდომა; მუხლი 23 – შეთანხმების დენონსაცია.

---

## ნანილი 3

### WCT და WPPT ხელშეკრულებების შედეგები

#### 3.1. WCT ხელშეკრულების შედარება ბერნის კონვენციასთან

WCT ხელშეკრულების მიღებით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები საერთაშორისო საავტორო სამართლის სრულყოფისა და შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. კერძოდ, ერთი მხრივ, ამ ხელშეკრულებით განხორციელდა ბერნის კონვენციის რიგ ნორმებში სიცხადის შეტანა, მეორე მხრივ კი მოხდა ისეთი ნორმების მიღება, რითაც ავტორთა უფლებები გასცდა აღნიშნული კონვენციით დადგენილ დაცვის ფარგლებს.

როგორც კომენტარებში აღინიშნა, WCT ხელშეკრულება წარმოადგენს სპეციალურ შეთანხმებას ბერნის კონვენციის მე-20 მუხლის გაგებით და, შესაბამისად, მან უნდა უზრუნველყოს ავტორები ბერნის კონვენციით გათვალისწინებულზე მეტი და არავითარ შემთხვევაში ნაკლები დაცვით. მნიშვნელოვანია, რომ ამ ხელშეკრულების ათვლის წერტილს წარმოადგენს დამდები მხარეების მიერ ბერნის კონვენციის პარიზის 1971 წლის აქტის მოთხოვნათა უპირობო შესრულება მიუხედავად იმისა, არიან თუ არა მხარეები პარიზის აქტის მონაწილენი. უკვე ეს გარემოება იძლევა ავტორთა უფლებების დაცვაში პროგრესის მიღწევის საშუალებას იმ ქვეყნებში, რომლებიც არ არიან მიერთებულნი ბერნის კონვენციის აღნიშნულ აქტზე.

WCT ხელშეკრულების მე-4 (კომპიუტერული პროგრამები) და მე-5 მუხლები (მონაცემთა ბაზები), რომლებიც წარმოადგენს ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის განმარტებას და, გარკვეული აზრით, განვითარებასაც კი დაცულ ობიექტებთან დაკავშირებით, უნდა მივიჩნიოთ პროგრესად ბერნის კონვენციასთან მიმართებაში. უნდა აღინიშნოს, რომ მე-4 მუხლში მოცემული დებულება კომპიუტერული პროგრამის შესახებ, TRIPS შეთანხმებისგან განსხვავებით, უფრო ზოგადია და გათვლილია სამომავლო პერსპექტივაზე. მისი ფორმულირება ნაკლებად ტექნოლოგიურია და დაახლოებულია ბერნის კონვენციის ენასთან.

მონაცემთა ბაზების დაცვასთან დაკავშირებულ მე-5 მუხლში გამოყენებული ტერმინები „მონაცემები“ და „სხვა მასალები“, თავისი შინაარსით, ძალზე ფართოა და მოიცავს ნებისმიერი სახის მასალას,

ნაწარმოებების ჩათვლით. ამდენად, WCT-ით დაცული კომპილაციები შეიძლება შეიცავდეს როგორც რაიმე მონაცემს, ისე საავტორო უფლებებით დაცულ ნაწარმოებებს ან ორივეს ერთად. შედარებისთვის უნდა ითქვას, რომ ბერნის კონვენციის მე-2(5) მუხლის შესაბამისად, დასაცავ ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ ნაწარმოებების კრებულები.

რაც შეეხება ავტორთა მინიმალურ უფლებებს, მათ შებლუდვებსა და გამონაკლისებს, WCT ხელშეკრულებამ მოახდინა არაერთი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

ამ ხელშეკრულებაში, მუხლთან 1(4) დაკავშირებული შეთანხმებული განცხადების შესაბამისად, რეპროდუცირების ცნებამ მოიცვა ციფრული სივრცეც კომპიუტერის მეხსიერებაში ნაწარმოების განთავსების ჩათვლით.

WCT ხელშეკრულებით ავტორებს მიენიჭათ მთელი რიგი ახალი უფლებები. კერძოდ:

- ნაწარმოების გავრცელების განსაკუთრებული უფლება (მუხლი 6);
- ნაწარმოების გაქირავების განსაკუთრებული უფლება (მუხლი 7);
- საჯარო გადაცემის განსაკუთრებული უფლება, რომელიც გავრცელდა ყველა კატეგორიის ნაწარმოებზე და, ტრადიციულ უფლებებთან ერთად, მოიცვა on-line ხელმისაწვდომობის უფლებაც (მუხლი 8). აღსანიშნავია, რომ საჯარო გადაცემის ამგვარი გენერალიზებული უფლების ავტორთათვის მინიჭება მიჩნეულია WCT ხელშეკრულების ყველაზე ფუნდამენტურ მიღწევად.

WCT ხელშეკრულებამ, ბერნის კონვენციისგან განსხვავებით, სამსაფეხურიანი ტესტის აუცილებლობა დააწესა ნებისმიერი შებლუდვისა და გამონაკლისისათვის, მათ შორის, მათთვის, რომლებიც პირდაპირაა განერილი ბერნის კონვენციაში (მუხლი 10). ამდენად, შებლუდვები და გამონაკლისები წესდება განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც არ აყენებს ზიანს ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და დაუსაბუთებლად არ ლახავს ავტორის კანონიერ ინტერესებს.

ამ ხელშეკრულებით ფოტოგრაფიულ ნაწარმოებებზე დაცვის მინიმალური ვადა გაუტოლდა სხვა ნაწარმოებებისათვის დადგენილ ვადას, ანუ 20 წლიდან გაიზარდა 50 წლამდე ავტორის გარდაცვალების შემდეგ (მუხლი 9).

გარდა ამისა, საერთაშორისო სამართლის ნორმებით მხარეებს პირველად დაეკისრათ ვალდებულებები ტექნოლოგიური ზომების

---

გვერდის ავლისა და უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციაში ჩარევის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გატარების თაობაზე (მუხლები: 11, 12).

თუ ბერნის კონვენციის მიხედვით უფლებების განხორციელებასთან მიმართებაში მონაწილე ქვეყნების ვალდებულებები იწურება პირატულ პროდუქციაზე ყადაღის დადების მოთხოვნით, WCT-ის შესაბამისად, დამდებ მხარეებს დაევალებათ მათ კანონებში უფლებების განხორციელების ისეთი პროცედურების გათვალისწინება, რაც საშუალებას მისცემთ გაატარონ ქმედითი ღონისძიებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის ნებისმიერი აქტის წინააღმდეგ.

### **3.2 WPPT ხელშეკრულების შედარება რომის კონვენციასთან**

მომიჯნავე უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართალში WPPT ხელშეკრულება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია რომის კონვენციასთან მიმართებაში. ამ ხელშეკრულებამ სიცხადე შეიტანა რომის კონვენციის გარკვეულ მუხლებთან დაკავშირებით, შემსრულებლებსა და ფონოგრამის დამამზადებლებს მიანიჭა ძალზე მნიშვნელოვანი ახალი უფლებები, ხოლო მათთვის მინიჭებული ყველა უფლების დაცვა გაავრცელა ციფრულ გარემოზეც.

WPPT ხელშეკრულებამ შემსრულებლებთან დაკავშირებით:

- გააფართოვა შემსრულებლის ცნება. ახალმა დეფინიციამ, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების შესრულებასთან ერთად, მოიცვა ფოლკლორის შესრულებაც (მუხლი 2(ა));
- სიზუსტე შეიტანა ფონოგრამის დამამზადებლის განსაზღვრებაში. თუ რომის კონვენციის მიხედვით (მუხლი 3(გ)) ფონოგრამის დამამზადებელი არის პირი, რომელიც პირველი ახორციელებს შესრულების ჩაწერას, ამ ხელშეკრულებით ფონოგრამის დამამზადებლის განსაზღვრულ ნიშნებად სრულიად ლოგიკურად მიჩნეულ იქნა პირველ ჩაწერაზე ინიციატივისა და პასუხისმგებლობის აღება (მუხლი 2(დ)). გარდა ამისა, ზემოაღნიშნული დეფინიციით, „ჩაწერაში“ მოიაზრება არა მხოლოდ ხმების, არამედ მათი გამობატულების ფიქსირებაც;
- გარკვეულობა შეიტანა ფონოგრამის ცნებაშიც (მუხლი 2(ბ)). კერძოდ, ფონოგრამა ცხადად გაიმიჯნა აუდიო-ვიზუალურ ნაწარმოებში ჩართული ხმოვანი ჩანაწერისაგან;

- გაცილებით მკაფიოდ ჩამოაყალიბა საერთაშორისო საავტორო სამართლის ფუძემდებლური პრინციპი „ეროვნული რეჟიმის“ შესახებ (მუხლი 4), ვიდრე ეს მოცემულია რომის კონვენციაში (მუხლი 2). კერძოდ, WPPT ხელშეკრულებაში პირდაპირ გაცხადდა, რომ ეროვნული რეჟიმი ვრცელდება მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გარანტირებულ განსაკუთრებულ უფლებებზე, მაგრამ არ ეხება ანაზღაურების მიღების უფლებებს, გარდა იმ უფლებისა, რომელიც დაკავშირებულია ფონოგრამის მეორად გამოყენებასთან (მუხლი 15);
- დაადგინა უფლებების წარმოშობისთვის ფორმალობების დაუშვებლობა ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე (მუხლი 20).

ნაცვლად რომის კონვენციით გათვალისწინებული უფლებისა „არ დაუშვან“ შესრულებების გამოყენებასთან დაკავშირებული გარკვეული ქმედებები, WPPT ხელშეკრულებით შემსრულებლებს მიენიჭათ განსაკუთრებული უფლებების ფართო სპექტრი, მთელი რიგი ახალი უფლებების გათვალისწინებით. კერძოდ, შემსრულებლებს მიენიჭათ შემდეგი განსაკუთრებული უფლებები:

- ჩაუნერგელი შესრულებების ეთერში და საჯარო გადაცემის (გამონაკლისების დაშვებით) და ჩაუნერგელი შესრულებების ჩანერის უფლება (მუხლი 6);
- პირდაპირი და არაპირდაპირი რეპროდუცირების უფლება (მუხლი 7);
- ფონოგრამების გავრცელების უფლება (მუხლი 8);
- ფონოგრამების კომერციული გაქირავების უფლება (მუხლი 9);
- ფონოგრამაზე ჩანერილი შესრულების შერჩეულ ადგილზე და დროს ხელმისაწვდომობის უფლება (მუხლი 10).

ამ განსაკუთრებული უფლებების გარდა, შემსრულებლებს მიენიჭათ, აგრეთვე, ფონოგრამის ეთერით და საჯარო გადაცემებში გამოყენებისათვის ანაზღაურების მიღების უფლება (მუხლი 15).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ WPPT ხელშეკრულებით, შემსრულებლებს, პირველად მიენიჭათ შემსრულებლად აღიარებისა და შესრულების ხელშეუხებლობის არაქონებრივი უფლებები (მუხლი 5).

- რაც შეეხება ფონოგრამის დამამზადებლებს, რომის კონვენციისაგან განსხვავებით, WPPT ხელშეკრულებით ფონოგრამის დამამზადებელთა განსაკუთრებული ქონებრივი უფლებები გარდა ფონოგრამების რეპროდუცირებისა (მუხლი 11), მოიცავს აგრეთვე:
- ფონოგრამების გავრცელების უფლებას (მუხლი 12);
- ფონოგრამების კომერციული გაქირავების უფლებას (მუხლი 13);



- ფონოგრამის შერჩეულ ადგილებზე და დროს ხელმისაწვდომობის უფლებას (მუხლი 14).

ასევე, ფონოგრამის დამამზადებლებს, შემსრულებლების ანალოგიურად, გააჩნიათ ფონოგრამის ეთერით და საჯარო გადაცემებში გამოყენებისათვის ანაზღაურების მიღების უფლება (მუხლი 15).

ისევე, როგორც WCT ხელშეკრულებით ავტორებთან მიმართებაში, WPPT ხელშეკრულებით შემსრულებელთა და ფონოგრამის დამამზადებელთა უფლებებთან დაკავშირებული ყველა გამონაკლისი და შეზღუდვა დაექვემდებარა სამსაფეხურიან ტესტს (მუხლი 16(2)).

მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა დაცვის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. შემსრულებელთა და ფონოგრამის დამამზადებელთა დაცვის მინიმალური ვადა 20 წლიდან (რომის კონვენცია, მუხლი: 14) გაიზარდა 50-წლამდე (WPPT, მუხლი 17).

WPPT ხელშეკრულებით, მონაწილე მხარეებს პირველად დაეკისრათ ვალდებულებები ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლისა და უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციაში ჩარევის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გატარების თაობაზე (მუხლები: 18, 19).

რომის კონვენციასთან მიმართებაში WPPT ხელშეკრულების კიდევ ერთი უპირატესობაა მონაწილეთა ვალდებულებები შემსრულებელთა და ფონოგრამის დამამზადებელთა უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით. იმ დროს, როცა რომის კონვენცია საერთოდ არ ეხება უფლებების განხორციელების საკითხებს, WPPT (მუხლი 23(2)) პირდაპირ ავალდებულებს დამდებ მხარეებს მათ კანონებში უფლებების განხორციელების ისეთი ზომების გათვალისწინებას, რომელთა შემდეგობითაც შესაძლებელი გახდება ამ ხელშეკრულებით დადგენილი უფლებების დარღვევის ნებისმიერი აქტის აღმკვეთი ეფექტური ქმედებების, მათ შორის, დარღვევების თავიდან ასაცილებლად სასწრაფო ზომებისა და შემდგომი დარღვევების შემაკავებელი ზომების გატარება.

მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ WPPT ხელშეკრულების მიღება რომის კონვენციასთან მიმართებაში, რომელიც არ შეცვლილა მისი მიღების დღიდან (1961 წ.), წარმოადგენს გაცილებით დიდ პროგრესს, ვიდრე WCT ხელშეკრულებისა ბერნის კონვენციის 1971 წლის პარიზის აქტთან მიმართებაში.

### 3.3 პროგრესი TRIPS-თან მიმართებაში

TRIPS შეთანხმებამ (1994 წ.) დიდი გავლენა მოახდინა 2 წლის შემდეგ მიღებულ WCT და WPPT ხელშეკრულებების სულისკვეთებასა და ფორმირებაზე. კერძოდ:

- TRIPS-ის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ კომპიუტერული პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების დაცვას არ განუცდია არსობრივი ცვლილება WCT-ში, მაგრამ მიიღო უფრო ზუსტი და იურიდიულად დახვეწილი ფორმა (მუხლები: 4, 5);
- დებულება კომპიუტერული პროგრამების დაცვის შესახებ, TRIPS-ში მოცემულისაგან განსხვავებით, უფრო ზოგადია, ფორმულირება ნაკლებად ტექნოლოგიური და მიახლოებულია ბერნის კონვენციის ენასთან (მუხლი 4);
- WCT-ის მე-5 მუხლი მონაცემთა დაცვის თაობაზე პრაქტიკულად იმეორებს TRIPS-ის შეთანხმების მუხლს 10(2), მაგრამ გამოთქმა „მანქანით ნაკითხვადი ფორმით იქნება ის, თუ სხვა ფორმით“ შეცვლილია სიტყვებით „ნებისმიერი ფორმით“, რაც მას სძენს უფრო ზოგად ხასიათსა და ინვარიანტულობას;
- WCT ხელშეკრულება ამკარად სცდება TRIPS-ის მუხლის 9(1) მოთხოვნას ბერნის კონვენციის პარიზის აქტისა (1971 წ.) და მისი დამატების შესრულების ვალდებულების შესახებ და ავტორებს ანიჭებს გავრცელების განსაკუთრებულ უფლებასა და საჯარო გადაცემის უფლებას on-line მოთხოვნის უფლების ჩათვლით;
- რაც შეეხება გაქირავების უფლებას, TRIPS-ის მუხლისგან 14(4) განსხვავებით, WCT-ის მე-7 მუხლში ერთმნიშვნელოვნადაა გაცხადებული ავტორთა განსაკუთრებული უფლება ფონოგრამაში განსახიერებული ნაწარმოების გაქირავებაზე;
- კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი TRIPS-თან მიმართებაში დაკავშირებულია ფოტოგრაფიული ნაწარმოების ვადის გახანგრძლივებასთან ავტორის გარდაცვალებიდან 50 წლამდე;
- განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ტექნოლოგიური მომების გვერდის ავლისა და უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციაში ჩარევის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებული ვალდებულებები (WCT, მუხლები: 11, 12), რომლებიც საერთოდ არ ფიგურირებს TRIPS შეთანხმებაში;
- TRIPS-თან მიმართებაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია წინსვლა WPPT ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემსრულებლებისა

---

და ფონოგრამის დამამზადებლების უფლებების სფეროში. კერძოდ, WPPT ხელშეკრულებით შემსრულებლებს მიენიჭათ შემსრულებლად აღიარებისა და შესრულების ხელშეუხებლობის არა-ქონებრივი უფლებები (მუხლი 5);

- WPPT-ით შემსრულებლებს, ნაცვლად უფლებისა „არ დაუშვან“ შესრულებების გამოყენებასთან დაკავშირებული გარკვეული ქმედებები, მიენიჭათ განსაკუთრებული ქონებრივი უფლებების ფართო სპექტრი;
- უფრო ზუსტად განისაზღვრა რეპროდუცირების უფლებასთან დაკავშირებული დაცვის ფარგლები;
- შემოვიდა სრულიად ახალი ელემენტები გავრცელებისა და on-line წვდომის განსაკუთრებული უფლებების სახით (მუხლები: 12, 14);
- უფრო ცხადად ჩამოყალიბდა შემსრულებლის გაქირავების უფლებები (მუხლი 13);
- გაჩნდა, ასევე, სრულიად ახალი ელემენტი ფონოგრამის ეთერით და საჯარო გადაცემებში გამოყენებისათვის ანაზღაურების მიღების უფლების სახით (WPPT, მუხლი 15);
- განისაზღვრა TRIPS-თვის სრულიად უცხო ვალდებულებები ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლისა და უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციაში ჩარევის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გატარების თაობაზე (WPPT, მუხლები: 18, 19).

**ისმო-ს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ (WCT)  
(მიღებული ჟენევაში 1996 წლის დეკემბერს)**

**პრეამბულა**

ხელშეკრულების დამდები მხარეები,

სურთ რა შეძლებისდაგვარად ეფექტურად და უნიფიცირებული სახით განავითარონ და შეინარჩუნონ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორთა უფლებების დაცვა,

აღიარებენ რა ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და ტექნოლოგიურ განვითარებასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხების ადეკვატურად გადაწყვეტის მიზნით ახალი საერთაშორისო წესების შემოღებისა და ზოგიერთი არსებული წესის უფრო ზუსტი განმარტების აუცილებლობას,

აღიარებენ რა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და კონვერგენციის დიდ ზეგავლენას ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების შექმნასა და გამოყენებაზე,

ხაზს უსვამენ რა საავტორო უფლებების დაცვის, როგორც ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების შექმნისა და გამოყენების უდიდეს მასტიმულირებელ მნიშვნელობას,

აღიარებენ რა ავტორთა უფლებებსა და ფართო საზოგადოებრიობის ინტერესებს შორის წონასწორობის შენარჩუნების აუცილებლობას, კერძოდ, განათლების, სამეცნიერო კვლევისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სფეროებში, როგორც ეს ასახულია ბერნის კონვენციაში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

**მუხლი 1**

**მიმართება ბერნის კონვენციასთან**

(1) ეს ხელშეკრულება, „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის“ მე-20 მუხლის გაგებიდან გამომდინარე, წარმოადგენს სპეციალურ შეთანხმებას ხელშეკრულების მხარეებთან მიმართებაში, რომლებიც წარმოადგენენ ამ კონვენციით დაფუძნებული კავშირის წევრ სახელმწიფოებს. ეს

---

ხელშეკრულება არანაირად არ არის დაკავშირებული სხვა რომელიმე ხელშეკრულებასთან, გარდა ბერნის კონვენციისა, და არ აკნინებს ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით დადგენილ უფლებებსა და ვალდებულებებს.

(2) ამ ხელშეკრულების არც ერთი დებულება არ აკნინებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც ხელშეკრულების დამდებ მხარეებს ერთმანეთის მიმართ აქვთ ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის თანახმად.

(3) შემდგომში „ბერნის კონვენცია“ ნიშნავს ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის 1971 წლის 24 ივლისის პარიზის აქტს.

(4) ხელშეკრულების დამდები მხარეები იცავენ 1-21 მუხლებისა და ბერნის კონვენციის დამატებითი ნაწილის მოთხოვნებს.<sup>1</sup>

## **მუხლი 2**

### **საავტორო უფლებების დაცვის სფერო**

საავტორო უფლება ვრცელდება გამოხატვის ფორმებზე და არა იდეებზე, პროცედურებზე, მუშაობის მეთოდებზე ან მათემატიკურ კონცეფციებზე, როგორც ასეთზე.

## **მუხლი 3**

### **ბერნის კონვენციის მუხლების 2–6 გამოყენება**

დამდებმა მხარეებმა უნდა გამოიყენონ ბერნის კონვენციის მუხლები 2–6 შესაბამისი შესწორებებით ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაცვასთან მიმართებაში.<sup>2</sup>

## **მუხლი 4**

### **კომპიუტერული პროგრამები**

კომპიუტერული პროგრამები დაცულია როგორც ლიტერატურის ნაწარმოებები ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის გაგებით. ამგვარი დაცვა ვრცელდება კომპიუტერულ პროგრამებზე მათი გამოხატვის ხერხისა და ფორმის მიუხედავად.<sup>3</sup>

## **მუხლი 5**

### **მონაცემთა კომპილაცია (მონაცემთა ბაზები)**

მონაცემთა ან სხვა მასალების ნებისმიერი ფორმით წარმოდგენილი

კომპილაციები, რომლებიც შემცველობის შერჩევისა და განლაგებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ინტელექტუალურ ქმნილებებს, დაცულია. ამგვარი დაცვა არ ვრცელდება თვით მონაცემებსა და მასალებზე და არ აყენებს ზიანს კომპილაციით მოცულ მონაცემებსა და მასალებთან დაკავშირებულ საავტორო უფლებებს.<sup>4</sup>

## **მუხლი 6** **გავრცელების უფლება**

(1) ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება ნება დართონ, რომ მათი ნაწარმოების ორიგინალი და ასლები გახდეს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გაყიდვის ან საკუთრებაში გადაცემის სხვა გზით.

(2) ამ ხელშეკრულების არც ერთი დებულება არ ზღუდავს დამდეგი მხარის თავისუფლებას განსაზღვროს პირობები, ასეთის არსებობისას, რომლითაც (1)-ლ პუნქტში ნახსენები უფლების ამონურვა ხდება ავტორის ნებართვით ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის პირველი გაყიდვის ან საკუთრებაში გადაცემის სხვა გზით.<sup>5</sup>

## **მუხლი 7** **გაქირავების უფლება**

(1) ავტორები

- (i) კომპიუტერული პროგრამების;
- (ii) კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისა და,
- (iii) ფონოგრამებში განსახიერებელი ნაწარმოებების, როგორც ეს განსაზღვრულია ხელშეკრულების დამდეგ მხარეთა ეროვნული კანონმდებლობით,

სარგებლობენ თავისი ნაწარმოებების ორიგინალების და ასლების საზოგადოებისთვის კომერციული გაქირავების ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლებით.

(2) პუნქტი (1) არ ვრცელდება:

- (i) კომპიუტერულ პროგრამებზე, თუ თვით ეს პროგრამა არ არის გაქირავების ძირითადი ობიექტი;

და

- (ii) კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებზე, თუ ასეთი კომერციული გაქირავება არ იწვევს ამ ნაწარმოებთა ფართო კოპირებას, რაც სერიოზულ მატერიალურ ზიანს აყენებს რეპროდუქციების

განსაკუთრებულ უფლებას.

(3) პუნქტის (1) დებულებების მიუხედავად, ხელშეკრულების დამდებ მხარეს, სადაც 1994 წლის 15 აპრილისთვის მოქმედებდა და დღესაც მოქმედებს ფონოგრამებში განსახიერებული ნაწარმოებების ასლების გაქირავებისას ავტორთათვის სამართლიანი ჰონორარის გაცემის სისტემა, შეუძლია შეინარჩუნოს ეს სისტემა იმ პირობით, თუ ფონოგრამებში განსახიერებული ნაწარმოებების კომერციული გაქირავება არ აყენებს მატერიალურ ზიანს ავტორთა განსაკუთრებულ უფლებას რეპროდუცირებაზე.<sup>5,6</sup>

## **მუხლი 8**

### **საჯარო გადაცემის უფლება**

ბერნის კონვენციის მუხლების: 11(1)(ii), 11<sup>bis</sup>(1)(i) და (ii), 11<sup>ter</sup>(1)(ii), 14(1)(ii) და 14<sup>bis</sup>(1) დებულებებისათვის ზიანის მიუყენებლად ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორები სარგებლობენ თავისი ნაწარმოებების სადენებითა და კავშირგაბმულობის უსაფენო საშუალებებით საჯარო გადაცემაზე ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლებით, მათ შორის ისე, რომ საზოგადოების წარმომადგენლებისთვის ასეთი ნაწარმოებები ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერ დროს მათი პირადი არჩევანის მიხედვით.<sup>7</sup>

## **მუხლი 9**

### **ფოტოგრაფიული ნაწარმოებების დაცვის ხანგრძლივობა**

ფოტოგრაფიული ნაწარმოებების მიმართ ხელშეკრულების დამდები მხარეები არ ითვალისწინებენ ბერნის კონვენციის მუხლის 7(4) დებულებებს.

## **მუხლი 10**

### **შეზღუდვები და გამონაკლისები**

(1) ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს ეროვნული კანონმდებლობებით შეუძლიათ დაანესონ შეზღუდვები ან გამონაკლისები იმ უფლებებიდან, რომლებითაც სარგებლობენ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორები ამ ხელშეკრულებით, ზოგიერთ განსაზღვრულ და განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც არ მოდის წინააღმდეგობაში ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებასთან და დაუსაბუთებლად არ ლახავს ავტორის კანონიერ ინტერესებს.

(2) ბერნის კონვენციის გამოყენებისას, ხელშეკრულების დამდები მხარეები ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების რაიმე შეზღუდვებსა და გამონაკლისებს ანებსებენ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც არ აყენებენ ზიანს ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და დაუსაბუთებლად არ ლახავენ ავტორის კანონიერ ინტერესებს.<sup>8</sup>

## **მუხლი 11**

### **ვალდებულებები ტექნოლოგიურ საშუალებებთან მიმართებაში**

ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები ითვალისწინებენ ადეკვატურ სამართლებრივ დაცვასა და სამართლებრივი დაცვის ეფექტურ ზომებს იმ ქმედითი ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლის წინააღმდეგ, რომლებსაც ავტორები იყენებენ ამ ხელშეკრულებით ან ბერნის კონვენციით დადგენილი უფლებების განსახორციელებლად და რომლებიც მათი ნაწარმოებების მიმართ ზღუდავს ისეთ ქმედებებს, რომლებიც არ არის ნებადართული ავტორების მიერ ან დაშვებული კანონით.<sup>9</sup>

## **მუხლი 12**

### **ვალდებულებები უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში**

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები სამართლებრივი დაცვის ადეკვატურ და ქმედით ზომებს ითვალისწინებენ ნებისმიერი იმ პირის მიმართ, რომელიც შეგნებულად ახორციელებს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას, და რომელმაც იცის ან, დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი ზომების გამოყენებასთან მიმართებაში, აქვს საკმარისი საფუძველი იცოდეს, რომ ამგვარი ქმედება გამოიწვევს, შესაძლებელს გახდის, ხელს შეუწყობს, ან დაფარავს ამ ხელშეკრულებით ან ბერნის კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების დარღვევას:

(i) უნებართვოდ ნაშალოს ან შეცვალოს უფლებების მართვის შესახებ ნებისმიერი ელექტრონული ინფორმაცია;

(ii) უნებართვოდ გაავრცელოს, გავრცელების მიზნით შემოიტანოს, ეთერში ან საჯაროდ გადასცეს ნაწარმოებები ან ნაწარმოებების ასლები, როცა ცნობილია, რომ უფლებების მართვის შესახებ მათში არსებული ელექტრონული ინფორმაცია უნებართვოდ იქნა ნაშლილი ან შეცვლილი.



(2) „ინფორმაცია უფლებების მართვის შესახებ“ ამ მუხლში აღნიშნავს ინფორმაციას, რომელიც ახდენს ნაწარმოების, ნაწარმოების ავტორის, ნაწარმოებზე რაიმე უფლების მფლობელის იდენტიფიცირებას, ან ინფორმაციას ნაწარმოების გამოყენების ვადებისა და პირობების, ან ასეთი ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი ციფრების ან კოდების შესახებ, როცა ამ ინფორმაციათაგან ნებისმიერი თან ახლავს ნაწარმოების ასლს ან ჩნდება ნაწარმოების საჯარო გადაცემასთან დაკავშირებით.<sup>9</sup>

### **მუხლი 13** **გამოყენება დროში**

ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები უნდა იყენებდნენ „ბერნის კონვენციის“ მე-18 მუხლის დებულებებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვის ყველა სახესთან დაკავშირებით.

### **მუხლი 14** **ვალდებულებები უფლებების უზრუნველყოფის შესახებ**

(1) ხელშეკრულების დამდები მხარეები იღებენ ვალდებულებას მიიღონ აუცილებელი ზომები ამ ხელშეკრულების გამოყენების უზრუნველსაყოფად.

(2) ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ მათ კანონებში უფლებების განხორციელების ზომების არსებობა, რათა შესაძლებელი იყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის ნებისმიერი აქტის აღმკვეთი ეფექტური ქმედებების, მათ შორის დარღვევების თავიდან ასაცილებლად სასწრაფო ზომებისა და შემდგომი დარღვევების შემაკავებელი ზომების გატარება.

### **მუხლი 15** **ასამბლეა**

(1)

- (ა) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები აფუძნებენ ასამბლევას.
- (ბ) ამ ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები, მრჩეველები და ექსპერტები.
- (გ) ყოველი დელეგაციის ხარჯებს იხდის ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელმაც ის დანიშნა. ასამბლევას შეუძლია

ფინანსური დახმარება სთხოვოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას (შემდგომში – ისმო), რათა ხელი შეუწყოს ასამბლეის მუშაობაში ხელშეკრულების დამდები იმ მხარეების მონაწილეობას, რომლებიც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, განიხილებიან განვითარებად ქვეყნებად ან არიან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში.

(2)

(ა) ასამბლეა განიხილავს ამ ხელშეკრულების დაცვას, განვითარებას, გამოყენებასა და მოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

(ბ) ასამბლეა ახორციელებს მასზე მუხლით 17(2) დაკისრებულ ფუნქციას ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად დაუშვას ზოგიერთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია.

(გ) ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას ამ ხელშეკრულების გადასინჯვის მიზნით, ნებისმიერი დიპლომატიური კონფერენციის მოწვევის თაობაზე და ისმო-ს გენერალურ დირექტორს აძლევს აუცილებელ მითითებებს ამგვარი დიპლომატიური კონფერენციის მოსამზადებლად.

(3)

(ა) ამ ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს, აქვს ერთი ხმა, რომელსაც აძლევს მხოლოდ თავისი სახელით.

(ბ) ამ ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს, რომელიც სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ნაცვლად. ხმების რაოდენობა ემთხვევა ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების რაოდენობას, რომლებიც ამ ხელშეკრულების დამდები მხარეებია. ასეთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია არ იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში, თუ ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებიდან ნებისმიერი იყენებს თავის ხმის უფლებას და პირიქით.

(გ) ასამბლეა მორიგ სესიებზე იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ. სესიებს იწვევს ისმო-ს გენერალური დირექტორი.

ასამბლეა იღებს თავის საპროცედურო წესებს, მათ შორის, რიგგარეშე სესიების მოწვევის, ქვორუმის მოთხოვნებისა და, ამ ხელშეკრულების დებულებების გათვალისწინებით, სხვადასხვა გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი უმრავლესობის თაობაზე.

---

**მუხლი 16**  
**საერთაშორისო ბიურო**

ამ ხელშეკრულების შესაბამისად, ისმო-ს საერთაშორისო ბიურო ასრულებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს.

**მუხლი 17**  
**ხელშეკრულების მხარედ გახდომის უფლება**

(1) ისმო-ს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მხარე.

(2) ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ხელშეკრულების მხარედ ნებისმიერი იმ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის დაშვების თაობაზე, რომელიც აცხადებს, რომ კომპეტენტურია და აქვს ამგვარი ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოსათვის სავალდებულო საკუთარი ნორმატიული ბაზა ამ ხელშეკრულებით მოცულ საკითხებზე და თავისი შიდა პროცედურების შესაბამისად, სათანადოდ უფლებამოსილია გახდეს ამ ხელშეკრულების მხარე.

(3) ევროპის გაერთიანებას, რომელმაც წინა პუნქტში ნახსენები განცხადება გააკეთა ამ ხელშეკრულების მიმღებ დიპლომატიურ კონფერენციაზე, შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

**მუხლი 18**  
**ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები**

თუ ეს ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სხვა სპეციალურ დებულებებს, ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე სარგებლობს ყველა უფლებით და თავის თავზე იღებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას.

**მუხლი 19**  
**ხელშეკრულების ხელმოწერა**

ისმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსა და ევროპის გაერთიანებისათვის ეს ხელშეკრულება ხელმოწერისათვის ღიაა 1997 წლის 31 დეკემბრამდე.

## **მუხლი 20**

### **ხელშეკრულების ძალაში შესვლა**

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის 30 სახელმწიფოს მიერ ისმო-ს გენერალური დირექტორისთვის სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ.

## **მუხლი 21**

### **ხელშეკრულების მხარედ გახდომის თარიღი**

ეს ხელშეკრულება სავალდებულო ხდება:

- (i) მე-20 მუხლში ნახსენები 30 სახელმწიფოსთვის ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან;
- (ii) ყველა სხვა სახელმწიფოსთვის ამ სახელმწიფოს მიერ ისმო-ს გენერალური დირექტორისთვის თავისი დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ;
- (iii) ევროპის გაერთიანებისთვის სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, თუ ეს დოკუმენტი შესანახად ჩაბარდა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ მე-20 მუხლის შესაბამისად, ან ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან სამი თვის შემდეგ, თუ ეს დოკუმენტი შესანახად ჩაბარდა ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე;
- (iv) ნებისმიერი სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციისათვის, რომელიც დაშვებულია ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად, ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ.

## **მუხლი 22**

### **ხელშეკრულებაში დათქმების გაკეთების დაუშვებლობა**

ამ ხელშეკრულებაში რაიმე დათქმების გაკეთება დაუშვებელია.

## **მუხლი 23**

### **ხელშეკრულების დენონსაცია**

ამ ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოახდინოს ხელშეკრულების დენონსაცია ისმო-ს გენერალური დირექტორისთვის

---

შეტყობინების გაგზავნის გზით. ნებისმიერი დენონსაცია ძალაში შედის ისმო-ს გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ.

## **მუხლი 24** **ხელშეკრულების ენები**

(1) ამ ხელშეკრულების ხელმოწერა ხდება ერთ ეგზემპლარად რუსულ, ინგლისურ, არაბულ, ესპანურ, ჩინურ და ფრანგულ ენებზე. ამასთან, ამ ენებზე შესრულებული ყველა ტექსტი ავთენტიკურია.

(2) ოფიციალურ ტექსტს ნებისმიერ ენაზე, გარდა პუნქტში (1) ნახსენები ენებისა, დაინტერესებული მხარის თხოვნით, ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების შემდეგ, ამტკიცებს ისმო-ს გენერალური დირექტორი. ამ პუნქტში ნახსენები „დაინტერესებული მხარე“ შეიძლება იყოს ისმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფო, რომლის ოფიციალური ან ერთ-ერთი ოფიციალური ენა თხოვნის საგანია, აგრეთვე, ევროპის გაერთიანება და ნებისმიერი სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება ამ ხელშეკრულების მონაწილე გახდეს, თუ მისი ერთ-ერთი ოფიციალური ენა თხოვნის საგანია.

## **მუხლი 25** **დეკლარაცია**

ამ ხელშეკრულების დეკლარაცია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი.

## **შეთანხმებული განცხადებები**

### **<sup>1</sup> შეთანხმებული განცხადება მუხლთან 1(4) დაკავშირებით**

რეპროდუცირების უფლება, როგორც ეს დადგენილია ბერნის კონვენციის მე-9 მუხლით, და ქვემოთ დაშვებული გამონაკლისები სრულად გამოიყენება ციფრულ გარემოში, კერძოდ, ციფრულ ფორმატში გამოხატული ნაწარმოებების მიმართ. გაგებულია, რომ დაცული ნაწარმოების შენახვა ციფრულ ფორმატში ელექტრონული საშუალებით წარმოადგენს რეპროდუცირებას ბერნის კონვენციის მე-9 მუხლის გაგებით.

**2 შეთანხმებული განცხადება მე-3 მუხლთან დაკავშირებით**

გაგებულია, რომ ამ შეთანხმების მე-3 მუხლის გამოყენებისას, გამოთქმა „კავშირის ქვეყანა“ ბერნის კონვენციის მუხლებში 2-6 იკითხება, როგორც მითითება ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეზე, ბერნის კონვენციის აღნიშნული მუხლების ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვის მიმართ გამოყენებისას. ასევე, გაგებულია, რომ გამოთქმა „კავშირის გარეთ მყოფი ქვეყანა“ ბერნის ამ მუხლებში, იმავე გარემოებებისათვის ნაიკითხება, როგორც მითითება ქვეყანაზე, რომელიც არ წარმოადგენს ხელშეკრულების დამდებ მხარეს, და „ეს კონვენცია“ ბერნის კონვენციის მუხლებში 2(8), 2<sup>bis</sup>(2), 3, 4 და 5 ნაიკითხება, როგორც მითითება ბერნის კონვენციისა და ამ ხელშეკრულებაზე. ბოლოს გაგებულია, რომ ბერნის კონვენციის მუხლებში 3-6 მითითება „კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეზე“, როცა ისინი გამოიყენება ხელშეკრულების მიმართ ამ ხელშეკრულების დამდებ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციასთან დაკავშირებით, გულისხმობს ამ ორგანიზაციაში შემავალი ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეს.

**3 შეთანხმებული განცხადება მე-4 მუხლთან დაკავშირებით**

კომპიუტერული პროგრამების დაცვის ფარგლები, ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად, ნაკითხული მე-2 მუხლთან ერთად, თანხმობაშია ბერნის კონვენციის მე-2 მუხლთან ისევე, როგორც TRIPS შეთანხმების შესაბამის დებულებებთან.

**4 შეთანხმებული განცხადება მე-5 მუხლთან დაკავშირებით**

მონაცემთა კომპილაციის (მონაცემთა ბაზები) დაცვის ფარგლები ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად, ნაკითხული მე-2 მუხლთან ერთად, თანხმობაშია ბერნის კონვენციის მე-2 მუხლთან ისევე, როგორც TRIPS შეთანხმების შესაბამის დებულებებთან.

**5 შეთანხმებული განცხადება მე-6 და მე-7 მუხლებთან დაკავშირებით**

ამ მუხლებში ტერმინები „ასლები“ და „ორიგინალი და ასლები“, რომლებიც ამ მუხლების შესაბამისად აღნიშნავს გავრცელებისა და გაქირავების საგანს, მიუთითებს მხოლოდ ფიქსირებული სახით არსებულ ასლებზე, რომლებიც შეიძლება ჩართულ იქნეს სამოქალაქო ბრუნვაში მატერიალური ობიექტების სახით.

---

### **6 შეთანხმებული განცხადება მე-7 მუხლთან დაკავშირებით**

გაგებულია, რომ მუხლით 7(1) განსაზღვრული ვალდებულება მონაწილე მხარისგან არ მოითხოვს კომერციული მიზნით გაქირავების განსაკუთრებული უფლების მიცემას ავტორთათვის, რომელთაც, მონაწილე მხარის კანონმდებლობით, არ აქვთ მინიჭებული უფლებები ფონოგრამებთან მიმართებაში. გაგებულია, რომ ეს ვალდებულება თანხმობაშია TRIPS-ის მუხლთან 14(4).

### **7 შეთანხმებული განცხადება მე-8 მუხლთან დაკავშირებით**

გაგებულია, რომ მხოლოდ ფიზიკური საშუალებების მიწოდება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ან რომლითაც ხორციელდება საჯარო გადაცემა, ამ ხელშეკრულებისა და ბერნის კონვენციის გაგებით, არ მიიჩნევა საჯარო გადაცემად. ასევე, გაგებულია, რომ მე-8 მუხლში არაფერი უშლის მონაწილე მხარეს მუხლის 11<sup>bis</sup>(2) გამოყენებას.

### **8 შეთანხმებული განცხადება მე-10 მუხლთან დაკავშირებით**

გაგებულია, რომ მე-10 მუხლის დებულებები ნებას რთავს მონაწილე მხარეებს გადაიტანონ და სათანადოდ განავრცონ ეროვნული კანონმდებლობით ციფრულ სივრცეში ის შეზღუდვები და გამონაკლისები, რომლებიც მიჩნეული იყო მისაღებად ბერნის კონვენციის საფუძველზე. მსგავსად უნდა იქნეს გაგებული, რომ ეს დებულებები ნებას რთავს მონაწილე მხარეს შემუშაონ ახალი შეზღუდვები და გამონაკლისები, რომლებიც მისადაგება ციფრული ქსელის სივრცეს. ასევე, გაგებულ უნდა იქნეს, რომ მუხლი 10(2) არც ამცირებს და არც აფართოებს ბერნის კონვენციით დაშვებულ შეზღუდვებსა და გამონაკლისებს.

### **9 შეთანხმებული განცხადება მე-12 მუხლთან დაკავშირებით**

გაგებულია, რომ მითითება „ბერნის კონვენციით თუ ამ ხელშეკრულებით მოცულ უფლებების დარღვევაზე“ შეიცავს როგორც განსაკუთრებულ, ისე ანაზღაურების მიღების უფლებებს.

შემდგომ, ასევე, გაგებულია, რომ დამდები მხარეები არ დაეყრდნობიან ამ მუხლს, რათა შეიმუშაონ ან აამოქმედონ უფლებების მართვის სისტემა, ბერნის კონვენციით აკრძალული ფორმულებების დაკისრების ეფექტით, რომელიც აკრძალავს საქონლის თავისუფალ გადაადგილებას ან ხელს შეუშლის ამ ხელშეკრულებით დადგენილი უფლებებით სარგებლობას.

**ისმო-ს ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების  
შესახებ (WPPT)**

**(მიღებული ვენევაში 1996 წლის დეკემბერს)**

**პრეამბულა**

ხელშეკრულების დამდები მხარეები,

სურთ რა შეძლებისდაგვარად ეფექტურად და უნიფიცირებული სახით განავითარონ და შეინარჩუნონ შემსრულებლებისა და ფონოგრამების დამამზადებლების უფლებების დაცვა,

აღიარებენ რა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ტექნოლოგიური განვითარების შედეგად წამოჭრილი საკითხების ადეკვატურად გადანყვეტის მიზნით ახალი საერთაშორისო წესების შემოღების აუცილებლობას,

აღიარებენ რა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და კონვერგენციის დიდ ზეგავლენას შესრულებებისა და ფონოგრამების წარმოებასა და გამოყენებაზე,

აღიარებენ რა შემსრულებლებისა და ფონოგრამების დამამზადებლების უფლებებსა და ფართო საზოგადოებრიობის ინტერესებს შორის წონასწორობის შენარჩუნების აუცილებლობას, კერძოდ, განათლების, სამეცნიერო კვლევისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სფეროში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

**თავი I**

**ზოგადი დებულებები**

**მუხლი 1**

**მიმართება სხვა კონვენციებთან**

(1) ამ ხელშეკრულების არც ერთი დებულება არ აკნინებს ვალდებულებებს, რომლებიც ხელშეკრულების დამდებ მხარეებს აქვთ ერთმანეთის მიმართ 1961 წლის 26 ოქტომბერს რომში დადებული „შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუნ-



---

ყებლო ორგანიზაციების ინტერესების დაცვის საერთაშორისო კონვენციის“ (შემდგომში „რომის კონვენცია“) თანახმად.

(2) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვა ხელუხლებლად ტოვებს და არანაირ გავლენას არ ახდენს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების საავტორო უფლებების დაცვაზე. შესაბამისად, ამ ხელშეკრულების არც ერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ ზიანი მიადგეს ამგვარ დაცვას.<sup>1</sup>

(3) ეს ხელშეკრულება არ არის დაკავშირებული სხვა რომელიმე ხელშეკრულებებთან და არ აყენებს ზიანს მათ მიერ განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებს.

## **მუხლი 2** **განსაზღვრებები**

ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის:

**(ა)** „შემსრულებლები“ არიან მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები, მოცეკვავეები და სხვა პირები, რომლებიც ასრულებენ როლებს, მღერიან, კითხულობენ (მათ შორის, მხატვრულად), უკრავენ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, ახდენენ ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოებების, ან ხალხური შემოქმედების ნიმუშების ინტერპრეტირებას ან რაიმე სხვა სახით ასრულებენ მათ;

**(ბ)** „ფონოგრამა“ ნიშნავს შესრულების ან სხვა ხმების ჩანაწერს, ან ხმების გამოხატულებას, გარდა იმ ხმებისა, რომლებიც ჩანაწერის სახით ჩართულია კინემატოგრაფიულ ან სხვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში;<sup>2</sup>

**(გ)** „ჩანაწერი“ ნიშნავს ხმების ან მათი გამოხატულებების განსახიერებას, რომელიც მისი აღქმის, რეპროდუქცირების ან შესაბამისი მონყობილობის მეშვეობით გადაცემის საშუალებას იძლევა;

**(დ)** „ფონოგრამის დამამზადებელი“ ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც თავის თავზე იღებს ინიციატივას და პასუხისმგებელია შესრულების ან სხვა ხმების, ან მათი გამოხატულების პირველ ჩანერაზე;

**(ე)** შესრულების ჩანაწერის ან ფონოგრამის „გამოქვეყნება“ ნიშნავს საზოგადოებისთვის შესრულების ჩანაწერის ან ფონოგრამის შეთავაზებას უფლებამოსილი პირის თანხმობით იმ პირობით, რომ საზოგადოებას ასლები გონივრული რაოდენობით მიეწოდება;<sup>3</sup>

**(3)** „ეთერით მაუწყებლობა“ ნიშნავს კავშირგაბმულობის უსადენო საშუალებებით ხმების ან გამოსახულებებისა და ხმების, ან მათი გამომხატულებების საზოგადოებისთვის მიწოდებას; თანამგზავრის მეშვეობით განხორციელებული ამგვარი გადაცემა, ასევე, წარმოადგენს „ეთერით მაუწყებლობას“; კოდირებული სიგნალების გადაცემა წარმოადგენს „ეთერით მაუწყებლობას“, თუ დეკოდირების საშუალებები საზოგადოებას მიეწოდება სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ ან მისი თანხმობით;

**(8)** შესრულების ან ფონოგრამის „საჯარო გადაცემა“ ნიშნავს შესრულების ხმების ან ფონოგრამაზე ჩანერილი ხმების ან მათი გამომხატულების ტრანსმისიას საზოგადოებისათვის ნებისმიერი საშუალებით, გარდა ეთერით მაუწყებლობისა. მე-15 მუხლის მიზნებისთვის „საჯარო გადაცემა“ მოიცავს ფონოგრამაზე ჩანერილი ხმების ან ხმების გამომხატულების გახდომას სმენით აღქმადად საზოგადოებისთვის.

### **მუხლი 3**

#### **ამ ხელშეკრულებით დაცული პირები (ბენეფიციარები)<sup>4</sup>**

(1) ხელშეკრულების დამდები მხარეები ანიჭებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაცვას იმ შემსრულებლებსა და ფონოგრამების დამამზადებლებს, რომლებიც არიან ხელშეკრულების დამდები სხვა მხარეების მოქალაქეები.

(2) ხელშეკრულების დამდები სხვა მხარეების მოქალაქეებში იგულისხმებიან ფონოგრამების ის შემსრულებლები ან დამამზადებლები, რომლებიც აკმაყოფილებენ დაცვის უზრუნველყოფისათვის „რომის კონვენციით“ გათვალისწინებულ აუცილებელ კრიტერიუმებს ისე, თითქოს ამ ხელშეკრულების დამდები ყველა მხარე ამ კონვენციის დამდები სახელმწიფო იყოს. აღნიშნულ კრიტერიუმებთან მიმართებაში, ხელშეკრულების დამდები მხარეები იყენებენ ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამის განსაზღვრებებს.<sup>5</sup>

(3) ხელშეკრულების დამდები ნებისმიერი მხარე, რომელიც სარგებლობს „რომის კონვენციის“ მუხლში 5(3) ან, ხსენებული კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებისთვის, ამ კონვენციის მე-17 მუხლში განსაზღვრული შესაძლებლობებით, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) დირექტორს უგზავნის შეტყობინებას, როგორც ეს მოცემულია აღნიშნულ დებულებებში.

---

**მუხლი 4**  
**ეროვნული რეჟიმი**

(1) ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე მუხლით 3(2) განსაზღვრულ სხვა დამდები მხარის მოქალაქეებს ანიჭებს ისეთივე რეჟიმს, როგორიც მინიჭებული აქვს საკუთარი მოქალაქეებისთვის ამ ხელშეკრულებით სპეციალურად უზრუნველყოფილ განსაკუთრებულ უფლებებთან და, ასევე, ამ ხელშეკრულების მუხლით 15(3) გათვალისწინებულ ჰონორარის მიღების უფლებასთან დაკავშირებით.

(2) (1)-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება არ გამოიყენება იმ ზომით, როგორითაც ხელშეკრულების დამდები სხვა მხარე იყენებს ამ ხელშეკრულების მუხლით 15(3) დაშვებულ დათქმებს.

**თავი II**  
**შემსრულებლების უფლებები**

**მუხლი 5**  
**შემსრულებლის პირადი არაქონებრივი უფლებები**

(1) შემსრულებლის ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და ამ უფლებების გადაცემის შემდეგაც კი, შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი შესრულებების შემსრულებლად იდენტიფიცირება თავისი ცოცხალი ხმოვანი შესრულებების ან ფონოგრამაზე ჩანერილი შესრულებების მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ვერ ხერხდება შესრულების გამოყენების ხასიათიდან გამომდინარე, და გამოვიდეს თავისი შესრულებების ყოველგვარი ისეთი დამახინჯების, გამრუდების ან სხვაგვარი შეცვლის წინააღმდეგ, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მის რეპუტაციას.

(2) (1)-ლი პუნქტის შესაბამისად, შემსრულებლისათვის მინიჭებული უფლებები უნდა შენარჩუნდეს მისი გარდაცვალების შემდეგაც ქონებრივი უფლებების შეწყვეტამდე და განხორციელდეს იმ პირებისა და დაწესებულებების მიერ, რომლებსაც ამის უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კანონმდებლობით, სადაც მოითხოვება დაცვა. ხელშეკრულების დამდებმა იმ მხარეებმა კი, რომელთა კანონმდებლობა ამ ხელშეკრულების რატიფიკაციისა ან მასთან მიერთების მომენტში არ ითვალისწინებს შემსრულებლის გარდაცვალების შემდეგ წინა პუნ-

ქტით გათვალისწინებული მისი ყველა უფლების დაცვას, შეიძლება დაადგინონ, რომ შემსრულებლის გარდაცვალების შემდეგ ამ უფლებათაგან ზოგიერთი შეწყდება.

(3) ამ პუნქტით უზრუნველყოფილი უფლებების განხორციელებისათვის აუცილებელი დაცვითი ღონისძიებები რეგლამენტირებულია ამ ხელშეკრულების დამდები მხარის კანონმდებლობით, რომლის შესაბამისად ხდება დაცვის მოთხოვნა.

## **მუხლი 6**

### **შემსრულებლების ქონებრივი უფლებები თავიანთ ჩაუნერეულ შესრულებაზე**

შემსრულებლებს თავიანთი შესრულებების მიმართ აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ:

- (i) თავიანთი ჩაუნერეული შესრულებების ეთერში და საჯარო გადაცემაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შესრულება უკვე გადაცემულია ეთერში; და
- (ii) თავიანთი ჩაუნერეული შესრულებების ჩაწერაზე.

## **მუხლი 7**

### **რეპროდუცირების უფლება**

შემსრულებლებს აქვს განსაკუთრებული უფლება გასცეს ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულებების ნებისმიერი სახითა და ფორმით პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუცირების ნებართვა.<sup>6</sup>

## **მუხლი 8**

### **გავრცელების უფლება**

(1) შემსრულებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება ფონოგრამაზე ჩაწერილი თავიანთი შესრულებების ორიგინალი და ასლები გახადონ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, გაყიდვის ან საკუთრებაში გადაცემის სხვა გზით.

(2) ამ ხელშეკრულების არც ერთი დებულება არ ზღუდავს დამდები მხარეების თავისუფლებას განსაზღვრონ პირობები, ასეთის არსებობისას, რომლითაც (1)-ლ პუნქტში ნახსენები უფლების ამონურვა ხდება შემსრულებლის ნებართვით ჩაწერილი შესრულების ორიგინალის ან ასლის პირველი გაყიდვის ან საკუთრებაში სხვა გზით გადაცემისას.<sup>3</sup>

---

## **მუხლი 9**

### **გაქირავების უფლება**

(1) შემსრულებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება, ამ ხელშეკრულების დამდები მხარის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, გასცენ ნებართვა ფონოგრამებზე ჩანერილი თავისი შესრულებების ორიგინალის ან ასლების საზოგადოებისთვის კომერციულ გაქირავებაზე მაშინაც კი, თუ გავრცელება მოხდა შემსრულებლის მიერ ან მისი ნებართვით.

(2) მიუხედავად (1)-ლი პუნქტის დებულებებისა, ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეს, რომელშიც 1994 წლის 15 აპრილისთვის მოქმედებდა და ამჟამადაც მოქმედებს ფონოგრამაზე ჩანერილი შესრულებების ასლების გაქირავების შემთხვევაში შემსრულებლისთვის სამართლიანი ანაზღაურების სისტემა, შეუძლია შეინარჩუნოს ეს სისტემა იმ პირობით, თუ ფონოგრამების კომერციული გაქირავება არსებით ზიანს არ აყენებს შემსრულებლის განსაკუთრებულ უფლებას რეპროდუცირებაზე.<sup>3</sup>

## **მუხლი 10**

### **ჩანერილი შესრულების საჯარო ხელმისაწვდომობის უფლება**

შემსრულებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ ჩანერილი შესრულების სადენებით ან კავშირგაბმულობის უმავეთლო საშუალებებით საჯარო ხელმისაწვდომობის ნებართვა იმგვარად, რომ საზოგადოების წარმომადგენლებს ჰქონდეთ მათზე წვდომის საშუალება ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით.

## **თავი III**

### **ფონოგრამის დამამზადებლების უფლებები**

## **მუხლი 11**

### **რეპროდუცირების უფლება**

ფონოგრამის დამამზადებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ თავიანთი ფონოგრამების ნებისმიერი სახითა და ფორმით პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუცირების ნებართვა.<sup>6</sup>

## **მუხლი 12**

### **გავრცელების უფლება**

(1) ფონოგრამის დამამზადებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გახადონ მათი ფონოგრამების ორიგინალები და ასლები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გაყიდვის ან საკუთრებაში გადაცემის სხვა გზით.

(2) ამ ხელშეკრულების არც ერთი დებულება არ ზღუდავს დამდები მხარის თავისუფლებას განსამდგროს პირობები, ასეთის არსებობისას, რომლითაც (1) პუნქტში ნახსენები უფლების ამონწერვა ხდება ფონოგრამის დამამზადებლის ნებართვით ფონოგრამის ორიგინალის ან ასლის პირველი გაყიდვის ან საკუთრებაში სხვა გზით გადაცემისას.<sup>3</sup>

## **მუხლი 13**

### **გაქირავების უფლება**

1) ფონოგრამის დამამზადებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ ნებართვა თავიანთი ფონოგრამების ორიგინალის ან ასლების საზოგადოებისთვის კომერციულ გაქირავებაზე მაშინაც კი, თუ ფონოგრამის გავრცელება მოხდა ფონოგრამის დამამზადებლის მიერ ან მისი ნებართვით.

2) მიუხედავად (1)-ლი პუნქტის დებულებებისა, ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეს, რომელშიც 1994 წლის 15 აპრილისათვის მოქმედებდა და ამჟამადაც მოქმედებს ფონოგრამის ასლების გაქირავების შემთხვევაში ფონოგრამის დამამზადებლისთვის სამართლიანი ანაზღაურების სისტემა, შეუძლია შეინარჩუნოს ეს სისტემა იმ პირობით, თუ ფონოგრამების კომერციული გაქირავება არსებით ზიანს არ აყენებს ფონოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებულ უფლებას ფონოგრამის რეპროდუცირებაზე.<sup>3</sup>

## **მუხლი 14**

### **ფონოგრამის საჯარო გადაცემის უფლება**

ფონოგრამების დამამზადებლებს აქვთ განსაკუთრებული უფლება გასცენ თავიანთი ფონოგრამების სადენებით ან კავშირგაბმულობის უმავთულო საშუალებებით საჯარო ხელმისაწვდომობის ნებართვა იმგვარად, რომ საზოგადოების წარმომადგენლებს ჰქონდეთ მათზე წვდომის საშუალება ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით.

---

თაზი IV  
**საერთო დებულებები**

**მუხლი 15**

**საერთო მაუწყებლობისა და საზოგადოებაში გავრცელებისათვის  
ჰონორარის მიღების უფლება**

(1) შემსრულებლებსა და ფონოგრამების დამამზადებლებს უფლება აქვთ მიიღონ ერთჯერადი სამართლიანი ანაზღაურება კომერციული მიზნებით გამოქვეყნებული ფონოგრამების პირდაპირი ან არაპირდაპირი გამოყენებისათვის ეთერით მაუწყებლობის ან ნებისმიერი სხვა საჯარო გადაცემის საშუალებით.

(2) ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შეუძლიათ თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში დაადგინონ, რომ მომხმარებლებისაგან ერთჯერადი სამართლიანი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს შემსრულებელს ან ფონოგრამის დამამზადებელს, ან შემსრულებელსა და ფონოგრამის დამამზადებელს ერთდროულად. ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შეუძლიათ მიიღონ ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც, შემსრულებელსა და ფონოგრამის დამამზადებელს შორის შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, დაადგენს პირობებს, რომელთა შესაბამისადაც ერთჯერადი სამართლიანი ანაზღაურება ნაწილდება შემსრულებლებსა და ფონოგრამების დამამზადებლებს შორის.

(3) ამ ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერ მხარეს შეუძლია ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის ჩაბარებულ შეტყობინებაში განაცხადოს, რომ (1)-ლი პუნქტის დებულებებს მიმართავს მხოლოდ გარკვეულ გამოყენებებთან დაკავშირებით, ან შეზღუდავს მათ რაიმე სხვა გზით, ან საერთოდ არ გამოიყენებს ამ დებულებებს.

(4) ამ მუხლის მიზნებისათვის ფონოგრამები, რომლებიც საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა სადენებით ან კავშირგაბმულობის უმავთულო საშუალებებით იმგვარად, რომ საზოგადოების წარმომადგენლებისათვის მათი წვდომა შესაძლებელია ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით, განიხილება კომერციული მიზნებით გამოქვეყნებულად.<sup>7,8</sup>

## **მუხლი 16**

### **შეზღუდვები და გამონაკლისები**

(1) ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შეუძლიათ თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში დაანესონ იმავე სახის შეზღუდვები ან გამონაკლისები შემსრულებლებისა და ფონოგრამების დამამზადებლების უფლებების დაცვის თვალსაზრისით, რაც გათვალისწინებული აქვთ ეროვნულ კანონმდებლობაში საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებით ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების მიმართ.

(2) ხელშეკრულების დამდები მხარეები ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების რაიმე შეზღუდვებსა და გამონაკლისებს ანესებენ განსაზღვრულ და განსაკუთრებულ შემთხვევებში შესრულების ან ფონოგრამის ნორმალური გამოყენებისათვის ზიანის მიყენებისას და შემსრულებლის ან ფონოგრამის დამამზადებლის კანონიერი ინტერესების უსაფუძვლოდ შელახვის გარეშე.<sup>6,9</sup>

## **მუხლი 17**

### **დაცვის ვადები**

(1) შემსრულებლებისთვის ამ ხელშეკრულებით დაწესებული დაცვის ვადა გრძელდება არანაკლებ 50 წლის განმავლობაში იმ წლის ბოლოდან, როდესაც შესრულება ჩაიწერა ფონოგრამაზე.

(2) ფონოგრამის დამამზადებლებისათვის ამ ხელშეკრულებით დაწესებული დაცვის ვადა გრძელდება არანაკლებ 50 წლის განმავლობაში იმ წლის ბოლოდან, როდესაც ფონოგრამა გამოქვეყნდა ან თუ ფონოგრამის ჩაწერიდან 50 წლის განმავლობაში არ მომხდარა ამგვარი გამოქვეყნება – 50 წლის განმავლობაში იმ წლის ბოლოდან, როცა ჩაწერა მოხდა.

## **მუხლი 18**

### **ტექნოლოგიურ საშუალებებთან დაკავშირებული ვალდებულებები**

ხელშეკრულების დამდები მხარეები ითვალისწინებენ ადეკვატურ სამართლებრივ დაცვასა და სამართლებრივი დაცვის ეფექტურ ზომებს იმ ქმედითი ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლის წინააღმდეგ, რომლებსაც შემსრულებლები და ფონოგრამების დამამზადებლები იყენებენ ამ ხელშეკრულებით დადგენილი თავიანთი უფლებების განსახორციელებლად და რომლებიც მათი შესრულებებისა და ფონოგრამების მიმართ ზღუდავს ისეთ ქმედებებს, რომლებიც



არ არის ნებადართული შემსრულებლების ან ფონოგრამების დამამზადებლების მიერ ან დაშვებული კანონით.

## **მუხლი 19**

### **ვალდებულებები უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში**

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები სამართლებრივი დაცვის ადეკვატურ და ქმედით (effective) ზომებს ითვალისწინებენ ნებისმიერი იმ პირის მიმართ, რომელიც შეგნებულად ახორციელებს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებათაგანს, და რომელმაც იცის, ან, დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი ზომებთან (დაკავშირებით) მიმართებაში აქვს საკმარისი საფუძველი იცოდეს, რომ ამგვარი ქმედება გამოიწვევს, შესაძლებელს გახდის, ხელს შეუწყობს ან დათარავს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების დარღვევას:

- (i) უნებართვოდ შლის ან ცვლის უფლებების მართვის შესახებ ნებისმიერ ელექტრონულ ინფორმაციას;
- (ii) უნებართვოდ ავრცელებს, გავრცელების მიზნით შემოაქვს, ეთერში გადასცემს, ან საჯაროდ გადასცემს შესრულებებს, ჩაწერილ შესრულებებს ან ფონოგრამებს როცა ცნობილია, რომ უფლებების მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაცია მათში უნებართვოდ იქნა წაშლილი ან შეცვლილი.

(2) „ინფორმაცია უფლებების მართვის შესახებ“ ამ მუხლში აღნიშნავს ინფორმაციას, რომელიც ახდენს შემსრულებლის, შემსრულებლის შესრულების, ფონოგრამის დამამზადებლის, ფონოგრამის, შესრულებასა ან ფონოგრამაზე რაიმე უფლების მფლობელის ან შესრულების ან ფონოგრამის გამოყენების პირობების შესახებ ინფორმაციის და ასეთი ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი ციფრების ან კოდების იდენტიფიკაციას, როცა ინფორმაციის ამ ელემენტთაგან ნებისმიერი თან ახლავს ჩაწერილი შესრულების ან ფონოგრამის ასლს ან ჩნდება ჩაწერილი შესრულების ან ფონოგრამის საჯარო გადაცემასთან ან საჯარო ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.<sup>10</sup>

## **მუხლი 20**

### **ფორმალობები**

ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა და გამოყენება არ შეიძლება იყოს რაიმე ფორმალობის საგანი.

## **მუხლი 21**

### **დათქმები**

მუხლის 15(3) დებულებების გათვალისწინებით, ამ ხელშეკრულებაში არ დაიშვება არანაირი დათქმები.

## **მუხლი 22**

### **გამოყენება დროში**

(1) ხელშეკრულების დამდები მხარეები უნდა იყენებდნენ „ბერნის კონვენციის“ მე-18 მუხლის დებულებებს შესაბამისი ცვლილებებით (mutatis mutandis), შემსრულებლებისა და ფონოგრამების დამამზადებლებისთვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დაცვისას.

(2) (1)-ლი პუნქტის მიუხედავად, ხელშეკრულების დამდებ მხარეს შეუძლია შეზღუდოს ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის გამოყენება შესრულებებით, რომლებიც თარიღდება ამ მხარისათვის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

## **მუხლი 23**

### **დებულებები უფლებების უზრუნველყოფის შესახებ**

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებულია იღებენ თავიანთი სამართლებრივი სისტემების შესაბამისად გაატარონ ამ ხელშეკრულების გამოყენების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ღონისძიებანი.

(2) ამ ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ მათ კანონებში უფლებების უზრუნველყოფელი ისეთი პროცედურების არსებობა, რაც საშუალებას მისცემს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის ნებისმიერი აქტის წინააღმდეგ გაატარონ ქმედითი ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს დარღვევების თავიდან აცილების სასწრაფო ზომებსა და, ასევე, იმ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფს შემდგომი დარღვევებისაგან თავის შეკავებას.

თაპი V  
**ადმინისტრაციული და დასკვნითი დებულებები**

**მუხლი 24**  
**ასამბლეა**

(1)

- (ა) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები აფუძნებენ ასამბლევას.
- (ბ) ამ ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები, მრჩეველები და ექსპერტები.
- (გ) ყოველი დელეგაციის ხარჯებს იხდის ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელმაც ის დანიშნა. ასამბლევას შეუძლია ფინანსური დახმარება სთხოვოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას (შემდგომში „ისმო“), რათა ხელი შეუწყოს ასამბლევის მუშაობაში ხელშეკრულების დამდები იმ მხარეების მონაწილეობას, რომლებიც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, განიხილებიან განვითარებად ქვეყნებად ან არიან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში.

(2)

- (ა) ასამბლეა განიხილავს ამ ხელშეკრულების დაცვას, განვითარებას, გამოყენებასა და მოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
- (ბ) ასამბლეა ახორციელებს მასზე მუხლით 26(2) დაკისრებულ ფუნქციას ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად დაუშვას ზოგიერთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია.
- (გ) (ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას ამ ხელშეკრულების გადასინჯვის მიზნით, ნებისმიერი დიპლომატიური კონფერენციის მოწვევის თაობაზე და ისმო-ს გენერალურ დირექტორს აძლევს აუცილებელ მითითებებს ამგვარი დიპლომატიური კონფერენციის მოსამზადებლად.

(3)

- (ა) ამ ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს, აქვს ერთი ხმა, რომელსაც აძლევს მხოლოდ თავისი სახელით.
- (ბ) ამ ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს, რომელიც

სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ნაცვლად. ხმების რაოდენობა ემთხვევა ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების რაოდენობას, რომლებიც ამ ხელშეკრულების დამდები მხარეებია. ასეთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია არ იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში, თუ ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებიდან ნებისმიერი იყენებს თავის ხმის უფლებას და პირიქით.

(4) ასამბლეა მორიგ სესიებზე იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ. სესიებს იწვევს ისმო-ს გენერალური დირექტორი.

(5) სამბლეა იღებს თავის საპროცედურო წესებს, მათ შორის, რიგგარეშე სესიების მოწვევის, ქვორუმის მოთხოვნებისა და, ამ ხელშეკრულების დებულებების გათვალისწინებით, სხვადასხვა გადანყვეტილების მისაღებად აუცილებელი უმრავლესობის თაობაზე.

## **მუხლი 25** **საერთაშორისო ბიურო**

ამ ხელშეკრულების შესაბამისად, ისმო-ს საერთაშორისო ბიურო ასრულებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს.

## **მუხლი 26** **ხელშეკრულების მონაწილე მხარედ გახდომის უფლება**

(1) ისმო-ს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მხარე.

(2) ასამბლევას შეუძლია მიიღოს გადანყვეტილება ამ ხელშეკრულების მხარედ ნებისმიერი იმ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის დაშვების თაობაზე, რომელიც აცხადებს, რომ კომპეტენტურია და აქვს ამგვარი ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოსათვის სავალდებულო საკუთარი ნორმატიული ბაზა ამ ხელშეკრულებით მოცულ საკითხებზე და თავისი შიდა პროცედურების შესაბამისად, სათანადოდ უფლებამოსილია გახდეს ამ ხელშეკრულების მხარე.

(3) ვეროპის გაერთიანებას, რომელმაც წინა პუნქტში ნახსენები განცხადება გააკეთა ამ ხელშეკრულების მიმღებ დიპლომატიურ კონფერენციაზე, შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

---

**მუხლი 27**  
**ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და**  
**ვალდებულებები**

თუ ეს ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სხვა სპეციალურ დებულებებს, ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე სარგებლობს ყველა უფლებით და თავის თავზე იღებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას.

**მუხლი 28**  
**ხელშეკრულების ხელმოწერა**

ისმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსა და ევროპის გაერთიანებისათვის ეს ხელშეკრულება ხელმოწერისათვის ღიაა 1997 წლის 31 დეკემბრამდე.

**მუხლი 29**  
**ხელშეკრულების ძალაში შესვლა**

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის 30 სახელმწიფოს მიერ ისმო-ს გენერალური დირექტორისთვის სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ.

**მუხლი 30**  
**ხელშეკრულების მხარედ გახდომის თარიღი**

ეს ხელშეკრულება სავალდებულო ხდება:

- (i) 29-ე მუხლში ნახსენები 30 სახელმწიფოსათვის ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან;
- (ii) ყოველი სხვა სახელმწიფოსათვის ამ სახელმწიფოს მიერ ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის თავისი დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ;
- (iii) ევროპის გაერთიანებისათვის სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, თუ ეს დოკუმენტი შესანახად ჩაბარდა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ 29-ე მუხლის შესაბამისად, ან ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან სამი თვის შემდეგ, თუ ეს დოკუმენტი შესანახად ჩაბარდა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე;

(iv) ნებისმიერი სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციისათვის, რომელიც დაშვებულია ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად, ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ.

### **მუხლი 31**

#### **ხელშეკრულების დენონსაცია**

ამ ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოახდინოს ხელშეკრულების დენონსაცია ისმო-ს გენერალური დირექტორისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით. ნებისმიერი დენონსაცია ძალაში შედის ისმო-ს გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ.

### **მუხლი 32**

#### **ხელშეკრულების ენები**

(1) ამ ხელშეკრულების ხელმოწერა ხდება ერთ ეგზემპლარად რუსულ, ინგლისურ, არაბულ, ესპანურ, ჩინურ და ფრანგულ ენებზე. ამასთან, ამ ენებზე შესრულებული ყველა ტექსტი ავთენტიკურია.

(2) ოფიციალურ ტექსტს ნებისმიერ ენაზე, გარდა (1)-ლ პუნქტში ნახსენები ენებისა, დაინტერესებული მხარის თხოვნით და, ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების შემდეგ, ამტკიცებს ისმო-ს გენერალური დირექტორი. ამ პუნქტში ნახსენები „დაინტერესებული მხარე“ შეიძლება იყოს ისმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფო, რომლის ოფიციალური ან ერთ-ერთი ოფიციალური ენა თხოვნის საგანია, აგრეთვე, ევროპის გაერთიანება და ნებისმიერი სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება ამ ხელშეკრულების მონაწილე გახდეს, თუ მისი ერთ-ერთი ოფიციალური ენა თხოვნის საგანია.

### **მუხლი 33**

#### **დეკლარაცია**

ამ ხელშეკრულების დეკლარაცია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი.

## შეთანხმებული განცხადებები

### **<sup>1</sup> შეთანხმებული განცხადება მუხლთან 1(2) დაკავშირებით**

გაგებულია, რომ მუხლი 1(2) განმარტავს ამ ხელშეკრულებით დადგენილ ფონოგრამებთან დაკავშირებული უფლებების მიმართებას ფონოგრამებში განსახიერებულ ნაწარმოებებზე არსებულ საავტორო უფლებებთან. იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა ნებართვის აღება, როგორც ფონოგრამაში განსახიერებული ნაწარმოების ავტორისგან, ისე შემსრულებლისა და ფონოგრამის დამამზადებლისგან, რომლებსაც გააჩნიათ უფლებები ამ ფონოგრამაზე, ავტორისაგან უფლების მიღების აუცილებლობა არ წყვეტს არსებობას იმის გამო, რომ საჭიროა შემსრულებლის ან ფონოგრამის დამამზადებლის ნებართვა და პირიქით.

შემდგომ გაგებულია, რომ არაფერი მუხლში 1(2) არ უშლის ხელს დამდებ მხარეს შემსრულებელს და ფონოგრამის დამამზადებელს მიანიჭოს განსაკუთრებული უფლებები იმ უფლებების მიღება, რომლებიც დადგენილია ამ ხელშეკრულებით.

### **<sup>2</sup> შეთანხმებული განცხადება მე-2(ბ) მუხლთან დაკავშირებით**

გაგებულია, რომ მუხლში 2(ბ) მოცემული ფონოგრამის განსაზღვრება არ გულისხმობს, რომ მასზე არსებული უფლებები რაიმენაირად შელახულია მათი კინემატოგრაფიულ ან სხვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში გამოყენების გზით.

### **<sup>3</sup> შეთანხმებული განცხადება მე-2(გ), მე-8, მე-9, მე-12 და მე-13 მუხლებთან დაკავშირებით**

ამ მუხლებში გამოყენებული ტერმინები „ასლები“ და „ორიგინალები და ასლები“, რომლებიც, ამ მუხლების შესაბამისად, გავრცელების უფლებისა და გაქირავების უფლების ობიექტებია, ეხება მხოლოდ ჩანერილ ასლებს, რომლებიც შეიძლება ჩართულ იქნეს ბრუნვაში მატერიალური ობიექტების სახით.

### **<sup>4</sup> შეთანხმებული განცხადება მე-3 მუხლთან დაკავშირებით**

გაგებულია, რომ რომის კონვენციის მუხლებში 5(ა) და 16(ა)(iv) მითითება მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეზე, ამ ხელშეკრულების გამოყენებისათვის მასში მონაწილე სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის მიმართ ნიშნავს ამ ორგანიზაციაში შემავალი ერთ-ერთი მონაწილე ქვეყნის მოქალაქეს.

**5 შეთანხმებული განცხადება მუხლთან 3(2) დაკავშირებით**

გაგებულია, რომ მუხლი 3(2)-ის მიზნებისთვის, „ჩანაწერი“ ნიშნავს თავდაპირველ ფირს (bande-mere) დასრულებული სახით.

**6 შეთანხმებული განცხადება მე-7, მე-11 და მე-16 მუხლებთან დაკავშირებით**

რეპროდუცირების უფლება, როგორც ეს განსაზღვრულია მე-7 და მე-11 მუხლებით და ქვემოთ მე-16 მუხლით დაშვებული გამონაკლისები, სრულად გამოიყენება ციფრულ გარემოში, კერძოდ, შესრულებებისა და ფონოგრამების ციფრული ფორმით გამოყენებისას. გაგებულია, რომ ამ მუხლის მიხედვით რეპროდუცირებას წარმოადგენს შესრულებისა და ფონოგრამის ციფრული ფორმით შენახვა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

**7 შეთანხმებული განცხადება მე-15 მუხლთან დაკავშირებით**

გაგებულია, რომ მე-15 მუხლი არ წარმოადგენს სრულყოფილ გადაწყვეტას ეთერით მაუწყებლობისა და საჯარო გადაცემების უფლებების დონესთან მიმართებაში, რომელიც უნდა მიეღოთ შემსრულებლებსა და ფონოგრამის დამამზადებლებს ციფრულ საუკუნეში. დელეგაციებმა ვერ შეძლეს მიეღნიათ კონსენსუსისთვის სხვადასხვა წინადადებებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხებოდა განსაკუთრებულობის ასპექტების უზრუნველყოფას გარკვეული შემთხვევებისათვის ან უფლებების მინიჭების საკითხს დათქმების შესაძლებლობის გარეშე, რის გამოც ეს საკითხი დატოვეს მომავალში გადასაწყვეტად.

**8 შეთანხმებული განცხადება მე-15 მუხლთან დაკავშირებით**

გაგებულია, რომ მე-15 მუხლი არ ზღუდავს ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებების მინიჭებას ფოლკლორის შემსრულებლებისა და ფონოგრამის დამამზადებლებისთვის ფოლკლორის ჩანერისას, როცა ფონოგრამა არ არის გამოქვეყნებული კომერციული მიზნით.

**9 შეთანხმებული განცხადება დაკავშირებული მე-16 მუხლთან**

საავტორო უფლებების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების მე-10 მუხლთან (შემზღვევებისა და გამონაკლისების შესახებ) დაკავშირებული ერთობლივი განცხადება შესაბამისი ცვლილებებით (mutatis mu-



---

tandis), გამოყენებადია შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების მე-16 მუხლთან მიმართებაში.

[WCT-ის მე-10 მუხლთან დაკავშირებული შეთანხმებული განცხადება: „გაგებულია, რომ მე-10 მუხლის დებულებები ნებას რთავს მონაწილე მხარეებს გადაიტანონ და სათანადოდ განავრცონ ეროვნული კანონმდებლობით ციფრულ სივრცეში ის შემზღვევები და გამონაკლისები, რომლებიც მიჩნეული იყო მისაღებად ბერნის კონვენციის საფუძველზე. მსგავსად უნდა იქნეს გაგებული, რომ ეს დებულებები ნებას რთავს მონაწილე მხარეებს შეიმუშაონ ახალი შემზღვევები და გამონაკლისები, რომლებიც მიესადაგება ციფრულ ქსელს.

ასევე, გაგებულ უნდა იქნეს, რომ მუხლი 10(2) არც ამცირებს და არც აფართოებს ბერნის კონვენციით დაშვებულ შემზღვევებსა და გამონაკლისებს“].

#### **<sup>10</sup> შეთანხმებული განცხადება მე-19 მუხლთან დაკავშირებით**

შეთანხმებული განცხადება საავტორო უფლებების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების მე-12 მუხლთან (ვალდებულებებზე უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში) დაკავშირებით, გამოყენებადია შესაბამისი შესწორებებით (mutatis mutandis) შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების მე-19 მუხლთან (ვალდებულებებზე უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში) დაკავშირებით.

[WCT-ის მე-12 მუხლთან დაკავშირებული შეთანხმებული განცხადება: „გაგებულია, რომ მითითება „ბერნის კონვენციით თუ ამ ხელშეკრულებით მოცულ უფლებების დარღვევაზე“ შეიცავს როგორც განსაკუთრებულ, ისე ანაზღაურების მიღების უფლებებს.

შემდგომ, ასევე, გაგებულია, რომ დამდები მხარეები არ დაეყრდნობიან ამ მუხლს, რათა შეიმუშავონ ან აამოქმედონ უფლებების მართვის სისტემა, ბერნის კონვენციით აკრძალული ფორმალობების დაკისრების ეფექტით, რომელიც აკრძალავს საქონლის თავისუფალ გადაადგილებას ან ხელს შეუშლის ამ ხელშეკრულებით დადგენილი უფლებებით სარგებლობას.“]

# **WIPO Copyright Treaty**

## **(adopted in Geneva on December 20, 1996)**

### **Preamble**

*The Contracting Parties,*

*Desiring* to develop and maintain the protection of the rights of authors in their literary and artistic works in a manner as effective and uniform as possible,

*Recognizing* the need to introduce new international rules and clarify the interpretation of certain existing rules in order to provide adequate solutions to the questions raised by new economic, social, cultural and technological developments,

*Recognizing* the profound impact of the development and convergence of information and communication technologies on the creation and use of literary and artistic works,

*Emphasizing* the outstanding significance of copyright protection as an incentive for literary and artistic creation,

*Recognizing* the need to maintain a balance between the rights of authors and the larger public interest, particularly education, research and access to information, as reflected in the Berne Convention,

*Have agreed* as follows:

### **Article 1**

#### **Relation to the Berne Convention**

(1) This Treaty is a special agreement within the meaning of Article 20 of the Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works, as regards Contracting Parties that are countries of the Union established by that Convention. This Treaty shall not have any connection with treaties other than the Berne Convention, nor shall it prejudice any rights and obligations under any other treaties.

(2) Nothing in this Treaty shall derogate from existing obligations that Contracting Parties have to each other under the Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works.

(3) Hereinafter, "Berne Convention" shall refer to the Paris Act of July 24, 1971 of the Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works.

(4) Contracting Parties shall comply with Articles 1 to 21 and the Appendix of the Berne Convention.<sup>1</sup>

### **Article 2**

#### **Scope of Copyright Protection**

Copyright protection extends to expressions and not to ideas, procedures, methods

---

of operation or mathematical concepts as such.

### **Article 3**

#### **Application of Articles 2 to 6 of the Berne Convention**

Contracting Parties shall apply *mutatis mutandis* the provisions of Articles 2 to 6 of the Berne Convention in respect of the protection provided for in this Treaty.<sup>2</sup>

### **Article 4**

#### **Computer Programs**

Computer programs are protected as literary works within the meaning of Article 2 of the Berne Convention. Such protection applies to computer programs, whatever may be the mode or form of their expression.<sup>3</sup>

### **Article 5**

#### **Compilations of Data (Databases)**

Compilations of data or other material, in any form, which by reason of the selection or arrangement of their contents constitute intellectual creations, are protected as such. This protection does not extend to the data or the material itself and is without prejudice to any copyright subsisting in the data or material contained in the compilation.<sup>4</sup>

### **Article 6**

#### **Right of Distribution**

(1) Authors of literary and artistic works shall enjoy the exclusive right of authorizing the making available to the public of the original and copies of their works through sale or other transfer of ownership.

(2) Nothing in this Treaty shall affect the freedom of Contracting Parties to determine the conditions, if any, under which the exhaustion of the right in paragraph (1) applies after the first sale or other transfer of ownership of the original or a copy of the work with the authorization of the author.<sup>5</sup>

### **Article 7**

#### **Right of Rental**

(1) Authors of

- (i) computer programs;
- (ii) cinematographic works; and
- (iii) works embodied in phonograms, as determined in the national law of Contracting Parties,

shall enjoy the exclusive right of authorizing commercial rental to the public of the originals or copies of their works.

(2) Paragraph (1) shall not apply

- (i) in the case of computer programs, where the program itself is not the essential object of the rental; and
- (ii) in the case of cinematographic works, unless such commercial rental has led to widespread copying of such works materially impairing the exclusive right of reproduction.

(3) Notwithstanding the provisions of paragraph (1), a Contracting Party that, on April 15, 1994, had and continues to have in force a system of equitable remuneration of authors for the rental of copies of their works embodied in phonograms may maintain that system provided that the commercial rental of works embodied in phonograms is not giving rise to the material impairment of the exclusive right of reproduction of authors.<sup>5 6</sup>

### **Article 8** **Right of Communication to the Public**

Without prejudice to the provisions of Articles 11(1)(ii), 11<sup>bis</sup>(1)(i) and (ii), 11<sup>ter</sup>(1)(ii), 14(1)(ii) and 14<sup>bis</sup>(1) of the Berne Convention, authors of literary and artistic works shall enjoy the exclusive right of authorizing any communication to the public of their works, by wire or wireless means, including the making available to the public of their works in such a way that members of the public may access these works from a place and at a time individually chosen by them.<sup>7</sup>

### **Article 9** **Duration of the Protection of Photographic Works**

In respect of photographic works, the Contracting Parties shall not apply the provisions of Article 7(4) of the Berne Convention.

### **Article 10** **Limitations and Exceptions**

(1) Contracting Parties may, in their national legislation, provide for limitations of or exceptions to the rights granted to authors of literary and artistic works under this Treaty in certain special cases that do not conflict with a normal exploitation of the work and do not unreasonably prejudice the legitimate interests of the author.

(2) Contracting Parties shall, when applying the Berne Convention, confine any limitations of or exceptions to rights provided for therein to certain special cases that do not conflict with a normal exploitation of the work and do not unreasonably prejudice the legitimate interests of the author.<sup>8</sup>

### **Article 11** **Obligations concerning Technological Measures**

Contracting Parties shall provide adequate legal protection and effective legal remedies against the circumvention of effective technological measures that are used by authors in connection with the exercise of their rights under this Treaty or the Berne Convention and that restrict acts, in respect of their works, which are not authorized by the authors concerned or permitted by law.

